

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო ჰელაგოგიური
ინსტიტუტი

შ. ნიჟარაძე

წემოაჭარულის თავისებურებანი

გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ

შინაარსი

შესავალი	1
ფონეტიკური თავისებურებანი	5—31
ბგერითი შედგენილობა	5
ფონეტიკური პროცესები	13
ასიმილაცია	13
დისიმილაცია	18
ბგერის განვითარება	19
ბგერათა დაკარგვა	21
გემინაცია	25
სრულბზოვნობა	26
რედუქცია	27
სუბსტიტუცია	28
მეტათეზისი	30
აფრიკატიზაცია	30
ანალოგია	31
მორფოლოგიური თავისებურებანი	32—50
არსებითი სახელი	32
ნაკვალსახელი	35
თანდებულები	36
ზმნიხედები	40
ზმნა	41
ზმნისწინი	41
პირის ნიშნები	42
თემის ნიშნები	45
ნამყო უწყვეტლის, კავშირებითისა და თურმეობითის წარმოება	48
ბრძანებითი კილო	49
კახუხატივის წარმოება	<u>50</u>
სიტყვათწარმოება	51—55
მიმღობათა წარმოება	51
სახელთა წარმოება	51
ტაოკონიმიკურ სახელთა წარმოება	52
სინტაქსური თავისებურებანი	55—61
მსახლერელ-სახლერული	55
სინტაქსური დამოკიდებულება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის	55
მართვა	57
თავისებურებანი რთულ და კითხვით წინადადებებში	58

ორმაგი უარყოფა	59
ადგილისა და დროის გარემოება	59
სინტაქსური კალკი	61
მახვილი	61
ზემოაქარულის ურთიერთობა ქვემოაქარულთან	62—63
ზემოაქარულის მიმართება ქართული ენის სხვა დიალექტებთან	63—64
ტექსტები	65—123
ლექსიკონი	125—163
საბიებელი	164—
დამოწმებული ლიტერატურის სია	



ქნობრები მიმოსილვა

შესავალი

აქარულს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული ენის დიალექტთა შორის. ცნობილია, რომ აღნიშნული დიალექტი დიდ სიახლოვეს იჩენს ერთი მხრივ მესხურთან და იმერხეულთან, მეორე მხრივ — გურულთან.

აქარული (resp. ზემოაქარული) მეტყველება არაა სისრულით შესწავლილი. ჩვენს მიზანს შეადგენს ზემოაქარულის თავისებურებათა შესწავლა და იმის ჩვენება, თუ რა მიმართებაშია ზემოაქარული ქვემოაქარულთან, იმერხეულთან, მესხურთან და გურულთან.

ზემოაქარული გავრცელებულია აქარის ასს რესპუბლიკის ხულოსა და შუახევის რაიონებში. ამ რაიონებს უკავია 1300 კმ² ფართობი. ზემო აქარა მდებარეობს აქარის აღმოსავლეთ ნაწილში. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება ადიგენის რაიონი, დასავლეთით — ქედის, ჩრდილოეთით — მახარაძის რაიონი, ხოლო, სამხრეთით — საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

უძველესი დროიდან აქარა შედიოდა დასავლეთ საქართველოს სამეფოში — კოლხიდაში. დასავლეთ საქართველოს ძველად, როგორც ნათქვამია, ბერძნები კოლხეთს უწოდებდნენ¹. ჯერ კიდევ IV საუკუნეში ჩ. წ. ა. ქსენოფონტესთან თანამედროვე აქარა მოხსენებულია, როგორც კოლხიდის ნაწილი².

მძიმე და აუტანელი იყო აქარის მშრომელთა ცხოვრება წარსულში. ქართულ-რუსული და უცხოური საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ აქარა სხვადასხვა დროს სხვადასხვა დამპყრობთა სათარეშო ხდებოდა. საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეს იპყრობდნენ და ანადგურებდნენ რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, ოსმალები, სპარსელები. ხოლო სამი საუკუნის წინათ სულთანის თურქეთმა ცეცხლითა და მახვილით მოსწყვიტა საქართველოს ეს მხარე დედამამშობლოს. აქარა ეროვნული გადაგვარების საფრ-

¹ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946 წ., გვ. 55.

² Б С Э, т. I, 1949 г. стр. 399.

თხის წინაშე დადგა. ამ გარემოებამ ღრმად ჩააფიქრა საქართველოს მოწინავე ადამიანები. სულთანის თურქეთის ბატონობის ქვეშ ნობეღრილი მუსლიმანი ქართველების მძიმე ისტორიული ხვედრის შესახებ აი რას წერს ი. ჭავჭავაძე: „თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს. დაერღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემშქვალება, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რომ იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ ჩვენ და ოსმალეთის საქართველო“¹.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დანთავრების შემდეგ 1878 წლის ბერლინის კონგრესის ტრაქტატით აქარა სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონთან ერთად შეუერთდა რუსეთს, ხოლო 1921 წლის 18 მარტიდან მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველოს მშრომელებთან ერთად აქარის მშრომელებმა საბოლოოდ განდევნეს მენშევიკები და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, — დაიწყო აქარის მშრომელთა ბედნიერი ცხოვრება, აღსავეს ბრძოლითა და გამარჯვებებით. მდიდარი შინაარსით, შესანიშნავი აწმყოთი და კიდევ უფრო წარმტაცი მომავლით.

ზემოაქარულისადმი² ინტერესი იმითაც ძლიერდება, რომ აჭარული, საერთოდ, და კერძოდ ზემოაქარული, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში უცხო, თურქული ენის გავლენას განიცდიდა. მიუხედავად ამისა ზემოაქარულმა, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. აქარულმა ორგანული კავშირი არ გაწყვიტა ქართულ ენასთან, მის დიალექტებთან. მართალია,

¹ ი. ჭავჭავაძე, ოსმალეთის საქართველო: თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, 1941 წ., გვ. 309.

² ჯ. ნოღაიდეღი ზემოაქარულისა და ქვემოაქარულის ნაცვლად ხმარობს ტერმინებს: მთის აქარულსა და ბარის აქარულს (იხ. მისი „აქარა დიალექტოლოგიული“. ბათუმი, 1933 წ., გვ. 1—2; „აქარული კილოს თავისებურება“: ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომების კრებული, 1941, გვ. 133—134). ვფიქრობთ, ამ ტერმინების ხმარება არაა გამართლებული: ისტორიულად აქარა იყოფოდა ზემო აქარად და ქვემო აქარად (იხ. პ. უმიკაშვილი, ოსმალის საქართველო: გახ. „ივერია“, 1877 წ. № 12; Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Абхазии, 1878, стр. 53; Е. Такайшидзе, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии, 1952, стр. 17).

აქარულში შემოვიდა ზოგიერთი უცხოური სიტყვა, მაგრამ აქარულის ლექსიკური შედგენილობა უცვლელი დარჩა. ეს შედგენილობა ქართულია.

ზემოაქარულის შესახებ ჩვენ დღესდღეობით მხოლოდ ერთი სპეციალური გამოკვლევა მოგვეპოვება, რომელშიც რამდენადმე სრულადაა წარმოდგენილი მისი თავისებურება, ესაა მ. ხუბუას შრომა „ზემოაქარის ენობრივი ნიმოხილვა“, (1932 წ., ქ. ბათომი). მკვლევარს 1926 წლის ზაფხულში უწარმოებია დაკვირვება ზემო-აქარულზე. გამოკვლევა წარმოადგენს ამ მუშაობის შედეგს. ნაშრომი შედგება გამოკვლევისა (7—22 გვ.) და ტექსტებისაგან (25—46 გვ.). ავტორს კარგად აქვს შენიშნული ზემოაქარულის რიგი თავისებურებანი. ხშირ შემთხვევაში ფაქტთა კვალიფიკაცია დამაჯერებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მოკლე დროის განმავლობაში აწარმოებდა ზემოაქარულზე დაკვირვებას, ჩაწერილ ტექსტთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა (ტექსტები ჩაწერილია ზემო აქარის 10—12 სოფელში, მაშინ როდესაც აქ სულ 100—120 სოფელია), რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა შრომის ხასიათზე. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ ავტორს მხედველობიდან გამორჩენია ზემოაქარულის არა ერთი თავისებურება.

აქარული დიალექტის შესწავლის საქმეში გარკვეული დამსახურება მიუძღვის ჯ. ნოლაიდელს. მას გამოქვეყნებული აქვს საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტები: „ნარკვევები აქარელთა ყოფაცხოვრებიდან“ (ბათომი, 1933); „აქარის ხალხური პოეზია“ (ბათომი, 1936); „აქარის ხალხური სიტყვიერება“ (ბათუმი, 1940) და გამოკვლევა „აქარა დიალექტოლოგიურად“ (ბათომი, 1936). მასვე ეკუთვნის „აქარული კილოს თავისებურებანი“ (1940 წ.), შრომა ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია. დაბეჭდილია მხოლოდ თეზისები. ჯ. ნოლაიდელის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში საკმაოდ გილი აქვს დათმობილი ზემოაქარული მეტყველების ნიმუშებს. იგი თავის გამოკვლევებში ხშირად ცალკე გამოყოფს იმ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც ზემოაქარულისათვის (ავტორის თქმით, მთის აქარულისთვის) არის დამახასიათებელი.

აღსანიშნავია ქეთ. ლომთათიძის ორი გამოკვლევა: „ნაშთები მესამე პიროს ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აქარულში“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, 1938 წ. და „დამოკიდებულ წინადადებათა ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946 წ.

მხატვრულ ლიტერატურაში აქარული მეტყველების ნიმუშები. გვხვდება კ. ლომთათიძესთან¹, ზ. კიკინაძესთან², დ. ბაქრაძესთან³. დასახელებული ტექსტები აქარული მეტყველების თავისებურებათა შესასწავლად ყოველთვის ვერ არის სასადაო.

აქარული დიალექტის ცალკეულ მოვლენათა შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული გ. ახვლედიანს, ვ. თოფურიას, ს. ჟღენტს, ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას და სხვ. მათ ჩვენ შევეხებით შრომის სათანადო ადგილებზე.

ზემოაქარულზე დროდადრო დაკვირვებებს ვაწარმოებდით და სათანადო მასალებს ვკრებდით სტუდენტობის წლებიდან (1938 წ.). ამ მიზნით ვმუშაობდი არა მარტო მშობლიურ სოფელში, ვაიოში, არამედ ზემოაქარის სხვა სოფლებშიც.

ზემოაქარულის სისტემატურ შესწავლას შევუდექი 1946 წლიდან (როდესაც მუშაობა დავიწყე რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტში); დიალექტოლოგიური მასალების შეკრების მიზნით რამდენიმეჯერ მივიღეთ მონაწილეობა ინსტიტუტის მიერ მოწყობილ მივლინებებსა და ექსპედიციებში. ჩაწერილი გვაქვს საკმაო რაოდენობის ლექსიკური მასალა და ტექსტები. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ზემოაქარულზე უშუალო დაკვირვების შედეგს. ნაშრომს ბოლოში დავურთეთ ზემოაქარული მეტყველების ნიმუშები და სათანადო ლექსიკონი. ტექსტები შეიცავს თქმულება-გადმოცემებს, წეს-ჩვეულებათა და სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო საქმიანობათა აღწერას; მოცემული გვაქვს აგრეთვე გამოცანები, ლექსები, დიალოგები და სხვ.

წინამდებარე ნაშრომი განზრახული იყო საკანდიდატო დისერტაციად, რომელიც ავტორმა შეასრულა პროფ. ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით.

¹ კ. ლომთათიძე, მოთხრობები, ტ. II, 1925, გვ. 297—304.

² გამოქვეყნებულია ავტორის მიერ სხვადასხვა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

³ დ. ბაქრაძე (Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гургии и Аджаре. 1878, გვ. 161—191) მოცემული აქვს მოკლე შედარებითი ლექსიკონი ქართულურ-კახურ, იმერულ, გურულ, კობულეთურ და აქარულ თქმათა.

ჟონაგოქარი თავისაზრებაანი

ბგერითი შედგენილობა

ზემოაქარულში სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით დასტურდება **ჟ, ჟ**, გრძელი ხმოვნები: **ა, ე, ი, უ** და **ე** და **ე**. ეს ბგერები არაა უცხო ქართული ენის სხვა დიალექტებისთვისაც.

ჟ (ყრუ პალატალური ბგერა) ფართოდაა გავრცელებული ზემოაქარულში; ამ მხრივ იგი უახლოვდება კახურ დიალექტს¹; ეს ბგერა ძირითადად მიღებულია **ი** ხმოვნის დასუსტებით, როგორც ძველ ქართულში², სუსტდება **ი**, როდესაც მას წინ უძღვის ან მოსდევს ხმოვანი.

ჟ გვხვდება:

ა. სახელობით ბრუნვაში **ა-სა, ე-სა** და **ი-ზე** დაბოლოებულ ფუძეებთან: **ასლანაჟ, უსუჟაჟ, დრუნჩაჟ, ნანტბოგრაჟ, კვირაჟლაჟ, ჩთილაჟ** (= ჩრდილაჟ ტოპ. სახელი), **ზექიეჟ, ემინეჟ, ანოჟ** (|| ანაჟ 'დედა'), **ბაბოჟ, ღამიოზაჟ** და მისთ.

ბ. **ჟ** გვაქვს ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში (მოქმედებითში უფრო იშვიათად) ბრუნვის ნიშნების ხმოვნითი ნაწილის (**ი**) დასუსტების შედეგად: **დედო-ჟს, ბაბო-ჟს, ხასო-ჟს; ჯეფერა-ჟს, არჩილა-ჟს, ოქრო-ჟთ, კაბდო-ჟთ** და სხვ³.

მაგალითები წინადადებებში: ეთი გეყურებია, რაფერ ვაზღრიალებდი ბაბოჟს ყამას... ყურდღელმა თქვა: ჩემ საწოლი ლობიაჟს ძირი ბენჩქიაეო... ათასი ოქროჟთ მც სახენწიფოს ავაშენეფ... შაშუაგულო ჩივში გავატი ბარდენაჟს ყურშუმი... ჩამეღლო თაროჟდან და ლაჩაქი ყურში გამოკოქა...

გ. **ჟ** ვითარდება ფუძის შიგნით, როდესაც **ი** ხმოვანი ემეზობლება **ა, ე** და **ო-ს** (წინ უსწრებს ან მოსდევს მათ): **მგორო**

¹ იხ. ან. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 3.

² ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, ა. ბარამიძე და ილ. აბულაძე, ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1947, გვ. 234.

³ მ. ხუბუა ამ შემთხვევაში **ჟ-ს** ნაცვლად **ი-ს** აღნიშნავს. ...ესროლეს ბარდენაი... ჰემ დღეთ... მუმიანი..., თუმცა იქვე დასძენს, რომ ეს ხმოვანი ლექსში (ავტორით: წყობილისტყვაობაში) ზოგჯერ კმნის მარცვალს, ზოგჯერ კი არაო (იხ. მისი ზემოაქარის ენობრივი მიმოხილვა, 1932, გვ. 7); შდრ. შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954, გვ. 133.

(< მიორო < მეორე; || მდერე), მდერე დი, შდან (< შიან < შიგან), წოლდარე, ქონდარე ' შეძლებული ', როდცხა, დეძწვა გეძქცა, გადმეძქნია, როდს (< როის < როდის), მაძლი (< მაილი < მარილი)¹...

წინადადებებში: შდანე დამ აქ'ეს' საკლექტი... მჟალოკიე საქონელ ქვამაძლაძ... მდოროგზობაძარქნა თჳარა...

დ. ძდაცულია რუსულ და უცხო წარმოშობის სიტყვებში: ძა. შიკი, აბძე შიკი; შეძთანი (ეშმაკი, ცბიერი), ყაზძალი (ნავთი!, ყაძმალი (ნაღები), ძალი (ერბო), ძოლი (გაფანტვა), ძასალი (აკრძალვა). ძეთიმი (ობოლი)², ძემი, ყძამეთი³ და სხვ.

ძ აღმოსავლურ დიალექტთაგან შენიშნულია გარეკახურში, კახურში⁴, სადაც იგი ხმოვნის შემდეგ გვხვდება; მთიულურში⁵; აქ ძ მიღებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის ი-ს დასუსტების შედეგად: ქართლურში⁶; დასავლურ დიალექტთაგან — იმერულში⁷ და სხვ.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ზემოაქარულში ძ გვხვდება როგორც დამავალი, ისე აღმავალი დიფთონგის ელემენტად.

¹ უფრო ზუსტი იქნებოდა „მაძლ“-ში ძ-ს მიღება აგვეხსნა რ-ს დასუსტების ნიადაგზე, როგორც ამას ადგილი აქვს ქანურში (იხ. არნ. ჩიქობავა-ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 13): ამ გზით უნდა იყოს მიღებული ძ აგრეთვე „ხელცაძელ“-ში და „გემძელ“-ში (ფრაზაში: ხელცაძელი არ დაბრუნდო, ქნა ქონდეს ფარინი); აქარულში ძ-ს არსებობის შესახებ მიუთითებს ჯ. ნოლიძე; იგი აღნიშნავს, რომ ეს ბგერა უმთავრესად ქობულურ მეტყველებას ახასიათებს, რაც, მისი აზრით, გურული კილოს გავლენით აიხსნება (იხ. მისი აქარა დიალექტოლოგიურად, 1936, გვ. 7). როგორც ცნობილია, ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში ძ ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტშია გავრცელებული. ამ მხრივ ქობულური მეტყველება არ დგას განცალკევებით.

² შდრ. იოტიანი ხმოვნები ქანურში უცხოური წარმოშობის სიტყვებში: ძალი, კახალი (არნ. ჩიქობავა, ქანური ტექსტები, 1929, გვ. 112); ძაჭული (იქვე, გვ. 3). შეძთანი (იქვე შეითანი, გვ. 25; ხოლო ყიფ შიძესთან: შეძტანი (ქანური ტექსტები, 1939, გვ. 35), ძეთიმი (არნ. ჩიქობავა, ქან. გრამატიკული ანალიზი, გვ. 141).

³ შდრ. შარა შიძესთან იემი, ყიამეთი (გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, 1938).

⁴ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, 1525, გვ. 62—63; არ. მართიოსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, თბილისი. 1956, გვ. 29—34.

⁵ არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, II, 1937, გვ. 43—44.

⁶ გ. თოფურიძე, ქართლური: არილი, 1925, გვ. 43—44.

⁷ შ. ძიძიგური, იმერული დიალექტი: ძიებანი... გვ. 147.

როგორც ცნობილია, ქართულისათვის ისტორიულად დამახასიათებელია დამავალი დიფთონგები¹. ასევე, „ქართულს კილოებში შემონახული **ჟ**, როგორც წესი, დიფთონგის მეორე ნაწილს წარმოადგენს: **აჟ, ეჟ, ოჟ, უჟ**“.²

აქართულში აღმავალი დიფთონგის გაჩენას **ჯ**. ნოლაიდელი ხსნის თურქულის გავლენით³. ივულისხმება დიფთონგი, რომლის პირველ ელემენტს **ჟ** შეადგენს. საკმარისია დავეუკვირდეთ აქართულის, კერძოდ ზემოაქართულის მონაცემებს, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ აღნიშნულის გარდა მასში **ჟ**-თი დაწყებული დიფთონგებიცაა გავრცელებული.

საკმაოდ ხშირია დიფთონგი, რომლის პირველ ნაწილს **ჟ** წარმოადგენს; მაგალითად: **მჟახერხე, მჟახარტიე, მჟატანია, გადმჟატანია, გამჟექეცი, გამჟეტირა; შჟავი, ძჟალი; გოგჟები, კიკილჟები, თარჟები და მისთ.**

მაშასადამე, ზემოაქართულში **ჟა, ჟე და ჟო** დიფთონგები არა დგას განცალკევებით. თუ დავუშვებდით, რომ **ჟა, ჟე, ჟო** თურქული ენის გავლენის შედეგადაა განვითარებული, მაშინ აუხსნელი რჩება **ჟა, ჟე** დიფთონგთა წარმოშობა.

ზემოაქართულში აღმავალი დიფთონგის ელემენტი ხშირად განვითარებულია **ე** ხმოვნისაგან, რომელიც მიღებულია **ე**-ს დავიწროების შედეგად: **შეატყო (<შიატყო<შეატყო), შეაძლია, შეაჭრა, შეაყვარა; შეერიგა, შეეხვეწა, შეეჩვილა, შეეგება და სხვ.**

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ აქართული არ დგას განცალკევებით. სავსებით ანალოგიური ფაქტები დადასტურებული აქვს **ო. კახაძეს** იმერული კილოს ოკრიბული ნეტყველების მასალათა საფუძველზე; იგი მიუთითებს შემდეგ მაგალითებს: **შეახნა, შეაგინა, შეანტვრია, შეათურთხა; მჟაყარა. მჟაწერა, მჟართვა**⁴...!

ზემოაღნიშნული მოვლენის განვითარების შუა საფეხურის (ია, იე, უა, უე) დამადასტურებელი ფაქტები საკმაოდ ხშირია ქართული ენის სხვა დიალექტებშიც, მაგალითად:

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 104.

² არნ: ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 13.

³ **ჯ. ნოლაიდელი**, აქართული კილოს თავისებურებანი: ბათუმის სამასწ. ინსტიტუტის შრომები, I, 1941, გვ. 135.

⁴ **ო. კახაძე**, ოკრიბულის თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1954, გვ. 169.

გურულში: შიადარა, შიეძინა, შიატყო, დიესიზმა, დიეკითხა, დიეხოცა, დიემშვიდობა; წამუარდა, მოთხუა, წამუატანა, მუა, ხოლო ორჟე, შვიდჟე, ჩჟენ, თქჟენ და სხვ. სიტყვებში გვაქვს ზემოაქარულისათვის დამახასიათებელი ბგერათკომპლექსი¹.

მესხურში: გიექანოს, გიეპარა...; დიელია, დიესტროსო...; მიეწონენ, მიეკლენო...; გამიეგზაენა, გამიეკიდნენ².

ჯავახურში: დიება, დიებადა, მიეკლა, გიეშინჯა³.

იმერხელში: შიანდო, შიაწერეს, შიებრალა, ჩამუელით, მუათავეთ⁴.

რაქულში: მიეწყინა, მიეცალა, გადიეგდო...⁵.

აღნიშნული მოვლენა მეტნაკლებად დადასტურებულია აგრეთვე აღმოსავლურ დიალექტებშიც (ქართლური, გარეკახური, მთიულური და სხვ.).

ზემოაქარულში დასახელებული მოვლენა ბოლომდისაა მისული. ნაშასადამე, აღმავალი დიფთონგის განვითარების საფუძველი ქართულ დიალექტებშივე დასტურდება. ამრიგად, ამ შემთხვევაში სხვა რომელიმე ენის გავლენის საკითხი უნდა მოიხსნას. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ის უცხო წარმოშობის სიტყვები, სადაც აღმავალი დიფთონგი გვხვდება, ემორჩილება აქარულისათვის (resp. ქართულისათვის) დამახასიათებელ წესს.

ცნობილია, რომ „ნასესხებობას — რა ოდენობისაც არ უნდა იყოს იგი — არ შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს მსესხებელი ენის ბგერათსისტემაში“⁶; სპეციალურ ლიტერატურაში იმის შესახებაცაა მითითებული, რომ „მსესხებელი ენა თავის მორფოლოგიური სისტემის შესაბამისად აფორმებს ნასესხებ მასალას“⁷.

უმარცვლო უ გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ძველი ქართულის მიხედვითაა მოსალოდნელი⁸. როგორც ცნობილია, იგი წარმოადგენს დავიწროებულ უ-ს ვ-ინისკენ გადახრილს, სა-

¹ ს ქ ღ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 46, 51, 52 და 57.

² შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტი: ძიებანი... გვ. 134—135.

³ არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: ა. ს. პუშკინის სახ. თბილ. სახ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 293.

⁴ M a p p, T P, VII. გვ. 48—63.

⁵ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მთარაქული: ძიებანი... გვ. 187.

⁶ გ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. 1949, გვ. 246.

⁷ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 246.

⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, ძვ. ქართული ენა... 1947, გვ. 235.

ხელდობრ, უ გვხვდება თანხმოვნის შემდეგ: ექუსი, რუა¹, თუალი, ლუარი, ნაკურეცხალი, თქუა, სხუა, თუარა და სხვ.

გარკვეულ შემთხვევაში უ მიიღება ვ-ინისაგან, თუ ვ მოქცეულია ხმოვანსა და თანხმოვანს შორის; მაგ.: ბეური².

ზოგჯერ უმარცვლო უ უ-ს დასუსტების შედეგია; ასე. მაგ.: ოვა და ოვე კომპლექსები იქცევა უა-უე-დ შემდეგი ცვლილების შედეგად: ოვა — ოვე > ოა — ოე > უა — უე > უა — უე: გადმუატანია, გადმუარდა, წამუალ, მუახეერხა; ვთხუე, ვაძუე და მისთ.

აგრეთვე აუ > აუ || აე, ეუ > ეუ || ეე; მაგალითად, ტოპ. სახელები: კოპელაური, ფირცაული, ფურუქაული; ხიქაერი, კობალავრი; ჩანტრეული, ნიგაზეული, ქანგრეულა.

უმარცვლო უ ჩნდება აგრეთვე ერთმარცვლიან „გო“ (<გოგო) და „კო“ (<ბიკო) სახელთა წოდებით ბრუნვაში; ორსავე შემთხვევაში ო გამოითქმის გრძლად, მაგრამ ზოგჯერ ვლბულობთ უმარცვლო უ-საკენ გადახრილ ხმოვანს, სადაც ო-ც შენარჩუნებულია: გოუ! კოუ!³.

ოა (|| ოვა) კომპლექსის უა-დ ქცევის წინა საფეხური დადასტურებულია დასავლურ და აღმოსავლურ კილოებში⁴.

ასევე ოე (|| ოვე) კომპლექსის უე-დ ქცევა ისეთივე გზით მიდის, როგორც ეს აღმოსავლურ კილოებშია დადასტურებული⁵, ოღონდ ზემოაქარულში ეს პროცესი დასრულებულ სახეს

¹ მდრ. მ. ხუბუა, ზემოაქარის ენობრივი მიმოხილვა, გვ. 17.

² ს. უღენტო, გურული კილო, გვ. 46: ასეა ეს სიტყვა იმერხელშიც: ქვეყანა რომ შეაწუხა, ახლა ბებრი ყავს ღუმანი: ნ. მარი, იმერხ. ტექსტები... გვ. 48.

³ მსგავსი ფორმები კოუ, კოუ, დადასტურებულია იმერხელში: ნ. მარი იმერხ. ტექსტები... გვ. 80.

⁴ არნ. ჩიქობავა, მთიულური: ენიმკის მოამბე, 1937, გვ. 47 და სხვ., მისივე, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 64; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 49—50, ვ. თოფური, ქართლური: არილი, გვ. 138; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 11; ჯ. ნოლაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, გვ. 9, 10, 15; ს. უღენტო, გურული კილო, გვ. 57; M a n p, 'I', VII, გვ. 48—53...; შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი, ძივბანი... გვ. 136: მისივე, იმერული დიალექტი, იქვე, გვ. 148; მისივე, ლეჩხუმური დიალექტი, იქვე, გვ. 166—167.

⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 29; შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში: ძივბანი..., გვ. 117.

გვაძლევს და ვღებულობთ ჟე-ს; ნაგალითად: მ ჟ ე ლ თ, მ ჟ ე ხ-
მ ა რ ე; გა მ ჟ ე ქ ე ც ა და ს ხ ვ¹.

ზემოაქარულისათვის დამახასიათებელია აგრეთვე სახელებთან ჟ-ს მიღების ისეთი გზა, როგორც ეს ახსნილი აქვს ქართლურის მაგალითების მიხედვით პროფ. ვ. თ. ო ფ უ რ ი ა ს²: ზემოაქარულში მსგავსად ქართლურისა („გოგუები, პალუები, კალუები“...) ო-ფუ-ძიან სახელთა მრავლობითობის წარმოების დროს ოე კომპლექსი ო-ს .დავიწროებით ჟე-დ იქცევა, ოლონდ აქ ო-ს დავიწროების პროცესი უფრო შორს მიდის და ჟ-ს ვღებულობთ; მაგალითად: წყარ ჟ ე ბ ი (<წყარუები<წყაროები), ქო ლ ჟ ე ბ ი (ქაობები); ოქ რ ჟ ე ბ ი, უ რ ჟ ე ბ ი და ს ხ ვ.³ წინადადებებში: ქელოლანმა გაბეზა ტუმრები ოქ რ ჟ ე ბ ი თ... ჰი დამ დ ი ო მ რ ჟ ე ბ ი ა რ გე ვ-
ყ ლ ა მ, ქო ლ ჟ ე ბ ი ი ღ გ ა ი მ ა ლ ა გ ზ ე... გო გ ო ვ, შ ე ნ ი წ ე ლ ი წ მ ი ნ დ ა,
ნ ო მ ი ქ ს ჟ ე ქ რ ე ლ ი წ ი ნ დ ა...

აღსანიშნავია ზემოაქარულში გრძელი ხმოვნები: ა, ე, უ, ო. რომელნიც მიღებულია ორი იდენტური ხმოვნის შერწყმის შედეგად. ჰანურ-მეგრულის მსგავსად, ცხადია, აქ ბუნებრივი ან ისტორიული წარმოშობის გრძელი ხმოვნები კი არა გვაქვს, არამედ ხმოვანთა პოზიციური სიგრძე მიღებულია ორი ერთად შეხვედრილი ხმოვნის გაერთიანებით. ხ.მ. ო ვ ა ნ თ ა პ ო ზ ი ც ი უ რ ი ს ი გ რ ძ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე-
ლ ი ა ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა⁴; მაგ.: მ ა მ ი ს ი (<მამისი<მამანისი)⁵,
ნ ფ ე რ ი (<აფერი<არაფერი), მ შ ე ც ი ა (<მიუცია), რ უ ყ ა ვ
(<რუყავ<როყავ<რა უყავ)⁶, ე თ რ ი ე (<ეთრიე<აეთ-

¹ ამ საკითხს გაკვირით განიხილავს მ. ხუბუა (იხ. დასახ. შრ. გვ. 11), იგი აღნიშნავს მხოლოდ, რომ ოვ = უ: წ ა მ უ ა... ხოლო ჯ. ნოლაიდელი (აქარა დიალექტოლოგურად, გვ. 10 და 15) შედარებით ვრცლად ეხება ამ საკითხს და სუბსტიტუციური და ასიმილაც. მოვლენების განხილვის შედეგად დაასკვნის: ოვე>ჟე; ვაძჟე... ოა>ჟა>ჟა: მ ჟ ა ქ...

² ქართლური: არილი. გვ. 138.

³ ამ მოვლენის შესატყვისი ფაქტები სახელებთან დასტურდება სპორადულად იმერხელშიც (იხ. ნ. მარი დასახ. შრ., გვ. 59); ხოლო მესხურში საესებით ანალოგიური მაგალითები: ოქ რ ჟ ე ბ ი, პ ა ლ ჟ ე ბ ი, წყარ ჟ ე ბ ი და ს ხ ვ. დადასტურებული აქვს ი. მაიხურაძეს (იხ. მისი „ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი მესხურში“, 1942, გვ. 3).

⁴ შდრ. ს. ქლენტი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 53.

⁵ გურულში მ ა მ ი ს ი-ს შესატყვისად გვხვდება მამისი (იხ. ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 54).

⁶ შდრ. რო უყავი, რო უქნია ფორმებს იმერულში: შ. ძი ძი გ უ რ ი, ძიებანი... გვ. 155.

რიე), ნეტოლოშინება. ვენტერი (<ვეფერი <ვერაფერი)> და სხვ.

აქარულში გრძელი ხმოვნების შესახებ მსჯელობს შ. ძიძიგური¹. ავტორი გრძელ ი-ს მიღებულად თვის კონტაქტური ასიმილაციის გზით (ი-ი: წიილო, გიიქნია და პარალელურად გრძელი ხმოვანი: ი+ი=ი: გიქნია...) პრევერბის ხმოვნით ნაწილსა და ქცევის ნიშან ი-ს შორის. მართალია, აქარულში პრევერბის ხმოვანთა და ქცევის ნიშანთა ასიმილაცია საკმაოდ გავრცელებულია, არც ერთ დიალექტში არ გვხვდება აქარულის მსგავსი შემთხვევები (წიიილო, დიიინახა...), მაგრამ ასიმილაცია არასოდეს არაა კონტაქტური. პრევერბსა და ქცევის ნიშნის ხმოვანს შორის ყოველთვის პირის ნიშანია. ამრიგად, აქარულში გრძელი ი-ს განვითარების ის გზა, რომელიც შ. ძიძიგურს აქვს აღნიშნული, ექვს იწვევს. უნდა ითქვას, რომ ზემოაქარულში მართლაც დასტურდება გრძელი ი, რომელიც ვითარდება სიტყვის ფუძეში რ-ს გაუჩინარების შედეგად; მაგ.: ს რ ბ ი ლ ი (სირბილი), ძ რ შ ი (ძირში), ხ ი ხ ა ძ რ შ ი (ხიხაძირში), ყ რ მ ი ზ ი, დ უ ყ რ მ ი ზ დ ე ბ ა და სხვ.

მაგალითები წინადადებებში: 'რ'უმ გიგინათეფ ყური ძ რ შ ი... ს რ ც ხ ვ ი ლ ი შე ნ ი, უმფოს-უნცროსი აღა იცი!... იმტრათ დ უ ყ რ მ ი ზ დ ე ბ ა თჟალები ომ...

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გრძელი ხმოვანი ვითარდება ხმოვნის შემდეგ რ ბგერის გაუჩინარების შედეგად. ეს მოვლენა შეიძლება დადასტურებულ იქნეს სხვა მაგალითებშიც, როგორიცაა: ნ ე ც ხ ვ ა (<ეთ სხვა<ერთი სხვა 'ამის გარდა')², ნ თ ი (ფრანაში: ამ ვაქარ ნ თ ი ლამაზი ქალი და ნ თ ი უწლივანი შეილი ჰხყავდა), ა ლ ა და სხვ³.

რა თქმა უნდა, ეს ბგერები არ ჩაითვლება ფონემებად. მათი გაჩენა შეპირობებულია პოზიციით.

შ სალიტერატურო ქართულისა და მისი დიალექტების მსგავსად უმთავრესად გვხვდება ზმნაში პირის ნიშნებად⁴. როგორც ცნო-

¹ ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში: ძიებანი .. გვ. 108—109.

² შდრ. „ერთ — ს ხ ვ ა“ ხვეს. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული კილოები მთაში. გვ. 194.

³ უნდა აღინიშნოს, რომ აქარულში სინტაქსურ ნიადაგზე გრძელი ხმოვნების არსებობა დადასტურებული აქვს ქეთ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ს (იხ. მისი „დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში: იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერება, 1, გვ. 337), რომელსაც ასეთი მაგალითები მოჰყავს: „სასტორი როგორც კობერატივებში ა ნ ს...“ რომ შეიწობა შ რ თ (ჩიბუხში), იმას დარჩება ნაცარი (ხიხაძირი)... და სხვ.

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 177.

ბილია, ჰ „არაა სრულღირებული ფონემა საღიტერატურო ქართულში (და, როგორც ჩანს, არც დღალექტებში): ხმოვნის წინ საღიტერატურო ქართულში იგი იხმარება საყოველთაოდ გავრცელებულ მხოლოდ ორ სიტყვაში (ჰაერი და ჰაეა) და ზოგიერთ ძახილში, მაგ. ჰა, ჰე, ეჰე, აჰა“. ¹ ზემოაქარულში ჰ დასტურდება უცხო წარმოშობის სიტყვებშიც როგორც დასაწყისში, ისე სიტყვის შიგნით: ჰელალი (ალალი) ჰერამი (არამი), ჰამა (მაგრამ), ჰეჰეა (ზღაპარი), ჰეგიბა (აბგა) ², სილაჰი (იარალი), ყაჰეე (ყაეა). დაჰუდი (ებრაელი) ³; ჰაზირი (და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში: გაჰაზირება, მოჰაზირება...) ⁴.

ზოგჯერ ჰ ენაცვლება არაბულ ე-ს (ع); მაგალითად: საჰათი ⁵. იშვიათ შემთხვევაში დასტურდება ზემოაქარულში ე-ს შესატყვისი ნეიტრალური ბგერა; აღნიშნულ ბგერას გ. ახვლედიანი ასე ახასიათებს: „სვანურში თავშეყრილ თანხმოვანთა შუა ჩაერთვის ნეიტრალური ხმოვანი: ხენსგა 'ნახევარი', კვლდე — კლდე, ჰგრელ — კრელი და ა. შ.“ ⁶ ზემოაქარულში ნეიტრალური ბგერა გ მ. ხუბუას ორიოდე მაგალითში აქვს შენიშნული. აეტორი ამ ბგერის (მ. ხუბუას გამოთქმით: გაურკვეველი ბგერის) გაჩენის მიზეზად თელის მიჯრით თანხმოვანთა კომპლექს სიტყვაში. სხვა შემთხვევაში ე-ს გაჩენის ფაქტორად ასახელებს ორი სიტყვის ერთბაში აღქმის დროს მეორე სიტყვის („უნდა“ ნაწილად) თავიკიდური უ-ს დავიწროებას, რომელიც კვალს ტოვებს ე-ს სახით ⁷. ზემოაქარულში ე-ს აღქმა აღვილად ხერხდება ზოგ ისეთ სიტყვაში, რომელშიდაც თანხმოვნებია თავმოყრილი,

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები: გვ. 286.

² შდრ. ინგილ. ჰაგუბა (მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 231).

³ ანალოგიური მდგომარეობაა უცხოური წარმოშობის სიტყვებში ჰ-ს შენარჩუნების მხრივ კანურში (იხ. ს. ჟღენტი, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 38, 39, 49, 65); ასევე, ზემოაქარულის მსგავსად, ჰ შეუნარჩუნებია თურქულ-არაბული წარმოშობის სიტყვებში იმერხეულსა (II. Mapy, TP, VII: ჰასუთა 84, ჰებჰა 124, ჰაული 77, რაჰათი 48, დაჰნი 84, იშტაჰი 32...) და მესხურს (ჰარამი, ჰალალი. ჰეჰიმი, ჰოქმში, ჰარლი: ი. შაისურაძე, დასახ. შრ., გვ. 7).

⁴ აღსანიშნავია, რომ კობულურ მეტყველებაში ამ სიტყვაში (ჰაზირი და მისგან ნაწარმ. ფორმები) ჰ-ს ენაცვლება ხ: ხაზირი, გახაზირება; ასევეა იქ ჰაეა (ჰაეა), ჰაერი... (იხ. ამ საკითხის შესახებ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, დასახ. შრ., გვ. 286).

⁵ შდრ. კან. საჰატი, ს. ჟღენტი, იქვე. გვ. 38.

⁶ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 223.

⁷ მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 7; შდრ., არ. მარტიროსოვი, ჯავახურის მეზურთან მიმართების საკითხისათვის, გვ. 291.

მაგ., რიცხვით სახელში ცხვრა; ტოპ. სახელებში: ლორჯომის (ლორჯომის), ღრემანის (|| ღრემანის).

წყვილბაგისმიერი ხმულ-მსკდომი ყბგერა ზემოაქარულ მეტყველებებში უმთავრესად გვხვდება შორისდებულებსა და ჩვენებითი ნაცვალსახელების დასაწყისში (ხმოვნის წინ)¹, როცა ფრაზით სამწუხარო გაკვირება ან დაეინებული აკრძალვა სურთ გადმოსცენ.

მაგალითები წინადადებებში:

ყაჰ, არ მესროლო, კოჟ!.. ყეჰ, რამითიხანია აღნ მითევხნია!..

ყ შერჩენილი აქვს ზემოაქარულს უცხოური (თურქულ-არაბული) წარმოშობის სიტყვებში, სადაც ადგილი აქვს აინიზებულ ხმოვანთა გამარტივების ტენდენციას. ყისაჟ, ყაბდულაჟ (საკუთარი სახელებია), ყემიაჟ (ბიძა მამით) და სხვ.

როგორც ზემოაღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, ყ ზემოაქარულისათვის არ წარმოადგენს ფონემას.

ფონეტიკური პროცესები

ასიმილაცია

ფონეტიკურ პროცესთაგან საკმაოდ გავრცელებულია ასიმილაცია; შეინიშნება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაცია. არის შემთხვევები, როდესაც ხმოვანი განიცდის ასიმილაციას თანხმოვანთან. ხაზი უნდა გაესვას თანხმოვანთა პროგრესულ ასიმილაციას. როგორც ცნობილია, „ქართულსა და მეგრულში თუმცა ყველა სახის ასიმილაცია და დისიმილაცია გვხვდება, მაგრამ უპირატესნი და დამახასიათებელნი არიან: რეგრესული ასიმილაცია და პროგრესული დისიმილაცია“².

¹ ყ ბგერა დადასტურებული აქვს გარეკახურსა და ფერეიდნულში არნ. ჩიქობავას (იხ. მისი გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 63 და ფერეიდნულის თავისებურებანი, გვ. 200); იგი შენიშნულია აგრეთვე კახურში (იხ. არ. მარტი-როსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 29—31. ზემოაქარულში ამ ბგერის არსებობას ადასტურებს მ. ხუბუა; იგი შენიშნული აქვს უმთავრესად უცხოური წარმოშობის სიტყვებში თავიკდური ხმოვნის წინ, ან (იშვიათად) სიტყვის შიგნითაც: ყალმე, ყაბდოი, ყემა, შეყროიანი (დასახ. შრ., გვ. 7); სიტყვის შიგნით ეს ბგერა ჩვენ ვერ შევნიშნეთ. ჯ. ნოლაიდეღის ყ დადასტურებული აქვს ჩვენებით ნაცვალსახელებთან თავიკდური ბგერად (აჭ. დიალ., გვ. 7); შდრ. შ. ძიძიგური, იმერული დიალექტი, ძივბანი... გვ. 147; მისივე, ლეჩხუმური დიალექტი, გვ. 166—167; თ. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი: იბტირულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, გვ. 163.

² ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, 1919, გვ. 8.

ხმოვანთა სრული ასიმილაციის შემთხვევებს ვხვდებით უმთავრესად ზმნის ფორმაში, როცა სასხვისო ქცევის უ-ს გავლენით ასინილირდება პრევერბისეული ხმოვანი და ვლებულობთ უ-ს. აყურადღებოა, რომ უფრო ძლიერაა გავრცელებული პრევერბისეული ა-ფონემის — ისე როგორც ყველა სხვა პრევერბისეული ხმოვნის — სახეცვალება, ვიდრე ფუძისეულისა, — მეტადრე დასავლურ კილოებში¹.

ხმოვანთა სრული ასინილიციის მაგალითები

ა+უ>: უგდო (<უუგდო<ოუგდო<აუგდო), უწერა...;
მო+უ>ნუ: მუტანა (<მუუტანა<მოუტანა), მუსმინა...²;
გადა+უ<გულუ: გულმუტანა (<გულუუტანა<გოდოლუტანა<გადალუტანა); გადმუტანა, გადმუწერა და მისთ.

ზმნებში პრევერბისეულ ხმოვანთა სრულ ასიმილაციას გარეკახურში არნ. ჩიქობავა ადასტურებს მხოლოდ მო ზმნისწინთან: მუუგზავნეს... მუუტანეს... მუულაღეს...; ეგვე პროცესი არ. მარტიროსოვს და გრ. იმნაიშვილს შენიშნული აქვთ შიგნი კახურშიც³.

ზემოაქარულისათვის (resp. აქარულისათვის) დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს პრევერბისეულ (ა, ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვანთა ასიმილაცია, როდესაც მათ შორის ობიექტური პრეფიქსია: ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას.

მაგალითები:

ა+ი>ი+ი: იმიშენა (<ამიშენა), იმიქნია, იმიტანა...

და+ი>ი+ი: დიწიწერა, დიმიგდო, დიმიყარა...

გა+ი>ი+ი: გიმიშენა, გიმიგდო, გიმიქნია...

შე+ი>ი+ი: შიმიტანა, შიმიგდო, შიმიქნია...

ჩა+ი>ი+ი: ჩიმიშენა, ჩიმიგდო, ჩიმიქნია...

წა+ი>ი+ი: წიმიწერა, წიმიგდო, წიმიქნია...

გადა+ი>ი+ი+ი: გიდიმიწერა, გიდიმიგდო, გიდიმიქნია და სხვ.⁴

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 284.

² გრძელი ხმოვნების შესახებ იხ. ზემოთ „ბგერითი შედგენილობა“; მ. ხუბუა (დაახ. შრ. გვ. 11) ასეთ შემთხვევაში გრძელ უ-ს ნაცვლად ორ უ-ს აღნიშნავს (უულო... უუწერა... გუუცდა...); რაც შეეხება ჯ. ნოლაიდელს, მას გრძელი ხმოვნების არკებობა აქარულში პრევერბების დამგავსების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მრავალი მაგალითით აქვს დადასტურებული (აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 14—15), მაგრამ გრძელი ხმოვნების მიღების გზა არა აქვს ახსნილი.

³ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 70; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 37.

⁴ რთულ პრევერბიან ზმნაში ორივე პრევერბისეულ ხმოვანს მოუღის ასიმილაცია: გიდიმიქნია (<გადამიქნია); მ. ხუბუა ჩამოთვლის მრავალ მაგალითს

ზემოაქარულში ადგილი აქვს აგრეთვე პრევერბისეულ ა, ო და გვარისა თუ ქცევის ნიშნის ე ხმოვანთა ასიმილაციას: აე>ეე; ოე>ეე: დეეხატა, დეეწერა...; მეეწერა, წამეეწია..., მაგრამ პროცესი აქ არ წყდება. ეე>იე>ჟე: დჟეხატა, დჟეწერა...; მჟეწერა, წამჟეწია და მისთ¹.

საერთოდ, აქარულის და კერძოდ ზემოაქარულის, სპეციფიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქცევის ან ვნ. გვარის ო ხმოვანთა ნიერ პრევერბისეულ ა, ო ხმოვანთა დამსგავსება და შემდეგ მისი უკვალოდ გაქრობა.

მაგალითები:

გამეეცახე (<გამეევიცახე<გამოვიცახე), გეეკეთე, გეეშენე, დეეხატე (=დავიხატე), ეეშენე, დეეხარე და სხვ.²

როგორც ცნობილია, „ქართულში დღეს მეტადაა გავრცელებული რეგრესული მიმართულების ასიმილაცია“³; ზემოაქარულშიც უმთავრესად რეგრესული ასიმილაციის მოვლენები დადასტურდა⁴.

მაგალითები ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაციისა:

პარანგი, რემელი (სპორად.), ოზო ვეფერს, უსულ-მშეთქმელაჟ, დოდოფალი, ფოტორო (<ფუტურო, ტაპონიმიკური სახ.) და სხვ.

წინადადებებში: ი ბალვი თელი დღჟა პარანგითაჟ დჟეთრევა... უსულმშეთქმელაჟ თუ შესვამ, ბრაჟა შენ!... შდეგებეთ, დოდოფალი მოყავან!... ახლა ვეფერ ვერ მოქცემ, ცოტა კიდევნდა, მადრუო...

პრევერბ. ხმოვნისა და ქცევის ი-ს სრული ასიმილაციის შესახებ (იხ. მისი შრ., გვ. 12), ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია ასეთი მაგალითები. როგორცაა: დივინახე, გიდვიხადო... ასეთი სახის ასიმილაცია არ ხდება სუბ. პრეფიქსიან ზმნებში; შდრ. ს. ულენტი, გურული კილო, გვ. 51; იმერხ. (Il. Map. TP... გვ. 58): გუუხსნია ხელი, ფეხი...; შ. ძიძიგური, იმერული დიალექტი, ძიებანი.. გვ. 154—155; მისივე, ლეჩხუმური, ძიებანი.. გვ. 176, სადაც გვაქვს ამ პროცესის შუა საფეხური: აუ<აუ.

¹ შდრ. ვ. თოფურიცა, ქართლური: არილი გვ. 131; მ. ხუბუას თავის შრომაში (გვ. 11) მოჰყავს შუა საფეხურის გამომხატველი ფორმები: წამეეწია..., ასეთი ფორმები ჩვენ ზემოაქარულში ვერ დავადასტურეთ.

² ასიმილაციის ეს სახეობა მ. ხუბუას თავის შრომაში გამოჩენია; შდრ. ჯ. ნოლაიდელი, აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 15.

³ გ. ახვლედიანი, დასახ. შრ., გვ. 194.

⁴ იშვიათია ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია; მაგალითად: გოდორძაული (<გოდერძაული, სოფელი).

ზოგჯერ ო ხმოვანი მ-ს გავლენით იქცევა უ-დ: რ უ მ (|| რუმე-რუმენ)¹, ხ უ მ, მე ვ ნ დ უ მ ა და ს ხ ე.

ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია ხდება უმთავრესად პრევერბისეულ და ქცევის ნიშნის ან ძირის ხმოვნებს შორის. მაასიმილებელ ხმოვნად გვევლინება ი, რომელიც ავიწროებს პრევერბისეულ (ა, ო) ფართო ხმოვნებს და ა>ე, ო-ც>ე-ს. ნაგრამ პროცესი აქ არ თავდება; მაასიმილებელი ი, თავის მხრივ, სუსტდება და იქცევა მ-ად; მაგალითები ა>ე: ე მ ლ ო (<ეილო). გ ე მ ქ ნ ი ა (<გეიქნია<გაიქნია), ჩ ე მ წ ყ ო, წ ე მ ს ვ ა...; მაგალითები ო>ე: მ ე მ ყ ტ ა ნ ა (<მეიყვანა<მოიყვანა), გ ა მ ე მ ქ ნ ი ა, შ ა მ ე მ დ ვ ა, ჩ ა მ ე მ შ ო რ ა, წ ა მ ე მ გ ო, გ ა დ მ ე მ ყ ო ლ ი ა და ს ხ ე².

ზემოაქარულში სპორადულად ვხვდებით ნაწილობრივი ასინილაციის ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ადგილი აქვს ასიმილაციას პრევერბისეულ ა ხმოვანსა და ქცევის ნიშან უ-ს შორის; მაგალითად: გ ო უ კ ე თ ე, დ ო უ წ ე რ ე, დ ო უ კ ა რ (ფრაზაში: დ ო უ კ ა რ ერთი კიდვენ. კეკელა და მარო, რა იქნება!).

როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, ასეთი ფორმები ძირითადად იმერული დიალექტისთვისაა დამახასიათებელი³. გვხვდება აგრეთვე მესხურში⁴, იმერხეულში⁵, გურულში⁶ და სხვ.

ნაწილობრივი ასიმილაციის ეს შემთხვევა აქარულში განხილული აქვს ჯ. ნოლაიდელს⁷.

¹ შდრ. ინგლ. რ უ მ. ჰ უ მ (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ე ლ ი, საინგლო: ძვ. საქართველო II. გვ. 197 და 199); ო. კ ა ხ ა ძ ე. დასახ შრ., გვ. 169; რ უ მ, ხ უ მ გვხვდება გურულში (ს ქ ლ ე ნ ტ ი, გურული, გვ. 53), ს. ქ ლ ე ნ ტ ი იქვე შენიშნავს. რომ ეს მოვლენა აქარულისა და მესხურისათვისაა უფრო დამახასიათებელიო, ამავე რიგისა უნდა იყოს ზემოაქ. ტ უ მ ა რ ა (ტუ-ტუ ტუმარა, სახელს გეტყვი, გვარს არა! გამოცანა); ო ვ ი წ რ ო ვ დ ე ბ ა ფ-ს წ ი ნ ა ე: შ უ ფ ე რ ი (ფრაზაში: შ უ ფ ე რ, გამიჩერე მაშინამ, რა მქნება!); ეს მოვლენა განვითარებულია იმერხეულში (იხ. ო. კ ა ხ ა ძ ე, დასახ. შრ., გვ. 169).

² შდრ. მ. ხ უ ბ უ ა; დასახ. შრომა, გვ. 11—12, სადაც იგი მ-ს ნაცვლად სრულ ხმოვანს უჩვენებს: დ ე ი ძ ა ხ ა... დ ე ი კ ი რ ა... წ ე ი ყ ვ ა ნ ა... ჯ ე ი ა რ ა...; ს. ქ ლ ე ნ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 51; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, იმერული დიალექტი: ძიებანი... გვ. 154; С. Быховская яс, VII, გვ. 159—160.

³ გ. ა ხ ზ ე ლ დ ი ა ნ ი, დასახ. შრ., გვ. 118; С. Быховская, დასახ. შრ., გვ. 60;

⁴ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი... გვ. 133;

⁵ Н. М а р р, დასახ. შრ., გვ. 80;

⁶ ს. ქ ლ ე ნ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 51.

⁷ ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 14; მ ი ს ი ე ე, აქარული კილოს თავისებურებანი: ბათუმის სამაზწ. ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ბათუმი, 1941, გვ. 136—137.

თანხმოვანთა ასიმილაციას ადგილი აქვს როგორც უშუალო. ისე შორეულ მეზობლობაში. გვხვდება სრული და ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები.

მაგალითები რეგრესული ასიმილაციისა:

შამშობლო, შაშუაგულო, ბახჩა, აქოშკა (რუს. окош-ки), დეჰპანტენ (დაიფანტენ) პ'რწყინავს, მორბეც (<მორბეთს<მორბედს), იმაპაც დაქჯერდა, შაქმელი, შაქამადი, მოშინჯვა, რაძლა (= || რაცხა), დწყმაყოფილეს, თავშ შავაკლავ, შაშინჯველაჲ, კიტარა, ქუთანი (გუ-თანი) და სხვ.

ასევე, რეგრესულ ასიმილაციას ადგილი აქვს თანდებულისეულ თ ბგერასა და წინამავალ ფუძისეულ მუღერ ბგერას შორის; მაგ. ხითთან (= ხიდთან), ნართთან (= ნარდთან); დოლაფთან, წარფთან; ბექთან, დერქთან, ბარქთან და მისთ.

რეგრესული ასიმილაცია გვაქვს აგრეთვე ზმნაში, როდესაც მკვეთრი თანხმოვნის წინ ო₂ გ>კ: მოკტეხ (მო-გ-ტეხ), მოკპა-რავე, შეეკპამ, გაკკრავე, დაკკლავ, დაკპირდა¹.

ასევე, ფშვინიერი თანხმოვანთა წინ ზმნებში ო₂ გ>ქ; მაგ.: ქცხვენია. ქშვენის, მოქშორდა, დაქხთა, მოქსლია და სხვ².

წინადადებებში: შაშუაგულო ბახჩაში დამეცა ციცდელი 'მეხი'... ჰა დეჰპანტენ ე ბაღები, ქო!... მაგისთინ თავშ-შავაკლავ... შაშინჯველაჲ ომ მობძანდი, რა გვინახევი ყუსური... საყვარელო, თუ მოგდექ, ხელში უნდა მოქცე დანა... დავამღეროთ კიტარაზე... რამტონი აქ კიდვენ, გო, შენ კაც მიშარჯულნი?... მე და შენ ხითთან შევხდნეთ...

პროგრესული ასიმილაციის მაგალითები: ტაპიკი; ცლ<ცხ: რაცხა, ვინცხა; თბ<თფ: თფება; ხდ>ხთ: შეხთა³, დტ<ტტ: კუტტან ტრუქაჲ, თდ<თთ: გათეთთება, (<გათეთრდება), წიახი, ქვენაწიახი (ტოპ. სახელ.) ხექეპო (საბათი: ხეჭბი), შოშე 'გზა'⁴ და სხვ.

¹ ასიმილაციის ასეთ სახეობას გ. ახვლედიანი აბრუპტივულ ასიმილაციას უწოდებს. იხ. დასახ. შრ. გვ. 120.

² შდრ, არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაჲშვილი, კახური დიალექტი, გვ. 38.

³ გ. თოფურია, ქართლური: არილი, გვ. 131; თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია, როგორც გაარკვია ბ. ფოჩხუამ, დასავლურ დიალექტებს ახასიათებს. ზემოაჭარულის შესახებ ივი შენიშნავს, რომ ეს მოვლენა აქ სპორადულია, როგორც იმერზეულში (იხ. „თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კიდეებში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 187 და შემდეგ; შდრ. ო. კახაძე, აღნიშ. შრ., გვ. 167).

⁴ შდრ. აღ. ლლონტი, გურული ფოლკლორი, გვ. 16.

ამრიგად, როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ხმოვანთა სრული რეგრესული ასინილატია დამახასიათებელია როგორც ზემოაქარული-სათვის, ისე ქვემოაქარულისათვისაც¹. ეს მოვლენა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ქობულურ მეტყველებაში, რაც გურულთან კონტაქტით უნდა აიხსნას. ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი გრძელი ხმოვნები თანაბრად გვხვდება ზემოაქარულსა და ქვემოაქარულში.

ნაწილობრივი ასინილატიის შედეგად მიღებული „დოუწერს“ ტიპის ფორმები ზემოაქარულისთვისაა უფრო დამახასიათებელი.

როგორც ზემოაქარულში, ისე ქვემოაქარულ მეტყველებაში დასტურდება ნაწილობრივი ასინილატიის ისეთი შემთხვევები, როცა მასინილებელ ხმოვანდ გვევლინება *o*, რომელიც ავიწროებს პრევერბ. (*ა, ო*)-ხმოვნებს: ე ღ ლ ო, გა მ ე მ ე ქ ნ ი ა და მ ის თ.

დისიმილაცია

ზემოაქარულშიც სხვა ქართული დიალექტების მსგავსად „დისიმილაცია ხდება უმთავრესად ნარჩარა და ცხვირისმიერ ბგერებში“².

თანხმოვანთა დისიმილაციის მაგალითები; პროგრესული: ო რ-ჯ ე ლ, ა რ ა ფ ე ლ ი. ნ ა მ ე ტ ა რ ი (ფრაზაში: ჩვენი სიძე ქოშეში დგას, ნ ა მ ე ტ ა რ ი ცხვენიავო).. ბ ე ვ რ ჯ ე ლ: რეგრესული: კ ა ლ ო-ნი (გვხვდება „კანუნიც“) წ რ ე ჟ ლ ა მ. ყ ა რ ა ლ ი³.

აღსანიშნავია ძლიერი დისიმილაციის შემთხვევები. „დისიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ იკარგვის დისიმილირებული ბგერა“⁴. უმთავრესად იკარგება წინამავალი რ მომდევნო იდენტური ბგერის გავლენით, ე. ი. ადგილი აქვს რ ბგერის რეგრესულ დისიმილაციურ დაკარგვას, თუმცა გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც — პროგრესულ-დისიმილაციური დაკარგვაც; მაგალითად: ნ ფ ე რ ი. ვ ე ფ ე-რ ი, ც ხ ვ ი პ ი რ ი; თ ე თ - ყ ნ მ ი ზ ი. ყ უ ი ძ ი შ ი, ს ნ ბ ი ლ ი, ს ნ-ც ხ ვ ი ლ ი (ზოგჯერ ასეც ისმის: სიძებილი, სიძეცხვილი, ა რ ც ე თ ა თ, ბ ა ს ა მ ხ ა ნ ი ა (ფრაზაში: ბ-ას-ამ-ხ-ან-ია ა ღ ნ დიმიკავია რამაზანი).

მარცვლის დისიმილაციური დაკარგვის (ჰაპლოლოგია) შედეგად გვაქვს ფ ე ხ შ ვ ე ლ ა (<ფეხშიშველა)⁵.

¹ ქვემოაქარულში აღნიშნული მოვლენის შესახებ მსჯელობისას ძირითადად ეყრდნობით ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ის ზემოდასახელებულ შრომებს; პროგრესული ასინილატიის ცალკეული შემთხვევები დადასტურებულია კახურ დიალექტში (არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კახური დიალექტი, გვ. 40).

² ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური: არილი, გვ. 131; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კახური დიალექტი, გვ. 40.

³ შდრ. გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ყალარი.

⁴ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, დასახ. შრომა. გვ. 201—203.

⁵ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 201; არ. მ ა რ-ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კახური დიალექტი, გვ. 41.

ხმოვანთა დისიმილაციიდან ყურადღებას იქცევს ზემოაქარული-სათვის დამახასიათებელი შემთხვევები, როდესაც დისიმილაცია მოუღის პრევერბისეულ (ა, ო) ხმოვანს ფუძისეულ (ძირითადად ენ. გვარის ე პრეფიქსთან) ხმოვნებთან.

მაგალითები:

აე>ეე>ჟე; ოე>ეე>იე>ჟე: დეეწერა (<დეეწერა<დეეწერა<დეეწერა), დეეფუშა, წამდეწია. ჩდეეულაპა, გამდე-სხრიკა, ამდეგლიჯა, გამდეელაპაიკა, წამდეგო¹.

ხმოვანთა დისიმილაციას ადგილი აქვს სახელებშიც; მრავლობითის -ებ ფორმანტის ე ხმოვანსა და ფუძის ბოლოკიდურ -ე, -ა ხმოვნებს შორის.

მაგალითები: ყანდეები, კილდეები. კილტდეები. უსტდეები, სირთდეები 'გორები', აღდეები და სხვ.

წინადადებებში: აქოშკილამ იყურებოდენ სამნავედ დეები... ამ წვიმებმა თლათ ვადარია დელდეები... გადაშლილი ლოყდეები ვარც (=ვარდს) გავდა... ხასოს თავის ხელით ამდეგლიჯა კიბილი... უწინ ქუსავეფ (მძარცველებს) ჰა გდექცევილი!...

ამ მაგალითებით მტკიცდება, რომ ზემოაქარულში ეე>იე>ჟე-ს ტენდენცია დასრულებულ სახეს ღებულობს. შესაძლებელია ეს გარემოება დიფთონგიზაციისაქენ მიდრეკილების ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს². ამ მოვლენის წინამძღვალ საფეხურს გვიჩვენებს გურული, იმერული, მესხურ-ჯავახური, იმერხეული და სხვ. ე. ი. ამ კილოებში დისიმილირებული ხმოვანი ჯერ კიდევ მამდე არ დასულა, დიფთონგის ელემენტად არ ქცეულა.

ბგერის განვითარება

ძირითადად ვითარდება მ, ნ, ლ, სონორული ბგერები.

მ ჩვეულებრივ ვითარდება წყვილბაგისმიერ ხშულთა ბ, ფ, პ-ს წინ: ზამფხული. ყველამფერი (|| ყველიმფერი), დალუმპვა (ასევე, დალუმპვილი), უმფო (|| უმფრო), უმფოსი; ვფიქრობთ, ზემოაქარულში „უმფოს“ სიტყვაში მ „უმცროს“-ის ანალოგიით არ უნდა იყოს გაჩენილი; ამაზე მიუთითებს სიტყვა „უმფო“ (<უმფრო<უმფრო); რომელთანაც მ-ანი, რა თქმა უნდა, ანალოგიით არ

¹ ჯ. ნოლაიდილი; აღნიშნავს, რომ მსგავს შემთხვევებს ნ. მარის მიერ ჩაწერილ იმერხეულ ტექსტებშიც აქვს ადგილი (აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 16).

² იშვიათად ეხვდებით ტრიფთონგსაც, რომელიც მიღებულია იოტით დაბოლოებულ სახელთან მეშველი ხვნის ხმოვნითი ნაწილის: ა-ს (<არს) დართვის შედეგად; მაგალითად, მემედაჟა, სერდალაჟა და მისთ. წინადადებაში:

აიხსნება. ¹ მ ბ ი ლ ი, დ ა მ ბ ი ლ ე ბ უ ლ ი; მ შეინიშნება სხვა ბგერათა. მეზობლობაშიც; მაგ.: ა მ თ ვ ა რ ი ე ლ ე ბ დ ა (|| ა ნ თ ვ ა რ ი ე ლ ე ბ დ ა), მ ც ხ ო ვ რ ო ბ დ ე ნ, დ ა მ ძ მ ა ნ ი, გ უ მ ც ხ ა დ ა, მ ე მ ც ხ ვ ა რ ე, შე მ ს რ უ ლ ე ბ ა, 'გ ა მ ჯ ა ვ რ დ ა (|| გ ა ნ ჯ ა ვ რ დ ა), ს ი მ ძ ვ ი რ ე, ი მ წ ვ ა ლ ა (უფრო იშვიათად ინწვალა), ს ი მ წ ყ ნ ა რ ე ².

რ-ს განვითარების შემთხვევები: მ უ რ თ ა ქ ა, წ რ ი ხ ლ ი, ა რ - ტ ა ჟ ა, კ ა რ ნ ა ვ ო. უ რ ც ხ ო ³.

ზოგჯერ მ-ს შემდეგ გვაქვს ბ და ფ განვითარებული ბგერები; მაგალითად: ხ უ მ ბ რ ო ბ ა, გ ა მ ბ რ ა ვ ლ ე ბ ა, კ ა მ ბ ე ჩ ი, დ ო მ ფ - ხ ა ლ ი, დ ა მ ფ ხ ო ბ ა, მ ფ ხ ა რ ი დ ა ს ხ ე. ⁴.

წ უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ განვითარებულია დ, თ, ც-ს წინ შემდეგ სიტყვებში: შ ა ხ ე ნ დ რ ა, მ ი ნ დ ა ლ ი, მ ი ლ ი ნ ც ი ა (|| მ ე ლ ე ნ ც ი ა); ზოგჯერ ეს ბგერა სახეცვალება ჩანს განვითარებული მ-ანისა: ა ნ თ ვ ა რ ი ე ლ ე ბ დ ა (შდრ. ა მ თ ვ ა რ ი ე ლ ე ბ დ ა), დ ა ნ წ რ ი ლ ე ბ ი თ (შდრ. დ ა მ წ რ ი ლ ე ბ ი თ); აღნიშნული თანხმოვანი გვხვდება გ ბგერის წინაც: დ ა ნ გ რ ო ვ ე ბ ა.

ხშირად ნ ვითარდება უფორმო სიტყვის ბოლოს ე, ა, ი და ო ხმოვნის შემდეგ; იგი ხშირია -ვე ნაწილაკთან; მაგალითად: კ ი დ - ვ ე ნ, ი ს ვ ე ნ, ი ქ ვ ე ნ, ა ხ ლ ა ვ ე ნ; კ ი დ ო ნ, თ უ რ მ ი ნ, მ ე თ ქ ი ნ, ჰ ა ც ხ ა ნ, მ ე მ რ ე ნ ⁵.

გ განვითარებული ჩანს სიტყვებში: ს ა ც ო დ ვ ა ვ ი, ს ა ჩ უ ქ - ვ ა რ ი, ს ა ჩ უ ქ ვ ა რ ა (ტოპ. სახელი), მ ო შ ო რ ვ ე ბ ა, მ ო ც ი - ლ ე ვ ე ბ ა, მ ა შ ე ი ნ (სპორადულად); ზოგჯერ გ ვითარდება სხვათა სიტყვის ო-ს ან პროსოდული ხმოვნის წინ: დ ა ხ ე ნ დ რ ა ვ ო, გ ა ჩ ი ნ დ ე ბ ა ვ ო (ფრაზაში: გევიარე ქ ა ლ ე ფ შ ი ვ ო, ყ ო ყ ნ ა მ ი ნ დ ა ქ ა ლ ე ფ შ ი ვ ო...) ⁶.

გოგო ჩივის ვერ წაუხელები, სერდალაჟა ჩემი ქმარი... შდრ. იმერ. რაჟა? გ. ახვლედიანი, დასახ. შრ., გვ. 104.

¹ სხვაგვარი წარმოშობისა ჩანს ფორმა „უმფროსი“ ქართული ენის რიგ სხვა დიალექტში. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ. აქ მ-ანი გაჩენილია „უმცროს“-ის ანალოგიით(გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 231)...

² შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური: არილი, გვ. 135—136; ქ დ ე ნ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 55—56; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი დ ა გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, გვ. 64.

³ ვხვდებით გურულშიც (ს. ქ დ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 56).

⁴ შდრ. მ. ხ უ ბ უ ა, დასახ. შრ., გვ. 10; ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აჭარა დიალექტოლოგიურად, გვ. 13.

⁵ შდრ. გარე-კახურში ხმიანდი, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 70; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური: არილი, გვ. 136; ს. ქ დ ე ნ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 57; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი დ ა გ რ. ი მ ნ ა ი - შ ვ ი ლ ი, კახური დიალექტი, გვ. 64.

⁶ შდრ. ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აჭარა დიალექტოლოგიურად, გვ. 13; H. M a p p, TP, გვ. 47; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი დ ა გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კახური დიალექტი, გვ. 64—65.

ვ სპორადულად ჩნდება სიტყვის დასაწყისში, უმთავრესად რიცხვით სახელებთან ო ხმოვნის წინ: ვოცნებოფს (ფრაზაში: შენზე ვოცნებოფს ქვეყანა, სიმართლით გამარჯვებულა), ვორი, ვოთხი და მისგან ნაწარმოებ სიტყვებთან: ვოზდახუთი, ვოზდაცამმეტი..., მევორე, მევოზდაშვიდე და სხვ.

ლ განვითარებული უნდა იყოს სიტყვებში: ჭყინტლი, ამეფსუნთქლა.

თითო-ოროლა მაგალითილა შეიძლება დადასტურებულ იქნეს გ, ძ, მ ბგერათა განვითარებისა: გარგანი (საბათი: არგანი), კუკუნეთი (= უკუნეთი), თხამპლი (საბათი: თხამლი; შარაშიძესთან: თხამლი).

მაგალითები წინადადებებში:

რომელ ხესაც მოჰკრი, იქვენ გაჩინდება ლეშნიკი... გამოსულში — ზამფხული პირაა ომ გადაქეჟლდება ქვეყანა... კარდალა ჩამფხევი!.. შაშუაგულ ხაპერზე მჭახვენდრა... ისაცოდვაფი კვდვენ უნდომათ ყოფილა თურმინ... ჩვენ ბილალას ორ-არტაქიანი სახლი არ წამჰქიმაფს! სიმწყნარე იყოს პაწაა, ურცხო კაციდან მაფც არ ქცხენიან!.. რანდა დემენახა იმ კუკუნეთ ლამეში, თუარა ძვალმბილ ერთ გუხნიდი...

ბგერათა დაკარგვა

თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები ზემოაქარულში ფართოდაა გავრცელებული. მანი ხშირად იკარგება ხშულებისა და სპირანტების წინ; გავრცელებულია ამ ბგერის დაკარგვა მიმღეობებშიც, რომელთა ფუძეც აღნიშნული თანხმოვნით იწყება: კლავი, გელი, გელისაწოლი (ტოპ. სახელი), ქლე, თა (= მთა), თაგორიანი, ზიჩასლვა, ზიახო (ტოპ. სახელი), ზისაქციელაა 'შხესუმზირა', ზიქვევა, ხოლოთ, ლაშე, გვალი, კვიდრეული, თელი, ძივი, შვიდობა, ტერი, ტერ-მოყვარე, ძიმე, თაერობა, სხვილი, ტევანი, ჭახე, დადე. ყუდრო; შიერი, წარე, დიდარი, ძინარე, ქედელი, წიფე, ტყუანი, ხურვალაა ბალახი, შრომელი, კდარი, დულარე, შრალი, წოლმარე, თხეული (<მთხუელი<მთხოველი<მათხოვარი), ლდელი, ქედიძაფი, დგომმარობა¹.

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 70: ვ. თოფური, ქართლური: არილი, გვ. 133—134; II. М а р р, ТР... გვ. 48; ს. უდენტო, გურული კილო, გვ. 54; შ. ძიძიგური, ძივანი... გვ. 148, 158 და 188; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 9; ჯ. ნოლაიდელი, აპარა დიალექტოლოგიურად, გვ. 11; ხშირია ამ ბგერის დაკარგვა ოკრიბულშიც, იხ. ო. კახაძის დასახ. შრ., გვ. 165; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 54.

აღსანიშნავია რ-ს დაკარგვის შემთხვევებიც; ამის შესახებ გაკერით ზემოთაც გვექონდა საუბარი გრძელი ხმოვნების წარმოშობასთან დაკავშირებით. ნათქვამს დავსძენთ: რ ჩვეულებრივ იკარგება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოქცეულია თანხმოვანთა შორის; მაგალითად: ფთა, გძელი, გძელგორი (ტოპ. სახელი), ბძოლა, შეებძოლა, გათეთთა (= გათეთრდა), პტყელი, ფჩხილი, ჩდილი. ჩთილაჲ (ტოპ. სახელი), ღმა, ზდილობა; უზდელი, ბძანება, პწყინავს, დამჩა, დაქჩა, გვალი. ტყემგვალა (ტოპ. სახელი) და სხვ.

ზოგჯერ რ სიტყვის თავშიც იკარგება: მაგ.: ბილი (ფრაზაში: ბილი მე და ძვალი შენ; მაგრამ: ძვალ-მბილი: ძვალ-მბილი ერთი გუხნადა...), ქა (= რქა), კინა, კინიჯვარი (ტოპ. სახელი), კინი გზა, ძალი, ჯული (= რჯული)...

ისიც უნდა ითქვას, რომ არაა იშვიათი რ-ს დაკარგვა ხმოვანთა შორისაც; მაგალითად: ლაპაიკი, მაძლი, ცაძელი, დაღაიბებულან. მე'რ'ომ (|| მე'რ'უმე) გითხარ...

დაიძენა რამდენიმე მაგალითიც, სადაც რ იკარგება თანხმოვანთა და ხმოვანთა შორის¹; მაგალითად: ტიალი (ტრიალი მინდორი, თავისუფალი, გაშლილი ადგილი), უმფო (|| იმფო, შდრ. უმფრო), აღწვის. ანაერცეთათ, არცეთათ (ფრაზაში: ბარიშნას ომ გადაეხედე, არცეთათ არ დამეწონა).

ვ დაკარგულია შემდეგ სიტყვებში: გამოგზანა რასაკვირველია (ასევე. საკვირელი), მოკდა, კდარი, ოტკა, მაწნის, თექსმეტი, თრამმეტი (ასევე, ოზდათექსმეტი და ა. შ.); სელა (<სლეა)—ფუძიან სიტყვებში: წასლა, მოსლა, შესლა...; მომლელი, მტაქლია, ძრება, ძეს, გვაქ, აქ, მტაქ, ნეტაჲ, მოძდა (|| მოვდა) და სხვ².

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 69; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 53; ვ. თოფურია, ქართლური: არილი, 133; ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 54. H. Maip, TP, VII, გვ. 56; მ. ხუბუა, დასახელ. შრ., გვ. 9; ჯ. ნოდლი დელი. აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 11.

² საკმაოდ გავრცელებულია ვ-ს დაკარგვა გურულში (ს. ქლენტი, გურული... გვ. 54); შდრ. შ. ძიძიგური, ძივბანი... გვ. 157; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 9; ჯ. ნოდლი დელი, აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 11—12; ვინის დაკარგვის შესახებ ფერეიდნულში იხ. არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსი ფერეიდნულში; „ჩვენი მეცნიერება“, 2—3, 1923, გვ. 83; ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 170—171..

ნ დაკარგულია: მაეც, მეეყუქამ. კილამ¹. ამდენაჲნი მდენხან (ფრაზაში: ჰაეყავ ამდენხან. გოჲ?...)

გ-ს დაკარგვით მიღებულია შიან (<შიგან: შდრ. შიგანი ტომ. სახელი).

დ-ს დაკარგვის შემთხვევები: წაე! მოე! გაე! წაეთ! მოეთ!... როეს, ჰა (<ჰად<სად), ოლომ (=ოლონდ).

თანხმოვანთა დაკარგვის მხრივ საინტერესოა ნაწილაკად გაგებული „უნდა“ სიტყვა; „უნდა“ ნაწილაკში, ერთი მხრივ, იკარგება დ თანხმოვანი, რაც სრულიად ბუნებრივია (ნ და დ ერთი და იმავე ადგილისა და გვარობისანი არიან), ამის შედეგად ვიღებთ ფორმებს „დადგაუნა“. „საქმუნა“, მეორე მხრივ, იკარგება ნ: მაგალითად საქმედა (=საქმე უნდა) შიგიძლოდეს... თეარემდა² (|| მთვარემ უნდა) დაბნელდეს. შედტყვე?

როგორც არ. მარტიროსოვმა გაარკვია, აღნიშნული სიტყვა ასეთსავე ცვლილებებს განიცდის ჯავახურშიც³.

ხ-ს დაკარგვის შემთხვევები საკმაოდ კარგადაა ცნობილი ქართული ენის დიალექტებიდან: ხშირად მიუთითებენ ნათესაობითი და მიცემითი ბრ. ნიშნის ხ თანხმოვნითი ელემენტის გაქრობაზე. ცნობილია აგრეთვე თ თანხმოვნის წინ მისი (ს) ჰ-დ დასუსტება და სავსებით გაქრობაც⁴. შეიძლება ითქვას, ქართული ენის დასავლურ დიალექტთაგან ხ-ს დაკარგვა არსად ისე არაა გავრცელებული, როგორც აქარულში და, კერძოდ კი ზემოაქარულში: თითქმის სისტემებრ იკარგება იგი ნათესაობითსა და მიცემით ბრუნებში.

ხ-ს დაკარგვის მაგალითები ნათ. ბრუნვაში: განსაკუთრებით კი კომპოზიტებში,

ე ბინი ქუები დარბაზეჲლი დელიდა ან ამოეზიდე... ნაჲწნავი გადმოგეყარა, პური კონი ქელიეითა... გაბე, სახლი კისერ ძალი ყეფა. ისმის... წყარო თავზე... გზი კისერ... ყურძნი ფაფა (=ფელამუში), წინდიჩხირი,

¹ გვხვდება „კილარმი“-ც, რომელიც მიღებული უნდა იყოს იმერ. რალმე-სა და გურ. კილამ (|| კახამ) ფორმათა კონტაქტისაგან.

² ამ სიტყვაში უ ხმოვნის დაკარგვის შესახებ იხ. ქვემოთ „მორფოლოგიური მოვლენები“.

³ არ. მარტიროსოვი, მესხურის ჯავახურთან მიმართების საკითხისათვის: პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრ., VIII, 1950 გვ. 294; შდრ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი გვ. 59-60.

⁴ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 57.

ამითანაჲ. იმითანაჲ, ჩემითანაჲ, მაგითანაჲ, მამლი-
ყივილზი გველვიძა...¹

ს იკარგება ოდენ-ნაწილაკიან სახელებში, რომლებიც დასმულია
ნათ. ბრუნვაში: მუშტიდენი (მუშტის ოდენა), ცერიდენი,
ბლიკვიდენი და მისთ.

ტოპ. სახელებში: ალოგვერდი, აბანოყელი, დუნი-
ბოლო. ველიპირი, ზიახო, ქვაბიჯვარი, რუსთავი-
ლელე...

ს როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება: ჩემ ბალნეფ
წიგნები აჩუქეს... კარდალ მუაკალიეფ... ცხვარი ხორო ზოშლი
ფასი აქ... გახე მაქ (=მაგ) ხარ, მაი გელი შექმული კიდვენ
კელოფს?... ხვალ ძამლეთ მივალ... ამხელა კაცი მევეარე და
ბათუმ არ ჩავსულვარ...²

ს-ს დაკარგვის შემთხვევები ხმოვანფუძიან სახელებთან:

— რა ძეგები. ქო? — მიანებე მაგათაი!

— გუმცხადე თუარა იმა?...³

ს დაკარგულია ჩვენებით ნაცვალსახელებთან, რომლებიც მსაზღ-
ვრელის ფუნქციას ასრულებენ: ე გომბიო ჰა მივა ნეტაჲ ამ სალა-
მოპირ... ო ბალვი ვერ მუარჯულე?...⁴

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როცა ს-ს დასუს-
ტების შედეგად ვლებულობთ ჰ-ს⁵.

ეს მოვლენა უცხო არაა ქართული ენის აღმოსავლური დიალექ-
ტებისათვის, მაგრამ იქ არაა შენიშნული ისეთი შემთხვევები, რო-
გორც ეს ზემოაქარულში გვაქვს.

ზემოაქარულისათვის დამახასიათებელია სად >ჰად || ჰა: ჰა
გეჩქარე ასე მალე... კარქა მუაცეცე ხელი, ჰაც ხან მაგათეფშინდა
იყოს... ჰიდაჭრი ხარ, ბიძაჲ!.. ჰი.მ.კენაც არ გეძხედო...

¹ ჯ. ნოლაიდელი აღნიშნავს, რომ ეს მოვლენა ძირითადად ზემოაქარუ-
ლისთვისაა დამახასიათებელი (იხ. მისი აპარა დიალექტოლოგიურად,
გვ. 10—11); შდრ. ს-ს დაკარგვა კახურში თ-ს წინ -თანა, -თეინ თანდებულთა
დართვისას (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექ-
ტი, გვ. 57).

² ამ ბგერის დაკარგვა ნათ. დამიკ. ბრუნვებში ხშირია იმერხელში (იხ.
ნ. მარის დასახ. შრ., გვ. 80); შ. ძიძიგური, ძიგბანი... გვ. 137; შდრ. მ. ხუბუა,
დასახ. შრ., გვ. 10; იგი საკმაოდაა გავრცელებული კახურშიც (არ. მარ-
ტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 57).

³ ანალოგიური ფაქტები შენიშნულია რიგ სხვა დიალექტებშიც: იხ., მაგა-
ლითად, კახურის შესახებ (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი,
კახური დიალექტი, გვ. 57).

⁴ შდრ. ს-ს ჰ-ითი შენაცვლების მაგალითები ზემოაქარულში. მ. ხუბუა,
დასახ. შრომა, გვ. 9.

ს-მ შეიძლება ცვლილება განიცადოს სიტყვის ბოლოშიც: მაგ., ბიკოპ! (= ბიკოს!) გათენებულა უყე!..¹

იმავე ცვლილებას განიცდის ს ბგერა მესამე პირის ნაცვალსახელში, როდესაც მას ერთვის -ც ნაწილაკი; მაგალითად: გეძხე, გარში, იპიც მოვდა მგონია... იმან რა დაშაფა, იმაპაც მუწიყე პაწაძ...

ს შეიძლება დაიკარგოს პ, ტ თანხმოვნების წინაც: ტანცია („შუალამე იქნებოდა, ჩაქვის ტანციაზე ომ ჩეველთ“), პიჭკაძ (მომიკიდე ქო, პიჭკაძ).

იკარგება აგრეთვე III პირის ნიშანი ს-ანი „ქონა“ ზმნაში: აქ'ვს', გაქ'ვს', მაქ'ვს'; აგრეთვე ნაწილაკად გაგებულ „გავს“ ზმნაში: ისე გავ დღე ტაროსინდა მედშალოს...²

ხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები.

უ იკარგება: მასქან (<მას უკან), მებნევა (ასევე, გებნევა, ებნევა...); „უნდა“ — ნაწილაკიან სიტყვებში: ყველთვინ მე რატომდა წევდე პირველათ...

ო იკარგება სიტყვებში: ყველთვინ, სუყველთვინ...

ი იკარგება ვე-ნაწილაკიან რიცხვით სახელებში: სამვეს, ოთხვეს ..

გემინაცია

თანხმოვანთა გაორკეცება (გემინაცია) აშკარად შეინიჩნევა ზოგ რიცხვით სახელში (და მისგან ნაწარმოებ ფორმებში); გაორკეცებულია მ სიტყვებში: ცამმეტი, თრამმეტი, ცხრამმეტი (ასევე, მეცამმეტი, ოზდამმეტრამმეტი, სამოზდამეცხრამმეტი...).

შესაძლებელია სიტყვა „ცამმეტი“ არქაიზმი იყოს (ათ-სამმეტი), „თრამმეტსა“ და „ცხამმეტში“ კი მ-ანი მისიქანალოგით იყოს განვითარებული.

ჟ ბგერის გაორკეცებასთან გვაქვს საქმე შემდეგ სიტყვებში: გევევარე, ჩევევარე, ოდშშენ!... უდშშავ!...

¹ ს-ანის დასუსტება-დაკარგვა ფართოდაა გავრცელებული გარეკახურში (იხ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი.. გვ. 65—68); ვ. თოფურია, ქართლური: არილი, გვ. 132—133; არნ. ჩიქობავა მიუთითებს ამ ბგერის დაკარგვაზე მთიულურშიც, თუმცა, როგორც იგი აღნიშნავს, ეს მოვლენა აქ ისე არაა გავრცელებული, როგორც გარეკახურში (მთიულური... ენიმკის მოამბე, III, 1934, გვ. 49—50), ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ბგერის დაკარგვა განსაკუთრებით შორსაა წასული ქიზიყურში (იხ. მისი ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში: ენიმკის მოამბე. I, 1937, გვ. 66—69); ეს მოვლენა საკმაოდაა გავრცელებული კახურშიც (არ. მართიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 56—61).

² არ. მართიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 56 და 86.

წინადადებებში: ლელიპირ რომ ჩევევარე... წისკვილიკარ გევე-
ვარე... ოფშშენ რა გითხრა, კილარმი თვალეზი გამომთხარე...
უფშშავ, ე რა მოქსლია, შენ საწყალო!... შამევევარე,
ხალთაში, თოფი ჩაედევ ხალთაში...

ს რ უ ლ ხ მ ო ვ ნ ო ბ ა

აღსანიშნავია თანხმოვანთა თავმოყრის დროს ხმოვნის, ძირი-
თადად **ი-ს**, არსებობა რიგ სიტყვებში; მაგალითად: თ ი ბ ი ლ ი,
(ტოპ, სახელში: წყალთბილა), ტ კ ი ბ ი ლ ი, კ ი ბ ი ლ ი, კ ი ლ დ ე.
(ტოპ. სახ. კილდიძირი), წ ი გ ი ნ ი, ხ ე ჭ ე პ ო ¹, ფ ი ლ ა ვ ი ², ა შ ი -
ქ ა რ ე; ხ ო ბ ო ³ (ფრაზაში: უ ხ ო ბ ო ვ რ ო თ დ ი მ ი რ ჩ ა ჩ ე მ ი დ ე დ ი -
ფ ა რ ა ე . . .) და სხვ ⁴.

როდესაც ვ. თოფურია განიხილავს რედუქციის საკითხს ქარ-
თველურ ენებში. იგი ეხება აქარულის ამ მონაცემებს; სახელდობრ-
„კიბილ“ სიტყვის შესახებ შენიშნავს, რომ იგი თითქოს „კიბილ“
სიტყვის ადრინდელი სახეა, რომელსაც შეესატყვისება მეგრულ-
ქანური „კიბირი“; თუმცა იქვე დასძენს, რომ ანალოგიურ შემ-
თხვევებში — აქარ. კ ი ლ დ ე, წ ი გ ი ნ ი, ტ კ ი ბ ი ლ ი, ხ ე ვ ს უ რ უ ლ შ ი
ჩ ი რ დ ი ლ ი, ჩ ი ნ დ ა (ჩნდა), ფ ი რ ჩ ხ ი ლ ი (= მეგრ.-ქან. ბირცხა,
ბუცხა), კ ი ლ დ ე, გ ი რ წ ყ ი ლ ი. ინგილოურში შ ი ტ ო და მ ის თ. —
• ფონეტიკური წარმოშობისა ჩანს ⁵.

ჩვენ მიერ მითითებული ზემოაქარული სიტყვები ორგვარი წარ-
მოშობისა უნდა იყოს; ერთი მხრივ გვაქვს კ ი ბ ი ლ ი, კ ი ლ დ ე,
ხ ო ბ ო (ქან.-მეგრ. კიბირი, კირდე, სვან. ხაბნა, ლაბნა)⁶, რომ-
ლებსაც ქართველურ ენებში სრულხმოვნიანი ფორმები შეესატყვი-
სება, მეორე მხრივ კი ფ ი ლ ა ვ ი, წ ი გ ი ნ ი, ხ ე ჭ ე პ ო . . . , სადაც
ხმოვნები **ი, ე** თანხმოვანთა გასაყარია.

¹ შდრ. ქან. ხეჭკა (ს. ე ლ ე ნ ტ ი. ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 180).
ქართ. იეჭები (საბა).

² იქვე, გვ. 180.

³ ამ სახითვე გვხვდება აქარულში ტოპ. სახელი ხობოსაძჭარა.

⁴ შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ. გვ. 12—13, ავტორი ერთი მხრივ თანხმო-
ვანთა გამყარ ი ბგერის განვითარებას გულისხმობს, მეორე მხრივ კი მიუთითებს.
ქართველურ ენათა იმ ფენაზე, რომელსაც სრულხმოვანობა ანასიათებს; ჯ. ნ ო -
ღ ა ი დ ე ლ ი ამ მოვლენას ბგერის ჩამატებად მიიჩნევს (იხ. მისი აქარა დიალექ-
ტოლოგიურად, გვ. 13).

⁵ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკა-
სიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 76.

⁶ ხ ო ბ ო -ში რომ ო შირისეული არ უნდა იყოს, ამ ფაქტს ადასტურებს.
სვანური ენის დიალექტ. შესატყვისი ფორმები (ლაბნა, ხაბნა). ეს ფორმები მოგვა-
წოდა ენათმეცნ. ინსტიტუტის თანამშრომელმა ა. დ ა ვ ი თ ი ა ნ შ ა.

რედუქცია

ზემოაქარულში, ისევე როგორც სხვა დასავლურ დიალექტებში¹, ხმოვანთა რედუქცია სუსტადაა განვითარებული; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აქ ზოგჯერ გვაქვს ისეთი შემთხვევები. რომელნიც ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი². თვალი რომ გადავაგლოთ ზემოაქარულ ტექსტებს, შევნიშნავთ, რომ ხშირად ერთი და იგივე სიტყვა ხან რედუცირებულია, ხან კი ურედუქციო; მაშასადამე. ზემოაქარულში რედუქციის პროცესი ჯერჯერობით არაა დასრულებული; საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შეუკუმშავი ფუძეების რამდენიმე მაგალითს: ქმარის-თვინ უთხრობია... ცხვარის ხორც ფასი დაკლებია... დედაბერის მოსლა ყველას გაეგო... სანთელი შუქი მოჩანდა... ოლაში ეკალის გოლეფ (= რგოლებს) ჩანოპხკიდებენ... ერთმანეთ დნდვეს ხმალები... გელისაწოლი (ტოპ. სახ.), ირემები-ქალო (ტოპ. სახ.), ჯვარის მინდორი (ტოპ. სახ.)³.

ეგვე სიტყვები ანდა იგივე ფორმები შეიძლება რედუცირებული სახითაც შეგვხვდეს; მაგალითად: ქმარისთვინ, ცხვრიხორც..., ქედლები, ქარხნები (ტოპ. სახელები) და მისთ.

არაა იშვიათი -აჟ და -ამ თემის ნიშნების რედუქცია; მაგალითად: აბმენ, მოზიდვენ, დანაყვენ, მოთიბვენ, ნახვენ და სხვ⁴.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზემოაქარულში გვაქვს რედუქციის ისეთი შემთხვევები, რომელნიც სხვა დიალექტებისათვის უცხოა; როგორც წესი, იკარგება **ჰ** ხმოვანი ვედ || ვიდ ზნაში; მაგალითად: წევდა, გევდა, მოვდა, გედევდა, გადმოვდა⁵...

¹ ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 88.

² იხ. ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I, II, 1923—1924, გვ. 10—12.

³ როგორც მ. კობალაძე აღნიშნავს, ურედუქციო ფორმები ფართოდაა გავრცელებული გურულში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XVII სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1955 წ., გვ. 139; ეგვე დასტურდება ქვემოიმერულშიც; ც. აბულაძე, ქვემოიმერულის როკითული მეტყველების თავისებურებანი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 15, 1952, გვ. 199; ანალოგიური მაგალითები დადასტურებულია კახურშიც (იხ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 6ა.

⁴ შდრ. იმერხ. სიხმარში ნახვენ: მარჩ, დასახ. შრ., გვ. 79—80.

⁵ იმერხელში ასეთ ფორმებზე ყურადღებას ამახვილებს ნ. მარჩი (იხ. მისი, დასახ. შრ., გვ. 80).

ხშირია აგრეთვე სათავისო ქცევის ნიშნისა და ვნებითი გვარის პრეფიქსი *o-*ს რედუქციაც პრევერბიან ზმნებში;¹ მაგალითად: გევეგო, დავცოთ (დავიცვათ), გევეხარე (ფრაზაში: ამ ღუნდაზე ვერ გევეხარე, იმ ღუნდაზე რა ვიქნები; დევჭირენით, გევეპარო, გევექე, დევწვა² და სხვ.

ცალკეულ შემთხვევათაგან აღვნიშნავთ შემდეგ სიტყვებს: კრვები (=კრავები), ბრე (<ბარე), ნახვარი, პირვლად (=პირველად); ყველ (=ყოველ), ყველიმფერი.

წინადადებებში: პირვლად ნახვარი ძვილად შევქამე... აქეთ მორევე მად კრვები... ჩვენში ყველ ხი ძირში წყარო გამოდის...

იშვიათად პრეფიქსისეული ხმოვნის გავლენით იკარგება ფუძისეული ხმოვანი, მაგ. ნარცხი (<ნარცხი).

ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა

სხვა ქართული დიალექტების მსგავსად ხშირია შემთხვევები აკუსტიკურად მსგავს და ფიზიოლოგიურად მონათესავე ბგერათა მონაცვლეობისა. ერთმანეთს ენაცვლება როგორც თანხმოვნები, ასევე ხმოვნები. უნდა ითქვას, რომ ხმოვანთა მონაცვლეობას სპორადული ხასიათი აქვს.

მაგალითები:

ა---ე: ფერჩხატი³;

ე---ი: შიშა;

ო---უ: ნამუნასტრევი (ტოპ. სახელი);

უ---ი: იმფო (=უფრო)⁴;

უ---ო: ონაგირი, დიდონაგირი (ტოპ. სახელი) და სხვ.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა

ჩვეულებრივ ერთიმეორეს ენაცვლება სონორი ბგერები; განსაკუთრებით ხშირია ნ-სა და მ-ს მონაცვლეობა: ძალიამ (|| ძა-

¹ ასეთი ფორმები ჯ. ნოლაიდელს მოჰყავს ხმოვანთა დაკარგვის საილუსტრაციოდ; იხ. მისი აპარა დიალექტოლოგიურად, გვ. 12.

² შდრ. იმერხ.: „მე წევეყვან ტყეში“ (მარი, დასახ, შრ., გვ. 55).

³ ზეჰოპარულში პარალელურად დასტურდება ფარჩხატიც; იგი ნიშნავს მეჩხერკბილიან სავარცხელს, იტყვიან: ფარჩხატი სავარცხალიო (იხ. საბა ფარჩხატი): აპარულშივე შემორჩენილი ფერცხი, ფერცხალო იმავე სიტყვასთან უნდა იყოს სემანტიკურად დაკავშირებული. ფერცხი, ფერცხალი ნიშნავს გვერდის ნეკებს (საბასთან: გვერდის წიბო); შდრ. „ფარჩხად წერი-სათჳს...“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 50).

⁴ შდრ. ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 52—53; ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძვ. ქართულში, გვ. 296; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 48.

ლუნან, ძალიან), ანბავი¹, ოლომ (ოლონდ), იმიტონ (|| იმიტომ), იალომზე, ვითან (|| ვითამ), საღანობამდი, ნეფი-წყარო (ტოპ. სახელი)²...

ვფიქრობთ, ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები. როგორცაა: დანთავრა, დანწყურია. ანდგარა, მონდურავი, განთელდა...; ამ მაგალითებში ნ გვხვდება მ-ს მაგიერ³.

ლ-ნ: უმან: უმან (უმალ): წასლისუმან, მოსლისუმან...
ლემსი, ლეკი (= ნეკი) ლაგანი, სუნყველად.

მ—ბ: ბრუნდე, მოთბენა, კიბონი (საბათი: კიმონი-გუდასტკრი), ბრავალძარღვა⁴...

ბ—გ: ებნევა (<ეუბნება), გებნევა, ვებნევი...⁵

ვ—ზ: დაბიწყება, ბარცხხა, დაბარცხნილი⁶.

ვ—შ: ემსობოდა, მენახი, მიწრო⁷, მასკლავი⁸.

შემლიხან, გამომლიხან, მჭამლებია (მოავლებინა)-
ადგილი აქვს მარცვალთა სუბსტიტუციას:

ვგ—ო: ქომო;

ვა—ო: მარტვაა (<მარტუა <მარტუა <მარტოა);

¹ შესაძლებელია აქ დისიმილაციასთან გვეკონდეს საქმე: ანბავი > ანბავი.

² არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 44.

³ შდრ. ვ. თოფურია, ქართლური არილი, გვ. 137; ი. გიგინეიშვილი, მივლინება სურამის მიდამოებში (ანგარიში): ენიმკის მოამბე, IV-3, 1939, გვ. 204—205; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 8; ჯ. ნოლაიდეღს (აქარა დიალექტოლოგიურად. გვ. 9—10) ზოგიერთი ფაქტის კვალიფიკაციაში ვერ დავთანხმებით; ასე მაგ. ბ-ფ შენაცვლების მაგალითად აქვს მოყვანილი: უცეფ, გიდანოსეფ. სინამდვილეში აქ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ბგერის დაყრუბასთან გვაქვს საქმე. ასევე „ხთის“ სიტყვას ის მიღებულად თვლის ლ-ზ-ს მონაცვლეობის შედეგად. აქ კი საქმე გვაქვს რეგრესულ ასიმილაციასთან (ლთის > ხთის); გარდა ამისა დეზაფრიატაზაციის შემთხვევები მას სუბსტიტუციაში აქვს შეტანილი (სტავლა); სუბსტიტუციის ნიმუშად ასახვლებს ფორმას: ვაბემდე; როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქ ა და ე ხმოვნების მონაცვლეობა არაფერ შუაშია. სუბსტიტუციის მაგალითებად ვერ მივიჩნევთ აგრეთვე ოი—ეა: მეფეფარა..., აი—ეა: გეფარს... აფი—ეფ: გადევედა და სხვ.

⁴ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 44.

⁵ შდრ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 44.

⁶ შდრ. ვ. თოფურია, ქართლური არილი, გვ. 137; ანალოგიურ ფაქტებს გურულ კილოში მიუთითებს ს. ქლენტი; იგი პარალელს ავლებს აქარულთან (იხ. მისი გურული კილო, გვ. 47—48);

⁷ იხ. ვ. თოფურია, ქართლური: არილი, გვ. 136, H. M r p p, დასახ. შრ. გვ. 80; არნ. ჩიქობავა. მთიულური, ენიმკის მოამბე, III, 1937, გვ. 47.

⁸ შდრ. ვ. თოფურია, იგივე შრ., გვ. 137; არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 47; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 43.

სქ- სკ: წისკვილი.

მაგალითები წინადადებებში: შემლიხან ბებიას უთხარ... გამომლიხან თან ულელი წამედლე... ჩეზინე ქომო და ხელობგაა ამჭარბენიე... ე სატრე ცოტა ბრუნდეა... თავი დაბარცხნე ბალვ... მენახის გაბარვა არ დაგაბიწყდეს... მარტვაა რაფერ ვწიკავ იმხელა ჭვიროთ წისკვილიდან!...

მეტათეზისი

მეტათეზისი შეინიშნება უმთავრესად სონორ ბგერებთან. ეს მოვლენა დასტურდება როგორც ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, ასევე თანხმოვნებში მახლობელ და შორეულ პოზიციაში.

ხმოვნისა და თანხმოვნის მეტათეზისი ჩვეულებრივ კონტაქტურია, მაგალითად: ზ რ უ გ ი (და აქედან ნაწარმოები მოზრუგვა, მოზრუგვილი, მეფხრუგა...), ლ უ რ ბ ე ლ ი (|| ღ რ უ ბ ე ლ ი), ქ რ ო ფ ლ ი, ნ ა ს ლ ი კ ა ა (რუს.)...

თანხმოვანთა კონტაქტური მეტათეზისი: წ ა მ ო რ დ გ ე ნ ა, დ ი დ თ ე რ ნ ა ლ ი (<დიდთელნარი). პ ე ე შ ი, ძ ვ ი ლ ა ა.

დისტანციური მეტათეზისი: მ ა დ რ ი ე ლ ი, თ ვ ა რ ი ე ლ ე ბ ა, ს უ რ ი ე ლ ი¹, ა ნ უ რ ი ე თ ს (<არუნიეთს<არონინებს), ნ ა ჭ ა რ ვ ა ლ ა (<ნაჭალვარა ტოპ. სახელი), ხ ე რ ტ ა ლ ი (თითისტარი), ლ ი ვ ე რ ი, ხ ე ლ ბ ო გ ა ა, გ ე რ ნ ა ლ ი (მეტათეზის-რედუქციის შეერთებული მოქმედებით მიღებული), ს ა კ ა რ ტ ო ლ ო¹...

წინადადებებში: ერთი მოზრუგვა ჭვირთი... ჭაჭანება, ს უ რ ი ე ლ ი აღწეინ იყო... იშპუნლა ლივერი... ნასლიკაათ მოზიდეს... მიშაქმელ ვიღან ჩივოდა, ცივი ქადიც გვენატრებოდა... მაგენი კაც რაეარ დატეეს, ს ა კ ა რ ტ ო ლ ო ფ ი რ ა ლ ს ა ე ო ...

აფრიკატიზაცია

ჩვეულებრივ თხ კომპლექსი ც-დ იქცევა, დ ზ—ძ-დ: ხ ი ც (<ხითს<ხიდს), ე რ 'ც (ერთს), ს ა ა ც, ქ ე ც ი მ ე რ ი (<ქედსიმერი ტოპ. სახ.), გ ვ ე რ ძ ე და ს ხ ე.

ასევე, თ შ გვაძლევს ჩ-ს: ხ უ რ ა თ ა ც. (ხუთშაბათს)... წინადადებებში: ე ც ს ა ა ც წვემუშოთ კიდვენ და მემრენ დევსვენოთ...

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა. გარე-კახეთი... გვ. 71; ვ. თოფურია, ქართლური; არილი, გვ. 131; მარტიროსოვი და იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 41—42; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 9; ჯ. ნოლაიდელი, აპარა დიალექტოლოგიურად, გვ. 7—8; ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 53.

მორბეც გატაძე... ფალასკა გვერძე დევიდე, გადმოვიღე მაი-ზორი¹.

გარდა ამისა, აფრიკატიზაცია დასტურდება აგრეთვე შემდეგ სიტყვებში: საჯენი, კუჩხე, ბლავილც, დელიჯანი (რუს. *дилижанс*), სტოროჯი, ქვირთი და სხვ².

შენიშნულია საპირისპირო შემთხვევებიც, როცა აფრიკატი მარტივდება. ეს ეხება წ ბგერას. როდესაც მას წინ უსწრებს ნ; სწ-ს ნაცვლად ვიღებთ სტ-ს: სტორეთ, გამსტრო, დუსი-სტორეს, ისტავლეს. მასტავლებელი, არ მომსტრია, ძმისტული, დისტული, მაზლისტული³.

დავსძენთ: სტ — კომპლექსიანი ფორმები განსაკუთრებით ფართო გავრცელებას პოულობს შუახვევის რაიონის ქვანის სოფლებში, რაც გურიასთან სიახლოვით უნდა იყოს გამოწვეული.

აფრიკატის გამარტივებასთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალი-თებში: გაკინტლებენ (კინწლაობა), დაჟდა; იშვიათ შემთხ-ვევაში მარტივდება ც ნაწილაკი და ხ-ს სახით წარმოგვიდგება იგი; მაგ.: შენას მიღიხარ? სადიყამას დამპირდა...

ანალოგია

შეეჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაზე:

სიტყვა „ალიგ“-ში **ი** ხმოვანი „აღიღ“-ს ანალოგიით უნდა იყოს მიღებული (ფრაზაში: ამ ალიგეთში უწინ კოლშები 'ქაო-ბები' იყო).

„უმფოსში“ (გვხვდება „უმფროსიც“) შ, როგორც ცნობილია,⁴ „უმცროს“-ის ანალოგიითაა მიღებული:

სიტყვებში ამტენეთი, იმტენეთი. (ამტონეთი || ამ-დონეთი; იმტონეთი || იმდონეთი). მაკტენეთი (|| მაგდონეთი); -ეთ სუფიქსი მიღებული ჩანს ასეთ-ისა და მახეთ-ის გავლენით.

¹ შდრ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დია-ლექტი, გვ 47—48.

² შდრ. ნ. მარი, დასახ. შრ., გვ. 136, ქვირთი და მისთ.; შ. ძიძიგური, მესხური, ძიებანი... გვ. 136; ო. კახაძე, დასახ. შრომა, გვ. 16; არ. მარტი-როსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 47.

³ გურულში სტ კომპლექსის სიზშირებზე მიუთითებს ს. ჟღენტრი, დასახ. შრ., გვ. 50; ო. კახაძე, დასახ. შრომა, გვ. 16.

⁴ ნეიტრალური ბგერითი ანალოგიის შესახებ იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 231.

არსებითი სახელი

ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში ბოლოვდება იოტით¹. უნდა ითქვას, რომ აქ **მ-ს** ხმარება არაა ისე გავრცელებული, როგორც, მაგ., გურულში; უფრო მეტიც: ზემოაქარულში ხმოვანფუძიან სახელებთან აღნიშნული ფორმანტი უფრო იშვიათია, ვიდრე ქვემოაქარულში.

ზემოაქარულში იოტი გვხვდება:

ა. კნინობითის ფორმებთან, უმთავრესად კი საკუთარ სახელებთან; მაგ.: **პირდაპირაჲ ხერხი, კუდაჲ, განდაგანაჲ, ალაზანაჲ, მეხეთრიაჲ, კუტტანტრუქაჲ (თოხისტარა); ზეკიეჲ, უსუფაჲ, არჩილაჲ...**²

მაგალითები წინადადებებში: **განდაგანაჲ ჩქენმა რიზალამ ნასტავლა... ნათუზარში წრეთლაჲ ალაზანაჲ და გუზნო (დავთესო)... ჩემფერი მეხეთრიაჲ სოფელში არაკაცი არაა... კუტტანტრუქაჲ ყანი ხნი დროს გაჩინდება... ფადიას გათხუებამდი ზეკიეჲ დაბერდა...**

ბ. ვე-ნაწილაკიან რიცხვით სახელებთან: **სამნავეჲ, ოთხნავეჲ...**; **სამნავეჲ ჩაზავდენ გოლში (ტბაში) თურმეც...**

ზემოგანნილული სახელები ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ხშირად ფუძეს არ იკვეცენ და მათთან ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი **მ-თაა** წარმოდგენილი, ისევე როგორც ძველ ქართულში³.

ნათესაობითში: **ქოსაჲს გულისთვინ... რაჲს ჩლუქია, აფხანაკო, ისი?... სუნწყელაჲს გულისთვინ (გვხვდება ასეც: სუნ-**

¹ იხ. ზემოთ „ბგერითი შედგენილობა“.

² ზოგჯერ **მ** ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში შენიშნულია მთიულურშიც, არნ. ჩიქობაჲჲ, მთიულური: ენიმკის მოამბე, ტ. III, გვ. 49; ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართლურისათვის (ქართლური: არილი, გვ. 138—139); ცალკეული შემთხვევები დადასტურებულია კახურშიც; იხ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 68; გავრცელებულია აგრეთვე გურულში, თუმცა იქ სრული ი-ც გვხვდება (ს. ქლენტი, გურული, გვ. 58); ასევე—იმერულსა და ლეჩხუმურში, შ. ძიძიგური, ძიგბანი... გვ. 148, 166—167.

³ ა. შანიძე, ძვ. ქართული ენა... გვ. 239. არნ. ჩიქობაჲჲ, მთიულური: ენიმკის მოამბე, III, გვ. 49; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 17; ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 58—59; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 68.

ყველას გულისთვის)... ტკლევა გაყრევია ბარდენა და ს ყურზენი, მაგრამ: ბარდენას თოფი... ვინც ხა დას ბრალია კი ვიცი...:

მოქმედებითში: იმ არაბა დათ (ურმით) მეტანეს... ბაბო და დან ვესაგეთი (ანდერძი) ქონდა... ხეები მაშინა დათ ამუხიდიან... რა დათ კრი, ბიძავ, თუთუნ?..

ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი წოდებით ბრუნვაში ჩვეულებრივ გ თანხმონით ბოლოვდება: აჰმე და ვ! ფადიმე ვ! ასლანავ! მიხეილა ვ!¹...

ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვა, როგორც წესი, წარმოდგენილია ს თანხმონის გარეშე².

დუძახევი მურთაზა ქალ... ჩემ ბალნეფ წიგინები აჩუქვა მასტაველებელმა... დღე კა და ამინდია... უთხარ რაცხა მაგა!.. ღერბეფ ფულეფ ვაჩუქეფე, შენი სიტყვა თუ ახდება... კარქა დუძარ, გო, საქათმი კარი!... ასწიე, ჰე. ქათმი ბარკალი! კიდვენ არ ამუბაგე, ქო, საქონელ ჩალი ღერატები?..

მიცემითი ბრუნვის ფორმით ზოგჯერ გამოხატულია ვითარების გარემოება; მაგ.: ჩვენში ფუტკარი კარქს მუშაოფს.

ამ შემთხვევაში საქმე უნდა გექონდეს ანალოგიასთან; როგორც ცნობილია, ზმნისართთა გარკვეული ნაწილი ნიც. ბრუნვაშია დასმული (ძირითადად ადგილისა და დროის ზმნისართები): მაგალითად: ძირს, დღეს, წელს და სხვ.

იან-სუფიქსით დაბოლოებული სახელები მიმართულებით ბრუნვაში ოდენ ა-ხმონითაა წარმოდგენილი; მაგ.: ხიბაკიანა, შვილებიანა, ქალბაღვიანა...

წინადადებებში: ქირეხა და ომ (ივნისი რომ...) დადგება, ქალბაღვიანა გავქსწევთ თაში (= მთა)... შენი ხიბაკიანა რომ დაბტყელდი, პაწა და გეძარ და!...³

ხშირია იგივე დაბოლოება სხვა სიტყვებთანაც, ოღონდ აქ მას და ახლავს; მაგალითად: ამწახანება და სულ აღნ მაქ. იშტაპი (მადა)... ვინ გითხრა რომ ამ ალიგზე ჩარგეთ დუქითხავა და ექოლა?!...:

¹ ასევეა წარმოდგენილი ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები კახურში (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 72).

² იხ. «ფონეტიკური მოვლენები».

³ შდრ. არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიშკის მოამბე, I, 1937, გვ. 17—18; ავტორი დასძენს, რომ მსგავსი ფორმები ხშირია ინგილოურში. იმერულს მეტყველებაში დღემდე მოღწეულია ამგვარი გამოთქმები: ცოლ შვილიანა, ძირფესვიანა, დედაბუღვიანა... (იქვე); მსგავსი ფორმები გვხვდება კახურშიც (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 70).

ამხელა ქვირთ თუ უდრესვენებლად ჩეატან ხითთან, ბრავა შენ!... ჩემ გულობად, შენ რატომღა გეატანჯო თავი!...¹

ეგვე ² დაბოლოება გვხვდება ზმნისართებთან, რომლებსაც ფუძედ გამოყენებული აქვთ მოქმ. ფორმა, მაგალითად: მოკლითაჲ³, წოლითაჲ, წინდითაჲ, მანგლითაჲ და სხვ.⁴

წინადადებებში: შენითანა ვაეკაცეფ წოლითაჲ გუშმკლავდები... მოკლითაჲ თუ ხარ, წრეულ დევემანიდლოთ ერთმანეთ... გადაღმითაჲ შენ დაბარე... თირფანი (ცელი) რატომ არ წამეღევ, მანგლითაჲ რაფერდა მოკრა ამდენი ბალახი?... პარანგითაჲ არ გუშუვა ოზოში ბალვი!...

ხმოვანფუძიანი სახელები თავისებურებას იჩენენ მრავლობითის წარმოებისას. ფუძისეული ე ხმოვანი ჩვენ მიერ ზემოთ განხილული წესის თანახმად დისიმილაციას განიცდის -ებ სუფიქსის ხმოვანთან⁵; მაგალითად: ხეები (<ხიები<ხეები). კილდეები, ლელდეები, დღეები და სხვ. ასეთივე სურათი გვაქვს ტოპონიმიკურ სახელებში: პაქსაძეები, გორგაძეები, მეკეიძეები, ქიძინიძეები, დარჩიძეები (სოფლების სახელებია ზემოაქარაში).

სხვა ფუძისეული ხმოვნები კი სრულ ასიმილაციას განიცდის მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსის ხმოვანთან, შემდეგ კი, როგორც ზემოთაც ითქვა, დისიმილაციის შედეგად ღად იქცევა⁶.

¹ შდრ. ნ მარ. იმერხ.: „უჩუმაღად ზოპრეს უნდა მიიყვანო... ოთხასი კაცით მოსული ვარ შენი თავის მოსაკლელად“ (დასახ. შრ., გვ. 58—61).

² შდრ. გ შარაშიძე: მოკლითაჲ, გურ. ლექსიკონი.

³ მსგავსი ფორმები დადასტურებულია გარეკახურშიც: ბართაჲ, ნიჩბითაჲ, ნამგლებითაჲ... არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი-დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 62.

⁴ იხ. ზემოთ „ხმოვანთა დისიმილაცია“.

⁵ მ. ხუბუა მრ. რიცხვის -ებ ფორმანტსა და ფუძეს შორის ⁶ ხმოვანს გაჩენილად სთვლის (იხ. დასახ. შრ., გვ. 13—14); ამ აზრს იზიარებს ჯ. ნოღაიძე (პაპრა დიალექტოლოგიურად, გვ. 18). როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ ⁷ მ მომდინარეობს ფუძისეული ხმოვნისაგან. ანალოგიური შემთხვევები აქვს დადასტურებული ს. ჯღენტს გურულში. თუმცა როგორც იგი აღნიშნავს, ეს ნაკლებადაა დამახასიათებელი გურულისათვის. ს. ჯღენტ ი ხმოვანს განიხილავს ფუძისეული ა-ნისაგან განვითარებულ ბგერად (გურული კილო, გვ. 60); ასეთი ფორმები დამახასიათებელია იმერხეულისთვისაც“... „...აჲ შა ხანუმის თ მი ე ბი... მისთვინ მომდის ც რ ე მ ლ ი ე ბ ი... ს ო ფ ლ ი ე ბ ი, ტ ყ ი ე ბ ი“... (იხ. მარის ზემოაღნიშნ. შრ., გვ. 50); ანალოგიური ფორმები მრ. რიცხვში დადასტურებულია აგრეთვე მესხურშიც (ძიებანი... გვ. 138—139); შ. ძიძიგური პარალელს ავლებს მესხურსა და გურულ-აქარულ ფორმათა შორის.

მაგალითები ა-ზე დაბოლოებული სახელებისა: ყ ა ნ ე ბ ი (<ყ ა ნ ი ე ბ ი <ყ ა ნ ე ბ ი <ყ ა ნ ა ე ბ ი). დ ე ბ ი, თ ე ბ ი, ს კ ე ბ ი, ლ ო - ყ ე ბ ი, კ ა ლ თ ე ბ ი... (შდრ. ძმები, თმები...)

უნდა ითქვას, რომ „რა“ ნაცვალსახელი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. მრავლობითის ერთადერთი ფორმაა „რაები“: რ ა ე - ბ ი არ გადახდა თავზე იმ საწყალ... ოლომ კარქა ისტავლე და ნახე, რ ა ე ბ ი არ გიყიდო ამ ზაფხულ...

ზოგიერთი თანხმოდანფუძიანი სახელი მრ. რიცხვს აწარმოებს ხმოვანფუძიან სახელთა ანალოგიით; მაგალითად: ბეგი — მრავლო-ბითში: ბ ე გ ე ბ ი, ღ უ დ ე ბ ი (თავები, მაგ., კომბოსტოს და-ხვეული თავები) და სხვ.

ფართოდაა გავრცელებული რიცხვით სახელებში მრავლობითის ნარიანი ფორმა -ვე ნაწილაკის დართვით; მაგალითად: სამნავემ. (|| სამნივემ) ამოფთ ჩემთან!, ო რ ნ ა ე ე ს (|| ო რ ნ ი ე ე ს) მუწიკვე...

ეს ფუფე (ორნა/ივე) გამოყენებულია ყველა ბრუნვაში სათანადო ბრუნვის ნიშნის დართვით: ო რ ნ ა ე ე ს, ო რ ნ ა ე ე მ და ა. შ.¹

სახელთა ორმაგი მრავლობითობის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: მ დ ე რ ე ნ ე ბ ი, ს ხ ტ ა ნ ე ბ ი...² მ დ ე რ ე ნ ე ბ მ ა ვ ე ლ ა რ მ წ უ ს ტ ე რ ს... ს ხ ტ ა ნ ე ბ ი ი ყ ო ს ჯ ო რ...

აღსანიშნავია, რომ საუბრითიერო ნაცვალსახელში „ერთმანეთი“ გვხვდება მრ. რიცხვის -ებ ფორმანტი „ეთ“ მარცვლის ნაცვლად; მაგ.: ე რ მ ა ნ ე თ ე (= ერთმანეთს) დნდვეს ხმალები... მამლებსავენ კედდეკიდნენ ე რ თ მ ა ნ ე თ ე...

ნაცვალსახელი

ჩვენებითრ ნაცვალსახელები „ეს“, „ის“, ისე როგორც სხვა. დიალექტებში³, ზემოაქარულშიც თანხმოდანმოკვეცილი ფორმით გვხვდება ე გ ო მ ბ ი ო, ო ბ ა ლ ვ ი და სხვ.

მსგავსი ფორმები წინადადებებში გვხვდება დამოუკიდებლადაც; მაგალითად: გეფხედვეი, ო რ ა ე ს ბ უ ლ ი ა, კ ო !... ე (ეს) მაქში ჩაჰხყარე და კარქა წუჭურცხე თავი!...

როგორც ცნობილია, ეს ნაცვალსახელები გურულშიც თანხმო-ვანმოკვეცილი სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ იქ ხმოვანი უფრო

¹ „ორნავე“ და მსგავსი ფორმები მიღებული ჩანს „ორნივე“-სა და „ორთა-ვე“-ს კონტამინაციის შედეგად.

² შდრ. მ. ხ ლ თ უ ა, დასახ. შრ., გვ. 13.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 77—78; მისივე, მთიულური, ენიშის მოამბე, ტ. III, გვ. 51; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური: არილა, გვ. 133; შდრ. ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 60.

გრძელია; მეორე ნაწილი, შეიძლება ითქვას, ნახევარხმოვანია: **჊** კაცი; **წ** კაცი. ეს **჊** (|| **წ**) მიღებულია არა „ის“ ნაცვალსახელისაგან, არამედ „იგი“ ფორმისაგან **გ**-ს დაკარგვის შედეგად. ზემოაქარული ამ მხრივ აღმოსავლურ კილოებს უახლოვდება.

ყურადღებას იპყრობს „ისი“, „ესე“ (სპორად.) ნაცვალსახელები. ამათგან, როგორც ცნობილია, „ისი“ ზემოიმერულშია დადასტურებული. იგი შენიშნულია აგრეთვე კახურში, ახმეტისა და ყვარლის რაიონების მეტყველებაში¹. ზემოაქარულში ორივე ფორმა წინადადების დაქოქილებელ წევრად გვხვდება; მაგალითად:

... მანახვე ერთი მაჲ დანა!

— რემელი, ესე?...

— ი გოგო რომ სამოფს, იცნოფ ვინა?

— ის ი? — ჰოჲ...

მეორე პირთან ნყოფობის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი „ეგ“ წარმოდგენილია „მეგ“ ფორმით. იგი მიღებულია „ეგ“ და „მაგ“ ფორმათა კონტაქტით; მაგალითად: მეგ რამხელა ქვირთი-მოგიტანია!... ჯერ მე გენი მეფუჲა აქეთ!...

ხშირია ჩვენებითი ნაცვალსახელის შინაარსის გადმოსაცემად „ემე“-ს ხმარების შემთხვევები²; მაგალითად: ემე კაცმა დღე ძალტან ივარგა... ემე ბალემა...

თანდებულება

თანდებულთა ხმარებისა და წარმოების თვალსაზრისით აქარულში ადგილი აქვს საგრძნობ თავისებურებებს.

ზემოაქარულისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს -ში და -ზე თანდებულების დართვა ადგილის ზმნიზედებასა და ჩვენებით ნაცვალსახელებზე. ამდენად -ში და -ზე თანდებულების გავრცელების არე აქარულში (resp. ზემოაქარულში) ფართოვდება; მაგა-

¹ იბ. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ენიშკის მთაბზე, III, 1938, გვ. 216; აღმოსავლურ დიალექტთაგან „ისი“, „ესე“ შენიშნულია ფერეიდნულში (არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილ. უნივ. მთაბზე, VII, გვ. 213); მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 17; შ. ძიძიგური, იმერული და მთარაქული დიალექტები, ძიებანი... გვ. 159 და 191; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XI, გვ. 82; ასეთი ფორმები გვხვდება აგრეთვე ფშაურში: მ. კობალაძე, ფშაურის მორფოლოგიურ სინტაქსური თავისებურებანი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. სამეცნ. კონფერენციის თეზისები, XVI, 1954, გვ. 147; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 76.

² შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრომა, გვ. 17.

ლითად: აგზე მინდა ჩავგო ეოლი ჩქოლა... აქშიც ჩაპხყარე ცოტა... მაგზე გლია, საჩეხში...

ამ ფაქტს საფუძველი აქვს ძველ ქართულშივე. არ. მარტიროსოვს თავის შრომაში „თანდებული ქართულში“ მოყვანილი აქვს ასეთი მაგალითები: ქმნა მუნ შინა სასწაულნი მრავალნი (კიმ. ტ. I, 193, 20); ილოცე მუნ შინა ფარულად (ბოლნ. 18, 28), პოონ აქა შინა მრავალი სარგებელი (იოან. 170)¹. აქარ. „იქში“, „აქში“, ძვ. ქართ. „მუნ შინა“ და „აქა შინა“ ფორმათა კანონზომიერი მორფოლოგიური შესატყვისობებია.

საშ. ქართულში გავრცელებული შიგან თანდებულის სახეცვლილ ფორმად მოჩანს ზემოაქარულში შჷან²; მაგ.: გარ ატლასი, შჷან ათასი (გამოცანა, ბროწეული)... წიბერი შჷან შევეყარე, მერეგში... კილარში შჷან თჷალი კაკალში მოხდა...

„შემდეგ“ თანდებულის ფუნქცია აქ დაკისრებული აქვს „უკან“ ზმნისართს. ის დაერთვის დროის გამომხატველ სახელებს (ხანი, წელიწადი, აქ.: წელწადი, დღე...); სახელს მართავს ნათ. ან მიც. ბრუნვაში და აღნიშნავს შემდგომობას. მაგალითად: ცოტა ხნის უკან წამოვდა სოროტი წვიმა... სამ დღეს უკან რუმ მედწვევდე კრებას, უმფო მეტი ხალხი დეესტრება³...

ყურადღებას იპყრობს -დამ თანდებულის არსებობა ზემოაქარულში. იგი, როგორც გარკვეულია სპეციალურ შრომაში, მომდინარეობს დაღმა ზმნისართისაგან⁴; მაგალითად: შჷან ედამ აქ საკლეთი... ნაფოცხვარი დამ ჩამევეტა ესენი... იმხელა ქარაფი დამ გადმუარდა, რომ მე მეგონა, სული არ დაყვებოდა... ქიტინა დამ უყურებდენ...

პარალელურად შეინიშნება -დან, -იდან თანდებულიც: უწინ მაღლ-ყახაღ ბათუმი დან ვწიკევდით... სირთიდან (გორიდან) სირთზე გედეველ... ეხარები უჩხუდან (სოფელია) ჩამეყვავა...

აქარულში -დამ თანდებულის შესახებ არც მ. ხუბუას და არც ჯ. ნოლაიდელის შრომებში არაფერია ნათქვამი; შ. ძიძიგური გაკვრით აღნიშნავს გურულ-აქარულში ამ თანდებულის ხმარების შესახებ; საილუსტრაციოდ მოჰყავს ორი წინადადება

¹ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 218.

² იხ. ამის შესახებ „ფონეტიკური მოვლენები“.

³ შდრ. ანალოგიური შემთხვევები კახურში (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაი შვილი, კახური დიალექტი, გვ. 85).

⁴ არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიმკის მოაბე, I, 1937, გვ. 56—63; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 623.

აპარული დიალექტიდან. სამწუხაროდ. წყაროზე მიუთითებლად¹.
იშვიათად -ში თანდებულის ნაცვლად გვხვდება -ჩი²: სოფელ-
ჩი, თქალჩი, სახჩი...

-ვით თანდებულის ნაცვლად აქ სისტემებზე იხმარება -ვეთ ||
-ვენ: შენსავეთ (|| შენსავენ). ჩემსავენ (|| ჩემსავეთ). მეზო-
ბელსავეთ. თაველუმარესავენ და მისთ³.

მაგალითები წინადადებებში:

რას უნუყულებთ ტურეფსავენ... შენსავეთ არ გავზდი
ბაღანას, რომ ენა შიმიბრუნოს... რას მესევეთ ფუტკრეფ-
სავენ... გელეფსავენ ომ გამოცვინდენ გარეთ, ვერაკაცმა
ველარ დნკავა...

-ვენ წარმოშობით -ვეთ ფორმისთან უნდა იყოს დაკავშირებული.
ფვიქრობთ -ვეთ თანდებულის თ-ს დაკარგვის შედეგად მივიღეთ
-ვე, რომელთანაც განვითარდა ნ ბგერა⁴.

-ვენ თანდებულის პარალელურად გვხვდება -ვინ ფორმა. რომე-
ლიც სახელს მართავს სახელობით ბრუნვაში; მაგალითად: კოტუშ
(ტაროს) ულვაშივინ რომ ამწევა, იმა ფუნჯულ ვეტყვით...
კურდელვიცინ დეცქვიტა ყურები... კირივინ მეზარება
ქიბარი (ტრაბახა) კაცი...

-ვით თანდებულის შინაარსს გამოხატავს აგრეთვე ვფ (<ებრ),
რომელიც სახელს მართავს მიც. ბრუნვაში. სალიტერატურო ქარ-
თულში. როგორც ცნობილია, იგი სახელს ნათესაობით ბრუნვაში

¹ -დამ თანდებული გვხვდება იმერულ ტექსტებში: იქი დამაც გვიქე-
ციით... ჩიტ დამაც მეზინოდა (მარი, დასახ. შრომა. გვ. 58); შდო. არნ. ჩი-
ქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: ენიმკის მოამბე... გვ. 78; არ. მარ-
ტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 81: შ. ძიძი-
გური. ძიგბანი... 137 და 171: ლ. ასლანიკაშვილი, ლეჩხუმურის თავისე-
ბურებანი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუ-
დენტთა მე-14 სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1952, გვ. 65; ლ. ხუბუ-
ლური, ქართლური დიალექტის თავისებურებანი: სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის
თეზისები, 14. 1952, გვ. 68.

² ანალოგიურ მოვლენას აღმოსავლურ კილოებშიც ვხვდებით, მაგ.: ხევსუ-
რულში; დასავლური კილოებიდან იმერულში (შ. ძიძიგური, ძიგბანი..., გვ. 149); გუ-
რულში (ს. ჟღენტი, გურული კილო. გვ. 50). შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 15.

³ ამ თანდებულის -ვეთ სახეობა როგორც კვემოიმერულში, ასევე ხემოიმე-
რულში დადასტურებული აქვს ქ. ძოწენიძე — კვემოიმერულის უხუთური მეტ-
ყველების თავისებურება: აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის
შრომები, VIII, 1948 წ., გვ. 49: მისივე, ხემოიმერული კილოკავი: ქუთაისის
პედინსტიტუტის შრომები, XI. გვ. 80.

⁴ მ. ხუბუა აღნიშნავს -ვით თანდებულის -ვეთ. სახეობას; როგორც ჩანს,
მხედველობიდან გამოჰპარვია -ვენ ფორმა (იხ. ზისი შრ., გვ. 16).

ნოიბოვს¹: ამ თანდებულსა და სავრცობ ა-ს შორის განვითარებულია ვ თანხმოვანი; ² მაგ.: ჩემსავე თუ უსტავლი დარჩი, ძალთან არ ივარგეთ ცხოვრებაში? დელსავე (გიქსავით) რა გახტუმლეთს ვერ გაბუცდები!.. ხედავ, რაფერ ზღვასავე ღელავს...

-თვის თანდებული -თვინ-ის სახითაა წარმოდგენილი³: ბადი-შების თვინ ვმუშაოთ, თუარა, მე ცალი ფეხი სამარეში მაქ... ყველ თვინ რატომ ავღეთ ჩემზე ამ საქმეს!.. გესტუმრები. რად-ს თვინ არ გესტუმრები!..

-თვინ თანდებულიანი ნაცვალსახელი ზოგჯერ დასმულია მიმარ-თულებით ბრუნვაში; მაგალითად: მე ავის საქმეში არ ვერევი. ჩემდათვინა ვეხაკუნები ეზო-კარში... არც სხვას გამუადგება და არც თავს. მიზდათვინა ვცხოვროფს... რა მენი საქნია რომ ერევი, მათ მათ თვინა ვადაწყვიდონ...

„გამო“ თანდებულის მაგიერ აქ გვხვდება „გამეფეს“: იგი დაერთვის ნაცვალსახელებს უმეტესად: მაგ.: შენ გამეფეს კი-ლარმი შაჰმაკა ი კაცი... ჩემ გამეფეს შენ კაცი არ შეგეხევა!.. შენ გამეფეს თელი მეზობლები გედევკიდე... (შდრ. სალიტ. ქართ. გამოისობით).

„გამო“ თანდებული გვხვდება „გამოლმა“-ს სახითაც; მაგალი-თად: მაგი გამოლმა ხალხში თავი აღარ გამოფყო თუ?... ჩემ გამოლმა შენ რატონდა ავო პასული?..

ასევე, „გამო“ თანდებულის შინაარსი აქვს „მგონეს“-ს; იგი დაერთვის ნათ. ბრუნვას: იმი მგონე მეზობელში ველარ გავ-სულვარ... ი საწყალი შიში მგონე რაფერ კანკალოფს!

ეს თანდებულები სახელებს მოითხოვენ ნათესაობით ბრუნვაში. მართულ სახელებად უპირატესად ნანათესაობითარი ნაცვალსახე-ლები გვევლინება.

„შემდეგ“ თანდებულის როლში გვევლინება უფორმო სიტყვა „მოლმა“: იგი დაერთვის უფრო ხშირად დროის ზმნისართისაგან წარმოქმნილ ზედსართავებს და გამოხატავს მოქმედების დაწყების დროს, მიზეზს ან მოქმედების ხანგრძლიობას. ზოგიერთ სახელთან შერწყმისას ფონეტიკურ ნიადაგზე ხშირად იკარგება თავიკიდური

¹ აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 71; ვფ (<ებრ) თან-დებული დაერთვის ფუძეს მიც. ბრუნვაში დასმულ სახელს ზემოიმერულში (ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი: აღ წულუკიძის სახელობის კუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XI. გვ. 81)

² ეს თანდებული ამ ფორმით დადასტურებულია მთარაკულში (შ. ძიძი-გური, ძიებანი.. გვ. 190).

³ შდრ. არნ. ჩიქობავა, მთიულური: ენიკის მოამბე, III. გვ. 50; ს. ქლენტიკურული კილო, გვ. 60; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნა-ი შვილი, კახური დიალექტი, გვ. 80.

მ; მაგალითად: გუშინ დელ 'მ'ოღმა შიშაშ ეშქრიდი... შარ-
შან დეოღმა, თელ წელწაც, იმა გებნევიდი რომ...

„გარდა“ თანდებულის შესატყვისია შინაარსობლივ „გარეთ“.
გვხვდება პარალელურად „გარდა“-ც „გარდაჲ“-ს სახით, სპეცია-
ლური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „გარდა“ გენეტურად
გარე-ს უკავშირდება... გარდა <გარე-და (ასევე: გარნა <გარე-ნა).
თირეული მასალაა გა (შდრ. გარე, გა-მო) ¹.

მაგალითები: სხვას გარეთ (|| გარდა) გზითიცი კი გეტანა
თუარა, სხვას დეგთხუე შენ... შენ გარეთ ვინ იყო კიდევენ?...
იმა გარდაჲ რაჲყო კიდევენ ზანდულში ჩაწყობილი?..

„გარდას“ გვერდით გვევლინება აგრეთვე „მეტი“; მაგალითად:
ანმეტი (= ამის მეტი) არ გჲკეთო, თუარა, ყურეფ დაგაფრეწ!..
ერთის მეტი არ გჲკეთო, თუ კაცი ხარ!.. მაგ მეტი თუარ
შიგიძლიოდა, რაღას ტრაბახობდი!..

ძველ ქართულში ცნობილი თანდებულის „კერძო“-ს შესატყვი-
სად აქ გავრცელებულია „კედაროს“ (resp. „კედრიოთ“). იგი გამო-
ხატავს ადგილს, ზოგჯერ კი უდრის „მხრით“ („მხრივ“) ზმნისართს;
მაგალითად: ჩემი კედრიდან რაზ (თანახმა) ვარ... ცალი
კედრიოთ ბოსტანი აკრავს სახლ, მხოროე კედრიდან ბახჩა...;
თამაშობა-შეჯობრების დროს: -ვის კედაროს იქირავე? -- იმის
კედაროს... ჩემი კედრიდან ას მანათ ვეწევი, მეტი რაღა
გინდანან?..

ზმნიზედები

უწინ, ძველად, პირველად დროის ზმნიზედების მნიშვნელობით გვხვდება წინ-წინ: მაგ.: წინ-წინ ამ ალიგეფში უსი-
ლაჰოთ (უიარაღოდ) კაცი ვერ გეჲარდა... წინ-წინ შენ გამოჲ
და მემრენ მე გამჲალ²..

დროის ზმნიზედები დღე, ღამე ჩვეულებრივ სახელობით ბრუნ-
ვაში (resp. გაუფორმებლად) გვხვდება: ეტყობა, ჯეფერაჲ დღე¹
არ უნდა დაბრუნდეს... ამწახანებაჲ ღამე სულ არ მეკარება ძილი...²

დადასტურებულია აქნამდი || აქნობამდი ფორმებიც: ჰა
დყავ აქნობამდი, კოჲ³..

შინისკენ ფორმის პარალელურად აქ გვხვდება შინათკენ
(<შინათკენ): არ მოხვალ შინათკენ, უსუფავე?⁴

¹ არ. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისა-
თვის... 83- 240.

² შდრ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი,
83- 84.

³ შდრ. იქვე, 83- 82.

⁴ იქვე, 84.

შიგ ზმნიზედას შეესატყვება შიგან (<ძვ. შიგან): შიგან, შა-
შეტაგულო ორმოში ჩაეარდნილიყო ი საწყალი...

ზ მ ნ ა

ზ მ ნ ის წ ი ნ ი

ზემოაქარულში ზმნისწინთა შემდეგი სახეობები გვაქვს:

ე (<ა-): ევდა, ევლო, ეეტანა, ეყუანა...

დე—(<და-): დევდა, დევლო, დეყუანა, დეყუანა...

გე—(<გა-): გევდა, გევლო, გეყუანა, გეყუანა...

ჩე—(<ჩა-): ჩევდა, ჩეტანა, ჩეყუანა, ჩეყუანა...

წე—(<წე-): წევდა, წევლო, წეებურა, წეყუანა...

გედე (<გადა-): გედევდა, გედევლო, გედეებურა, გედეყუანა!...¹

ზემოაქარულში შე ზმნისწინი დადასტურებულია ისეთ ფუძე-
ებთან. როგორც იგი არ ახასიათებს სალიტერატურო ენასა და
მის დიალექტებში; ზოგჯერ საქმე გვაქვს არქაულ წარმოებასთანაც;²
მაგალითად: შაჰზადემ (მეფისწულმა) და დივების ნეფემ ისე შეი-
ჩხუბნენ (= წაიჩხუბნენ). რომ დედომიწა გექანა... შეჰჰაჯა
(=დაპატივა) თურმის ე გოგო... ამაზე იმ ვეზირმა ძალთან შე-
კუქტა (= გაკუქტა)... დედაბერმა შესთხუა (= მოსთხოვა)
ჯარების უმფოს... ნუ შეჩქარდებით (= აჩქარდებით), ცოტა
წევხევისოთ (წავისაუზმოთ) და ისე წაბძანდით... ქრელი თოფი
მოგეტანა. შექთხუვე (= მოგთხოვე) და გამაწილე...

არაა იშვიათი შე ზმნისწინის შა-თი შეცვლის შემთხვევები.
მაგრამ ამ მოვლენის პირობად, როგორც ეს ქვემოთმოთხრობაშია
დადასტურებული, ითვლება მო-ს დართვა (შემო>შამო)³; მაგალი-
თად: დოდან გარედამ შამშაქრავთ ჯიხურ... იმხელვანი დუდები
აქ დახვეწილი. რომ ხელ ვერ შამოტევე... გოგომს შობლებმა
ცივი ატკაზი შამოკრეს ელჩ... თეთ-თეთრი პურები შამურ-
გეს ბაღნეფ.⁴

¹ იხ. ზემოთ „ფონეტიკური მოვლენები“.

² შდრ. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის
ძველ ქართულში, გვ. 76.

³ იხ. ქ. ძოწენიძე, ქვემოთმოთხრობის უზუთური მეტყველება: აღ. წულუ-
კიის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები,
VIII. 1948. გვ. 42.

⁴ შდრ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნული, თბილისის უნივერსიტ. შრომები,
ტ. VII, გვ. 209—210; ვ. თოფურიძე, ქართული: არილი, გვ. 131; არ. მარ-
ტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 90. იმერზეულ
ტექსტებში ეს პრეფერბი გვხვდება როგორც შა-ს, აგრეთვე შე-ს სახით: დალა-
ტობა რომ შამოვდა... შდრ. ვეღარ შევალ ვერა სახში... ნ. მარი, ტექს-
ტები..., გვ. 47; ქ. ძოწენიძე, ზემოთმოთხრობის, გვ. 72; აქარულში ფართო ზმო-

ერთადერთი მაგალითი შევნიშნეთ, როცა შე>შა-ს: რომ შა-
ვა ტყევეთ, საქმე უფე წამხდარიყო, მოვცოცხებთ უკან...

ამრიგად, ვერ დავეთანხმებით ჯ. ნოლაიდელს, რომელიც
აღნიშნავს, რომ აქარულს მიდრეკილება აქვს დასავლური კილოების
მსგავსად ვიწრო ხმოვნებისაკენ.¹ ზემოაქარულში, როგორც დავი-
ნახეთ, ეს პრეფერბი (შე-) გვხვდება როგორც ფართო. ისე აგრეთვე
ვიწრო ხმოვნით.

პირის ნიშნები

ობიექტური ნიშნები. ზემოაქარულში. როგორც საერ-
თოდ დასავლურ კილოებში, მეორე პირის სუბ. პრეფიქსი აღარ
იხმარება. ხოლო III პირის ობიექტური პრეფიქსი უმრავლეს შემ-
თხვევაში დაკარგულია.² ეს პრეფიქსები გურულსა და აქარულში
სპეციალურად აქვს შესწავლილი ქ. ლომთათიძეს. მას გათვა-
ლისწინებული აქვს ზემოაქარულის მონაცემებიც.³ აქარულში III
პირის ობიექტური პრეფიქსი თითქმის ისევეა წარმოდგენილი.
როგორც გურულში.⁴

აქარულში ხშირია აღნიშნული პრეფიქსების ხმარება პირდა-
პირ ობიექტთანაც; მაგალითად: ანურია, ანურია ე ბალვი და
ბოლოს ერთ წისკილი ლარში გაჰქეცა.

ხშირია ჰ. ს- პრეფიქსთა გამოყენება უასიმილაციოდაც. პ-ართ-
დაწყებულ ზმნებში ირიბი ობიექტის პრეფიქსად ზ გვხვდება.⁵ რაც
შეეხება ზემოაქარულის ფორმებს, ისინი მხოლოდ ცალკეულ შემ-
თხვევებში აქვს მითითებული ავტორს. ზემოაქარულის მონაცემები
ცალკე არა აქვს გამოყოფილი ჯ. ნოლაიდელსაც. ჩვენ შევეცდებ-
ით წარმოვადგინოთ სათანადო მაგალითები ზემოაქარულიდან.

ნის არსებობას პრეფერბებში შ. ძიძიგური მესხურის გავლენას მიაწერს.
(ძიგბანი... გვ. 132 და 139). იქვე აღნიშნავს, რომ შა-, მა- საყოველთაოდ გავრ-
ცელებულია ქართულ კილოებში, განსხვავება მეტ-ნაკლებ ხმარებაშია მხოლოდ.
იგივე ავტორი დასძენს აგრეთვე, რომ ეს პრეფერბები ხშირია გურულ-აქარულშიც
(ძიგბანი... გვ. 160).

¹ იხ. ჯ. ნოლაიდელი, აქარულის მიმართება მესხურთან: ბათუმის სახელ-
მწიფო პედ. ინსტიტუტის XIV სამეცნ. სესიის მოხსენებათა თეზისები, 1953, გვ. 42.

² შდრ. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი II პირისა და ობ. პრეფიქსი
III პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920, გვ. 172.

³ ნაშთები მესამე პირის ობ. პრეფიქსებისა გურულსა და აქარულში: თბი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, 1937.

⁴ ქ. ლომთათიძე, დასახ. შრომა, გვ. 135 და 138; ს. ქლენტი, გურული-
კილო, გვ. 62—63.

⁵ ქ. ლომთათიძე, დასახ. შრ., გვ. 135—136.

III პირის ობიექტური პრეფიქსები არაა წარმოდგენილი ზმნებში: ვავს (ისეგავ 'როგორც ჩანს'). ყავდა, მიცეს. მოპარეს. მოტაცეს, მიგვარეს. მიყიდა (მან მას ის)¹.

წინადადებებში: მენდილში (ცხვირსახოცში) გახვეული საგძალი ხეზე ჩამოკიდა და შუღვა ყანი ბარვას... ხირსუზმა (ქურდმა) ხირსუზ მოპარა და ღმერც გვეცინავო... უნცროსი გოგოშვილი სულ არ მოწონს... შუათანაჲ თლათ მანძის გავს... ამ სოფელში იშვიათ, რომ ვინმეს უღლათ ხარი ყოლოდა უწინ...²

ზემოაქარულს აღნიშნული პრეფიქსები უპირატესად შენოუნახავს. აქ გვხვდება პრეფიქსთა შემდეგი სახეობები: ჰ, ხ. შ, ჟ, ჰს, ჰშ, ჰხ. ხ.

ჰ პრეფიქსი გვხვდება წინაენისმიერ. ენანუნისმიერ და დენტალ ბგერებთან (იქ, სადაც სალიტერატურო ქართულში ს გვაქვს); მაგალითად: ისე აჭტკივდა მუცელი, რომ სიმწარით იგრიბობდა... ფთარა გაშპება-გამოშპება, შეჭკამს და კიდევე ღურჩება სახლი გუკეთებელი... ხუთნავეე შეჭკაჲა ჯა თურმის სახში... რომელ ხესაც მოჭკრის, იქვენ გაჩინდება ილეშნიქი... რაფერ ხამივით დაჭკქერი ხარ, კო!.. მოჭწყდა ლოდი და ჩავარდა ლელეში...³

ხ სუფიქსი გვაქვს ძ და თ თანხმოვანთა წინ: შედქიტინა ქოსამ რომ სანნავე დეფე სძინევან... ი ჩაჲრი (სათიბი) ბეთევი (ერთიანად) მოსძტეს საქონელმა... მაჲ რუმ ვერ დავსძლიო. თავი მოსაკლავი მაქ ნაშინ... ბოლოს საწყალმა ხალხმა ნეფეს შესთხტეს... ამ ალიგეფში ბიძაჩემი პურ სთესევედა...⁴

შ დასტურდება კ და ჩ თანხმოვანთა წინ: დედეჩემი (ბაბუაჩემი) იტყოდა: ეამობი დროს ტყეფეფში ვიყავთ გახიზნული და პანტასხალ და ზღმარტლ ვშკამდი თო... ერთ დარტყმაჲ თუ გაშკრი. ას მანათ ვიხდი: შე... ასახსნელსა მოგახსენეფ, ახსნა ვაგიჭირდება, იმითანაჲ რა არი, ქვეყანას ომ შკირდება...⁵ თუ კიდევე შეშკირდება, მომაკითხოს მე... გაშჩეხა ტყე...

¹ შდრ. კახურ დიალექტში ასეთივე ფორმები (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი გვ. 107).

² ანალოგიური მაგალითები დადასტურებულია იმერხეულში: ქოროლიმ მიცა დეგირმანჩის ურუბა... ცემა ერთი კარქა... ცხენი არ ყავს... (ძარი, გვ. 64); მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 14.

³ შდრ. არ. მარტიროსოვი. ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: ა. ს. პუშკინის სახ. თბილ. სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VII, 1950; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 105.

⁴ ცხენს მივსცემ... ძარი, დასახ. შრ., გვ. 65; შდრ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 14-15.

⁵ შდრ. ქ. მიქელაძე, დასახ. შრ., გვ. 136.

ჟ პრეფიქსი გვხვდება ჯ თანხმოვნის წინ: სულ პაწაჲ გომბიო უმფროსვანეთ ეჯობნის... იმაჲც არ დაეჯერდა და ცალი ნენჯი ამჟღედო...

ჰ შეინიშნება ძ, ც, წ თანხმოვანთა წინ: ერთ დონუმაჲ (ერთ-ჯერად) მიჰსცა ყარსი შერიფ-ბეგმა... ავჰსწონევი თ ცოცხლათა მოზვერი და კვარტალში ჩაებარევი... ამტონი შიშა რაფერ დაჰსწვეს მაჲც... ავჰსწიე და დღეზა გავაყრევი ხენდეჲში (თბრილში)... ამ დედაბერ მიჰსცა ერთი ქაქვი ალთუნი (ოქრო)... აჰსწია და გავზაენა ბაღდათ...

ჱ გვხვდება ჳ თანხმოვანთან: გველვეშაპივინ რომ დღებდა პირ, ერთ ხარ ერთათ შეჰჰქამდა თურმე... ერთ მოქნევაჲ შუაზე გაჰჰქრა უხსენებელი (გველი)... თუ დაჰჰქირდება, ამეღოს ფთა...

ჲ პრეფიქსი იშვიათად მოისმის კ და ყ თანხმოვანთან: ნეფის შვილი შან ჩაბძანდეს, დედოფალიც თან ჩაჰხყვესა... მოჰხკიდა ნაგუზალ ხელი და მოწიწინდა... მიჰხყვა, მიჰხყვა და ნიადგა ერთ მალარას... შევჰხყევთ კატრიანში... მოჰხყე ერთი დედულავ, ჩემკენ!..

ბ ჩვეულებრივია ზემოხსენებული თანხმოვნების წინ: ახკიდებდენ ცხენეთ ჰეგბეფ და გუღგებოდენ ფოცხოვ... გოგო ჩივის ვერ წავხყევი, სერდალაჲ ჩემი ქმარი... მებადემ ბადე გააგო, ერთი თევზი გამოხყვესა... თუ მოცალივათ ხარ, შემოხყე, ბიძავ, დღე ჩვენსკენ!..¹

სუბიექტური ნიშნები. ნამყო წყვეტილში მრ. რიცხვის III პირის ნიშნად გარდამავალ ზმნაში ზოგჯერ გვხვდება -ენ სუფიქსი -ეს ნიშნის პარალელურად: მაგალითად: გადაჰკიდე ცხენეთ ხურჯინები და გუყვენ შავშეთ.. მუთხრენ ერთქვანეთ... ზიხასლამდინ იმუშავენ (შდრ. პარალელურად: გადაჰკიდეს, იმუშაფეს...).

გარდაუვალ ზმნაში III პირის მრ. რიცხვის ირიბი ობიექტი ხშირად -ენ-ეს სუფიქსების საშუალებითაა გამოხატული; მაგალითად: თელ დღეს ძინავდენ... უნდოდენ, გავეტყავებინ... შუა გზაზე აზული დღელი ენენ თურმინ... გვეყუანენ გზი პირზე და ხენდეჲში ჩაეგდენ... მათ რაცხაფერ უნდანან, ისე იჯებიან... დღეიდან ე საშრობი თქვენ გებარებიან... იმათაც მიეწყინეს იქ ყოფნა... თავედუმარეთ ისვენ ის ამჟერჩიეს (=ამოერჩიათ)... ორი წყვილი კამბეჩი ეყიდნეს... ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული სუფიქსები გაჩენილი უნდა იყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური ნიშანთა ანალოგიით.

¹ იხ. კ. ლომთათიძე, დასახ. შრ., გვ. 136; შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 15; ჯ. ნოღაიდელი, აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 19.

მსგავსი ფორმები ახასიათებს იმერხეულს: საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: მათ ჯუმბუჯში აქვან... სამა გინდანან... ქელოლანი ბეგებ დეეძინენ, არაქვან არა ხებერი... წევან და ძინუან, დეგირმანჩებს რა უქნიან...¹

II სერიის -ინ, -ენიანი ვნებითი გვარის მრ. რიცხვის ფორმაში ხშირად გვაქვს ძვ. ქართულისათვის დამახასიათებელი ენ||ს სუფიქსი: მაგალითად: ახლა დრუა გევეყარნეთ... ცოტახანს უკან გევე-მზადენით წასასლელათ... იმფრათ შევეტაკენით, რომ ხუთმა კაცმა ველარ გაგვაზავა... გამოჯ და დევექედნეთ. თუ ბიკი ხარ!.. ბეგთანაკვი ვიდავენით. მარა მადც ათერი გამოვდა... მეზობლებმა მივეშველენით თუარა. დეფწოდა...²

მეტაანალიზის შედეგად ეს სუფიქსი (ენ||ს) მხოლოდით რიცხვშიც არის გადმოტანილი; მაგ.: ღორი ვიყნე (დამახასიათებელი გამოთქმაა), თუ დღე არ ჩამუელ შენთან³.

თემის ნიშნები

ზოგიერთი ზმნა. რომელსაც სალიტერატურო ქართულში თემის ნიშანი აქვს, ზემოაქარულში ზოგჯერ ამ ნიშნის გარეშე გვხვდება; მაგალითად: იმფერი სელგაპი (წყალდიდობა) რომ მოვდეს კიდვენ, თლათ ყანაფე წალექს... ორ დღეზე კარქი თირფნით (ცელით) მოვთიბ⁴ სულ... ზამთხულში საქონელ თეფში გავრეკთ... სიმინდი კობერ და ვნაყთ, წყალ მუაშეშეფთ, მადლ მუაპუპკავთ და საქონელ მივართმევთ...

¹ ნ. მარო, იმერხ. ტექსტები.. გვ. 62, 63, 64; მ. ხუბუა, დასახ. შრ.. 18, ჯ. ნოღაიდელი, აპარა დიალექტოლოგიურად, გვ. 19—20; შ. ძიძიგური იმერულნი დიალექტი: ძიგბანი... გვ. 151; ანალოგიური ფორმები შ. ძიძიგურს დადასტურებული აქვს აგრეთვე მესხურში (ძიგბანი... გვ. 142), ავტორი აღნიშნავს, რომ ეს მოვლენა დასავლური კილოების კუთვნილებაა; ქ. ძოწენიძე, ქვემო-იმერულის უბუთური მეტყველება, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრ., VIII, 1948, გვ. 53.

² ძვ. ქართულში -ინ, -ენიანი ვნებითის II სერიის მრ. რიცხვის ფორმები ყოველთვის წარს ჩაირთავს (ა. შანიძე, ქართული ენა, საშ. სკოლის სახელმძღვანელო, 1947 წ. გვ. 249); შდრ. არნ. ჩიქობავა, მთიულური: ენიმკის შოამბე, III, გვ. 54; ვ. თოფური, ქართლური: არილი, გვ. 143; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 95.

³ შდრ. ფერეიდნ. „იყნეს“ არნ. ჩიქობავა, გვ. 210, ავტორი შენიშნავს, რომ საფიქრებელია, რომ ეს ფორმა გამოსავალი, როცა იწარმოება II და I პირი: იყნე, იყნევი, იყნევი, ვიყნევი (= იყნეს, იყნეთ, ვიყვნით); ა. მარტიროსოვი, „იყნეთ“, დიალექტიზმები XV—XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში: იბეროულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 253.

⁴ შდრ. სტ. მენთეშაშვილი, თიბს, თიბენ, აპარის ეთნოგრაფიული მასალები: ენიმკის შოამბე, II, ტფილისი, 1937, გვ. 163.

-ებ თემის ნიშნის ნაცვლად ჩვეულებრივ -ობ (resp. ოფ) გვხვდება სტატიკურ ზმნებში: მაგალითად: თელი დღა სუფრის ხელა ნაირზე ჩუჩუნოფს... ი საწყალი გაცბრებულსავენ კანკალობდა... არ გეყო, ორი საათია რომ სვენოფ?... წუხელ კარქა ვერ ვიძინე. თელი ღამე ვტრიალობდი ბალიშზე...¹

იშვიათად სხვა ტიპის ზმნებთანაც: ნუ ამსოფ გოდორ, ფხარი მტკივა...

უთემისნიშნო ზმნებთან ზოგჯერ შეინიშნება -ავ? ეს უმთავრესად ახასიათებს ფუძედრეკად ზმნებს: ისიც უნდა ითქვას, რომ მათთან I სერიაში ხშირად ე ხმოვანი ი ნითაა შეცვლილი: მაგალითად: სხაბ მოუწყოფ. დევიქირავ. თოკ წავაბამ ფეხზედავო... თელი ქერქიდან თოკ ვგრიხავთ ჩვენ... აღნიშნული თემის ნიშანი გვხვდება არაფუძედრეკად ზმნასთანაც ჩაკწერავ: თქარ გაცდენ, ჩაკწერავ შენეც!..

მოყვანილ „ფუძედრეკად“ ზმნებში ე ხმოვნის ნაცვლად ი-ნის არსებობა შემდეგნაირად უნდა აიხსნას: თემის ნიშნის დართვის გამო ზმნა იქცევა ორთემიანად, I სერიის ფუძე წარმოადგენს II სერიაში ხმარებულ ფუძეს (ვ-გრიხ-ე. დევიქირ-ე) -ავ თემის ნიშნით.

ზოგიერთ ზმნას -ევ თემის ნიშანი შეცვლილი აქვს -ამ-ით: ვართვამ, ჩანქართვამ...
-ო თემის ნიშნიანი ზმნები ამ სუტეიქსს საკმაოდ ხშირად ინარჩუნებენ ნამყო უწყვეტელში: მაგალითად: წინაჲ კიბილები სულ არ აკლიოდა (ზოგჯერ ასეც ისმის: აკლდოდა)... იმ საწყალ თავის ხელით ჭამაც აღარ უშეძლიოდა... მასტავლებლის მეშინდოდა. თქრა ვაჩუნებდი სეგრ... ჰაცხან გირჩევნდოდეს, იქ დგესტარ!..

ზოგიერთ ზმნასთან -ებ თემის ნიშნის ნაცვლად გვხვდება -ი: მაგ: რატონ არ უჯერი მასტავლებელს?... პაწაჲ მადრუე და, ხომ ხედავ, ვისვენო!..

ცალკეულ შემთხვევებში კითხვით წინადადებებში „წერა“ ზმნასთან აწმყოში -ი თემის ნიშანი გვხვდება: მაგ.: კიღვენ სწერი?²

ეგვეე -ი გვხვდება ზოგჯერ -ავ თემის ნიშნის ნაცვლად: მე უმ არ მიმესტრო, ცემაში მოკლიდა იმ ბალვ... უწინ ყაზაღი (ნავთი) ძნელათ იმონებოდა და კვარს ვწვიდით... ყანას ჯილდით ვხნიდით...

¹ წდრ. ტრიალობს ზღვაში.. (მარი, იმერხ: გვ. 60); არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 88.

² წდრ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 85.

³ იხ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 18.

წყვეტილში -ე ბოლოსართიანი ზნის ფორმა I და II პირში სისტემებში -ვი-ს დაირთავს;¹ მაგალითად: აბა. დეფწყევი სიმ-
ლერა, თუ კაცი ხარ!.. კადი გამჭაცხევი... წუხელ იმფერი
სიძმარი ვნახევი. რომ... მე თვითან შევამოწმევი... წურ-
წყევი აკვანი!..

არის შემთხვევები, როცა ამ ტიპის ზნებს -ვი კომპლექსის
ხმოვითი ნაწილი (ი) არ აქვთ ისევე. როგორც ზემოთ განხილულ
-გითხარა. „ვიყავ“ და სხვა ზნებს: დეფწყევი (= დაიწყე), გეფ-
გევი და მისთ.

ასევეა მრავლობით რიცხვში: ტომპოყოში ჩავაგდევი...
როცა რომ შევეტყევი, რუმე საქმე წამხდარიყო... პაწა თქვენც
შიმიწყევი ბელი...

-ინ. -ენიანი ვნებითი I სერიაში უპირატესად გვხვდება არქაული
ფორმით -ებ თემის ნიშნის გარეშე: მაგალითად: დიგინახე, ნულა
იმაღვი... ძე რომ გეფწურვის საწურაში, მემრენ წამბადუ-
ლებენ... თვალები ეკურცხლის... თა (= მთა) რომ მეფშლება.
მემრენ ყიშლეთში გედებარგვით... რას იბღვირვი, მაშინფე
თუ?.. თუ მართალი იყავ, რას იმაღვოდი... მა სოკო არ
იქმის!.. ნუ იკრიქვით, ღარქებო!... ბეც (= ბედს) არ ვენ-
დურვი!.. ვერ გეფმართვი. რას იკაკვი წელში!.. მე გგონია,
დღესაც არ გამეიდრის...²

ნამყო წყვეტილსა და ბრძანებითში I-სა და II პირში -ი ხმოვ-
ნის გარეშე ვვაქვს ის ზნები. რომელთაც სალიტერატურო ქარ-

¹ შდრ. ვ. თოფური, ქართლური: არილი, გვ. 43; არ. მარტირო-
სოვი და გრ. იმნაიშვილი, კაური დიალექტი, გვ. 94; მ. ხუბუა დასახ.
შრ., გვ. 12; ჯ. ნოლაიდი, აპარა დიალექტოლოგიურად, გვ. 19; ავტორი
შენიშნავს, რომ ამ მოვლენით აპარული უახლოვდება ქართლურს; სხვაგან იგი
აღნიშნავს. რომ ეს მოვლენა აპარულს აახლოებს მესხურთან (იხ. აპარულის მიმარ-
ლება მესხურთან: რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის
XIV სამეცნ. სესიის მოხსენებათა თეზისები, 1953, გვ. 42); მარი, იმერხ. ტექს-
ტები... „ველარაის ველარ ვენდრე .. ხელი მომიწყევი... ეი დევი ჩემგან ბეჭრი
ფული... გვ. 64; შ. ძიძიგური ამ ფორმის გაჩენას აპარულში მესხურის-გავლენით
ხსნის (ძიგბანი... გვ. 132 და 140); მსგავსი ფორმები გვხვდება მთარაქულშიც (ძიგ-
ბანი... გვ. 196); ო. ლომსაძე. ჯავახური მეტყველების თავისებურებანი: სტალინის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. მე-13 სამეცნიერო კონ-
ფერენციის მოხსენებათა თეზისები, 1951, გვ. 37; ე. მახარობლიშვილი, კახური
დიალექტის თავისებურებანი: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნი-
ვერსიტეტის სტუდ. მე-14 სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, 1952,
გვ. 64; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი: აღ. წულუკიძის სახელობის ქუ-
თაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI. 1951—1952, გვ. 90.

² შდრ. მარი, იმერხ.: ვინ ხარ შენ რომ იმაღვი, (გვ. 64); მ. ხუბუას
ასეთი ფორმები (ეკითხვის, იპარვის დეიმალვის) შეცდომით ხოლმეობითის ფორ-
მებად აქვს მიჩნეული; იხ. მისი ზემოაღნიშნული შრ., გვ. 15; ანალოგიური ფორ-
მები შენიშნულია მთარაქულში (შ. ძიძიგური, ძიგბანი... გვ. 196).

თულში ეს ხმოვანი აქვთ: მაგალითად: გ ი თ ხ ა რ, ა ვ ე ლ. ჩ ა ვ ე ლ, ვ ი ყ ა ვ და ს ხ ვ¹.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ეგვეფე ფორმები აღნიშნულ პირთა მრავლობით რიცხვშიც გვხვდება.

მაგალითები:

თქვენ არ მ ი თ ხ ა რ თ. რომ დღე არ დატუჯოთ თუთუნისო?! ჩვენ დროზე რომ ყოფილიყავთ თქვენ, შიმშილით დეახოცებოდით... მეგორეჯელ რომ ჩ ა ვ ა გ დ ე ე თ დინიმეთი (ნალმი) თეუხით გათეთთა მორევი...

ზოგიერთი ზნა, რომელიც სალიტერატურო ქართულში დ-ონით აწარმოებს ვნ. გვარს, აქ -ინ, -ენიანი პრეფიქსებით გვხვდება; მაგ.: რომ გ ა ე გ ძ ე ლ ე თლათ სიგძეზე. შენ მეტ ვერვის ხედავ?.. (შდრ. გაგძელდი), გ ა ე ქ ე ნ ე ქომო და ცხვრები ამორეკე!..

ნამყო უწყვეტის, კავშირებითებისა და თურმეობითის წარმოება

-ავ. -ამ თემის ნიშნიანი ზნები ნამყო უწყვეტელსა და კავშირებით პირველში ხშირად -ევ(ვ) და -ემ კომპლექსებით გვხვდება²; მაგალითად: და ვ ა კ რ ე ე დ ი თ ზ რ უ გ ზ ე ყ ა თ ი რ მ ფ უ თ კ ვ ი რ თ და გაუქსწევდით არდაპან... კარქა და ვ ნ ა ყ ვ ი დ ი თ მიწას. წყალ და ვ ა ს ხ ე მ დ ი თ და მემრენ მოვზილე დ ი თ... ჰაცხან მა-ლე ვ და იმ დანას, კაკალმა კაცმა არ იცოდა... დე მ ქ ი რ ე ვ და თეუხ... ს თ ე ს ე ვ და ყ ა ნ ა ს... უწინ ჩვენში საშრობი არ ვიცოდით და გასახმოფ თუთუნ სახლი კედელზე გ ა ვ ა ბ ე მ დ ი თ... უმფოსეფომ დ ე ვ ნ ა ხ ე დ ი თ, გვეშინაოდა ახლოს მისლა...³

¹ შდრ. იმერხ. შენ ჩემთან იყავ. M a p p. T I P. გვ. 57; იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო -ს ო ვ ი და გო. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კახური დიალექტი, გვ. 94.

² მსგავს მოვლენებს ადგილი აქვს ძველ ქართულში: იმ განსხვავებით, რომ აქ იგი უფრო სისტემური ხასიათისაა (იხ. ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXV—XXXVI გვ. 317—344).

³ აონ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ანალოგიურ ფორმებს „ადასტურებს „ვეფხისტყაოსანში“: გ კ ი თ ხ ე ვ დ ი, ვ ნ ა ხ ე ვ დ ი თ, ვ ხ ე დ ე ვ დ ი და ს ხ ვ. აღნიშნავს, რომ მოვლენა ცოცხალია აჭარულში. გვხვდება გურულში და ზემოიმერულშიც; უცხო არაა აღმოს. საქართველოს მთის კილოებისთვისაც. ავტორი ამ მოვლენას არ მიიჩნევს დასავლური კილოების დამახასიათებლად. იხ. „დიალექტიკების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 219; მასვე შენიშნული აქვს ეს ფორმები ფერეიდნულში: ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივ. მოამბე, ტ. VII, გვ. 210. მ ა რ ი ი მერხ. ტექსტები... გვ. 159; ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი მსჯელობაა მოცემული ლ. კ ი კ ნ ა ძ ე ს ნ ა შ რ ო მ შ ი, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX V—XXXI b,

11 კავშირებითში მოსალოდნელი -ე-ს ნაცვლად ზოგჯერ -ო იხმარება; მაგალითად: ახლოს არ მოხვიდო, შენ ყუედში არ ვარ ახლა... რამდენჯერ გითხარ, საშროფში რომ წამოხვალ, ზაპაზი ლემსები ქქოდონ თან-მეთქინ.. არ შეგეშინდოს. მე ავერ არ ვარ!.. თავედუმარემ გასცო გამეკარქულობა...¹

სხედასხვაგვარად იწარმოება თურმეობითი პირველის ფორმები. ზოგჯერ თემის ნიშნინანი ზმნები აქ „წერ“ ტიპის მიხედვით აწარმოებს ამ ფორმებს; მაგ.: ბნსამხანია რამაზანი აღა დიმიქირია... ამდენი წვიმები ჩემ სიცოცხლეში არ მინახია...; ზოგჯერ კი ამ ზმნებს -ია დაბოლოების წინ შემონახული აქვთ რედუცირებული სათანადო თემის ნიშანი; მაგალითად: ბობუები ბახჩაში ჩუბშია... არადროს ტყვილი არ მითქმია...²

ბრძანებითი კილო

რიგი ზმნები: მოტანა, მოყვანა, მოცდა, გიგზანა (=გაგზანა), მიცემა და სხვ. ბრძანებით კილოში წარმოდგენილია მარცვალმოკვეცილი ფორმით; მათგან ნაწილი ბოლოში დაირთავს დასუსტებულ -ი ხმოვანს; მაგალითად: გეექე დაერცულულზე წალდი მომირბენიე!.. აქ ჩამეეტაე მად უღელი!.. ხვალ ჩემი ბადიში გამომიყვად, მომენატრა!.. მიე მაგას!.. მეეცად, შენთან სიტყვა მაქ!.. საყვარელო, გეხვეწები, ამ ჩემ სიტყვას მიე ყური!.. ახლავენ გაგზად მად დარბაზეული ლელეს!..³

თბილისი, 1947, გვ. 341—342; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 15; შ. ძიძიგური მთარაქული ძიებანი... გვ. 196; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული, გვ. 89—90;

¹ შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 15; ანალოგიური ფორმები დადასტურებული აქვს ზემოიმერულში ქ. ძოწენიძეს (იხ. მისი ზემოიმერული კილოკავი, გვ. 191);

² ქ. ძოწენიძე აღნიშნავს, რომ ზემოიმერულისათვის ნიშანდობლივია -ია დაბოლოება -აე და -ამ სუფიქსინანი ზმნების თურმეობითს პირველში: მითქვია, უთქვია, მოუპარია, დაუღუპია (იხ. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 92; შდრ. არ. მარტროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 98.

³ მ. ხუბუას შრომაში (გვ. 20) აღნიშნული ისეთი შემოკლებული ფორმები; როგორცაა ზმნები: გაგათევებ... მოვატანებ... სახელები: ახცგხაში (დასაშვებია თურქ. ახისხაში—შ. ნ.), ხიხაძი (ხიხაძირის), აგრომულპუნტების (=აგრონომიული პუნქტების)—ზემოაპარულში ჩვენ ვერ დავადასტურეთ; შდრ. არ. მარტროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, გვ. 293; დ. კანტურია, სიტყვათა და წინადადებათა შემოკლების შემთხვევები გარეკახურში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1941 წ., გვ. 176; შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი, ძიებანი... გვ. 137.

თავისებურია ზემოაქარულში კაუზატივის ფორმები. როგორც წესი. კაუზატივი მხოლოდ -ი სუფიქსითაა გამოხატული: მაგალითად: ყანას მჭათხრიეფ... ხენწიფემ ყაჩალები დახრეცია... აქრამ გაგაბედვია მოსლა!.. თავედუმარემ შამამოწმებია ბულალტერ... ამ ალიგზე რამ დაგარგვია ატმი ჩქოლა!..

ასეთი ფორმები ახასიათებს ქართული ენის დასავლურ კილოებს, განსაკუთრებით კი გურულს.

გ. კვერენჩხილაძემ გაარკვია, რომ გურულში კაუზატივის მწარმოებელი ორგვარი წარმოშობისაა: ერთი მხრივ, იგი მომდინარეობს -ინ სუფიქსისაგან (მაგ: დააწყებია), მეორეს მხრივ, -იგ სუფიქსისაგან (მაგ.: გავასხლიე) ¹.

ასევეა ზემოაქარულშიც. ზემომოყვანილ მაგალითებში -ი ორგვარი წარმოშობისაა: ერთი მხრივ იგი მომდინარეობს -ინ სუფიქსისაგან (შამამოწმებია < შემამოწმებინა), მეორე მხრით კი -ევ სუფიქსისაგან (მჭათხრიეფ < მოათხრიეფ).

გარდა ამისა -ევინ სუფიქსის ნაცვლად ზემოაქარულში გვხვდება -ევი; მაგალითად: ოზოში ფეხს არ დადგმევიეფს (= დაადგმევენებს) ვინმეს... შიმიცაჲ ერცულულზე (ერთ წუთს), კარტიკჲანდა გადავართმევიო ბაშფორთისთინ...
 ისიც უნდა ითქვას, რომ კაუზატივი ზემოაქარულში იშვიათად სალიტერატურო ქართულის მიხედვით იწარმოება; ² მაგალითად: საქონლის ალაფ თვლიბირაჲ ხარეფ მჭაზიდვინეფ... ახალი კეცი თჳარ გამჭაწევეინეთ კარქა, მალე გასკდება...

კაუზატივის წარმოების მხრივ ზემოაქარულთან ახლოსაა, გარდა გურულისა, იმერული დიალექტი ³ და იმერხეული ⁴.

¹ გ. კვერენჩხილაძე, კაუზატივის წარმოებისათვის გურულში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი I, თბილისი, 1941 წ., გვ. 205 და შემდეგ.

² აკ. შანშიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 369—370.

³ შდრ. ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, გვ. 173; შ. ძიძიგური, იმერული დიალექტი, ძიებანი... გვ. 151; ვ. კახაძე, კაუზატივის წარმოებისათვის ქვემოიმერულში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. მე-14 სამეცნ. კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, 1952 წ., გვ. 74.

⁴ ნ. შარი, ტექსტები...: ერთი ზანდული გააკეთებია, გვ. 59; ცხენი მოაკარვია... გვ. 68; ქოროლიმ ქალი გააშვებია... გვ. 69.

სიგჳათნარმოება

მიმლეობათა წარმოება

-ავ თემისნიშნის ზმნის ვნ. გვარის მიმლეობა იწარმოება -ილ სუფიქსით, მაგ.: დაბურვილი, გაწურვილი, თაყჩალუნვილი, გაბურვილი; შდრ. დაჭირული, შეწვილი, დაბადილი¹.

დაწვილი ფაჩავრის სული მცემს... კაჲ შეწვილი თუ არაჲ ყვერცხი, ვერ ევამ... რას ფართხალოფ დაკლილ ქათამსავენ!..

არაიშვიათია ორმაგი წარმოების უარყოფითი მიმლეობები: უღუსვენებლათ, უმულაპარიკებლათ, უწუსლელაჲ, უღუღებელი, უღულეველი².

ერთი სტუმარი მესტუმრა, მიღლემჩი უსტუმრებელი, ერთი შაქმელი მივართვი, სუფრაზე უღუღებელი... ჩემი ბაღვი არ დაქტიო უჩუწერელი!.. უღუსვენებლაჲ თუ ჩეტან ამ ქვირთ ხიდზე?.. უწუსლელი რავარ იქნება, მეზობლები რას იტყვიან...

მოქმედებითი გვარის მიმლეობაში -ავ თემის ნიშანი არაჲ წარმოდგენილი ორიოდე მაგალითში: უწინ ჩვენში ალაგობრივ ღვინის დამწური არეინ არ იყო... კარკ საქონელ კაჲ შემნახი შვირდებო -- ძველები იტყოდენ...

სახელთა წარმოება

-ელ სუფიქსს ზოგჯერ ენაცვლება -იერ: სოფლიერი ხალხი: ახლა სოფლიერ ხალხ მაჲლი და ყაზაღი — ყველამფერი ადგილზე გვაქ... ჟამობი დროს სოფლიერი : ხალხი სულ ტყეში გახიზნულან...

სა -ო-ს ენაცვლება სა-იერ: ოსმალობი დროს ხალხი სოფლიდან გარბოდა, სამუშიერს ეძებდა...

სა -უ-ს ზოგჯერ ენაცვლება სა -ო: სათაეოში რომ წამოწუწვილხარ, შენ გარეთ ვერვის ხედავ?!

¹ შდრ. ქართლ. დატოვილი, ვ. თოფურიჲ, ქართლური: არილი, გვ. 144; მ. ხუბუჲ, დასახ. შრ., გვ. 16; არ. შარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 112—113.

² იხ. ანალოგიური წარმოება ინგილოურში, მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძვ. საქართველო, ტ. II, გვ. 231; შდრ. მ. ხუბუჲ, დასახ. შრ., გვ. 15; შ. ძიძიგური, იმერული დიალექტი, ძიებანი... გვ. 149—150; მ. ცინცაძე, კირანთ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი: რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, 1954, გვ. 10.

ცალკეულ შემთხვევათაგან უნდა აღინიშნოს ისეთი ფორმები, რომლებშიც მე—ურ აფიქსებით ნაწარმოები სახელები ბოლოში ე-ს დაირთავს; მაგალითად: მე თ ა ტ რ ე განხდარა ჩვენი ჯეფერაჟ, 'ხედტყევე?.. ვინც თა (= მთა) ში საქონელ უელის, იმა მე მ თ ი ტ რ ე ს ვეტყვით... მე გ ზ უ რ ე ს ჩვენ კოლაუზსაც ვეძახით...

„აქ“ სიტყვისაგან ნაწარმოებ სადაურობის სახელებს ურ-ის გარდა -ელ-იც დაერთვის¹: აქ ა ტ რ ე ლ ე ფ ქვემოაქარლები ზეგნელეფ გვიძახიან...

არის შემთხვევები, როცა ასეულის აღმნიშვნელ რიცხვით სახელს ათეული და ათმეტეული „და“ კავშირით უერთდება: მაგ.: ას და ა ნ უ თ ი, ას და ც ხ რ ა, ას და თ რ ა მ მ ე ტ ი და ა. შ.².

ერთადერთი შემთხვევა გვაქვს წილობითი რიცხვითი სახელის-თავისებური წარმოებისა: ნ ა ო თ ხ ა ლ ი (ბეოთხედის მნიშვნელობით)³.

ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება

სახელთა წარმოების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ტოპონიმიკური სახელების წარმოება⁴. ტოპონიმიკური სახელები აქ⁵ ძირითადად ისევე იწარმოება, როგორც ეს დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეების გეოგრაფიული სახელებისათვის. ქვემოთ ნოყვანილი მრავალფეროვანი ტოპონიმიკური სახელები, რომლებიც თავისი ბუნებით ქართული წარმოებისაა. ლექსიკის-სავა მხარეთაგან ყველაზე უფრო მკვიდრად ინარჩუნებს ძველ სახეობას. შეიძლება ითქვას, თურქულ ენას ლექსიკის ამ ნაწილზე ვერავითარი გავლენა ვერ მოუხდენია. ისინი ძირითადად შემდეგ გუფუბად იყოფა:

პრეფიქსით ნაწარმოები სახელები: ნა: ნ ა კ ა ფ ი, ნ ა ფ ლ ა ტ ი, ნ ა გ უ თ ნ ი.

სა: ს ა რ ე კ ი.

სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

¹ შდრ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, კახური დიალექტი, გვ. 114.

² შდრ. მ. ხ უ ბ უ ა, ხემათ აღნიშნული შრომა, გვ. 17.

³ იხ. მ. ხ უ ბ უ ა, დასახ. შრ., იქვე; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, კახური დიალექტი, გვ. 116.

⁴ აქარულში გეოგრაფიული სახელების შესახებ ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ს გამოქვეყნებული აქვს ბათუმის სახელმწიფო პედიინსტიტუტის XI სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების „გეოგრაფიულ სახელთა შედგენილობისათვის აქარულში“ თეზისები; მაკახლის ხეობის (ქვემო აქარა) ტოპონიმიკის შესახებ გამოკვლევა გამოქვეყნებული აქვს ა. მ ს ხ ლ ა ძ ე ს (იხ. ბათუმის სახელმწიფო პედიინსტიტუტის სტუდ. შრომები, I; 1954 წ. „მაკახლის ხეობის ტოპონიმიკისათვის“).

ა: ონაგირა (<უნაგირა), ორხევა, პერანგა, ურემა, თავსახნისა, შიგანა, ლურტა, შავნაბადა, ჩაკიდულა.

ავ: მაქახელავი¹.

ებ: ნაფეტვრები, მერცხლები, ბუსუყაერები, პანტნები; სტეფანაშვილები, წინწყალაშვილები, გორგაძეები (<გორგაძიები<გორგაძეები), ვანაძეები, ვაშაყმაძეები².

ევ: ბოსტნევი³.

ეთ: ძამლეთი, ლაკლაკეთი, ძინარეთი, ტომაშეთი, ბელლეთი, ტბეთი, ქაშვეთი⁴.

თა: კობალთა, წყაროთა. სხალთა, მაწყუალთა, რაქეთა⁵.

თი: ტყემალთი, გვალათი, მაქარელათი, ნისლათი, ორმანთი, ტბათი, ხირხათი, წელათი⁶.

ეულ: ნიგაზეშლი, ჩანტრეშლი.

იან: კენჭიანი, კაყიანი, კაყიანი⁷.

ის: დიოკნისი, გუგუსი, ცხემლისი⁸.

ნარ: ლეკნარი, ლოდნარი, მუხნარი, ურთხნალი, ვერხვნალი, თენნარი (<თელნარი), შოქნარი⁹.

ო: ძირილო, ჩანჩხალო, ფრიაცო, ქინკყო, ფურტიო.

ობ: წითლობი, თეთრობი.

უან: (<ოვან): ლელუანი¹⁰.

¹ მსგავსი გეოგრაფიული სახელების შესახებ საგულისხმო მოსახრება აქვს გამოთქმული ა. მსხალაძეს, -ავ სუფიქსს იგი ავრ (<აურ || აულ)-იდან მომდინარედ თელის; მაგ.: ცეცხლავი<ცეცხლავრი -დან (იხ. დასახ. შრ., გვ. 26).

² გვარებისაგან გეოგრაფიული სახელების წარმოების შესახებ იხ. ა. შანიძე, ევ კილოს კვალი საქ. გეოგრაფიულ სახელებში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, 1941 წ., გვ. 761; მისივე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 138.

³ შლრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 138; ა. მსხალაძე, დასახ. შრ., გვ. 24—26.

⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 140.

⁵ იქვე, გვ. 138; ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში: ჩვენნი მეცნიერება, № 11—12, 1924 წ., გვ. 8—9).

⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 138—140; ვ. თოფურია, გეოგრაფ. სახელთა... გვ. 8—9.

⁷ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 139.

⁸ იქვე, გვ. 139; ვ. თოფურია, გეოგრაფ. სახელთა... გვ. 8.

⁹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვ., გვ. 145—146.

¹⁰ იქვე, გვ. 139.

ულ: ქვაბული.

ურ (ულ): წინკალაური, გოგინაური, ოლადაური, იაკობაური, მოძაური, ფუშრუკაული, ლომანაური, ქუთაური, ბოლაური, გუნდაური, ხიჭაური, ბუთურაული, დანისპარაული¹.

პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

ნა-ავ: ნაბელღავი, ნახიზნავი, ნაფაცხავა².

ნა-არ (ნა-ალ): ნარსლარი, ნაოსპარი³, ნაგვიმრალი, ნავენახარი, ნაფეტვარი, ნაიფლარი (მომდინარეობს ნაიფნარისაგან), ნადიკვარი, ნასეფვარი⁴.

ნა-ებ: ნალღებები, ნანყნები, ნაბოსტნები, ნამასკლავები.

ნა-ურებ: ნაჯავახურები, ნაყანვრები.

ნა-ევ: ნაჩადრევი, ნავაზნევი, ნაყიშლევი, ნაფლატევი, ნაკაყიევი, ნახიზნევი, ნაქალაქევი, ნასახლევი, ნამუნასტრევი (<ნამონასტრევი), ნატბევი, ნადარბაზისევი⁵.

სა-ავ: საწუმპავი.

სა-ე: საქორე (გვხვდება საქორია-ც)⁶

სა-აა: საძმერხლია, სანალია, საღორია, საწუმპია, საკილია, საკაყია, სამხლია, სალილია, საავდრია, საცხოვრია.

სა-ათ: საქორეთი, საძგვერეთი, საფილეთი, სათიბეთი⁷.

სა-ათი: საწოლათი⁸.

სა-ელ: საჭინკელი, სამძიმელი, სათიბელი.

¹ ა. შანიძე; ქართული გრამატიკის საფუძვე; გვ. 139; ამ სახელის ეტიმოლოგიაზე — დანისპარაული < დარისპანულ — პირად საუბარში მიგვითითა პროფ. ა. შანიძემ.

² ა. შანიძე, ევ კილოს კვალი... გვ. 765; ა. მსხალაძე, დასახ. შრ., გვ. 26—27.

³ იხ. სტ. მენთე შაშვილი. ნაასლარი, ნაოსპარი, აქარის ეთნოგრაფიული მასალები: ენიშკის მოამბე, II, 1937, გვ. 153.

⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 139.

⁵ იქვე, გვ. 139.

⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 139.

⁷ იქვე, გვ. 140—141.

⁸ ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა... გვ. 8—9.

სა-ის: საწაფისა¹.

სა-ო: სამსმელო, საბოგილო, სათოვლისწყარო,
სატბაო, სადავო².

სა-ურ: საყანური, საციხური, საბადური³.

სინგაქსური თაქისებურებიანი

მსაზღვრელ-საზღვრული

ზემოაქარულში ყურადღებას იქცევს სინტაქსური დამოკიდებულების ისეთი შემთხვევა, როცა მსაზღვრელი როგორც პრეპოზიციული, ისე პოსტპოზიციური წყობის დროს საზღვრულთან მართულ-შეთანხმებულია; მაგალითად: აჰმედასი ხარები რატომ არ გამეყუთა ხეები სათრევში?.. აქიფასი ბადიშია ეს... ეთირფანი (ცელი) ისმეფლასი ხომ არაა, კოჭ?..

წინააღმდეგ სალიტერატურო ქართულის ნორმისა. ზოგჯერ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის შეთანხმება (ბრუნვის თვალსაზრისით) დარღვეულია; მაგ.: ერთი მაგასაც ვნახავ, მაგათ შვილებმა რაშინდა გამჭადგენ შობლეთ!⁴.

სინტაქსური დამოკიდებულება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის

გვხვდება როგორც შეთანხმებული, ისე შეუთანხმებელი ფორმები. თუ ქვემდებარე სულიერ საგანს აღნიშნავს, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმებას: კამბეჩები შიერები დარჩენილან მეგემ... სკიდამ თლათ გაფრენილან ფუტკრები... თუმცა ვხვდებით გამონაკლისებსაც, როცა შეთანხმებას ადგილი არა აქვს: ძროხები შესულა ყანაში...⁵

შეთანხმებას აქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, როცა შემასმენელი სტატიკური ვნებითის ფორმით არის გამოხატული; მაგ.: ამდოხან

¹ ვ. თოფური, გეოგრაფიულ სახელთა... გვ. 8—9; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 139.

² ა. შანიძე, იქვე.

³ იქვე.

⁴ შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 21; მარი, იმერხ... გვ. 55.

⁵ შდრ. ვ. თოფური, ქართლური, გვ. 145; მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 21. ნოღაიდელი, აჰარა დიალექტოლოგიურად, გვ. 21—22; ს. ჯღენტი გურული კილო, გვ. 68.

ჰა ყ რ ი ა ნ ი ლ ო რ ი დ ა ყ რ ი ლ ე ბ ი... შეედა მაღაროში, რომ რას ხედავს, თმებით კიდიან სამნავედ დეებო...

ქვემდებარედ გამოყენებული უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელი ხან ითანხმებს შემასმენელს და ხან არა: ხენდეკები (თხრილები) თლათ ქვეებით არ აესილა!..

რაც შეეხება ვნებითი და საშუალი გვარის ზმნით გამოხატულ შემასმენელს, იგი ზოგჯერ მხოლოდობით რიცხვშია; მაგალითად: თლათ ძირამდინ არ დასულა ევაშლის ტანებო!.. სიმინდებმა ჩეღლეწა (გადამწიფდა)...

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმება უფრო სისტემურ ხასიათს ატარებს, როცა ქვემდებარის განსაზღვრებად წარმოდგენილია ყველა, ბარსამი (<ბარე სამი)¹, 'მ' თელი, ბეჭრი და სხვ. აგრეთვე რიცხვითი სახელები: მაგალითად: გეხე, გაღმა სირთხე, ქო, რამდენი კაცი მოდიან!.. თქვენ ბრიგადაში უმფო ბეჭრი ქალი არიან... გეხეთი ამბოფს, რომ თურქეთში წყალდილობი დროს 50 კაცი დარჩობილან თურმეც... ბარსამი ბალვი მონგროვილან!..

ქვემდებარედ გამოყენებული ნაცვალსახელები: ყველა, ზოგი (ზოგიერთი) შემასმენელს მრ. რიცხვში ითანხმებს; მაგალითად: შუავეს ყველამ განსტრეს თურმის... ზოგიერთმა ველმ მეფთბინეს და დუწყეს ლანძღვა-გინება...

კრებითი სახელი შემასმენელს უფრო ხშირად მრავლობითი რიცხვის ფორმით ითანხმებს. უპირატესობა ეძლევა რეალურად გამოხატულ რიცხვს². თელი ხალხი ფეხზე ანდგარან... ღრემანიდან შარშან ცხენების ილხი (ჯოგი) გადმოსულან... ჟამობი დროს ხალხი ეივოდენ, ტიროდენ... ყოფილან მეგემ ერთი ცოლ-ქმარი... მაგრამ: ხალხი ყოველთვინ არ დიგითმოფს...

იშვიათ შემთხვევაში უპირო ზმნებთან გვხვდება ქვემდებარე: კარჩხალ უფე დათოვა თოვლმა... ერცულულში წვიმა წვიმს, მემრენ უცფათაჲ გამეიდრის...

¹ ბარსამი (<ბარე სამი) ფორმას აღარ აქვს „სამი“ რიცხვითი სახელის გაგება. როგორც გურულში; მაგ.: ბარე ორი, ბარე ხუთი, ბარე სამი და ა. შ. ეს სიტყვა აქ მხოლოდ ამ ფორმით იხმარება და ნიშნავს ბევრს, საკმაოს, მრავალს; ბარსამი-ს პარალელურად გვხვდება ბარეოლი, იმავე მნიშვნელობით.

² შდრ. ვ. თოფურია, ქართლური: არილი, გვ. 145; არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 78; მისივე, მთიულურის თავისებურებანი... გვ. 26; მ. სუბუა, დასახ. შრ., გვ. 21; შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი: ძიებანი... გვ. 144.

ცალკე მდგომი თანდებული სახელს ჩვეულებრივ მიც. ბრუნ-
ვაში მოითხოვს; მაგალითად: ქვა-ქვეშ¹ არის ჩემი ბედი, იქიდან
სულ არ იძრება... ჩაქიდანა ქილიმ-ქვეშ ქონდა შამოდებული...
ზვინ-ქვეშ შეეპეჭა...

მიცემითშივე მართავენ სახელებს ზმნიზედები: აქეთ, ზედან:²
ტაბახმელა დანისპარაჟლ აქეთაა... ჩაქაჟრა ქავე წყალს
ზედანაა... ხულას ზედან ქედლებიო, ჩემი ქიბნის დედნე-
ბიო... (ნოლაიდელი, ხალხ. სიტყ., 1936, გვ. 117); ასეთივე
მდგომარეობა გვაქვს იმერბულშიც; მაგ.: ქომოდან, წისქვილ
ქვეშ დეიმაღე!...³ ლელესუქანი (ტობ. სახელი).

მართვის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ გარდაუვალი
(ერთპირიანი და ორპირიანიც) ზმნა II სერიაში ქვემდებარეს
მართავს როგორც მოთბრობითში, ისე (უფრო იშვიათად) სახე-
ლობითში; მაგალითად: ჯერ კიდევნ გატიალებული (გათენებული)
არ იყო, რომ ფირალემა წამოცვინდენ ზეზე... შერიფ-
ბეგმა რუსეთ მიემფხრო თურმინ.. მაგრამ: თავჯდუმა რე
საშროფში ჩეედა... შამუბრუნდა დედაბერი...⁴

¹ შდრ. ფშური ქვას-ქვეშ: ა. ლეკიაშვილი, ივრის-ხეური ფშური:
სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული, I. 1941, გვ. 169; არ. მარტირო-
სოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 132.

² შდრ. ვ. თოფური, ქართლური: არილი, გვ. 145; ე. მახარაძე-
შვილი, კახური დიალექტის თავისებურებანი: სტალინის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-14 სამეცნ. კონფერენციის მოხსენე-
ბათა თეზისები, 1952, გვ. 64.

³ მარცხ, იმერხ. ტექსტები... გვ. 64.

⁴ სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მსგავსი ფაქტები ძირი-
თადად დას. კილოებს ახასიათებს. ვ. თოფურიას აზრით, ეს მოვლენა მეგრულ
ნიადაგზე უნდა იყოს განვითარებული: „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა
ქართულში დიალექტების მიხედვით“: „ჩვენი მეცნიერება“, I, 1923, გვ. 120;
იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ქართლურში გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე იმ
შემთხვევაში გვევლინება მოთბრობითში, როცა მას გარდამავალი ზმნა მოსდევს:
ადგა კაცმა და ერთი შვილი დაიჭირა (ქართლური: არილი, გვ. 146); არნ. ჩი-
ქობავა მთიულურში მოთბრობითი ბრუნვის ხმაარების ისეთ შემთხვევებს ადახ-
ტურებს გარდაუვალ ზმნებთან, როდესაც შერთულს წინადადებაში ერთ სუბი-
ექტთან ორი ზმნაა, მათგან ერთი—გარდაუვალი, მეორე—გარდამავალი, იხ. მისი
მთიულურის თავისებურებანი... გვ. 55; შდრ. მ. ხუბუა დასახ. შრ., გვ. 20;
ჯ. ნოლაიდელი აღნიშნავს, რომ აქარულთან შედარებით ეს მოვლენა ქართ-
ლურში ცოტაოდენი ცვლილებითაა წარმოდგენილი; სახელდობრ, „გარდაუვალ
ზმნასთან მოთბრ. ბრუნვაში დაყენებული ქვემდებარე ქართლურშიც გვევლინება,
მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ქვემდებარეს გარდამავალი ზმნა მოსდევს (აქარა
დიალექტოლოგიურად, გვ. 20); ს. ქლენტი, გურული კალო, გვ. 69; შ. ძიძი-

ზოგჯერ დამატება ნაცვლად მიც. ბრუნვისა, სახელობითშია: მაგ.: შენ რანდა. მიხდე ჩემი დერდი... რეჯებავ, ებალვები რომ არ ასტავლე, ცოდვა შენ დეგედება კისერზე... მაგინი ვერ შევავნებთ... შდრ. თახსინამ მშატყვილა ხაზაჯნი...¹

„დაცხება“ ზმნასთან II სერიის ფორმასთან დამატება სახელობით ბრუნვაშია, ნაცვლად მიცემითი ბრუნვისა; მაგალითად: დუძახე, ბალვი და კარქა ცემე... ქოსამ თავის შვილიც აღნ დუძახა... დუძახა კაკანას დამკლელი და უთბრა...

იშვიათად, მაგრამ სამიოდე მაგალითს მაინც შევხვდით, როცა დამატება II სერიის ფორმასთან მოთხრობით ბრუნვაშია (ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი დამატება); მაგალითად: წისკვილი გატეხვაც მას დამბრალეს მეგემ და მანაც (ე. ი. ისიც) პასულგებაში მიცეს... ქალი სულ იწყევლებოდა, ღმერთმა არ ჩამეყუანა ყურბეთიდან მან (ის) სელაძეთით...

თავისებურებანი რთულ და კითხვით წინადადებებში

„რომელიც“ წევრ-კავშირის შემცველ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში ჩვეულებრივ წევრ-კავშირს მოსდევს მისათითებელი სახელი, რომელიც განსაზღვრულია მის მიერ; მაგ.: ზოდი, ამით გუმარჯოს იმ ნეფე-დედოფალს, რომელ ნეფე-დედოფალსაც გუდუწყვედიან ახალი ოჯახის შექმნა... ყოფილართი მონადირე, რომელმამონადირემაც ერთხელ...

კითხვით წინადადებაში აზრის სიზუსტისათვის ან ყურადღების გასამახვილებლად ადგილი აქვს წინადადების იმ წევრის განმეორებას, რომელსაც მთქმელი ხაზს უსვამს. განმეორებული სიტყვა-კი პოზიციურად ჩვეულებრივ ბოლოშია; მაგ. ძამლეთ მიდინარ ძამლეთ? აღარ გინდანან აღარ?²

გური, მესხური, ძიებანი... გვ. 144; არნ. ჩიქობავა ქვემდებარის მოთხ. ბრუნვაში დასმის ფაქტს ანალოგიად მიიჩნევს... ამ მოვლენას დადასტურებულად თვლის ცოცხალი თქმებიდან არა მარტო გარეკახურში, არამედ მთიულურსა, ფერეიდნულსა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვა კილო-თქმებში: იხ. მისი გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი. გვ. 74; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაი შვილი, კახური დიალექტი, გვ. 131.

¹ შდრ. მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 20.

² სავესებით ანალოგიური მდგომარეობაა მესხურში. შ. ძიძიგური ამ მოვლენის პარალელს პოულობს იმერხეულშიც და ნ. მარის მიერ ჩაწერილი იმერხეული ტექსტებიდან მოჰყავს ასეთი მაგალითი: დუუძახა, ჰასან-ფაშა მაკეროლდანი... ძიებანი..., გვ. 144; შდრ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაი შვილი, კახური დიალექტი, გვ. 131.

³ შდრ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაი შვილი, კახური დიალექტი, გვ. 134—135.

ორმაგი უარყოფა

გავრცელებულია ორმაგი უარყოფა: ¹ არ ვის არ მუხნდომე-ბია... იმხელა ქუა იყო, რომ ვერავინ ვერ წამოსწია... ავის არ ენდობოდა...

უფრო იშვიათია ცალმაგი უარყოფის შემთხვევები: ...მარა ვეფერი გეგო... შენ ვეფერ ხეარ მუტან კაც...

ადგილისა და დროის გარემოება

დროის გარემოების გამოსახატავად ხშირად იხმარება -ზე თანდებულიანი სახელი: ჩემ ახალგაზღობაში სამ დღეზე ჩევდოდი ბათუმ... ერთ მინუთზე წელ მეხსნი და მუალ... თი დროზე თაში წავალ... ხუთ დღეზე გათავდაი საწყალი... საღამოზენდა მოვდენ მეზობლებმა... ერთ თვეზე ადგება (აილება) ყანაგები... ამ დროზე ნეფემაკ გამობძანდა ხალხში...²

ასევე, დროის გამოსახატავად იხმარება სახელი „დრო“, მხოლოდ -ობა-თი ნაწარმოები: ამ დრობიხან იშიშლა ხმალი და... იმ დრობიხან ველარ მეათბინა ნესრეთი ხოჯამ...

დროის გარემოების გამოსახატავად გვაქვს ასეთი ფორმაც: ამ წახანება (ამ ბოლო დროს, ამ უკანასკნელ ხანებში) გვალვებმა შეწყდა.

ადგილისა და დროის გარემოება, რომელიც სალიტერატურო ქართულში -ში თანდებულიანი მიცემითითაა გამოხატული, აქ ამ თანდებულის გარეშე გვხვდება; მაგ.: თურქეთ წყალდიდობა ყოფილა, გეგევე?.. გაგზავნა ბაღდათ!.. ლურტას მიხვალ?.. ერთ სააცზე ევდა ხულას...³ უწინ შავშეთ წასლა ომ მუნდებოდენ, ერთ კვირას ენზადებოდენ...⁴

ადგილის გარემოების როლში გამოდის აგრეთვე -ზე და -ში თანდებულდართული ზმნიზედები აქში, მაქში, იქში; აგზე, მაგზე, იგზე.

¹ იხ. ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: წელიწდეული I—II 1923—1924, გვ. 114—115; არნ. ჩიქობავა ორმაგი უარყოფის გამომწვევ მიზეზად აღნიშნავს უარყოფის გაინტენსივების სურვილს, იხ. მისი გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 79; არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 56—57; ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 69.

² ასეთი მაგალითები გვხვდება იმერხეულშიც; მაგ.: ორმოც დღეზე დუღუნი შეითავეს, ნ. მარი, იმერხ. ტექსტები... გვ. 66; აგრეთვე კახურში, იხ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 79.

³ ადგილობრივი მკვიდრი ხულოს ხულას ეძახიან.

⁴ შდრ. ვ. თოფურია, ქართული: არილი, გვ. 145—146; ასეთი ფორმები აწასიათებს ქართული ენის მთის კილოებს (ა. შანიძე), დასავლურ დიალექტ-თაგან მთარაქულს (შ. ძიძიგური, ძიებანი... გვ. 184); მსგავსი შემთხვევები: არც იმერხეულისთვისაა უცხო; მაგ.: ჰასან-ფაშა იყო სილისტრას (ნ. მარი იმერხ. ტექსტები... გვ. 61).

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, -ზე და -ში თანდებულის გავრცელების არე ზემოაქარულში ფართოვდება: სახელებს გარდა ეს თანდებულები დაერთვის ზმნიზედებსაც და აწარმოებს ადგილის გარემოების ფორმებს, მაშინ როცა უთანდებულო ფორმებიც ნათლად გამოხატავენ სათანადო შინაარსს; მაგ.: შენ აქ ში ჩაბხყარე და მაქ ში მე ჩავბყარი... მა გ ზ ე დათაკრე ე შიშა... მა გ ზ ე მი ე ბ ე ქ ე და!..¹

ზემოაქარულში ხშირად გაიგონებთ „ზედან“ ზმნისართს; მაგ.: ზედან კალოზე დაყარა... იგი, როგორც გარკვეულია არ. მარტიროსოვის მიერ, განვითარებულია საშუალ ქართულში; ბოლოკიდური ნ-არი მიღებულია ნა-საგან².

დასავლური კილოების მსგავსად -ზე თანდებულდართული „რა“ კითხვითი ნაცვალსახელი გადმოგვცემს მიზეზის გარემოებას: რ ა ზ ე ნ და ვაწყენიო, რა დიმიშავა... რ ა ზ ე არ გევდა აქამდინ სამუშაერზე?..

ყურადღებას იპყრობს შესიტყვების ასეთი კონსტრუქცია: სოფლი-სოფელ, ტყისი-მტყე, სირთი-სირთ. ეს გამოთქმები ნიშნავს სოფლიდან სოფელში, ტყიდან ტყემდე, მთიდან მთამდე.

წინადადებებში: სოფლი-სოფელ რომ დგეთრევი, ფერიშანი (მაწანწალა) ხომ არა ხარ!.. ხალხ ომ არ დგენახა, ფირალეები ტყისი-მტყე გადმოსულიყვენ... კვალზე შევატყევთ, რომ დათვი სირთი-სირთ გადასულიყო...

„სირთი სირთზე მივდიოდი.

მივდენიდი ჩიტებსაო,

გოგუები მეხვეწება,

ჩამახუტე ბიჭებსაო“

(ჯ. ნოლაიდელი.... 1936, 137).

ძვ. ქართულში ამ ფორმებს შეესატყვისება ქამითი ქამად, დლითი დლედ, ქალაქითი ქალაქად³.

ზემოაქარულში ხსენებულ მაგალითებში პირველი სიტყვის ბოლოს ხმარებული ე-ნი იგივე უნდა იყოს, რაც ძვ. ქართულის -ითი სუფიქსის ბოლოკიდური ხმოვანი.

ჩვენს მაგალითებში აღნიშნული ხმოვანი ხან ფუძეს დაერთვის და კუმშავს (სოფლი-სოფელ, სირთი-სირთ); ხან კი ნათ. ბრუნვაში დასმულ სახელს (ტყისი-მტყე); გამოთქმის მეორე ნაწილი ფუძის

¹ შდრ. იმერხ: გეუდა გა დ მ ა ზ ე (ნ. მარი, ტექსტები... გვ. 67).

² არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 213.

³ ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწადული. I—II, ტფილისი, 1923—1924 წ., გვ. 4—5: И. Марр. Грамматика древнелитературного груз. языка, 1925. стр. 21—22.

სახითაა წარმოდგენილი. ძვ. ქართულში კი მიმართულებითი ბრუნვა გვაქვს (დღითი დღედ).

ხინტაქსური კალკი

ზემოაქარულში აღსანიშნავია თურქული ენისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ფრაზა, რომლებშიაც პრედიკატული წევრი ყოველთვის ქართული ზმნითაა გადმოცემული; მაგალითად: მე შვერეთი ვქნათ! (შდრ. თურქ. mesveret yapak! 'მოვითათბიროთ! მოვილაპარაკოთ')... აღდი გავქრათ! (შდრ. თურქ. ahit kesek! 'ჯვარი დაეწეროთ!')...

ასეთივე მაგალითები დადასტურებულია სხვა ქართულ დიალექტებში: ფერეიდნულსა და იმერხეულში. არნ. ჩიქობავა ფერეიდნულის მიმოხილვაში აღნიშნავს: „განსაკუთრებით ჩანს სპარსული ზეგავლენა ფრაზების წარმოებაში, ხან სპარსული და ქართული სიტყვა კმნის ფრაზას, ხან ქართული ან არასპარსული სიტყვებია აღებული, მაგრამ ფრაზა მაინც სპარსულ ყაიდაზეა გამართული: ვაქრობა ვქნათ (= ვივაქროთ);¹

მსგავს შემთხვევებს ვხვდებით იმერხეულში; მაგალითად: ახთი უყო (= ჯვარი დასწერა — შ. ნ.), ჩირალი ქნა (= ააშენა, ააყვავა — შ. ნ.).²

მ ა ხ ვ ი ლ ი

მახვილისა და ინტონაციის შესახებ სპეციალური კვლევის გარეშე. ამონწურავი პასუხის გაცემა ძნელია. მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება აღინიშნოს ზემოაქარულში მახვილთან დაკავშირებული ერთი თავისებურება. კითხვით წინადადებაში, როგორც წესი, მახვილი უკანასკნელ მარცვალზე კი არ მოდის, არამედ იგი ბოლოდან მეორე მარცვალზე უწევს³. მაგალითად:

— ჯემალავ, დღე ბათუმ ვერ წამოხვალ, კო?

— ბაღვებო, თელი დღია რომ დგეთრევით სოხახეფში (შუკა), საქმე აღარ გქნენ?

— შენ გაპყებბ თუ?

¹ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 218.

² ნ. მარი, იმერხ. ტექსტები... გვ. 58, 61 და სხვ.

³ შდრ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 131; არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში: საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 1942: ს. ჟღენტრი, ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის ძირითადი საკითხები (ექსპერიმენტული გამოკვლევა): იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 136; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, გვ. 65.

ზემოაჭარლის ურთიერთობა ქვემოაჭარლთან

აღნიშნული საკითხი სპეციალურად აქვს შესწავლილი ჯ. ნო-
ლაი დელს (იხ. მისი აქარული კილოს თავისებურებანი: ბათუმის
სამასწავლებლო ინსტიტუტის შრ. კრებული, 1941, გვ. 134); იგი
მიუთითებს ზემოაჭარლისათვის დამახასიათებელ რამდენიმე თავი-
სებურებას. სახელდობრ:

1. მთის აქარულში დაცულია უკანანისმიერი, ყელისმიერი
ბგერები, ბარის აქარულში კი ისინი წინ არიან წამოწეული.

2. შავშური და ახალციხური მეტყველების გავლენით მთის
აქარულში ზმნებში უფრო გავრცელებულია -ენ სუფიქსი ენ-ის
გვერდით, ხოლო ბარის აქარულში -ენ სუფიქსია გაბატონებული.

3. მთის აქარულში ინტონაცია მკვეთრად გამოხატულია, ბარი-
საში კი - არა.

4. მთის აქარულში მო-წინდებულთან „ვიდა“ ზმნაში ზოგიერთ-
გან (შუახვევი, მერისი) ფუძისეული ვ იკარგება (მოვიდა > მოიდა).

5. სახელობითში ბრუნვის ნიშანს ი-ს მთის აქარულში ზოგან
უკვე გავლენა მოუხდენია და ფუძე შეუკუმშავს ურემი > ურმი,
ლრუბელი > ღრუბლი და სხვ.

6. მთის აქარულში კრებითი სახელი — ქვემდებარე აზრის
მიხედვით ითანხმებს შემასმენელს მრავლობით რიცხვში, ხოლო
ბარისაში პირიქით, — კრებით სახელ-ქვემდებარესთან შემასმენელი
ფორმითაა შეთანხმებული.

ზემოაღნიშნულს შემდეგი უნდა დაეხსინოთ.

ა) ბგერითი შემადგენლობის თვალსაზრისით ზემოაჭარულსა
და ქვემოაჭარულს შორის არაა არსებითი განსხვავება. ოღონდ
ეს კია. რომ ზემოაჭარულში ჰ ბგერა უფრო ხშირად იხმარება;
უცხოური (უმთავრესად თურქულ-არაბული) წარმოშობის სიტყვები
აქ უფრო ინარჩუნებენ ჰ ბგერას.

ბ) ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაცია ზემოაჭარულში
უფრო სუსტადაა განვითარებული, ვიდრე ქვემოაჭარულში, კერძოდ,
ქობულურ მეტყველებაში.

გ) ნაწილობრივი ასიმილაცია („ლოუწერს“ ტიპის) უფრო ზემო-
აჭარულისთვისაა ნიშანდობლივი.

დ) ზემოაჭარულში ხმოვანფუძიან სახელთა ბოლოს ჟ უფრო
იშვიათია. ვინემ ქვემოაჭარულში.

ე) -ღამ თანდებული დამახასიათებელია ზემოაჭარულისათვის,
ქვემოაჭარულში იგი არ შეინიშნება.

ვ) ზემოაჭარულში ოკ-ის ნიშანი დასტურდება, მაშინ როდესაც
ქვემოაჭარულში იგი თითქმის გამქრალია.

ზ) გარდაუვალ ზმნასთან II სერიაში ქვემდებარე ჩვეულებრივ სახელობით ბრუნვაშია, უფრო იშვიათია მოთხრ. ბრუნვაში, ქვენო-აქარულში კი საწინააღმდეგო მდგომარეობა გვაქვს.

ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს აქარულ დიალექტში გამოვყოთ ორი კილოკაური ერთეული: ზემოაქარული და ქვემოაქარული.

ზემოაქარულის მიმართება ქართული ენის სხვა

ლიალეკაზთან

ზემოთ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებათა განხილვის დროს, ხაზს ვუსვამდით იმ მოვლენებს, რომლებიც ზემოაქარულს საერთო აქვს ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტთან. ამ შენიშვნებს რომ თავი მოვუყაროთ, მივიღებთ შემდეგს:

ზემოაქარული როგორც ბგერითი შედგენილობის, ასევე ფონეტიკურ მოვლენათა თვალსაზრისით ძირითადად უახლოვდება ქართული ენის როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებს. შეიძლება გამოიყოს ის მომენტები, როდესაც ზემოაქარული განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს მესხურთან და იმერხეულთან.

ამ მხრივ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. ზემოაქარულში გავრცელებული აღმავალი დიფთონგის განვიოარების წინა საფეხურის არსებობა მესხურ-ჯავახურსა და იმერხეულში.

2. სიტყვის შუაში ჟ-ს განვითარება (ბეჭრი; იმერხეული).

3. ერთმარცვლიან სახელთა წოდ. ბრუნვაში ო ხმოვნისაგან ჟ-ს მიღება (ქოჟი! იმერხეული).

4. პრეფერბ. ხმოვნებისა და ქცევის ნიშნის უ-ს ასიმილაცია (იმერხეული).

5. -ავ თემის ნიშნის რედუქცია (ნახვენ, ზიდვენ; იმერხეული).

6. სათავისო ქცევის ნიშნის რედუქცია (წევყვან; იმერხეული).

7. აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები (მესხური, იმერხეული).

8. ხმოვანფუძიან სახელთაგან ნაწარმოები მრ. რიცხვის ფორმები (თიები; მესხური, იმერხეული).

9. მოკლითაჲ, ჩუმათაღაჲ ტიპის ზმნისართთა წარმოება (იმერხეული).

10. გარდაუვალ ზმნაში მრ. რიცხვის III პირის ირ. ობიექტის წარმოდგენა -ენ სუფიქსით (ძინავდენ; იმერხეული).

11. კაუზატივის წარმოების წესი (იმერხეული).

ზემოაქარულს რიგი მოვლენები საერთო აქვს ქართული ენის დასავლურ დიალექტებთან. განსაკუთრებით გურულთან. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს შემდეგი:

1. ზემოაქარულისათვის დამახასიათებელი აღმავალი დიფთონგი ოკრიბულში (იმერული); აღმავალი დიფთონგის წინა საფეხური გურულში (დიეწერა).

2. სიტყვის შუაში ჟ-ს განვითარება (გურული).

3. პრევერბისეულ ხმოვანთა და ქცევის ნიშნის ჟ-ს ასიმილაცია (გუუკეთა).

4. პრევერბ. ხმოვნისა და ქცევის ნიშნის ნაწილობრივი ასიმილაცია (წეილო; გურულ-იმერული).

5. თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია (დასავლ. დიალექტები).

6. რედუქციის წესი (დას. დიალექტები).

7. მეტათეზისის შემთხვევები (გურული).

8. აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის წესი (გურული).

9. ხმოვანფუძიან სახელთაგან მრ. რიცხვის ფორმები (თიები; გურული).

10. -ვეთ თანდებული (ზემოიმერული).

11. S_2 და O_2 -ის ხმარების წესი (დასავლური დიალექტები, განსაკუთრებით გურული).

12. კავშ. II „მოხეილო“ ტიპისა (ზემოიმერული).

13. კაუზატივის წარმოება (გურულ-იმერული).

14. II სერიაში გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში ხმარების შემთხვევები (დასავლური დიალექტები).

ზემოაქარული გარკვეულ შემთხვევებში აღმოსავლურ დიალექტებთან იჩენს სიახლოვეს. მიუთითებთ შემდეგზე:

1. პრევერბ. ხმოვნისა და ჟ ქცევის ნიშნის სრული ასიმილაცია (გუუკეთა; გარეკახური).

2. ო ხმოვნის ასიმილაცია მ-სთან (რუმ, ხუმ; ინგილოური).

3. ხმოვანფუძიან სახელებთან ჯ-ს ხმარება (აღმოსავლ. დიალექტები).

4. -დამ თანდებულის ხმარება (რიგი აღმოს. დიალექტები).

5. ჩვენებითი ნაცვალსახელების ე, ი ფორმები (აღმოსავლური დიალექტები).

6. -აჟ თემის ნიშნის ხმოვნის ე-დ შეცვლა ნამყო უწყვეტელსა და კავშირებით პირველში (აღმოსავლური დიალექტები).

7. ცალკე მდგომ თანდებულებთან მიცემითი ბრუნვის ხმარება (ქვა ქვეშ; ქართლური, ფშაური, კახური).

ଠ ଗ ଢ ଳ ଠ ଗ ଢ ଳ

1. საკეთისთვინ სიკეთე ვის გუკეთებია?!

ერთ სოფლი თაჲში, შაშუაგულო ტყეში, უხსენებელი შამოხვევოდა გამხმარ ჩქოლას და იმხელაზე წივოდა. რომ, რაც იმ ტყეში სურაელი იყო, მონგროვილიყო გლიშამ და გველის სიცოდვათ ყველა ხეცები გულამომედარი ტიროდენ. 5

ერთი დღე მეგემ უხსენებელი ასულიყო ჩქოლაზე, გაწოლილიყო ხი წვერში და მუზეზე თფებოდა, ჰაც-ხანიდან ერთ კატას გვევლო ტყეში და ხი წვერზე ომ გველი დდენახა, ქვეშიდან ცეცხლი წვეკიდებია და თვითან წასულიყო თავის გზაზე. ცეცხლი თანდათან გაზდილიყო და გლიშამ ჩქო-

ლას მოდებოდა. ალაფი რომ ხი წვერანდინ ასულიყო, გველ შიში მგონე, არ დევწვაო, წივილი მდერთო. ამ წივილზე თელი ხეცები, წალანაც ვითხართ, მონგროვილიყენ და შორი-ახლო უყურებდენ. არ გასულა ცოტა ხანი, რომ ერთმა მონ-

ადირე კაცმა გამეჲარა იმ გზაზე და იმანაც დუწყო ყურება გველის გაქირვებას. გველმა რომ დდენახა მონადირე, წაგძელა კისერი და დუწყო ამ კაც ხვეწნა: „ჰეჲ, კარქო კაცო, ჩვენ ადამიდევებიდან ერთმანების ტერები ვართ, მარა ერთი სულ-

გძელობა გამეჲჩინე და გადამარჩინე ცოცხლათაჲ ამ ცეცხლში დაწვას, შენ ეღლუგს (სიკეთეს) არ დევიწყებ და თელ ჩემ სიცოცხლეში უფასოთ გემსახურებიო“. მონადირემ იფიშ-

მანა, იფიშმანა და ბოლოს გადაწყვიდა: „მოჲ ამ გველ სიკეთეს გუკეთეჲ და, ვნახოთ, რაფერ მიზლავს მემრენო“. ეღლო ამ კაცმა ერთი ქოკი, გუწვადა გველ და შვიდობიანათ გამეჲ-

ყუანა ცეცხლიდან. რაჲარც რომ გველმა თავი გედეჲჩინა, იმ მინუჩი დნბიწყდა მიცემული პირობა. კაც კისერზე შამეხხვია მაგრათ და დუწყო ჩობა. მოდგა და არჩოფს ამ კაც ე გველი. ამ ხანაჲ გზათ გამეჲარა ერთმა ხნიერმა ხარმა და ეს რომ დდენახა, არც კი გაკვირვებია, გუყვა და წევდა თავის გზაზე. კაცმა რომ დდენახა ხარი, შანუბრუნდა და

დუწყო სვეწნა: „ჰეჲ ქათიწალავ, კეთილო ხარო, შეჩერდი ერთწამალაჲ, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, რაფერ უდანა-შაჲლოთ მარჩოფს ე გველი, მე სიკეთი გუწვიე და ეს სიკ-დილიო მემუქრება, მოჲ და შენ გაგვასამართლე, ვინც მარ-

- თალია -- გამართლე, ვინც ტყუანია -- გამტყუნევო“. ეს რომ გეგგონა გველმა, მუბრუნდა მონადირეს და უთხრა: „მე თანაყმა ვარ, გვისუღოს ხარმა, მარა შენ მაძეც აფერი გამოგეია ანით, მე მაძეც გაემართლებიო“.
- 5 ხარმა ბოლოს უსუდა ამათ და გამართლა გველი. უთხრა. რომ მე ოზდნთ წელწაც ჩემ პატრონ ვემსახურებოდი ერთგულად, ოზდნთ წელწაც კისრიდან უღელი არ გადამძრობია და წუხელ უკანასკნელათ რომ ალაფი დიმიყარეს, ამ დროს ყური მოგვარ სახლიდან, ჩემმა პატრონმა ცოლ-შვილ უთხრა, რომ ხარი დიგვიბერდა,
- 10 უღელ ველარ წევს ძველებურათ, მისი ჩენა აღარ ღირს, ხვალ დილას, ძალომზე გამეყუწონონდა და დავკლავო. ასე დანპირა ჩემმა პატრონმა სამაგიეროს გადახთა, ასე დიმიფასა მან ჩემი ოზდნთი წლის ემექტრობა. ახლა ხომ გეგგენი, საწყალო კაცო, თუ რატონ არ გავამტყუნე გველიო. გველმა კიდვენ უმფო წუქირა კისერზე და პაწაჲ დუჯლდა კაცის დარჩობას,
- 15 რომ ამ დროს უცფათაჲ ბუჩქებიდან ერთი გძელკუდაჲ მელა გამოხტა და დუწყო ამათ ყურება. ამ კაც მელას უმუდი სულაც არ ქონდა, მარა მეტი ოა ჩარე ქონდა, დუწყო იმაჰაც ხეეწნა: -- „მელავ, ჩემო ძვირფასო მელავ, ერთი შეხეეწნა
- 20 მაქ და შენ იცი, რაფერ დემეხბარები, შენ სიკეთეს არ დეგბიწყეფ, ხუმ ხედავ რა დგომძარობაში ვარ, მოჲ და გაგვასამართლე: ჩვენ ორ-შუა გასამტყუნარი გამტყუნე, ნართალი -- გამართლეო“. მელამ ამეადღვა კუდი ღლიაში, დაედა ერთ კოკოკა ქვაზე სუდიფით და დეგწყო გასამართლება. იქვენ
- 25 ახლო რაც ომ ხეცები იყო, თითეწულათ გამეძახხა, დაჰკითხა ყველას ამ საქმეზე, ბოლოს მუბრუნდა გველს და უთხრა: „ჰიდამდი შენ გიძევედე, ჩამოჲ მაგ კაცის კისრიდან და დიმიყურადე, რას გეტყვი, როჲს იყო, რომ სუდია დაბლა მედარიყოს და მომჩივანი მალლაზეო“. გველმა მელას შედთნობას
- 30 ვერ გუგო, ჩამოხტა კაცის კისრიდან და დუღინგლა მელას. ამ დროს მელამ ჩუკრა თვალი კაც და ანიშნა, რომ, წაწიკვე თავი მაგ გველს, თავის გადარჩენა თუ გინდაეო. კაც მაძეც შედეკოდვა გველი და ვერ მუხახერხა მისი მოკლა. ამ დროს გადმოხტა მელამ და თვალის დახამხამებაზე გველს წაძრო.
- 35 თავი.

არ გასულა ერთი კვირა. რომ იმავე ტყეში ერთი დღე გამოსულა ის მელას გადარჩენილი მონადირე და თელი დღჲა რომ ვეფერი უნადირია და ხელცაფელი შინ ბრუნდებოდა, ამ დროს მის წინ გამოხტა ის მელაჲ ბუჩქებიდან და სირ-

ბილით გუდუბრბინა წინ მონადირეს. კაც მიეწონა მელას კუდი, იფიქრა, სტორედ ჩემ ქალ დაშენდება კისერზე ეს კუდივო, ჩუქდა ჩასტალში, ბათქ და მიცა და მოკლა მელაჲ. ასთე გუდუბნადა სამაგიერო მონადირემ გძელკუდა მელას. სტორეთ ამაზეა ნათქვამი: „სიკეთისთვინ სიკეთე ვის გუდუბნადაივო?!“ 5

სოფ. ქიძინიძეები (შუახვეის რ.),
გოგიტიძე მუსტაფ (95 წლისა)

2. ნახიზნი

ძველათ ყოფილა ერთი თავზე ხელაღებული კაცი ქელოლლანი, ხალხ ამწვალებდა, გზაფეში გზავრეთ ქუსევედა, ზოგჯელაც დამეცემოდა აქაჭრელეთ, ჩენი სოფლის ლამაზ-ლამაზ გოგუთეფ გეატაცებდა და გედემაქარქვოდა. 10

ერთ დღეს ქელოლლანის გამზრახუა წინდაწინეფ გუგიანი, ხალხი ქალ-ბაღვიანა გახიზნულან სოფლის მიღმა ერთ ყუდრო ალიგზე და იქ დუწყიან ცხოვრობა. მას მენრენ იმ ადგილ დამერქვა ნახიზნი. 15

სოფ. კვანა,
ა. ბოლქვაძე (75 წლისა)

3. სიმღერა სრეყარულზე

წუხელის სიმძარში გნახე, გათენდა და დიგინახე; 20
დილათ კარში გამობძანდი, ნაწნები გადმოგეყარა,
ათი თითი-ბროლი ხელი წმინდა წელზე დეგეყარა,
თეთრი ლოყა ვარდისფერი, ზეთ შექერი მიგეყარა.
ერთი ლექსი მოგახსენო, აგერ მალლა ზეგნიდამა,
გამჩენელო, შიმიბრალე—უნდა მოვკდე დერდიდანა. 25
იგი ხალხმა რა იციან, არ მეტყობა გარედანა,
შიან გული დამწვარი მაქ ლამახების სევიდინა.
უმფო-უმფო ლამახდები, უნდა დასწვა ეს კვეყანა,
შემშალე და გადამრიე, გამომიყვანე კკვიდანა.
ვერა დოხტური მომარჩენს — ვერათერი წამლიდანა, 30
ჩემი დამხსნელი იქნები, ურთი მოხვიდო ჩემთანა.
წუხელის სიმძარში გნახე, გათენდა და დიგინახე;
დილათ კარში გამობძანდი, ნაწნები გადმოგეყარა,
ათი თითი—ბროლი ხელი წმინდა წელზე დეგეყარა,
თეთრი ლოყა ვარდისფერი, ზეთ შექერი მიგეყარა, 35
წიგინის წერვა დევეწყევი, დერი მქონდა გუნებაში.
როცხა რომ ვიყავი სახში, მეზობლეთსაც შუუყვარდი.
სამა-სიმღერა მიყვარდა, ლამაზ გოგეფში თამაში,
აირზე მეტათ წამოვსივდი ხენწითის პური კამაში.

ხულო, 40
მ. ბოლქვაძე (67 წლისა)

ჩვენში ძველათ ერთი ხუმბარა კაცი ყოფილა მეგენ. გამო-
სულა ე კაცი ერთი დღე ხალხში და დუტრაბახეზია: „მე ში-
ნიძლია გამეცნა ყველანაირი ღვინო. რომელ სოფელშიცაა
დაყენებულიყო“.

- 5 ჩურქსუხ (ახლა ომ ქობულეთ ედახიან, იმა ძველათ ჩუ-
რუქსუ ვერქვა) ჩუმჩუმათაჲ ზოგიერთები ღვინოს აყენებდენ.
თურმი. იქ უწინ ყოფილა სოფლები: ფესათური, გეჯათური
და ჩაქვითაური. ამ ხანაჲ ერთი ქობულეთელი კაცი ყოფილა
სტუმრათ ჩვენში და ხუმბარი კაცის სიტყვა ომ მუშსმენია;
10 ძალთან დაიმტერესებულა და უთქვამს, რომ მე გადმევტან
ქობულეთიდან ერთ ბოთლ ღვინოს და აბა გამეცნას ამ
კაცმაჲო. ანდგარა ეს ქობულეთელი სტუმბარი, ერთი სტიქანი
ღვინო უღია სოფ. ფესათურიდან, ერთი — გეჯათურიდან,
ერთიც — ჩაქვისთაურიდან, გუდუტრეჲია ერთმანეთში და ერთ
15 ბოთში ჩუხსხამს: „აბა, გამეცან, რომელი სოფლის ღვი-
ნოაჲო?“.

ამ ხუმბარას ჯაზი-ნენესავეთ ყველამფერი ტოჩნათ გამ-
უცნია და უთქვამს: „ეს ღვინო ფერათ-ფესათურია, გემოთ —
გეჯათური და სიმეჲავით — ჩაქვითაურიო“.

- 20 გაკვირვებულ მეზობლეთ ვითომც შეკატშირებული იყენ,
ისე ერთათ შუძახნიან: „მოგიწერე ხელი, კაცი შენ ყოფილ-
ხარო“.

სოფ. წაბლანა (შუახევის რ.),
ჯივან ბერიძე (100 წლისა)

4. სოფ. ნიგაზეულის ერთ ოჯახში

- 25 ხულას ძველ დროში ერთი გლაჲა იედა, ახლა ომ ამას-
კომია, იმ სახში. თქვენ ჰელბეთ იპიც გაგონილი გექნებიან,
იმ სახლში უწინ ხემშია'მვილები მცსოვრობდენ. ის სახლი
ჯემალ-ბეგმა ხალხ აშენებია თურმის.

- ბათუმიდან იქნებოდა, თუ თიფლისიდან კაცი დეჲძრე-
30 ბოდა — ჯემალბეგთანდა გამომცხადებულყო.

- ერთ დღეს ბათუმის გლაჲა წამოსულა. ხულაში; ბათუმიდან
რომ დიდი კაცი წამოვდოდა. წინდაწინ კოლაუზი დაწინა-
ჴდებოდა, ხალხ გაფთხილებდა, რომ დიდი კაცი მჴა და-
იქეთ-აქეთ მინეჲწინითო. ეს კოლაუზი ფოშტას მოყვებოდა.
35 წინდაწინ ბათუმის ფოშტა გადმოცემდა აჲარიწყალს, აჲარი-
წყალი — ქედას, ქედა — ხიჲატს, ხიჲატური — ძამლეთ, ძამლეთი
ბოლოს ხულას აცნობებდა, რომ დიდი კაცი მოდისო. ჰო-და,
იმა ვამბობდი, წამოსულა ერთი დღე ფაჲთონით დიდი კაცი

ხულისაკენ. ხალხი იმ ალიგეფში, ჰაცხან რომ ფოშტა იყო, ქუქკლებოდა და დიდ კაც ეგებებოდა. ძამლეთ რომ მიაწია გლავამ, იმდენი ხალხი გედგებოგა გზაში, რომ იძულეებული გახდა ი კაცი გზათ შეჩერებულყო. ყველას რაცხა საჩივარი ქონდა: ზოგ გადასახადებზე, ზოგ ფირალებზე, ზოგ ქუსა- 5 ვებზე და ვინ მოთლის, ვინ რა გაქირვებაზე თხოვდა გლავას. წინ წამოსულ კოლაუზ ხელში მოკლეთარიანი ბაირალი ექირა და იმით ანიშნებდა ხალხ, რომ გზა დეეცალათ. ძამლეთ რომ ამოვდა, ხუთასი კაცი გგებოგა წინ და ზემთ აღარ უშვებდა. ბოლოხან ი გლავა იძულეებული გახდა ხალხ შელა- 10 ვათი დაპირებოდა. ბევრმა იპიც კი არ იცოდა, რომ უმფოსი ატყვილებდა, მარა რა ჩარე ქონდა ხალხ, რა უნდა ექნა; პლოტიკაში მას ვინ აჯობებდა: ხულას რომ ევდოდა, წინა კაცეფ მუქუქკაედა თავს — ზოგ დწმინებდა, ზოგ რაცხეფ დაჰპირდებოდა და ამ წინა კაცების საშუალობით ხალხი 15 ღვედივინ მოთოკვილი ყავდა.

შენ ახალგაზღა ხარ და რა მოგსტრია, მარა ამხელა ნას-ტავლი რომ ბძანდები, ისტორაეფში წაკითხული გექნება — უწინ ხალხი ვეხშივით ვმცხოვრობდით. ჩვენ ვინ კვკითხავდა 20 თავრობის არჩევას, დეპუტატების არჩევას. ახლა ომ არჩე- ნები მოახლოვდება, 2—3 თვით აღრე გვაფთხილებენ, თუ რაფერდა მივკეთ ხმა დეპუტატეფ. გვინდა მიეცემთ ხმას და გვინდა არა. ვინ გვიყურეფს. ძალჭანაც რომ მედნდუმონ, ვინ გეგეფს, ვინ მიცა ხმა დეპუტატ და ვინ არა; აშიქარეთ რომ იყოს, შედწლება კაც დეებათროს ვინნესი, ან შდწმინოს. 25 ახლა არჩევნები ისეა მოწყობილი, რომ ყველას უფლება აქ. ვინც უნდა, ის ეაჩოს.

ეგგერ გაღმა რომ მაღალი ქვის ყორე მოჩანს, ხომ ხედავ, იმ ადგილ უწინ ხემშიაშვილების ციხე იყო. ხემშიაშვილეფ 30 იმხელა ძალა ქონდენ, რომ სულთანს კლავს უწვადებდენ. სტამბოლიდან ოსმალობი დროს სულთანს ფერმანი გამწუგ-ზავნია ხემშიაშვილზე, რუსების წინამდექე ჯარის გამოსაყვანათ, მარა ხემშიაშვილს ბძანება არ შუმსრულებია და სულ-თანისთვინ წიგინი გუგზანია: „რუსეფ მე არ ვებძვიო“. 35

ეს ციხე ხემშიაშვილებმა ხალხის ზრუგით წმენეს თურმი. მარტო ციმენდი შედყიდდეს თავის ფულით, ციხეს კურგომ დარბაზნები ქონდა შამოყოლებული, სოფელმა რომ ჯამე

გაკეთა ნაციხვარზე, ბინი ქუჩეში უვარებელი ყურუმები, იარალის კინები, ბომბები ამჭაჩინეს თურმი. ძველები იტყოდნენ, რომ ციხისძირში ხემშიაშვილეთ დიდი ჯეთხანა ქონდნო. მე ისიც გიმიგონია, ცოცოტა ჯარიც ყავდნო.

- 5 თქვენ გაგონილი გექნებიან სელიმ-ფაშის ამბავი. სელიმ-ფაშა აბდულბეგის შვილი იყო. სელიმი ძალთან კევიანი და გამხერხო კაცი ყოფილა. ჯერ ბეგობა მუგდია ხელში და შემრენ ისე დაწინაურებულა, რომ ფაშაც გამხდარა. ის სულთანს კლავს უწდიდა. სელიმ-ფაშას და არდაჰანის ერთ ბეგ
- 10 დიდი უყმაყოფილობა მოსლიან ქალის საქმეზე. თურმი არდაჰანის ბეგ სელიმ-ბეგის ცოლი გონჯათ უხსენებია. ამაზე განჯავრებულა, უკიდა სილაჰი და არდაჰანში წასულა თავის ჯარით. ბეგისთვინ თავი მუქრია და ცოლები წურთმეგია. ბეგის შვილეთ ეს ანბავი სულთანისთვინ დუბეზლებიან. სულ-
- 15 თანი ამაზე ძალიან განჯავრებულა. ერთი თურქი ფაშისთვინ ჩუბარებია ათი ათასი ასკერი და ფერმანით გამუგზანია სელიმ-ფაშის დასაჭირავათ და თავის მოსაჭრელათ. ეს დროზე შუტყვია სელიმ-ფაშას, მუქუქკავს 400 შესილაჰული კაცისთვინ თავი და ხირხათის ციხეში გამაგრებულა. ცოლ-
- 20 შვილიც თან წუყვანია. ციხეში სამი თვის ერზაყი თან წუღია. ამხანშიც ისტამბოლიდან ფაშა მოსულა ათი ათასი ასკერით. გამარათულა დიდი ჩხუბი. დითხან სელიმ-ფაშა არ დანებებულა, ბოლოხან ციხიდან ვინცხა ჩაშუტი გამოჰარულა, ციხის კარი უჩუმარად გუღია და ტერი შესულა ციხეში. სელიმ-ფა-
- 25 შას გუშმცხადებია, რომ ჰიდამდინ ჩაგბარდებოდეთ, 2 საათი მადრუეთ, რომ ცოლშვილ დევემშვიდობოო. სელიმ-ფაშა შესულა ცოლ-შვილთან და გუშმცხადებია ცოლებისთვინ, რომ ოქროშლობა ჩანაბარეთო. ცოლეთ ეგონენ, ფაშა ჰელბეთ კევიდან შეშალაო. მაშინ სელიმ-ფაშას უთხრობია, რომ ტერს
- 30 რომ ჩავბარდები და ჯიფეთ გიმიჩხრიკავს და ვეფერს ვერ ნახავს, ხომ შამაგინეთ ერთ მაგრაათო!.. სელიმ-ფაშას თავი მოშკრეს და სულთანს გუგზანეს ფეშქეშათ. სულთანს ისე მოსწონებია, რომ სელიმ-ფაშის მკლელისთვინ სიკდილი მუშგია. ამბობენ, სელიმ-ფაშის თავი ისტამბოლშია დამარ-
- 35 ხულიო.

შარვაშიძეები ქედის ბეგებეთ ითლებოდნენ. დიდი ქონარე ხალხი არ იყნენ, მარა ხალხ აშინებდნენ, უფლებები დიდი ქონდნენ.

რუსმა რომ თურქი გარეკა და თავის ჯარი შამშუშვა ხულისა და ქედის მაზრეფში, ამ დრობიხან შარვაშიძეებმა ხალხი მჭამზადეს ქედასთან ახლოს ჯარზე დასახვენდრათ. ჯარს შაკმელ-სასმელით შეხდენ და ცხენეფ—თივით. რუსის ჯარ ხალხი სამა-სიმღერიოთ შეხდენ თურმის. ახალ თავრობას ეს ძალტუან გუშარდა და შარვაშიძეები ჩინებით დნჯილდტეს. ამ გზით შემნარჩუნეს შარვაშიძეებმა ბეგობა. ყველაზე კკვიანი ბეგი იყო თუფან-ბეგი. რუსის თავრობამ ის ქედის გლავეათ დანიშნა თურმი.

5

სანჯალ-ბეგეები ბათუმის ბეგეები იყენ. მათი ძველები აქარიწყალზე ცხოვრობდენ. ეს ბეგეები ძალიან ზალუმი იყვენ ხალხისთინ. მათში ნასტაელებიც ერიენ. სანჯალ-ბეგეფ დიდი უფლებები ქონდენ. აქარიწყალიდან ბოლოს ისინი ბათუმ გადასულან და დიდი სიმდიდრე შუქენიან. ეს ბეგეები მგონია ახლა აბაშიძეებათ იწერებთან, მარა აბაშიძეები ძველეთს არ გავან, ესენი უმეთო კაჲ ხალხი მოჩანან.

10

მ. კეკელიძე (70 წლისა)

ძველებურ სახლეთში ყველა ოდას ცალკე-ცალკე ქონდა ოჯალები გაკეთებული. ოჯალში, ჰაცხან ომ ცეცხლი ენთებოდა, ერთ კუთხეს ქვა-ქვაშშუა შურქობდენ ღამეში კვარ და ღამბის ადგილზე კვარი ასინათებდა ოდას, ყახაღი აგერ ახლა შამოვდა რუსების დროს. თუ ცოტა შეძლებულათ ცხოვრობდა კაცი — პაწაჲ ქონიარე იყო, ის სტუმარ მუმ დტუნთებდა. მუმი შანღამეფში იყო ჩადებული, სოფელში 2—3 კაც შდეძლო სტუმრისთინ რომ ღამე გმთევია. სტუმარი რომ დეყენებია კაც, შეიძლება შაკმელი ეპოვნა, მარა დასაგები ლოგინი არ ქონდა.

20

25

პაწა სუფრას ფეშუმ ეტყვიან, თუ ძვირფასი სტუმარი იყო, ფეშუმზე სინს დადებდენ და იგზე დტწყობდენ შაკმელ. ჰადაც რომ შაკმელა კეთდება, იმა სამზად ოდას ვეტყვიოთ. კამის წინ სტუმარს ლეგენს მტრანებენ, თიბილ წყალ, და ხელ დნშენებებენ.

30

წინწინ გრანიცა რომ გახსნილი იყო, არღაჰან ვიცოდით წასლა. წევდოდით ცხენებით. ცხენეფ ავკიდევდით თუთუნ, ხილ და ჩვენ ფეხდაფეხ გავყვებოდით. ორ წონა სხალში 2 წონა ყველს ევლებდით. იქ ძალტუან ნაქები იყო საქონელი. კვერცხი გულივინ ძალი იცოდა არღაჰან.

35

ალაგობრივ ხალხი ღერობათ ცხოვრობდა. არდაჰანლები, შავშეთლები და ფოცხოვლები ძალუან ჩამორჩენილი ხალხია. ჩვენი კაცი თუ ცოტა გამხერხო იყო, ფართალ-ჩით-ამალიკასაც წეაღებდა. იქაუ ხალხ ფართალი ენატრებოდა. ეს კიდვენ უმფო დიდ მოსაგეფ დაჰტეფდა. იქაურელები ქერი პურ შჰამდენ, ფალაჰა პური არ იციან. ფალაჰა პურს ჩვენ წამოსუქებულ პურ ვეტყვით.

10 არდაჰან ტყეები შორა. იქ სულ ტყალი მინდრები და ქალები იცის. ერთ პაწკ შიშას ვერ ნახავ. ეაღებენ საქონლის ახფუნ, შიან ბზეს გურევენ, მემრენ ფებით მოზელვენ კარქა, გაბტყელებენ და გუფენენ ბზეზე, ზაფხულის სიცხეში ისე განმება, რომ კინაწალდასავენ გამაგდება. ერთი კედრით რომ განმება, მერე კედრით გადაბრუნებენ. ამას ეტყვიან თეზეგ: მემრენ შეთაკრავენ ენგურასავენ და თელ ზამთარ იმა წეავენ. 15 იმით აკეთებენ შაჰმელ, პურს აცხოვენ. წვიტი ფურნეები აქ ყველა ოჯალშია და იმაში აცხოვენ; ვინცხა რომ შეძლებულია, კად მცხოვრებელი, ის შიშას შავშეთიდან ნჰატანიფეს და ფალაჰა პურს აცხოფს.

20 უკან რომ დაგბრუნდებოდით არდაჰანიდან, გზაში ყველთვინ შიში ქვქონდა, ქუცავეფ არ გაექუცენ; აქიდანაც საშიში იყო გზავრობა. ფულ თუ ვერ გვიპოვდენ, თუთუნ, ხილ წავგვართვამდენ. ქუცავებათ ჩობნები გამოდიოდენ. თუ გუძალუანდებოდით, დაჰკრავდენ დანას ქვირთ, გაჰჭრიდენ და იძულვებელი გავხდებოდით გვენხადა ქვირთები. 25 შეთშიც ვარ ნამყოფი. შავშები პირათ შავი ხალხია. ძალუან გლახათ არიან ჩაცმული. შავშეთლები ქართულათ ლაპარიკობენ, მარა ზოგიერთ სოფელში ქართული გადაბიწყებული აქვან. შავშეთ ჭად ასე აცხოვენ: განურევენ ორ კეც, ერთ კეცზე ჭათ (მქადს) დაკრავენ, მერეს დამფხობენ ზედან და 30 ხელათ გამოწიწინდება ჭადი. ზოგან პური იციან, ზოგან ჭადი. საბლები რაცხაფერ აქაურია, იქაც იმფერია, მარა სისუფთავე არ იციან.

სოფ. ნიგაზეული (შუახვეის რ.),

შ. კეკელიძე (75 წლისა)

35 5. სოფ. მოფრინეთში (შუახვეი)

თურქების დროზე ჩუნში ერთი დიდი გმირი კაცი ყოფილა. ხალხი მას არსენასავეთ აფასებდა. ამ გმირ კაც ქორხუსეინ ბეგს უძახდენ. თურქების დროს ხალხი ძალუან შეწუ-

ხებულათ ცხოვრობდა. თითო სოფელში თითო მუხტარი (მამასახლისი) იყო დანიშნული. მუხტარის საქმე იყო გადასახადების აჭუჭკვა ხალხიდან. ხალხი გადასახადზე ვერ უთავდებოდა და სული ყაში ქონდა ამოსული. ამ დროზე გაძროსულა ქორ-ხუსეინ ბეგი, შუდგენია შესილაჰული ხალხიზგან რაზმი და თავრობისთვინ გუმცხადებია, რომ ხალს დღეიდან გადასახადი აღარ გადაზდვეიოვო. ქორ-ხუსეინს იძხელა ძალა მშუპოვებია, რომ სულთანს კლავს უწდიდა თურში. მართლაც ხუთ წელწაც ხალს გადასახადი აღარ მშუცემია თავრობისთვინ.

სულთანს ხალხის დასაშინებლათ ოზდნთიათისი კაცი ჯარი გამშუგზანია აჰარაში თილათარ-ოღლის ხემძღვანელობით. ამ ჯარსა და ქორ-ხუსეინ ბეგის ჯარს შორის დიდი შეტაკება მომხდარა ქედის ახლოს, მოლოქნარასთან. აჰარლეთ თურქი ჯარი მშუმწყრევია ორ დიდ კილდეს შუა. თქვენ გეცოდინებიან ქედის ქვეათ -- სალორეთი ბოლოს რანაჰრი კილდებია. ჰოდა, იმა ვამბობდი, ქორ-ხუსეინის ჯარს მოლოქნარასთან ბეჭური თურქი გშეღეტია. ერთ თვეს ბძოლობდენ ეს ჯარები ერთმანეთში. ბოლოხან, თურქის ჯარი რომ გაქცევას აპირობდა, ამ დროს ქედის ერთ ბეგ--სეჰარულა სურმანიძეს უფუშტებია აჰარის ჯარისთვინ და მტერის ჯარი შშუშვია ქედაში. ბეგს კოლაუზები მშუცია თურქებისთვინ და მახუმცეთთან რომ თამარ მეფის ქვის ხილია, იმ ხიდზე გშუყვანია თურქი ჯარი. ნაწილი კი დარჩენილა ადგილზე. აჰარლები მემემწყრენ მოლოქნარასა და ქედაშ შუა თურქების ხელში. თვითან ქორ-ხუსეინს რამდენიმე შესილაჰული კაცით ძვილაჰ გუდურჩენია თავი და გამოქცეულა ხულაში. ბოლოს ისინიც დშუჭირვან თურქეთ, გულდუსახლებიან თურქეთ და იქ დშუშარჯვან. ამბობენ, თვით ქორ-ხუსეინი ტარალაჯზე ჩამშურჩვიანო.

ბ. ბერიძე (90 წლისა)

6. სოფ. ლაკლაკეთში (შუახვევი) 30

უწინ ჩვენში ოლქობა იცოდენ. ოლქობა აჯანყებას ქვია. სულ პირველი ვაჟენობა რომ იყო თურქეთსა და რუსეთ შუა, ამ დროზე აჰარის ზოგიერთი ბეგი თურქის ფხარეზე გადასულა, ხალხისთვინ უღალატებია და რუსების გარეკვა მშუთხოვნია, მარა ხალხში მომფხრეები ვერ უნახია. თლიანათ აჰარა, ზოგიერთი ბეგებები და აღებები ცდილობდენ აჰარა საქართველოს, რუსეთ შეერთებოდა. აჰარის საქართველოზე შეერთების მომფხრეები იყვენ შერიფ-ბეგ ხემშიაშვილი,

სირაძე ალი (ლორჯონიდან), გულშალა (სოფ. ნენიაძდან),
დურსუნ ძნელაძე და სხვ.

ხალხი აჯანყებულა, ბუნტი მუწყევია იმ ბეგების და
აღმების წინამდეკ, რომლებიც თურქეფ ემფხრობოდენ.
5 აზნაირ ბუნტს ოლქობას ეძახდენ.

ო. ბერიძე (100 წლისა)

7. სოფ. ბრილში (ქვანა)

ბათუმ წასლა უწინ ძალთან გაძნელებული იყო. ახლა ომ
წალმა-უკულმა დაშრიპინეთს მაშინაგები, ასე კ' არ იყო წინ-
10 წინ. მევილებდით ზრუქში აზულ და გუყვებოდით ფეხით.
3--4 დღე გზაში ვიყავთ. გზაში ომ დიგვილამდებოდა, ხანში
შუქკევიდით და ულოგინოთ, კედელზე მიბეჭებული გავათეფ-
დით ლამეს. თუ ვინმეს ცხენი ჰყავდა, აჰკიდევდა ჰვიროთ
ცხენს და თვითან ფეხით გაძიყვებოდა მას. გულაში აზულათ
15 ჩნლაგებდენ ქად. ყურუთ და მეგმფხობდენ ზრუქში. ბოლო-
ხან ფურლუნები და დელიჯნებიც შამოვდა. 2--3 კაცი შე-
კაჭშირდებოდა და ფურლუნით წელღებლა ჰვიროთ. გასაყიდათ
მიქქონდა ვაშლი, სხალი, ყართოფაჲ, ძალი-ყველი და სხვ.
იქიდან მაღლ-ყაზალ წაშევილებდით. ცოტა შეძლებული თუ
20 იქნებოდა ვინმე, ჩით-ამალიკას, ფართალსაც იყიდოდა. ყაზ-
ალის წამოსაღებათ ცხენიჰვიროთ ან ფურლუნ თენექას დავა-
კრევიდით და ბათუმ ჩასლამდე თენექის ხაკახუკით ყური გა-
მოკრუვიებული ქქონდა. ახლა ომ გლებთა სახლებია და
სუფთა გაჰკაღლებულ ლოგინში ტკიბილათ ვიძინეფთ, ასე კ'
25 არ იყო ძველათ! სოფლიერი ხალხი ბათუმში რომ ჩევდოდა,
ლამეს ათევდა ხანში. სულ 2 ხანი იყო: დემურ-ოღლის და
ქუქულ-ოღლის. ხანში რომ ადგილი არ დარჩებოდა, ზოგი-
ერთი ცხენის კალოშნაში გათევედა ლამეს.

თენექაში ჩნსხმიდენ ყაზ-მალ; ანკისაზე რომ გამოვდოდენ,
30 იქ ბაჲ გადნხიღებდენ; ყაზ-მალზე გადასახალი იყო შამოლე-
ბული. პაწა ქალიღზე რაცხას წიგვიწერდენ, ვითამ ქვითარი.
ასე, ამ ჰალით მუაწევიდით სახში.

კალოშიანი კაცი რომ გეგარდა თოვლზე ან ტალახში და
35 კალოშის კვალი დჩინდებოდა, ხალხი იტყოდენ — ბეგს ან
ვინცხა დით (= დიდ) კაც გუვლია აქავო. ჩვენ ზამფხულში
ფეხშველაჲ ვიყავთ, ზამთარში კი ტოტრიელი ქალაბნები

გვეცვა. ან ჩილატნები. საშინაერო და საგარეელო ურუბა ჩვენი ერთი იყო. გვეცვა შინ და გარეთ ძიგვად შარვლები, მოკლე ჩოხები და შინ მოქსოვნილი ღაზლის ზანკლები.

თითო-ორი იარაღი ყველას ქონდა. ზოგ უამა ეკიდა. ზოგ — მართინი თოფი, ზოგ — ჩახალოზად, ზოგ — ბარდენად, ზოგ მაჭახელად თოფი, და სულ ომ აფერი ქონოდა, ბაბურთი დანა მაძც ქონდა გძელი ქარქაშით ჩამოკიდებული. 5

8. საკოლმეურნეო კრებაზე

სოფელ შუბნის „კოლშრომის“ კოლმეურნეობის კრებას გახსნილათ ვაძცხადეფ. 10

აფხანაგებო, გთხოვთ დნსახელოთ პრეზიდრუმის შემადგენლობა! უკაცრავლათ, გავსაზლოთ, რამდენი კაცის შემადგენლობით იყოს პრეზიდრუმი, ვის აქ წინადადება?

— პრეზიდრუმი ევჩაოთ 5 კაცის შემადგენლობით.

— ვინა მომფხრე, რომ პრეზიდრუმში არჩეული იქნას 5 კაცი? 15

— წინამდები?

— არავინ.

— ქთხოვთ დნსახელოთ!

— ბოლქვაძე გენადი, ფუტკარაძე ლევან, ბაკურიძე ჯელალ, ებრალიძე ნახიმ და ფუტკარაძე ხესრეთალი. 20

— კენჭ ერთათ ვუყრი!

— ქთხოვთ დეაკავოთ თქვენი ადგილები!

— აფხანაგებო, დღის წესრიქში გვაქ სულ ორი საკითხი:

1. სავალდებულო მინიმუმის შესრულების შესახებ; 25

2. მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საშუალო სკოლის შენობის აგების შესახებ.

— ვის აქ აზრი გამოსათქმინი?

— თოფუზ ებრალიძე: მეზობლებო, მე შამომაქ დღის წესრიქში, რომ ჩვენი კოლმეურნეობა გავეყოთ შუაზე. სოფლები ძალიან დაშორებულა ერთმევეორეზე. 30

— შუახევის რაიონსკომის თავმჯდომარე, ვახტანგ წულუკიძე: მაგაზე ვიმსჯელებთ რაიონში და მემრენ განვიხილოთ ეს საკითხი საკოლმეურნეო კრებაზე.

— მ. ბოლქვაძე (კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მ-წლიანი სკოლის განათლებით) — აფხანაგებო, როგორც კრების თავმჯდომარემ გაგაცნო, ჩვენ დღეს უნდა გეგხილოთ მინიმუმის გამომუშავების საკითხი. ჩვენ ამ საკითხს გასულ წლადეფშიც 35

ვიხილევდით. ახლა საერთო კრებაზე თქვენდა იმჯელოთ იმ კოლწევრებზე, რომლებმაც მინიმუმი არ შესრულეს. ჩვენ ნამდვირი კრიტიკა უნდა გავაჩალოთ, ერთმანეთე არ მტერი-დოთ (სოლე, პაწაჲ სიმწყნარე დევცვათ); დღეს ჩვენ კრებაზე 5 აღმასკომის თავედლომარე ესტრობა, ჩვენ ამხანაჲ წულუკიძის თანდასწრებით წინდაწინ გამგეობაზე ვიმჯელეთ და გამოგვაქ ჩვენი შეხედულობა იმ წევრებზე, რომლებიც საკოლმეურნო შრომას გუბრიან. სანამ ჩვენ აზრ გაგაცნობდეთ მათზე, მანამდი თქვენ უნდა გამოთქვათ თქვენი აზრი, თქვენ ყველამ 10 კარქათ იცით. ვინ ჯიუტობდა ბრიგადელეფთან, გამგეობის წევრეფთან; ახლა მურიდებლათ უნდა ვამხილოთ ისინი. ჩვენ არავინ არ ზოქვეცემს იმის უფლებას, რომ თავრობის კანუნ წინ გუდუდგეთ, არ შევამსრულოთ დადგენილობა. მაგალითათ, ამხანაგ ფუტკარაძეს თავისუფლათ შდექლო მინიმუმი შემ- 15 სრულებია, მარა არ მედნდომა, 'რ'გოლის წევრეფ არ უჯეროდა.

(-- ბაკურიძე ჯელალ — მართალია, მას წრილი ბაღვები ჰყავს, მარა ხომ შდექლო დღეში 2—3 სააც მისი შილისთვინ დგეტია ი ბაღვები და სხუანებთან ერთად გასულიყო სამუ- 20 შიერზე?!

ფუტკარაძე — რა გინდანან ჩემიდან, მეზობლებო, თქვენ ვითან არ იცით, რომ 3 თვეს წოლდარე ავანტყოფი მყავდა სახში, ვისთვინ დემეტია ძიმე ავატყოფი? ჩემი შილი 3 თვეს— 25 დადღეფში იყო მემთიჭრეთ წასული და სახლი ვისთვინ ჩემე-ბარებია?

... ხმები: სტორა, ეპატივოს ფუტკარაძეს.

— კრების თავმჯდომარე: სიმწყნარე იყოს ცოტა, გაბუც-დით, მაქ კუთხეში რომ ლაპაიკოფთ, თელი საათმა, რა დე-გემართენ, აღარ ქცხვენიან?..

30 -- ხეშიაშილი ფატყუმე — მე შეძლებიდაგვარა კოლექ-ტივისთვინ ხელი არ დიმიკლია. მე ჩემი ქალობით ოთხმოზ-დაცხრაძნეტი შრომა-დღე გამევემუშავე, თქვენ ხომ იცით, რაფერ მყავს კილყვაფივინ დასეჟილი წრილი ბაღვები. ჩემ გარეთ ოჯალში ვინა მუშა ხელი, ჩემი კაცი მესჰმე წელიწადია 35 ხემაბარია. უგარგნოთ ოზოში ვერ გავა.

... ხმები: სტორია, კიდვენ კად გამეფმუშავე, მეტი რალანდა მოვთხოვოთ მაგ გაჭირვებულ?!

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ფუტკარაძე შექერ-ნახსაც არ შდექლო რომ მინიმუმი შესრულებია? რატომ

დამკდა 17 შრომა-დღე, გამგეობამ ბეჭერი იმჯელა მაზე და გადაცო დასაბეგრათ.

— ხმები: სახში რომ არეინ ჰხყავდა დამდგუმელი, რატონ არ ითვალწინეთ?

— კი მარა იქვენ, მის სახლთან ახლო, არ შედძლო გამოსლა, ან ქალობაზე წასლა, თუ შედნდუმებდა? 5

— ხმები: შექერნაზი წინა წლდეფში ყველთვინ ასრულებდა მინიმუმ, ჰელბეთ მართლა არ ქონდა საშუალობა, თუარა ის დავალებული არ დარჩებოდა კოლექტივის წინაში. ამოვლესოთ იპიც დაბეგრის სიიდან. 10

— ქიბარ ფუტკარადეს რომ 10 შრომა-დღე დააკდა, რას იტყვით იმაზე, მეზობლებო!

— ქიბარად საშუფრო კურსებზე იყო წასული, კურსებიდან რომ მოვდა, წლი ბოლომდე ერთი დღე არ გშუცდენია. შუფერი არ ქირდება კოლექტივ თუ?! სოფელში რომ იყო, წინა წლდეფში ყველთვინ აქტივთ გამოდოდა სამუშიერზე, ნახევით საბუთეფში და მემრენ გამტყუნეთ ი კაცი. 15

— თავმჯდომარე: ვინც მომფხრეა, რომ ქიბარ ფუტკარადეს ეპატივოს, ასწიევით ხელი!

— ერთხმათ... 20

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე: თქვენ ტყვილ-მართალ, ყველას ფხარს უქირავთ, მასე არ იქს, აფხანაკებო, რატომ იქცევით ასე, ამისობით ჩვენ წინ ვერ წავალთ, დშუკვირდით პაწაა... 25

ვ. წულუკიძე (რაიალმასკომის თავმჯდომარე)— ამხანაგებო, სოფლის აქტივის აზრია, რომ თქვენმა კოლმეურნეობამ საკუთარი ძალებით აავოს საშუალო სკოლის შენობა, ისე როგორც მეზობელმა კოლმეურნეებმა — ოლადაურელებმა გაკეთეს. აგერ ესწრება განათლების განყოფილების გამგე და კვპირდება, რომ ფულათ დახმარებასაც გაუწევს კოლმეურნეობას სკოლის შენობის აგების საქმეში. 30

— მე ძაქ ერთი სიტყვა! ოლადაურ და დარჩიძდეფ ჩვენ ვერ გშტოლდებით, იმათ ბეჭერი მუშა-ხელი ყავან. ჩვენი სოფლის ახალგაზდები სულ უმაღლესეფში გეაკრიფენ, მუშა-ხელი ცოტა კყყავს. 35

— არ სარ მართალი, აფხანაკო! თუ განათლება ფულით დეგვესმარება, აგერ აღმასკომს ვთხოვოთ, სახერხმა ქარხანამ მასალა დიგვიხიოს და ჩვენი მხრივ იმდონ მუშა-ხელ კი

გამოუძებნით, რომ ერთი შკოლის შენობა ავაგოთ. ის კი არა, ჩვენ სწავტყოფოს გახსნაზეც და ვიფიქროთ, პუნქტი არ ყოფნის ამხელა კოლექტივ, 5—6 სოფელს ერთი პუნქტი ვერ გუწევს სამსახურ.

5 — 16-ოდიანი შენობის აგება თქვენ ხუმბრობა არ გეგონონ, პაწაა დარჩიძებმაც წანოგვიკრას ხელი!

— აღმასკომის თავმჯდომარე — კარგი, მე მოვაგვარეფ ამ საკითხს.

10 — კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ქერის, ღარიკავის, ქირიშის და სოიას დამზადებაში ქვედა ტომაშეთმა დეგვეზმაროს, დანარჩენ ქერესტეს და მუშა-ხელს ჩვენ ვკისრულოთ.

— გან. განყოფილების გამგე — ყალაბოძნზე ოთხწლელი დარჩება, კობალთა და იაკობაჭრი ამ სკოლაზე გამოგზავნის ბავშვეფ.

15 — ხმები: ამ საქმეს უნდა უხერმძღვანელოს განათლებამ საპქოსთან შეთანყმებით, თუარა მარტო ჩვენ ვწფერს ვერ გაგაკეთეფთ.

— აღმასკომის თავმჯდომარე — სწორეა, დაწვალოთ!

— კრების თავმჯდომარე — კრებას დახურვილათ ვამცხადეფ.

20 9. სოფ. ცინარეთში

პირველში ჩუენ სოფელში ჩადრი მე ავბადე ქალ. თავრობა რასაც იტყოდა, მე ყველთვინ ხელ ვუწყობდი, სოფელში რომ გეეტარებია; მაშინ თემსაპქო იყო. პარტიული ხალხი, თემსაპქოს წევრები ჩემიდან ყველაჲ ყმაყოფილი იყო.

25 — წუძარ კარი, ქო! არ ქცივა მაეც!

— კოლექტურობა რომ შამოვდა, ჩემზე ადრე ხელი არვის უწევია იქში შესლაზე.

30 — ერთმა მეზობელმა გედემეტერა და დეფყო თავრობაში დანოსის ზიდვა. ტყვილათაჲ ნ თვე ციხეც ძაქ ნაჭამი. მეძრენ თლიანათ გავმართდი. მარა რატომდა გაკვიდოს ასე ტყვილაჲ მეზობელმა, ეს მწყენს, თუარა, მეტი კი აწვერი.

— წყალი დამალევიე, ქო, შენი კდრების სულისთვინ! რათ უნდა მასე აპიძილაქება, კაჲ, ეყოფა!

35 — ჰო, იმა ვამბობდი, თლიანათ გავმართდი-მეთქინ. ახლა ძვილაჲ შეეღევ სული. კაკალი კაცი არ მაწუიეფს.

— ჩვენი იალი, შუანთობა რომ დეფწყებოდა, ევლოდენ დავლა-ქიბნით ღომას თავზე და ერთ კვირას იქ დოოს ატა-

რებდენ, ჯუმბუშობდენ. დითხან ვიდავენით ლომას თაზე ჩვენ და მერისლებმა, მარა ბოლოს მადც ჩვენ მოგვაკურთნეს; გადაღმითაჲ დაღლები: ლაშე, საკაეია და სალორია მერისლფე დარჩა.

--- ჰექეები კი ვიცოდი, მარა გადამაბიწყდა. ბეტრი ნწვა- 5
ლება მაქ თაზე გადამხდარი და დაგნებული ლაპარიკი აღარ შიმიძლია. ისე მე ყურბეთშიც ვარ ნასიარულები, მარა ხომ გითხარ. ძველ ამბვეფ ველარ ავკრეფ ახლა-მეთქინ.

- უხეარავ, ი ყათირი რატომ კელოფს, რა დემართა 10
მაგ გველიშეკმულ ნეტაჲ?

- უკაცრავლათ, ერთ ჰევენგეფ გუფენ და ამინუჩი დაე-
ბრუნდები.

ბ. თურმანიძე (69 წლისა)

10. სოფ. ბელლეთში (ხულოს რ.)

ჩვენში თვეების სახელები სხვადასხვა ადგილზე სხვადა- 15
სხვანაირია. ზოგი ქართულია და ზოგი თათრული; მაგა-
ლითეფ:

• ზემჰერი (იანვარი), თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, 20
ქირეზაჲ, ჩურუგაჲ, ხარმანაჲ, ენკენითეფ, ივანობითეფ, ყოჩაჲ,
ყარაყიში (დეკემბერი).

ზოგიერთ დღეფ ჩვენ ვიბძნით. ხნა-თესვა სამსე თვარე-
ზე -- სამშაფაც ან ხუჩაფაც იციან. სხვა დღეფში რომ დათე-
სონ, მოსავალ ვერ მიიღებენ, ანდა თესლ ყვაე-ყორანი, ქორი,
ჩიტი აკენკაეს.

ოთხშაფაც გზაზე არ წევლიან — ძიმე დღეა. 25

ცხრა მარტ ზღვიდან ხმელეთზე გამოდის ზღვის კაცი; თუ
ამ დღეს კაჲ დარი დეჰჰირა, თელ წელწაც კაჲ დარები
იქნება და კაჲ მოსავალსაც მიიღეფს ხალხი. თუ გონჯი დარი
დარჩა, იმ წელწაც გონჯი ტაროსები იქნება და მოსავალიც
ნაკლები იქნება. 30

ოზდაცხრაში იწყობა ნასესხები: სამი დღე მარტის ბო-
ლოში და სამიც — აპრილიდან.

პარასკევ — ჯუმას ვეტყვით ჩვენ. უწინ ჯუმა-დღე დასვე-
ნების დღე იყო -- ჯუმის ლოცვის დღე.

11. საკოლმეურნეო კანტორის წინ.

-- ბარემ ეს ერთი ტუკიც აღარ დაჰტიო, ამისთვინ აღარ ღირს ხელხამ ამოსლა.

- 5 -- ი ქალი ვინა, ვალოდიასი დედაა?
-- რატომ არ მოვდა ი ბლუშტი აქობამდინ?
-- მე რავი, მგონია ცხვრეფ აძჭეფს.
-- თინა, შენმა დეკეულმა ხობო არ დასვა ჯერ?
-- ჯერ რაქნა, 2 თვე უკლია კიდვენ, შარშან კვირკობი-
თვეში დეხსამსა.
- 10 -- წუხელ მე თქვენსა ვიყავ, შენ რატომ არ იყავ სახში, კო?
-- შუახევ ვიყავ წასული, შამომალამდა და ველარ დავა-
ხერხე შინ წამოსლა.

12. სოფ. მაწყუალთაში (შუახვევის რ.)

ს ა უ ბ რ ი დ ა ნ

- 15 რომელ ხეფსაც მოჰქრი, მენდა ვიცოდე, აბა რა მო-
ხელე ვარ?
-- ბეჭრ ნუ ლაპაიკოფ, უზეგრაფ, სული ყიაში მაქ მოწო-
ლილი, შენ ყეფდში არ ვარ.

აქნობამდე ჰაყავ, ოსმანაფ?

- 20 -- იმფერი ღლოფო ტალახი იყო გზეფში, რომ ქუმასავეთ
ამეფთაფე, მგონია ხიდითაეიც მეფლიზა ამ სელგაჰობაზე და
სოფელმა თჭარ შაკეთ გზეფი, ქერესტეს ველარ ჩამოვზი-
დავთ.

13. ძამლეთ-ხინაძირი (გზაში)

- 25 ასე წარნაქივინ ომ ყირმიზი ღჯანქერი მოღის, თეფეში
ხომ არ მოფლატულა ნეტაფ?
-- თქვენ რაცხაფერ გინდანან, ისე თქვით და წრეევანდელი
ტაროსები არ მომწონს.

- 30 -- მურთაზა-ქალ მიჰყიდევი კო, მართლა? -- ჰოც. -- ე ფარა
გაშპება-გამოშპება, ექს თვეში შექამ და წრეჭლაფც ღიგირ-
ჩება ახორი გუჭეთებელი.

ავჰსწიე და ბულა ხარში გუდღუცვალე.
ი მოზვერი ბულათა არ გამოდგება, ნეტად?
რემელი, ფერმიდან რომ გამევეყვად?

მოვკლევდი ჩემ ნაგაზ, მე და ჩემა ღმერთმა, მეზობლეფ
რომ არ შეეკაეებიენ.

5

-- ოკოდექ, ამომკრაფი ბულაა, არ გირქინოს!

რუსმა რომ თურქები გძო, ცამმეტი წლისა ვყო-
ფილვარ.

-- აქ ერთი ბალიში მყავს და მეშინია აფერი წაეკიდოს
მეთქინ.

10

ერთი დიდარი კაცი ყოფილა მეგემ. ჰხყოლია მარტო
ერთი ბიჭი, მარა ი ბიჭი რემა, ძალიან რეგვენი რამე ყო-
ფილა.

ერთი დღე შვილი დუბარებია და უთხრობია, რომ ზიწვერ-
ნამდი საბუშიერზე მივდივარ და ზიჩასლამდი უდუხვენებლად
ემუშაოფ. შენ ომ აფერ არ აკეთეფ, მე რომ მოვკლები, შენ
რა ჩარე უნდა დეფყარო თავზეო.

15

--- შენ სიკდილამდი შენ მარჩენ და შენი სიკდილის მემ-
რენ. რაც ქონება დაქჩება, ის მეყოფაო -- უპასუღნია შვილ.

--- მაა ერცულულზე გამოგელევა, შენ ბეჩო! -- რაც ქონება
ქონდა მამის, მისი სიკდილის მემრენ ყველამფერი მდაყიდა --
თურმის. ადგა ბოლოს და ფათერობა დეფწყო მეგემ. სოფელს
გუშმცხადა, რომ ვინცხას თუ რამე დეგეკარქებიან, მე მივხ-
დებიო.

20

- ერთ მეზობელ ყოჩი დეგეკარქა. ადგა ცხვარი ბატონი
და მივდა ამ ფათერთან; შაჩიღლა თავის დერდები. ფათერმა
უთხრა, რომ ამა და ამსალიკზეა შენი ცხვარიო. მივდა იმ
ალიგზე ყოჩი ბატონი და ნახა მართლაც ი ცხვარი. ფათერმა
ქირაში ერთი პური გამჭართვა, სული დეიპურა.

25

- ერთმა მეზობელმა ცხენის ილხი გარეკა შორს, ტყეში
და მივდა გამოსაცდელათ ფათერთან: „ჰად არის ცხენის
ილხიო?" -- ამა და ამსალიკზე ტყეშიო. -- უთხრა ფათერმა.
ხალხმა ამაზე გაჭკვირდა: რა იბრეთი რამე ყოფილაო. ამ
ფათერ გუწვდა ხმა.

30

-- ხენწიფეს. 60 წლის წინ ერთი ბექელი დაჰკარქოდა. თელ
 სახენმწიფოს ერთი ყამეთი დაყენა -- ჩემი ბექელი გიმიჩი-
 ნეთო. ვინცხას რომ დეგბარებდა და ბექეთ ვერ ამჟაჩენდა,
 შაგდებდა ციხეში, გარედამ ბიქს შიადებდა და შიმშილით
 5 ხოცევდა ხალხ. ბოლოხან ხენწიფემ რაც დუნმაზე ფათრები
 იყო, მჭექუქა თავი და დაწალა იმ ბექდის პოვნა. ვერაკაცმა
 ვერ ნახა, ჯერი მიდგა იმ ზარმაც ფათერზე. იმან ხემწიფეს
 უთხრა, რომ 24 საათი მადრჟე და ენახავ იმ ბექედო. ხენ-
 წიფემ გაცო განკარქულობა და მართლაც ერთ ოდაში შაგ-
 10 დეს ეს ფათერი და გარედამ ყარაყოლები დაყენეს. შჟალამე
 რომ გედევდა, ყარაყოლებმა დეგწყეს კარი ძირში წუწუნნი:
 „რა გვეშველება, თუ მიხდა ამ ფათერმა იმ ბექდის ხირსუ-
 ზებო“. თურმისი ბექელი ყარაყოლეთ მიეპარენ ხენწიფისთვინ.
 შმანედამ რომ ლაპარიკი მდესმინა ამ ფათერ, კარქა მდევუ-
 15 რადებია ყური კარზე და გდევონა ყარაყოლების ლაპარიკი.
 მიხდა, რომ ბექდის ხირსუზები ის ყარაყოლები ყოფილანო.
 მდერე დღეს დეგბარა ხენწიფემ ფათერი და შდეკითხა:
 აბა, მითხარ ბექდის ქურდიო?

-- შენი ბექდის ქურდები შენი ყარაყოლებიაო.
 20 ხენწიფემ შვარებელი შაჩუქრები მისცა ამ ფათერ.
 ხენწიფემ მდენდომა ამ ფათერის გამოცდა -- ხომ არ
 გვატყვილფესო? ერთ დღეს ნეფე ნასადილევს ბაბში წევდა
 სასეაროთ. ხენწიფემ ხარაბჟა დეგჭირა და მოქაქვა ხელში,
 დუძახა ფათერ და შდეკითხა: რა მაქ ხელში, აბა გამდევანო?
 25 რა ქნას ფათერმა, დეგწყო წუწუნნი: ეაკიდი ხარაბჟავ, ვის
 ქაქვეში ხარო? -- მედტირა თავისთავი თურმი. ამ ფათერ
 სახელათ ხარაბჟა ერქვა. ხენწიფეს ეგონა, რომ ქაქვეში რომ
 ხარაბჟა ყავდა დაჭირული, ჰელბეთ იმაზე ამბოფს ი ფათერიო.
 აქაც გემმარჯვა ჩვენმა ხარაბჟა-ფათერმა.

30 სოფ. ტბეთი (შუახევის რ.),
 ფევაძე, იუნუს (79 წლისა)

ერთ მაგავ გეტყვი, არ გეგონოს ტყვილი ამბავი, ნანდვი-
 ლათ მომხდარა უწინ ჩვენ სოფელში.
 ყოფილა თურმის ერთი შერიანი ქალი. დღე არ გედლოდა
 35 ისე, რომ ქმარისთვინ რამე შერი არ მდევონებია.
 ერთი დღე ქმარი ყანას ხნევდა. წინამძღრობას ბალვი
 უწევდა. ამ დრობიხან ქალმა ბაზარში წევდა, იყიდა ახალი
 თევზი, წახა თხიფსელას ჯოხზე და ყანი კვალში ჩუმათალაჲ
 კაც ჩუგდო. იმ დღეს ქალმა სადილი განგებაჲ არ ჩუტანა

ქმარს ყანაში. ზარმლობა გედევდა, ზემ იწვევრნა, ქალი არსათ
 არ ჩანს, მამა-შვილ ისე მდემბლენ კუჭი, რომ ყანი ხნა შეწ-
 ყვიდეს შიმშილიზგან. ერთიც ვნახოთ, კაცმა კვალში ჯოხზე
 აჩურჩხლილი ცოცხალ-ცოცხალი თევზი ნახა. კაც ჰემ გუჟკვირდა
 და ჰემაც გუხარდა: „ყანაში ჰადამ გაჩინდა თევზიო“. ბაღეს 5
 უთხრა, რომ ახლავენ ეატაჲ ეს თევზი და დედაშენმა შეწვას,
 ვახშამზე მაჲც მოგვისტრასო. ვახშამზე ქალმა ცივი ქაღი და
 ლობდაჲ დუღგა მომშვივებულ ქმარ-შვილ. კაცმა იფიქრა, ჰელ-
 ბეთ თევზი ბოლოსდა მეტანოს ქალმა, რომ პირი ჩევგემდე-
 ლოთო. თევზის მოტანამდი კარჲა დჲძლა ჰათ და ლობდას, 10
 მარა თევზი მაჲც არ ჩანდა. ბოლოს ველარ მეფთბინა კაცმა
 და ცოლს კითხა: „ქალო, თევზი რატონ არ მოგაქ სუფრა-
 ზევო?“ „რადს თევზი, რის თევზი, ხომ არ გაბეჩებულხარ
 შენო?“ კაცი ისე გახელდა, რომ ველარ მეფთბინა, წამოხტა
 ზეზე და შუბღვირა ქალ: „ქალო, ბაღე რომ თევზი გამჲატანე, 15
 ჰა გადამჩქმანევო?“ ბაღემაც დუღდასტურა მამის. მარა ქალი
 მაჲც ჴარზე იდგა. ედჲალენ-დედშალენ ცოლ-ქმარი: კაცი ქალ
 ლანძღავს, ქალი—კაც. ბოლოს მეფყარნენ მეზობლები და გჲსა-
 მართლეს ცოლ-ქმარი: „ქალო, —უთხრეს მეზობლებმა, —
 შენმა ქმარმა რომ თევზი გამოგიგზანა, ჰა წეღლეო?“ — „ჩემი 20
 ქმარი, —მუბრუნდა ქალი ხალხ. —ყანას ხნევდა და არა
 სათევზოთ იყო წასული, ჰადან უნდა გამეგზანა თევზი,
 მაჲ ბოლოს ისე გაბეჩდება, რომ შეიძლება ისიც თქვას, ყანი
 ხნის დროს კვალში ვიპჲე თევზიო“ — „დიახ, ყანაში ვიპჲე
 ჯოხზე აჩურჩხლილი ცოცხალ-ცოცხალი თევზიო“, — უპასულა 25
 ქმარმა. ხალხ ამაზე ძალჲან გუჟკვირდა: „ყანაში თევზ რა
 უნდაეო, ჰელბეთ ე კაცი ჰკჲაზე შექანებულაეო, მიატიეს
 მეზობლებმა და ყველამ შინ წევდა თავის საქმეზე.

ასე გაბეჩა შერიანმა ქალმა თავის ქმარი.

სოფ. ინწკირვეთი (შუახვეის რ.), 30
 რ. ქათამაძე (70 წლისა)

14. წისკვილობა

„წისკვილობა გინითავდა“ ნიშნავს ფქვხლი გამითავდა.
 ერთ კუთხეში დაპხყრიან სიმინც და ტოკვეციოთ დანაყვენ.
 ჩება კობერი (ქვემო აჭარაში კობერ ხვირკალსაც ეტყვიან). 35
 დაფშნილ სიმინც აცხრილავენ, ცხრილი ტკენჩიდანაა გაკე-
 თებული — საცერზე იმფო დიღია. აცხრილულ სიმინც ჩაპყ-
 რიან კოდში (კოდი 9 ოყას იწონის); კოდს ნახვარპინასაც

ეძახიან. შეიძლება პინობით იანგარიშონ. ერთპინიანი ცალ-
კე --- ჭურჭელი არაა. გამორწყულ სიმინც გუდაში ჩაპყრიან
და წედლებენ წისკვილში. ერთი წისკვილი 6-7 მოსახლის
საზიაროა.

- 5 ჩვენში არის ღარის წისკვილი და ლურნის წისკვილი;
სადაც რომ წყალი ცოტაა, იქ ლურნის წისკვილ აკეთებენ.
რაშიც სიმინც ჩაპყრიან, იმა ხვიმირს ვეტყვი. კინის პაწაჲ
ნაქარი, რომელიც ომ ზედა ქვაშია ჩასმული, იმა არქი ჰქვია.
არქი დამაგრებულა ლერძზე, არქის საშუალებით ბორბალი
10 აბრუნეთს ზედა ქვას. ხვიმირზე ქვედან ამოკრულია პაწაჲ
ყუთი --- ჯამაჲ. ხვიმირიდან ჩამოდის მარცვალი ჯამაჲში, ჯამაჲ-
დან --- წისკვილი ქვაში. ფქვილი ცვივა ალაში --- ალატში.
ქვედა ქვის შუაგულში ჩადგმული რიკი მაგარი ხიზგან ---
15 ცაცხვიზგან არის გამოთლილი. მას გუგულას-გულლეს ვეძახით,
მოლუნვილ ხის ნაჭარს, რომელიც ომ დამაგრებულა ჯამაჲდან
გადებულ ხეზე --- ნაველაზე --- ჰქვია სარეკელაჲ. ქვა რომ
აბრუნდება, სარეკელას ათამაშეთს, სარეკელაჲ --- ჯამას, ჰაი-
დანაც ჯამყელში ცვივა მარცვალი.

- წისკვილის დახურვილ ღარს ქვია ლურნე, ლურნე დაქა-
20 ნებულია ბორბლისკენ და ებჯგინება ლერძის ბოლოს, რო-
მელზედაც შამოკრულია ფთები. ლურნის ბოლოში ჩასმულია
მუშტუკი. მუშტუკიდან ზართათ ეცემა ფთეთს წყალი, რომე-
ლიც დაგუბებულია ლურნეში. ხორბალი წმინდათ უნდათ
დნფქვიონ თუ ხოშრათ, ამისთვინ ერთ კუთხეში, მარჯვენა
25 კედაროზე, გაკეთებულია დასაგნები. დასაგნებით რაცხაფერ
უნდანან, ისე დუგნებენ.

- სათაფანოს ბენდსაც ვეტყვი. ჰაიდანაც ომ წყალი გამო-
ყავთ წისკვილის ასაბრუნებლათ, იმას ქვია სათაფანო, ზოგი-
ერთ სოფელში ბენდსაც ეტყვიან.

- 30 სოფ. ქედლები,
ყ. შანთაძე (68 წლისა)

15. მინდვრად

(სოფ. ბაკო)

- ხუსიაჲ, დღე შენი ხალხი ჰანდა წყეყუანო, იცი თუ არა?
35 — ვიცი, ჰამა თქვენ იმფრათ იჯებით. რომ, რომელცხა
ხარ გიწევს, კილო იმა არტყამთ.
— შენ რაფერ ლაპაიკოფ, კაცო! ვერ მივხტი, ბეჩი ხარ
თუ რა ხარ, ბაბოჲს საქმეზე ხომ არ გიძახი, რომ ბალვივით

იქცევი. საშრობი გასაკეთებელია, დარბაზეულებზე თივები დასადგმელი გაქვან, საბძლის ყახმები არ მოგიტანიან...

— მაგრე რომ ლაპაიკოფ, ჩემზე მეტ აჯაფ ვინ საქმოფს, ჰამა თქვენ არ დედნახავთ ჩემსას. დღე მ ულელი ხარი დირეგებზე და ყახმებზე გავგზანე. თივას ჯერ აფერი არ მუვა. 5
ბულულეფ გავაკეთეფთ და ჰალალულ იყოს ასე.

16. კოლმეფურნეობის კანტორის წინ (ხიხადირი)

ხანუმ. ბაჯია ჰად არი? ბალეებისთინ რაცხიები და შავაკერიო.

— სახშია გელინ, დღე ჰეჩ ვახტი არ აქ, გუშინ თივაზე 10
წედა ხარებით და სისხლ დუკავდა. ბელქიდა შიგიკერის, ოლაშია. შეფ და ნახევი.

— აღიემოსდა შევეხვეწო აბლი; ბელქი არაბაფს ჩარდალი გავაკეთებო, რომ ხალხი ჰვირთის ზიდვით ჩირალ გახტა და ჩვენ ჯერ აფერი არ გიგვიკეთებია. 15

— ჰო, ქაზიმავ. დღე ჩენი ხალხი წერნაქზე წეედენ თუ საფხეკში?

— ორი კაცი სასკეში გავზაფ, სკლატებიც შესაფაჩინკე-ბელია. რამტონი საქმე მეფყარა, რომელინდა გაკეთო კაცმა, არ ვიცი, ორ დღეში ომ რამკები არ გავაკეთოთ, არ იქს. 20

ხუალ, შენ, მემედ, ათი ულელი ხარები კოპერატში გავ-ზანე ჰური კაკლის ამოსატანათ, მაშინას არ ცალია, სალენი მანქანა უნდა ამეფტანოს.

ქემალავ, დღე შენი გოლის ხალხი მასალაზენდა გავზანო, ერთი ის ფურუნიც მეფთავოთ. 25

— რა მიწეფს მემრენ მე?

— შენ გიწეფს თუთხმეტი ლარიკავი, 10 ქირიში და ცამ-მეტი სასოიე.

ჩემი ზეკერემოფ იმფრათ საქმოფს წრეულაფ, რომ ტყვი-ლია, თევექქელი კაცმა იმის გაკეთებული გაკეთოს. ჰაჩანქი 30
ავა საირმიაში ხარებით, იმისისხვან მორეფ მუბამს, რომ ულელი პაწკაპუწკ დეფწყოფს.

ჰო, ხასან, შენი ბაბოფ კილობანში ომ ჩაგდე, ერთი ის მესელე გველაპაიკე.

აჰმედ ტადო, ერთი რაცხა შეგვხვეწონდა, თუ დიმიშალე, პირზე, აღარ შექხედავ. ისატაიამ მარხილის ყელუბი მომცა და შენეც კოფიებინდა მომცე.

17. წყაროს პირას

- 5 ბიბიავ, ბაბაჲ შენიდან ზოტლი გაბუტვილია, ჩენსა რატომ აღა მოდიხარ? ამფრათ ჰეჩ იქნება, სულ დიგვიბიწყე!

18. ეზოში

- 10 წაჲ ამდეყედან და ძიგლიგაჲთ ბინი ქტუბი ამოზიდე, თჳარა ცხვირბუკ დაგანტროვ, შეხხელვან ბალვეფ ასახლებენ და შენ ერთ ღრამ საქმეს ვერ გაგაკეთებიეფს კაცი. — ხიზნარალელიდამ თელი დღია ქვეფ ვზიდევდი გუშინ, წელი მომტყდა ამტონ მუშაობაში და კიდვენ მაყვედრი?!

— პაწაჲ თჳარ გევეჭირვეთ, სახლი კეთებას ეხუმბრები შენ? უკან არდა შედხედო, რომ რაცხას ეწიო ბელქი კაცმა.

- 15 19. კოლმეურნეთა ჯგუფი ყიშლაში (ხიხაძირი)

წაჲ ნეჯიბევ, დუძახე ჩენი ხალხი, მოვდენ აქ და ხვალის საქმე მჳაწესრიგოთ (რგოლის უფროსი, საშ. განათლების, 30 წ.).

- 20 მეზობლებო, ხტალ ჩტენ რანდა გავაკეთოთ, იციოთ თუ არა? ამელამ თუ ბარში ჩახვალთ და ხარეფ ამეყყტანთ, ხვალ თივეფ წევლეფთ, ჰამა სელები წამეღლეფთ, რომ ბეტური დავაყაროთ, ჟდომით საქმე არ გაკეთდება, ვინცხას ხარები არ ჰხყავს, იმათმა თირფნებით შტასერში წევდენ სათიფში, რომ ხტალის მემრენ ხარბალი ქალიეფშინდა ვიაროთ.

- 25 — მემეთ ტაი, ჩემ ხარეფ ხტალ ვერ წამეყყვან თივაზე, ორნავეს ხაო აქვან პირში და შიერინდა დეახოცონ. ჰეჩ ველარ ძოვენ და კავივინ გამბტარან.

- 30 — მაშინ შენ და ასლან-ემომ საბძელი შიაფაჩინკეთ, ბალვები შიგანეფში გავზაჲთ, თივა გალენკონ, მევლუდ-ემომ სალამოზე მოვდეს და დილინები გაკეთოს, ქალეფ პური გაცხრილვიეთ, გეგენით, თუ არა? ხვალ ეს საქმეებინდა გავაკეთოთ. ზეგაც შკოლის შიშანდა ჩევტანოთ, ამელამ ზენჯირები, კინიჩიეები წამეღლეფთ, ყველამფერი ჰაზირი ქკონდონ.

20. გზისპირას (სოფ. რაქვთა)

-- ჰა მიხვალ. უსუფავ. ხარებით? -- დემეხსენ. თუ კაცი ხარ, ზათი გახელებული ვარ, შენას ბელანდა მანახეიო ახლა.

-- ედა, ჩემიდან რა გინდა მემრენ, ვინცხაზე გახელებული ხარ. წაა და იმა უთხარ, მე რალას მტუქსავ?

5

-- აბა. რა ვქნა, ე გელი შექმული ხარები ორნავეა კელო-ბენ და აჰმედაა მებნევა, რომ დლე სილოსიდა მეეტანოვო.

-- იმ გვერთში გახე, უსუფავ, წერნაქი გვერთში, ე იმი-სისხო ზოლივით ქელი ვინ ჩამეიტანა? ამა და თიბეა ცოდნია. თუ მოთიბ, იმფრათ უნდა მოთიბო.

10

21. სოფ. სკვანა (ხიხაძირი)

-- ისუფავ, შიგანში ხომ შეიარ?

-- შევეარ, აბა ჰიდანდა წევდე!

-- შემლიხან ბიბიას უთხარ, რომ დლე უჩამუსლელი არ ქნას, ბაჯია ავათ არი, ჰემაც წურბლები წამეღლოს, რომ ვკიდოთ უნდა.

15

-- რას ტკენულოფს, რა უნდა?

-- მე რავი, ნუსიბეთი ყველთვინ ასია, ჩურუგაა რომ დადგება, სულ თჳვი ტკივა.

-- თჳალები ეკურცხლის; იმფრათ დჳყრმიზდება თჳალები, რომ ველარ ახელს.

20

-- დოხტური ამევეყთაათ და იმანაც ისე გვითხრა, რომე, წურბელა კიდეთ, კაიავო.

ხუსეინ, შენ რანდა ქნა იცი? ტაბიკი გიმიტყდა ლელეში, გამომლიხან ის გაკეთე, ხარები შუბი და გამოდენე. აჰმედ-დედემ შემეხვეწა, წასლიხან დიმიძახეო და დჳძახონდა, ცოდვაა ბერიკაცი.

25

-- რაფერ ხარ, დედავ, ჯანზე?

-- სული ყააში მაქ ჰამან ამოსული, ლმერც დავაბიწყდი, რომ გადავჩე ამტონ წვალობას.

30

-- შუქური ქენ, კიღვენ კარქა ხარ.

-- ალადედევ, კოპერატში ხომ არ შესულხარ დლე?

-- შეველ, რა გინდოდა?

— რა და ხუსეენ-ძიამ მითხრა, ლამაზი ასტმები მუტანიან, გერჩეჟია თუ არა?

-- გეტქუა ჩემთვინ და ამოგიტანდი!

-- რა ღირს აჯაფ?

5 -- ცხგრა მანათი.

- დეჰ, რა აფეი ყოფილა!

22. სოფ. ვერნებში (ხიხაძირი)

5 -- მე კცხვენია ქო, ყოჯაკაცი ხარ და სულ შიგიქმევენებია
სიმინდი ხარებისთვინ?! ჩიგიყვან ახლა კანტორში თავფდუ-
10 მართან და ვნახოთ, რა პასულ გგეცემი ერთი!

-- შენ ვინ კკითხავს, ჩემ გულობაა შენ ხომ არ უნდა
გაწიო ჯერიმა?

15 -- კოლექტივის ქონება ვინ გარიგა, სულ ჩემი-შენი, რომ
იძახი?!!

15 -- ეშხოლა ტადი, ვოლაპი, შენ ინსანმა არდა დეგელა-
პარიკოს. ხანდიხან გევეარ ტაიას სახში, რა იქნება, ასე
იქნება ხისიმობა? ჩვენ ხომ ინსნიკამლები არ ვართ, რომ
ახლო აღნ გვეკარები! შენი საფერი არ ვართ, ჰამა სულ ომ
რა იყოს, ჩენი ნათხრეში ხარ.

20 აქიდამ გამცილდი ბაღვო, თუარა უმ გლეწავ ყუიძიში,
ყურმა წივილი დიგიწყოს, შენ ყეადში არ ვარ დღე და შენ
კი ქეიფზე მოსულხარ.

ქო, ალიავ, ი რა არი ლემსაჭრას გზაში, ბული რომ დგას?

— მე რავი!

25 23. სამკედლოში

— დურსუნავ, ნახშირ ჩამოგიტან და ქუთნის საკვეთი გი-
მიკეთე, რა იქნება?

-- სხუა ხომ აფერი აქ გასაკეთებელი?

— რუა ბოლტი აკლია და, სახნისიც მოსახარტავია.

30 -- ამ დღეფში ძალტან დაჭვირთული ვარ და 1—2 დღე
მადრუე!

— ახლა თუ შენთანაც უჩერეთში ჩავდექ, აღნ ყოფილა
მაეც ჩემი შაშუელი.

24. სოფ. თხილვანაში (ხიხაძირი)

წრევანდელმა ტაროსებმა მოსავალი თლათ განბო. ამფერი გონჯი ტაროსები ამ ხნისა მეყარე და არ მომსტრია: ხან წვიმებია, ხან სულ-ყურალები.

— ნახე, ემიავე, რაფერ გამოკეთდეს ბოლოს, შარშანეც არ ქონდა პირველათ მოსავალ კაჲ პირი, გახსოვს რაფერი გვალვები დეჟირა, მარა ბოლოხან ხედევდი რაფერ გამოკეთთა ტაროსები? 5

— ეაკიდი შვილებო, თქვენ კიდევ არ იცით თავრობის ყადრი, არ სტავლულობთ რაც ომ შიგიძლიან ისე, ჩვენ დროზე ომ ყოფილიყავთ, შიერი დეახოცებოდით. დილა-სალამო წვიმაში, თოვლა-ჟღვეპაში ხან ჯალაფ ვანურობდით და ხან სხვის კარზე ხიზმეთქრათ ვიყავთ. ახლა თქვენ ქეფეში ხართ გამშპარი. შკოლები ოზოში გაქვან გახსნილი, წიგინებზე არ ფიქროფთ და სწავლის გადასახადზე. დეიმახსოვრეთ ბალეებო, აწმისიკით უსტავლი ხალხი ვეხშივით იქნება. ხალხში თავს ვერ გამოყოფს, კარქა დეფთიშმანევიტ, დუკვირდით და ისე მეჟექეთ. ახლა გაქვან დრო, ჩემსავეფ რომ გადაყრუედებით, მემრენ გვიან იქნება და ასე იცოდეთ! 10 15

25. სოფ. სკვანაში (ხიხაძირი)

20

ნიკოლა დროს ომ მეკვიდედით ბათუმიდან რუა-ოყიან თენექას, შიან ლამბაჲალი იყო სამსე, ზედანაც დავაკრევედით პიკკას, საპონ, მაჲლ; იმდონ ამევეტანდით, რომ პიწიპაწი ეთ ზამთარ ის უნდა კეყოფნოდა, დიდი ლამბა მაშინ რა იყო, არ ვიცოდით. კუტი-ლამბას ვხმარობდით, ან კვარს ვანთობდით. ოდაში იმხელა ბული იდგა, რომ ნეშტოებში ყურუმი გვექნებოდა სამსე. ახლა რომ მე ვცხოვროფ, ამფრათ ჩემი ნათქვამი ბეგი ვერ მცხოვრობდა უწინ. ახლა შენ დუკვირდი აბა: წინწინ რომ ქალები სულ კუტი ეყარენ ცეცხლიპირ და გარეთ ვერ გვედოდენ, ახლა ასე რატომ არალი? მაშინ იედენ ქალები სახში და კაცები სხუას ეხიზმეთქრებოდენ, სისუფთავე არ იყო, წამალი არ იცოდენ, ახლა ორი თვის ბალვი ავათ რომ გახდეს, ჰამან დობტორ დუძახებენ. ჩვენ რომ ავატყოფობით დავხოცილიყავთ, არც ჰექიმი მოედოდა და არც არავინ. დედაბრები რაცხას შიგვილოცავდენ და ის იყო. 25 30 35

რიზალავ, ამ დღეებში მოცალივით არ ხარ? ნიჩაბინდა გიმიკეთო ბოსლითვინ, ერთ გობსაც თუ გაჭმობხვეწავ, კარკიზამ.

- 5 ახლა ხანდიხან დაფიშმანდები ჩემდათვინაჲ და გემეცინება. კო, რამისისხოზე ბეჩები ვყოფილვართ. ჟიჟინაჲომ დეგვემართებოდა. მეტანდენ დედაბრები მაშრაფას. მოთლიდენ ექუს ქრივ ქალ და ერთ ქრივ კაც. შვიდ ნახშირ ჩაგდებდენ შიან, ცოტაზე რომ ემღრეგოდა წყალი. იმა გვასმევდენ. როჲს იყო რომ ქრივების სახელების ჩამოთლით და 10 ნახშირიანი წყლით ჟიჟინაჲ ჩებოდა, მარა ხალხ ასე წამდა და რა გინდა შენ?! რაცხაფერ ძველები იჯებოდენ, ისე ვაკეთებდით ჩვენც, ყველამფერ ვიჯერიდით, საჭეკიმო პუნქტი არ იყო და დოსტორი.

- 15 ჩვენ წავაგვეთ წრეულ თაზე ომ ფხალი ვერ დავგეთ. კალოთი ჯაჲლაში რომ დეჲნახო ფხალი, ენა ჩიგივარდება, გადაფარფლულია სულ იქაჭბა; იმსისხტუანი დუდები აქ, რომ ერთი კაცი ხელ ვერ შამოტეცს. ამ ზამთარ ჟავით სეფას იქმენ კალოთლები.

- 20 ე კაჟი აბდულავ, ურემადამ ჩამევეტაჲ, როჲს იცი, გერმანიათან ჩხუბი რომ იყო მაშინ. ჰალა ისე გდია, ახლა პიქკაჲ სამსია კოპერატში. ძვილაჲ გადავიჩი ამ კვესაბედი ჩხაკუნს.

- 25 ურემადან მასათებიც ჩამევეტანე, ზოჲლი ლესევედა თირფან, ჰამა ახლა კოპერატში მოსულა ერთი სოჲს იმფერი მასათები, რომ ერთი წაკარო თირფან, ყოფნის თურმის, უსტურასავენ უწყოფს პირ.

ალიას ფიჯი ჰეჩ აღარ ამოვს ძროხეფ, სულ ჩაქელეს ყანები ზროხებმა:

შარშანეც ასე არ შაქმევეცს ყანები, სულ ვაფთხილებდი, მარა მაჲც არ დნდგა შაშქელი.

- 30 ნემედ ტაი, შენი მამალი რა ზოჲლი ეკინდლება მამლეფ. დღე შევეარე, რომ ასლან-ემოს მამალი დუკავია ბიბილოდან და სისხლი-ღვარი გუდუღდენია. იმდონი ბურდლა დგებლალა, რომ ლარმი ერთი ბალიში გეტენებოდა. ჩემი მამალიც ზოჲლი ჯინსიანია, სკტანაჲდამ ჩამევეჭუნე.

- სელიმ ტაძავ, ბათუმდა გიმიშვა, ზოჭლი გეხვეწები.
 — რატონ მიდიხარ ამ მუშაობი დროს?
 — რიზალაჲ ამოვდა გუშინ ბათუმიდან და თქვა, რომ ცხვარის ხორც ზოჭლი ფასი ქონებიაჲო. ამ ძვირობაზე თუერ ჩუსტარ, ტყვილათაჲ დაეკარქავ 5 ცხვარ. სადიყამას დამპირდა. 5
 წიგიყვანო, ძალჴან გეხვეწები, ატკაზი არ მითხრა.
 — ისე შუჩინდები ინსან, რემზაჲ, რომ ქვეიდან გამეყუან კაც, ამ ქალობი დროს მუშახელ რაფერ გჴშევეთ ბათუმ. ქო!
 — ღორი ვიყნე. თუ ორ დღეში არ დაებრუნდე. ჩემ ნორმას სულ ომ ღამითაჲ ვიმუშაო, გავაკეთეფ. სხვას არ ჩამოვჩები. 10
 — აბა, სამი დღით გიგიშევეთ, მარა შაფაც საღამ რომ აქ არ იყნე, გამგეობაზე გეცტან საკითხ და ასე იცოდე!
 — შენ გავახარა ღმერთმა, ამაშენევი კაცი.
 — ჰო, ღარმი დამაბიწყდა, ბაზარჩი შეეკითხე ყართოფას ფასი, თვი ბოლომდი თუ არ გავყიდეთ, ჩალპება სულ ორმეფეში. 15

26. სოფ. ვაშლოვანი (აღმე)

- ნანდვილი უსტა თუა კაცი, მასდა ქონდეს: 20
 შალაშინი;
 კორკოტი-პაწაჲ ურო (ხისა);
 იზმირი-პაწაჲ სატეხი;
 ფერგელი;
 ეჩო;
 ქათური-ქათურით ამოშკრიან ფიცარს ან სხვა საშენ მა- 25
 სალას და მდერე ფიცარს ჩაშენებენ.
 ჩილფი-ღაზლის ძაფზე წუსშენ წარნაქ და სწორ ხაზ გეყუანებენ. ორი კაცი იქეთ-აქიდან ძაფ გაჭიმავს და ზართათ ღჴშევეფს ერთ-ერთი ძაფს;
 წარნაქი-წითელ თიხასაჲენაჲ; 30
 სახვეწი (|| ხვეწი) — სახვეწით გამობევეწენ გოფ, კოვზეფ, ციცხვ და სხვ. — გამჴალამაზებენ;
 ქელფეთი;
 ყოლხიზარი, 35
 მანხიზარი;
 მენტეფე;
 ბურილი და სხვ.

27. სოფ. დეკანაშვილები (ხულო)

სახლის ნაწილებია:

- სოფა, ქირიში, ყახმა, თავანი. სეკვი, ფენჯერა, ალა, კერი (რაზედაც სახურავია დაფენილი), ფეფენიკი, ტაკოზი, განი 5 ხაგები, აბღესხანა, ბოლაზი, მერღევანი და სხვა.

28. სოფ. ძირკვაძეები (ხულო)

- უწინ ჩვენში ორსულ ქალს ბებია-ქალი მჭამშობიარებდა. ბებია ქალ ვეტყვით „ებე“-ს. ებე ცალკე ოდაში დაწვევდა მოსამშობიარებელ ქალ, მას მელოგინე ქალსაც ვეტყვით. მოლოგინების მემრენ ლოგინს 40 დღეს არ აკეცდენ. შობიარობის დღეს მამაკაცი ოჯალში ვერ გაჩერდებოდა. ეს სირცხვილათ ითლებოდა, წასლის წინ ქმარი ებეს დაუბარებდა, თუ ჰად იქნებოდა იმ დღეს. ქმრის ადგილი იმიტონ უნდა ცოდნოდენ, რომ შეილის გაჩენა ემახარობლათ მისთვის. ებე-ქალი ყველაფერ რომ მჭამშადებდა, მელოგინეს წელს ამჭრეკდა და მემრენ დაწვევდა. თუ შობიარობა გაძნელდებოდა, მელოგინეს თიბილ წყალში ჩასვამდენ. რომ გაადვილდებოდა შობიარობა. მემრენ მოხარშავდენ ქუთაში „ჩახანდარს“ და აშუშვებდენ ორთქში. ბალანა რომ „დუნჯაზე მჭა“, ებე მას 20 მოშქრის ჭიპს. დაბანს, შახვევს და დაწვევს. ებე-ქალი მელოგინესაც დაბანს და თიბილათ ჩაწვევს ლოგინში. მემრენ შულოცავს და მჭასვენეფს. შელოცვის მემრენ დანას ამუდებდენ ბალიშ ქვეშ შობიარეს. ახალდაბადებული თუ ბიჭია, ებე-ქალი იმ მინუჩი მახარობელ გაქცევს ბიჭის ბაბასთან. 25 მამას მახარობლისთვის წინდაწინ გაჰაზირებული აქ შაჩუქვარი. თუ გომბიო დეგბადა — პრატი, გინდამც აფერი არ შეძენიან სახში. ზედმეტია ლაპარაკი მახარობლის დაშაჩუქრებაზე. ბიჭი კიბ რომ მოჭრიდენ, მას „ჰამაფლი ყაბში“ ან საფულეში ჩადებდენ, რომ „ბედი გახსნილი ქონოდა, გოგოს ჭიპ ახორში 30 ინახავდენ, რომ ქალს საქონელზე ექნება ჭიპი მოჭრილივო, საქონელი ეყვარებავო.

ავმა თვალმა რომ აცილდეს მელოგინეს, ოდაში, ჰადაც რომ მელოგინეა, ეკალის გოლეფ ჩამოჰხკიდებენ, ან ასკილის ტოტ დაკიდებენ.

- 35 მფერე დლიდან მელოგინესთან მიდიან ნახველები. მასთან შესლიხან ქალები კაბას და ფეშტემალ ცეცხლზე გარეკავენ, უემური რომ არ შეყვეს. სტუმარ ქალები მიართვამენ პური

უკვილის ფათას, დამწვარი ერბოვთ. თუ ახალდაბადებულ ბიჭია, ოჯალიდაგვარა ფილავსაც განკეთებენ.

ამყვანი ებე-ქალი მელოგინეს 5—6 დღეს ემსახურება. შეძლები დაგვარა ებე-ქალს აძლევენ ფულ და სხვა შაჩუქრეთ. 5-6 დღის შემდეგ მელოგინე დგება. ალისყურს წელზე ჩამეკიდევს და გავა ოზოში სამუშაოთ. ზოგან 40 დღეს მოლოგინებული ქალი მეზობლეთში ვერ მივდოდა, სირცხვილი იყო, უწმინდურათ ითვლებოდა. ის არც შექმელ აკეთებდა. ზოგიერთ ოჯალში. ჩამორჩენილ ოჯალში. 40 დღეს მელოგინე ქალის ოდაში ებედს, ქმარისა და დედამთილ გარეთ ვერ ვერ ვევდოდა. ხალხს ჯეროდენ, რომ ბალე „ბასხუნი დარტყამს“. ფეხზე ვერ დადგება, ვერ გეძარსო. ახალდაბადებულ ბალე პირველათ „ხოჩინში“ აწვენდენ: ხოჩინს ცაცხვის ქერქიდან აკეთებდენ. ხოჩინში ჩაწვნილ ბალე მელოგინეს დუდგამდენ. 10—12 დღის შემდეგ ბალე აკვანში აწვენდენ. აკვან გუწყობენ ქალის თერფიდან. „აკვანის თახუმს“ არტახეთ, პაწა მინდარს. ხაეროზ, საბან და სხვა რამდეთ მელოგინის დედა გუწყოფს. ბალე რომ თუალი არ ეცეს, აკვანზე ჩამოეკიდებენ ძივეფ, აბოს კიბილ, ნიორ, კოშის თესლ, სათვალე კაკას და სხვ. ზოგჯერ თლიანათ ბადეს გაღმფარებდენ აკვანს.

უწინ. თქვენც კარქა მოგეხსენებთან. ჩვენში ჰეკიმები არ იყენენ. ახალ დაბადილ ბალე მუცელი რომ აპტკივდებოდა. ბარუთ გაღესდენ დედის ძეში და დაღვევიებდენ. მუხდებოდა თუ არა ამნაირი წამალი, მე რა ვი, თქვენ ხართ ნასტავლი და გეცოდინებთან. კარქახან მელოგინეს ჟავეს. წარეს და წვანილ არ აკმევდენ. თუ ბალე კითში წყალი ჩუდგებოდა, ძირთეთრას დანაყდენ და კიბზე დანდებდენ. ასევე, ეძლებდენ მარილ და შულოცავდენ.

თუ ბალე ყელქირება-მატავრა შეეყრებოდა, მაშინ „მატავრა ძივით“ არჩენდენ მას.

უემური თუ აყვა და ავათ გახდა ბალევი, მუანგროვებენ სხვადასხვა ბალახ, ხის ჟვერ, მოხარშავენ ქუაფში და მის ბულში ავატყოფ დუხჩოლებდენ. ნახარში წყლით ტან დაბანვენ. ათასნაირი შელოცვა იციან ქალებმა, მარა მე ერთიც ვერ დევმახსოვრე, მარტო ბოლო სიტყვები მახსოვს: „ჩაკყრი ქოთანში, გადუღეთ და გაფოფინეთ, გაგადენ წყალსავეთ, გაგაქრობ ქვასავეთ“. შეიძლება რომ უემური ავატყოფ გოფოთ გედმქცეს. ამ დროს ბალე ხელ-ფეხი მდებქცევა, თავი გუწივ-

დება, კისერი დუწრილდება და ფეხები მდესხრიკება. ჩენი დიდი ანოჯდან გიმიგონია, რომ გოგო რომ დემართებოდა ბალვ, მეტანდენ შვიდი წისკვილის ბორბალიდან ამოლებულ წყალს, შვიდ ბახჩაში მოკრეფილ ხიშ ქვერ, შვიდ წყაროს

5 წყალ და შვიდი ტყის ბალახი ქვერ. მოხარშაედენ კარქა და ორთქლით უხჩოლებდენ ავატყოფ. კერიაჯდან ჯაქვ ჩამოხსნიდენ, ცეცხლზე გახურებდენ; გახურებულ ჯაქვ მაშებით გვალათ დეკაყვებდენ და გოჭიან ბალვ სამჯელ შიან განურჩიებდენ. შემრენ დნდებენ ჯაქვ. წყალ გადნსხამენ, შუაში
10 ბალვ ჩაყენებენ და ორთქ შუხჩოლებენ. გოგოს შელოცვა ახალ თვარეზე არ შედძლებოდა. თვარის ცხრომაზე იცოდენ. ახალ თვარეზე რომ შეელოცენ, რაცხაფერ რომ თვარე იზდებოდა, ვითამ გოგიც ისე იმატებდა.

ახალდაბადებული ბოვშის სახელის დარქმევა შობლემ ევა-
15 ლებოდა. თუ ბიჭი იყო, მამა არქვამდა სახელ, სახელის შერჩევის დროს გეახსენებდენ, მათ გვარში, ვინ იყო სახელიანი კაცი და იმის სახელ დარქმევდენ.

10—12 წელიწადია, რომ ჩვენში ქართული სახელები
20 შამოვდა. ახლა ზოგი ლევანს არქმევს, ზოგი არჩილს, ზოგი — ვახტანგს და ზოგი რა ვიცი...

სიმართლე გითხრა, ჩვენ ახლაც არ ვიცი, რომელი ხალხის სახელემ არქმევდენ უწინ. ეს ერთი ხანია, კად ადეთი დავამწესეთ, რომ ურცხო სახელემ ალარ ვარქვამთ ბალვეფ.

იუნუს თვართქილაძე (88 წლისა)

25 29. სოფ. გუდასახოში (ხულოს რაიონი)

ასახსნელსა მოგახსენეფ,
ახსნა გიგიჭირდება,
იმითანაჲ რა არი,
ქვეყანას ომ ჭირდება (ამოსახსნელი—სახელი)

30 აქ ჩავაგდე ბრინჯისისხო,
იქ ამოვდა დერგისისხო (გოჯრა)

ტუ-ტუ-ტუმარა, სახელს გეტყვი, გვარს არა (ტომარა)

ერთ გუდაში ორნაირი ღვინო ასხია (კვერცხი)

კაცზე მაღალი,
ლორზე -- დაბალი (ქუდი)

ერთი სტუმარი მესტუმრა,
შიდღემში უსტუმრებელი;
ერთი შაკმელი მივართვი—
სუფრაზე უღწღებელი (ახალდაბად. ბავშვი).

5

დავაბამ, იარს,
წუშეფ, დადგება (ქალამანი)

თავშეხვეჭილი მაღლა გარბის (ჩქოლა)

ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე (გზა)

10

წიწი-წიწი, წიწი ვაშლი,
ზედან ასხდა წვიტი ვაშლი,
არც იკმება, არც ისმება,
არცეთ კედრით არ მიხსლება (მასკლავები)

ევა ცაფელი,
ჩამწა ჭვირთული (გიდელი)

15

იარება და კვალს არ აჩენს (ფელუკად)
ერთ პლაკზე ორი გველი წევს (წარბები)

ავალევი ფირფიტონი,
შვან ჩავხედე, გულყვითელი (ცოცხალი სკა)

20

ჯილში ჩაეტევა, ოღაში—არა (ნიგვზის მოსარეკი ხალა)

ოთხი ძმა არიან,
ეშები არიან;
დარბაზ ჩაფლიან,
ჩაიმღერიან (ძროხის ძუძუები)

25

თიდან მუვა თასავეთ,
კლავი-მოტეხილსავეთ,

97

დაწდება ანგელოზსავეთ;
დანა კრა — სისხლი არ გამოდინდება,
სასტორით არ ემწონება (თოვლი)

- 5 ვზივარ ბნელსა, ვაქნივ ხელსა,
ვინ მუელის მახარელსა (წისკვილი),

—

ტყეში დევბადე, ტყეში გევზარდე,
საიში მუელი; კუკუ დევძაიე (ჯამი, ფილი).

30. შელოცვა (ყელის ტკივილისა)

- 10 ზეცას ვეველ უფებოთ,
ტრედი დევჭირე უბელოთ.
დავკალ უდანოთ,
შევწვი უცეცხლოთ,
გადავყლაპე უყორყოთ;
15 გუუსვამ ცერსა,
დუუსვამ ლეკსა,
დავატეფე სენსა;
ვილოცავ და ვიკითხაე
და მუუსტროფ ყელსა.

31. სოფ. ღორჯომში

- 20 — შტანთობა შტა ზამთხულში ვიციოთ. ღორჯომელები
ევკალიბოთ თაებზე და 3—4 დღეს, ზოგჯერ ერთ კვირასაც,
მტაწყოთ სეგრ, ჯუმბუმ, სანა-სიმღერას. რამდენიმე წყობა
დაულ-ჭიბონი უკრავს; აბლა იმფო გარმონია შამოლებული.
ქალი, კაცი, დიდი პაწაჲ, აქიდან ასული მემთიჭრეები —
25 ყველა დროს ატარებენ. ხანდიხან ცხენი ქენებაშიც შეეჯიბ-
რებიან ერთმანეთ აბალგაზღები.

—

32. ქოჩეგი

- 30 კაც ჩაცმიდენ ქალის ურუბას, ქალივით მორთავენ —
გძელ თმეფ გწკეთებდენ თავზე და ასაბებდენ. ამას ქოჩეგ
ვეტყვიოთ.

—

ერთმა სოფლის ვაჭარმა მაზე უმფო ბლაცე ვაჭარს უთხრა, რომ ყვაევი 300 წელწაც ცოცხლოფსო. — არავო, — უპასუღნია მდერე ვაჭარ. კიფო, — დუჩემებია პირველ ვაჭარ. დითბან უჯენგიან, აშლიღან, დაშლიღან და ბოლოს დაბესებულან:— ეინც წაგეფს, იმან ერთი კაპიწი ფალაყა თაფლი გედეღბადოსო. წასულან ნესრეთი — ხოჯასთან და უთქმიან, რომ ჩვენ ორში ვინაა მართალი და ტყუანიფო. ნესრეთი ხოჯას უთქვამს, რომ ჯერ მე გიღმიღბადეთ ერთი კასრი თაფლი და მემრენ გაგასამართლეთფო. უღიან ორნავეს და ერთი კასრი თაფლი მუწემიან ნესრეთი ხოჯისთვინ. ნესრეთი ხოჯას გამუტანია განაჩენი: — „ღდეჭირეთ ერთი ყვაევი ბარტყი და ორნავემ ერთათ გაზარღეთ, ნახეთ იცოცხლეთს თუარა 300 წელწაცო. ეინც გეღმარჯვეფს თქვენ ორ-შუა, თქვენი თვალით ნახავთ. მეტი რალა გინღანანო“.

5

10

ჩღიღაღ არის ოზრუქეთ-ჩოხატაჭრის სამზღვარი. ჩღიღას რომ გედეიარ, მემრენ ზორტიყელია. ჩოხატაჭ ეკურთნის: კატრიანი, გძელგორი და შეღრეკილი. ამ თეღბზე სულ ჩვენები მიღიან ზამფხუღობით. ზოგი დასასვენებღათ და ზოგი საქონელ მირეკავს, ან მემთიჭრეთ მიღის.

15

კაღ საძჭარი აღაგია კიღობანაღ. ჩხაკაჭრაშიც ჩვენები მცხოვრობენ. თუ აღრე დაღღა ზამთარი, იქ სიმიღდი ვეღარ ასტროფს დაღწიფებას, ცოც-ცოტა ხიღიღ იღის. ყართოფაღ უმფო კარკათ ვარგოფს.

20

ბერიძე შაჰნალ (60 წღისა)

33. სიღართლემ გეღმარჯვა

25

(ზღაპარი)

უწინღელ დროში ერთი ვაჭარი კაცი ყოფიღა თურმინ. ძალჭან დიღი ვაჭარი. ამ ვაჭარ ეთი ლამაზი ქალი და ეთი უწლიღანი შეიღი ჰხყოღია. ისინი ძალჭან ხელგაშლიღათ მცხოვრობღენ. ბოლოს ვაჭრის მოგებული ფუღლები თღიანათ განიავღა და ისე დაღაიბებულან, ომ ჰადი ქერეკიცი კი მონატრებღან.

30

ანღგარა ერთ დღეს ცოღი და ქმარისთვინ უთხრობია: „ტყვიღაღ რას დაგიფრენია პირი, გაკეთე შენც რამე, წაღ ჰადმე სამუშიერზე, შეიძღება ორი კაპიკი მეღგო და სული ჩავბრუნოთ, თუარა შიღშიღით ღვეზოცებითო!“ (ამ ვაჭარ კაც რა ქვიღდა, აღნ მახსოფს).

35

— რით წევდღე სამუშიერხე, გზის ფარა ომ არ მაქო?

- 5 -- მაშინ ცოლმა უთხრა ქმარს: „ათი მანათი მაქ დამა-
ლული სკიეში და იმას მოქცემ, მარა ყუმარი თამაშში არ
წაგოვო“. ელო ამ ქალმა და მიჰსცა ათი მანათი. კაცი გუდგა
5 გზაზე. პირველათ კაცმა ერთი ყუთი პიჭკაჲ იყიდა თურმინ,
ამით მედგო ათი კაპიკი, მონაგები ფარით კიდვენ სხტა რა-
მეგები იყიდა. ასე თანდათან შდაყოლა, შდაყოლა და ისე
გაზარდა ვაჭრობის საქმე, ომ მის კუთხეში გამსტრო ავინ
ყავდა. ბოლოს გადაწყვიდა: „ახლა მე სტამბოლნა წევდე;
10 იქილამ საქონელ ჩამევეტან და აქ ვაჭრობის საქმეს კილო
უმფრო გაეზდიო“. დაქვირთა პარახოტი და მიაყენა ბუსტზე.
ჩევდა სტამბოლ, გეჲარ-გამეჲარა ბაზარში, დამთვარიელა სულ
იქაჭრობა. ამ სიარულში ერთი მისნაირი ვაჭარი შეხდა.
იმას სახელათ თახსინაჲ ერქვა. თახსინამ მედნღუმა
15 ვაჭრის ჩატანილი საქონლის შეყიდვა თურმი. ჰო, კილარმი
დამაბიწყდა, — პირველათ ლაპაიკიც მუხდენ ფასზე თურმინ:
ამ კაცმა უთხრა, უმ ჩემი საქონელი ორ მილიონ ელირებაო, —
და თანაც ცოლზე დეჲფიცა: „ჩემ ცოლ გეჲფიცები, ორ მილიონ
ელირებაო“. მემრენ თავის კედრით თახსინამ შდეკითხა ამ
20 ვაჭარ თურმი: „შენ რაფერი ცოლი ქყავსო? — „ძალუან
კარქიო“. „ჰოჲ, შენ ბლაცყო, — ახლა შამუბრუნდა თახსი-
ნამ, — რას მაძლევე, შენ ცოლთან მიედე და დრო გავატაროვო?“
„შენ თექ ჩემ ცოლთან დრო გატარე და ამ პარახოტი-
ჩამოტანილ საქონელ ტყვილაჲ დიგითმოდო;“ თანაც ორმოცი
25 დღე ვადა დუთქვა პირობის შესამსრულებლათ. დადებულ
პირობაზე ორნავემ კლავი მოსწია. ხელშეკრულობა ხენწიფეს
შიამოწმებიეს. ამასობაში სამი დღე გევდა თურმი. თახსინამ
გუდგა თავის გზას. მოვდა აქაჭრი ვაჭრის ოჯალში. სახლი
ხუთარტაჲიანი იყო. სულ ზედა არტაჲაზე ვაჭრის ქალი მცხოვ-
30 რობდა. სახლის წინ დიდი კალო იყო. კალოზე ყარაყოლები
დახდენ, ყარაყოლებმა შდეკითხენ თახსინას: „ჰიდაჭრი ხარ, აქ
რამ გაგაბედვია მოსლაო“.

„მე სტამბოლელი ვაჭარი გახლავარ, თქვენი ხაზაინს
საქონელი ვიყიდე (აქ მუტყვილა თახსინამ ყარაყოლები) და
35 მინდა, უმ მის ქალ მუახსენო, საქონლის ყიდვაში ხელი
შიმიწყოსო“.

ყარაყოლებმა ყველამფერი ქალს მუახსენეს; მუხსნეს თახ-
სინას ჩამოსლი მიზეზი სტამბოლიდან. ქალმა პირველათ მუარი
უთხრა. თახსინას: „არ მაქ ნება ქმარის დუკითხავათ საბში

შამოგიშვაო“. თახსინაჲ საგონებელში ჩავარდა. აშიქარეთ ხედავდა, უმ მისმა ოძნებმა აღარ გაშჳრა, მარა უმუღი მადც არ გეატეხა. დატრჳალდა, იქით ეცა, აქეთ ეცა, მარა ვმეფერი ვერ მეგონა (ჰო, დამაბიწყდა იმის თქმა, თლათ ასე არაა) ვაქრეფ ხელშეკრულობით დათქმული ქონდენ, უმ თახსინაჲ თუ ქალთან დროს გატარებდა, ამის ნიშნათ ქმარისთვინდა მიეყოლა, თუ რანაირი ფერის თმა ქონდა ქალს, რანაირ კარავოტზე იწვა და კიდვენ ეწერა სხვადასხვა ნიშნეშლობა. ხოლოთ ამ შემთხვევაში იქნებოდა თახსინაჲ გამარჯვებული. ჰო, ისდა მეთქჳა. — გზაში, ჰიღამდი თახსინაჲ სახლში მივდოდა, მას შეხდა ერთი მეცარი დედაბერი — ყველამფრის გამხერხო. თახსინამ დედაბერ შეგხვეწა, უმ, „თუ იმ ვაქრის ქალ შამახვენდრეფ, 100 ალთუნ გაჩუქვეფო“. დედაბერმა უთხრა, უმ მე მოგიხერხეფ მის ოღაში შეყვანას და იმი გარეთ შენ იცი, დუახლოვდები თუარა ქალსო“. თახსინაჲ დაყაბულდა ამ პირობაზე. ჰიღამდი ქალი ოჯალში მივდოდა, დედაბერმა გევდა ბაზარში და ეთი სკიერი იყიდა. შამუბრუნდა თახსინას და დწრიგა: „ჩაწეფ ფთხილათ ამ ზანდულში, ნერჩზე პირჩამფხობილი, უძრავათ იყავ, არ გეექანო, რაც არნა გიგიჭირდეს, მე წველეფ ამ სკიურ იმ ქალის სახში და თავს ისე მუაჩვენეფ, ვითამ რაცხაეფს ვყიდიო“.

სკიერი ეთი კედაროდან გამოხრიტა და ვაქარი დწრიგა: „ამ ჳიტინაჲდამ იმ ქალ დეანახავო“. დედაბერმა ერთ გზავრ ეს სკიერი მოხკიდა ზრუქში და სამი ოქრო აჩუქეა, თუ იმ ქალის სახში მიიტანდა ამ სკიუ. გზავრმა დაყაბულდა თურმი ამ პირობაზე. მიაღგენ სამნავეფ ქალის სახს, მარა კალოზე ყარაყოლებმა გულდუღვენ წინ და შაჩერეს ესენი. დედაბერმა ყარაყოლეფ უთხრა, უმ ის ქალი ჩემი ძუძუნაწუბარია და მიმიღოს სახშიო. ყარაყოლებმა ეს აძბაფი ქალს მუახსენეს. ქალმა დათანაყმდა: „დედაბერი ბიბაკიანა ჩემთან შამეფყვანეთო“. ქალმა იცნა ე დედაბერი. დედაბერმა და ქალმა დითხან ილაპაიკეს: იქითური მოყვენ, აქითური და ბოლოს ამ ქალს დედაბერმა თხუა, რომ ე სკიერი აქ-იყოს დრუბით, ახლა მე ჰაცხან ლოგინი მიჩვენეთ, პაწას წუთლემ, ძალჳან მეძინებაო. ასეც მეექვენ. სკიერი უჟე ამ ქალის ოღაშია. თახსინაჲ ჳიტინაჲდამ ხედავს ყველამფერს. გეეცნობა ოღაში რანაირი კარავოტებია, რანაირი ვეშები. ბოლოს ქალს ძილი მჳნდა. ტანი უმ გეძრო, ძალჳან მეეწონა თახსინას გატიტლებული ქალი. თახსინამ გწლო შანეღამ სკიერი და მეღნდუმა

სკივრიდამ ამოსლა, მარა ვერ გაბედა. შიშიზგან კანკალობდა. თახსინამ ყველამფერი დედნახსოვრა: რაცხაფერიც იყო ქალი, რა ვეშები ელაგა მის ოდაში; ქალს რომ ოქროსფერი თმაქონდა, მარცხენა კედაროს ლოყაზე ბენგი, ხელზე ალთუნის.

5 ბეჭედი და კიდევ ქალის სხვა მორთულობა. ლოგინი ატლასით გაწყობილი, შკაფები აბანოზის და, ერთი სიტყვით, ყველამფერი თითეშულათ დედნახსოვრა.

ადრე, გამთვას, იალომზე დედაბერ გამგელვინძა. ყარაყოლეფ სკივრი ძირ ჩატანია და გულდვენ დედაბერმა და.

10 თახსინამ გზას, პირობის მიხედულობით თახსინამ დედაბერასი ოქრო აჩუქვა. თვითან კი გდენგზავრა სტამბოლ. მივდა პრიამა ხენწიფესთან. ხენწიფემ დუძახა იმ ქალის ქმარ და მასთან თანდასტრობით შდეკითხა თახსინას: „აბა, გვითხარ იმ ქალის ნიშნეტლობა და იგვიწერე, რაც ქალის ოდაში

15 ნახეო“. ჰო, კილამ დამაბიწყდა, მეცარმა დედაბერმა იმ ქალბეჭედი ნოპარა და თახსინას ჩაბარა თურმინ.

ახლა ხენწიფის წინ გაჩერებულია თახსინაჲ და აძლევს პასულებს მას: „ხომაა შენი ქალი თეთ-ყნიმიზი ფერისა?“—ებნევა თახსინაჲ იმ ქალის ქმარ, — „კიო“, — უპასულა ქმარმა. „ხუმ.

20 აქ ცეცხლი ფერი ატლასის ლოგინი?“— „კიო“. „ხუმ აქ ამადაამტონეთი სკამი, ამადაამტონეთი შკაფი?“.

თახსინამ თითეშულათ დუსახელა, რაც უმ დედნახა თავის თუალით ქალის ოდაში. ამაზეც დდეთანხმა იმ ქალის ქმარი.

25 „თუარ იჯერი, — განაგძო თახსინამ ლაპაიკი, — აჰა, მისი ოქროს ბეჭედიც, ახლა ხუმ შიამსრულეფ პირობას?“.

— რალა მეტქმის ამის მემრენ. ეალო აქაშმა ვაქარმა და თახსინას ერთი პარახოტი საქონელი ჩაბარა; ბოლოს ისე გაკოტდა, უმ წამოსლი ფარაც აღნ დურჩა, მივდა ე გაკოტრებული ვაქარი ხენწიფესთან და შდეხეეწა, რომ „გზი ფარა.

30 მად მომეციოთ, ჩემ ვათანში რომ წევდეო“.

ხენწიფემ უთხრა: „ერთ თვეს ჩემი ბატები წყესე და გზი ფარასაც გაკეთეფო“. კაცი დათამხდა. ამ კაც, სტამბოლში უმ მიდიოდა, თან გზაში ერთი მორბედი ახლდა კოლაუხათ წყყენილი. ამ მორბეც დნვალა იმ კაცმა, უმ „წაჲ და ჩემი

35 კახპა ცოლი მოკალ, სახლი დასწვი და მოდი ჩემთანო“. მორბედი დდეთანხმა თურმი. მასობაში ერთი თვეც გევდა. ეს ვაჭარი და მორბედი მივდენ ხენწიფესთან და ეთი თვის ხელფასი მოთხუეს. ხენწიფემაც გულუბადა ხელფასი. გაკოტრებულმა ვაქარმა ეს მორბედი ამ ფულით გამშაგზანა ქალის.

მოსაკლავათ. ქალმა უმ მორბედი დედანხა, ძალთან გუხარდა. ქალმა მორბეც შეეკითხა: „ჰა წყევანე ჩემი ქმარიო?“

— „შენ ქმარი აღნ კყავს, შენ კახპავ, განა შენ ქმრის ღირსი ხარ? შენ ასეთურო, შენ ისეთურო“ და ისე გალანძღა, უმ აქარიწყალიც ვერ გარეცხავდა.

5

„შენ ხუმ თახსინასთან გატარე დრო, სტამბოლელ ვაქართანო? ამის მემრენ ყველამფერი მუყვა ამ კაცმა ქალს. „მე თუარ მიჯერი, — განაგძო მორბედმა, — ჰა გაქ შენი ოქროს ბეჭედლიო? ახლა შენმა ქმარმა გამომგზანა შენ მოსაკლავათო.“

ამის გაგონებაზე ქალმა კილარმი ქვეიდან შეეშალა, მარა უცფათაჲ მემსარტა, ჰელბეთ იმ მეცარმა დედაბერმა მუაწყო ეს ყველამფერიო. ამის მემრენ კაცმა ქალს კისერზე დანდა ხმალი. ქალმა უთხრა: „მე მადც მკლავ და მკლავ, მარა სიკდილის წინ ეთი თხოვნა მადც შიმისრულე — თუთხმეტი მინუთი მადრტე და მემრენ ჰელალი იყოს ჩემი სისხლიო.“ ამის მემრენ

10

ემე ქალმა ჩუმათალაჲ ბაზარში ხემწიფის შესადარი ტანსამუსი იყიდა, და როგორც ნეფე, ისე გამეფყო. შეეღა ცხენზე და გვენგზავრა სტამბოლ; კად ხანი უმ გევდა და, ეს ქალი აღნ დაბრუნდა თავის სახში, ადგა იმ მორბედმაც და გუდგა სტამბოლისკენ გზას, მიჯარა და მივდა პრამა ხენწიფესთან. იქაჲ ხემწიფეს მუახსენეს, უმ ვინცხა, ნეფის ტანსამუსში.

15

შენთან დიდი კაცია მოსულიო. დაჰმადჯეს თურმი ხენწიფესთან ეს „დიდი კაცი“. სტუმარმა ხენწიფეს უთხრა, უმ შენთან ერთი საქმე მაქო. ამა და ამ დროს შენთან ხომ მოვდა ესა და ეს ვაჭარი, — დეგყო სტუმარმა, — და ყველამფერი დამწრილებით თავიდან მუყვა ხენწიფეს. „ერთი ის ვაჭარი მომგვარეთ აქ თუ შეიძლებაო.“ ვაჭარი (თახსინაჲ) ხენწიფის ბიანებით მუყვანეს სტუმარს.

20

იქვენ იყო გაკორებული ვაჭარიც; მერე ამ სტუმარმა მუბრუნდა და შეეკითხა თახსინას: „შენ წართვი მართლა სტამბოლში ჩანოსულ ვაჭარ ერთი პარახოტი საქონელი? რაფერ მუახერხე მის ქალთან დროს გატარება, რა მულამებით მიდი მასთან, მოყევი აქ ხენწიფის წინ ნანდვილი ამბავი, ტყვილი არ წაქცდეს, ზე გაგონილი მაქ, უმ 'ის ქალი მართალი და ნამუსიანიოა.“

25

„გეტყვი ყველამფერი სინამდვილესო და, — დანწრილებით მუყვა ყველამფერი თახსინამ სტუმარს და ხენწიფეს, თუ რაფერ მუახერხა ერთი მეცარი დედაბერის დახმარებით ქალის ოდაში შესლა, რაფერ შიამთვარიელა სკივრის კიტინადამ იქაჲრობა, რაფერ ჩეგდლო ბეჭედი ხელში და სხვა. „ამის

35

- მემრენ ამოვძვერ სკივრიდან და 15 დღე ქალთან გავატარე დროო“. (აქ თქუა ტყვილი). ამ დროს ქალმა შდაჩერა და დგემუქრა: „შენ ტყვილს ნუ ამბოფო“. მასქან მოყვა თავიდაჲ სიმართლე, თუ რაფერ მუტყვილა იმ ქალის ქმარი, ხენწიფე.
- 5 და, ერთი სიტყვით, დანწრილებით მუყვა ყველას, ვინცხას უმ აინტერესებდა ეს ამბავი. ბოლოს სტუმარმა მუბრუნდა მის ქმარ და უთხრა: „ახლა თუ დეჯერე მაძც შენი ქალის სიმართლეშიო? შენ ბლაცყო, მაქ ჭკვით რაფერ ვაქრობდი, ასენდა დეგელუმბა შენი ქალიო?“ თახსინაძც და ქმარიც
- 10 დარცხვენილი უსმენდენ სტუმარ. ი დედაბერიც მუყყანია ამ სტუმარმა. იმაჲც ალაჲაიკა ნანდვილი ამბავი. მასქან მუბრუნდა სტუმარი ხენწიფეს და თხუტი: „ჯენდერმგეგი მომიყვათო“; მუმსრულეს ეს დავალებაც სტუმარ. ახლა გამოვდა
- 15 შაშუაგულო ოდაში ე სტუმარი, გედედრო პლაში და ხენწიფის ტანსამუსი. ყველას გუჲკვირდა, რაფერ მუჲახერხა ამდონი ამბავი ქალმაო. ვაჭარმა იცნა თავის ცოლი, უთი მფხრიე შიში აწუხებდა და მძორო მფხრიე სირცხვილი. ამ ქალმა სტამბოლეღი ვაჭარი — თახსინაძ დნბრეტია. მეცარი დედაბერი ცხენის კუდზე გამუჲაბმია და ისე დნფარჩვია; ჯენდერმგეგ კი თავის ქმარი ცალკე ოდაში შდაგდებია. მემრენ
- 20 მუბრუნდა ე ქალი ხენწიფეს და დუწყო ლანძღვა: „სირცხვილი შენი, ხენწიფეს გიძახიან და რა ხდება შენ სახენწიფოში არ გესმის, მოგიყრია ამფერი ახტაჯი ხალხისთვინ თავი და მასხრათ აგდებიეფ თავსო!“.
- 25 დიღით, იალომზე, თავის ქმარი შამუყყანია, ცალ ფეხზე დყენა და იქამდინ ლანძღა, ჰიდამდი ქმარს სირცხვილიზგან კიბილებიდან ოფლი არ გამუყვდა. ქალს შდებრალა თავის ქმარი და აჲატივა შეცდუმა. იმ ლამეს სტამბოლ გნთიეს ლამე გვერდი-გვერდ. მჲერე დღეს იქაშმა ხენწიფემ ამ კაც დუბრუნა
- 30 თავის ქონება, ცოლ-ქმარმა სიხარულით დაბრუნდენ შამშობლოში. ასე გემძარჯვა სიმართლემ უსამართლობაზე.

სოფ. თხილვანა,
ნ. გუნდაძე (52 წლისა)

34. უტვზნო კაცის თავი

- 35 იყო და არა იყო რა, ჩიტი იყო გალობელი, ღმერთი მისი წყალობელი. იყო ერთი უტვზნო ღერიბი კაცი. ერთი დღე აჲ ღერიბმა კაცმა ადგა და წევდა ღმერთთან, რომ ეთქვა მისთვინ, მისი ჩარხი რატომ არ ბრუნავს, რატომ ყველთვინ გაჭირვებაშია. გზაში შენთა მეგემ ერთი დათვი. დათმა კითაა

კაც, რომ ღმერთთან გომიგევე, ამდებანია რომ თავი მტკივა,
 როდს მომირჩებაო. ბეჭრი იარა თუ ცოტად, ამ კაც ერთო
 ფადიშაჰის გოგო შეხთა. ფადიშაჰის გოგომა თხტა ამ კაც,
 რომ, ჰაჩან ღმერთთან მიხვალ, ბარემ იპიც გეგევე, მე გევეთხოლო,
 თუ გუთხვარი დავებრდევო. ბოლოს ამ უტვინო კაც ერთი 5
 მებალე შეითა მეგემ. მებალემ უტვინო კაც დნბარა, ღმერთ-
 გამჩენისთვინ ეკითხა, რატომ მისი ბალი არ ისხამდა ხილ.
 ბეჭრი იარა თუ ცოტად, ამ უტვინო კაცმა მიაწია ღმერთთან
 და მოთხტა მისი ჩარხის აბრუნება. ღმერთმა უბრუნა მისი 10
 ჩარხი. ბოლოს უტვინო კაცმა თხტა, რომ გეგევე მიზეზი,
 რატომ იმ მებალის ბალი ხილს არ ისხამდა. ღმერთმა უთხრა,
 რომ ბალის ბოლოს ერთი ძირი ვაშლი ჩქოლაა, იმ ხი ძირში
 ოქროდს ხაზინაა, თუ ამ ხაზინას მუათხრიეფ, ის მებალე
 ნახვარ შენ გიწილადეფს და ბალიც ხილ გამეგებამსო. მეგრენ
 უტვინო კაცმა შესთხტა ღმერთ, რომ მისთვინ რჩევა მიეცა, 15
 ერთი ფადიშაჰის ქალია, გათხტებულიყო ის, თუ გუთხოვარი
 დაბერებულიყო. ღმერთმა უთხრა, რომ ი გოგო გეგეთხოვოს,
 მარა შენდა ითხოვო. ბოლოს უტვინო კაცმა ღმერთ-გამჩენ
 შადეკითხა, რომ ერთი დათვი შემხდა გზაში და შენთან დამა-
 ბარა, რომ ბითთუმ თავი რომ ტკივა, რაა მისი წამალიო. 20
 უტვინო კაცის ტვინ თუ ჰამს, მორჩებაო, — უთხრა ღმერთმა
 ამ კაც. დაბრუნდა ე კაცი თავის საბლჩი. გზაში პირველად
 შეხთა მებალე. მებალემ ჰკითხა უტვინო კაც, რა გითხრა
 ჩემზე ღმერთმაო. იმანაც მუყევა ყველამფერი. მოთხარეს ერთათ
 ბალის ბოლოში ვაშლის ძირი და ამოჰყარეს ხაზინადან 25
 ოქრუბი; მებალემ ნახვარ ხაზინა ოქრო გუწილადა ამ კაც,
 მარა უტვინო კაცმა უარი უთხრა: „რათ მინდა შენი ოქრო,
 ჩემი ჩარხი უფე აბრუნა ღმერთმაო“. მეგრენ ამ კაც ფადი-
 შაჰი გოგო შეხთა. იმაჰაც მუყევა ღმერთის ნაბძანევი. მარა
 უტვინო კაცმა ამ ქალის თხოვაზე უარი თქტა: „შენი თავი 30
 რალათ მინდა, ჩემი ჩარხი ამუშავებულიაო“. ბოლოს დათვი
 შეგბთა ამ კაც. დათვსაც უამბო ყველამფერი. დათვმა შამუ-
 ბრუნდა და უთხრა: შენ ნახვარ ხაზინა ოქროს გაძლევედენ,
 უარი თქვი, ფადიშაჰის გოგო გეძლეოდა, არ ითხტე, შენზე
 უტვინო კაცი ვილანდა ვნახოლო, წამეგქნია ე კაცო და ჟღერთა 35
 გწყრეგია: შეშჰამა ამ უტვინო კაცის ტვინი და დათვი გადარჩა
 თავი ტკივილ.

35. ყენდეჭერ-ალა

ყოფილა ერთი თემბელი კაცი, სახელათ ყენდეჭერ-ალა
ქმევია. ეზო-კარ არ ცილდებოდა, ოჯალიპირ ნაცარგეგისავენ
გორედა. სახლი იწუერი არ ქონდა. ისე მენდებური კაცი
5 ყოფილა, რომ ხანდიხან საჭმი ჭამაც შეეზარებოდა თურმი.

ერთი დღე ერთმა მეზობელმა პატივი სცო და ერთი
ტალიკი თათლი მუტანა ყენდეჭერ-ალას — შიმშილით სული არ
ამოხდესო. ცოტა თათლი ჭამა და დანარჩენი ჩამოჭრია
უკან: — ბითევი რომ შევჭამო, ხვალ რალა ვქნავო. ედლო
10 ტალიკი და თაროზე შამოდვა. როცხა კარქა მდემშია, ადგა
და დანირა თაროდან ტალიკის ჩამოღება, მარა ჰალადაა
შენი თათლი, რაც თუ იმ არე-მარეში ბუჭუნჭველები იყენენ,
წასტულან და შუჭამიან თათლი. ტალიკი ბითევი ბუჭუნჭვე-
ლებით იყო გაშევებული. დარტყა ჯილი და დანირა ჯინ-
15 ჭველების ამოხოცვა, მარა მემრენ შეჩერდა, ზათი უსაქმოთ
ვარ და მოე საქმეს გეეჩენ — ამ ჯინჭველეფ თითეშლათ გადა-
ვთლი, ვნახავ, რამითი სურაელი იქნებაო. დათვალა და
ამოჩინდა სულ 1500. დუშევა ტალიკზე 2—3-ჯელ მჯილი
მაგრათ და ბითევი ამოხოცა. იფიშმანა, იფიშმანა ყენდეჭერ-
20 ალამ და ბოლოს გადაწყვიდა, რომ ჩემი სიზარმაცე ყველთინ
არ გაუმადგება, მოე რაცხას მეევონეფ და ხალხში თავ წეედ-
გენო. ამდენი სურაელი გაეწყვიდე. ხომ შეიძლება ამით ხალხში
სახელი გეფთქვაო. ადგა ეს ზარმაცი და წეედა ერთ შეჭერში.
მოძებნა ერთი გედელი და უთხრა, სასტრაფოთ ერთი ყილიჯი
25 გაუმიჭედეო. გაკეთებია კაე ჭრელი ყილიჯი და ზედან დუწე-
რია, რომ, „ამის პატრონმა მუშტით 1500 მოკლა, ყილიჯით
რამდენ მოკლავსო?“ დეეკიდა ყილიჯი, ჩეეცვა კაე ტანსამუსი
და გერია ხალხში. ხალხმა ვერ იცნა, რომ ეს კაცი ყენდეჭერ-
ალა იყო. ყილიჯის ტარზე დეკვირდენ ხალხმა და რომ წეეკი-
30 თხენ, რაც ეწერა, დუფთბილდენ — შიშიზგან აბლო ველარ
მიდიოდენ. ერთი დღე გეეხედა ყენდეჭერ-ალამ, რომ მის წინ
ერთი პაწაე კაცი დადის ქალაქში და ტირის. შეეკითბება
ყენდეჭერ-ალა: — რა გატირეფსო. — შენ რანდა მიგახ-
დინო ჩემი დერდი, რა გეეგეგებაეო, — ეპასულნა იმ ტირალ
35 კაც. ყენდეჭერ-ალა დეემუქრა: — „თქვი თუარა ამინუჩი თავ
წაკჭრიო“. ტირალ კაც შეეშინდა და იძულევებული გახდა
გეემელავენებია ამ კაცისთინ თავის დერდებ: „მე ჰაძლან
მივდივარ, — დეეწყო ტირალმა კაცმა, — იმ გზაზე სამი დივიო.

და იმათნა შემეჭამონო“. შამშობრუნდა ყენდეჰერ-ალამ ამ კაც
და უთხრა: „აბა გიმძიძეხ წინაო!“ რომ დოუახლოვდენ დივეფ.
ერთმა შტათანა დივმა დაწინაუდა და დანარჩენეთ სიხარულით
მიადახა: „ბნსამბანია ხორცი აღნ გეიჭამია და დღე კად სადილი
გეეკნებაო“. მივდა მაგ დივმა, შორი-ახლოდდან გოუხედა და 5
ყილიჯის ტარზე ამეჟკითხა: „მუშტით 1500 კლავს და ყილი-
ჯით რამდენ მოკლავს, ჰესაბი არ აქო“. მაშინ შეეშინა მაგ
დივს და უკან დეხნია. დივმა ე კაცი სახლჩი შეჰააჟა და
წეფყუნან თანა. ეხოში რომ შეედენ, უმფოსნა დივმა მდეგება
ამათ. დნკვირდა ამ კაცის ყილიჯის ტარ და იმანაც შიშიზგან 10
უკან დეხნია. მარობაში მესამე დივიც გამოვდა ეხოში და
ესენი რომ დეგნახა, ძალუან გაჰკვირდა: ი კაცისთვინ თავინდა
მდეჰრენ, ეს კი ცოცხლათაჟ მუყუანიან, რაშია საქმეო. ამანაც
რომ წეჟკითხა, რაც ეწერა ყილიჯის ტარზე, ადგა და სახლჩი
შეჰააჟა ეს დივი. ამ თალაშში იმ ტირალმა კაცმა—ყენდეჰერ- 15
ალას რომ ახლავდა, დრო იშონა და გეჟკა თავის სახლჩი.
ადგა ამ სამმა ძმა დივმა და დეფწყეს იმაზე ფიშმანი, რათერ
მოქცეულყინენ ამ კაცთან. ბოლოს გადაწყვიდეს: „რაც შეიძ-
ლება პატივი ვცოთ: ვაჰამოთ, ვასვათ და ჰელბეთ როდცხა
ფეხი გზაზე წასლა მუნდება; თუ თავის ყილიჯი თან წეჟლო, 20
მაშინ ხთალი ყოფილა, საშიში არაა და წავაძროფთ თავს,
თუ დაჰტია, მაშინ უშიშარი იქნებაო“. მართლაც, ამ კაც
სალამობირ ფეხი გზაში გასლა მუნდა. დივებმა მიასტავლეს
გზა. ადგა ყენდეჰერ-ალამ, იარალი შამეგხსნა და ისე წეჟდა
გარში. მაშინ დივებმა გადაწყვიდეს, რომ ეს ყოფილა უშიშარი 25
კაცი, ფეჰლეგანიო. ამ დივეფ ერთი და ჰხყოლიან. გულუწყვე-
დიან ამ დის მითხტება ამ კაცისთვინა, ჩტცმიან, დუნბურვან
კარქა ამ ქალისთვინ და ყენდეჰერ-ალისთვინ უთჰმიან, რომ
ეს და ეთხტა, შეერთო მას. ამ კაც ეს ქალი ძალუან მდეწონა
თურმის. ადგა და ითხტა კიდეც. დეესიძია დივეფ. აბეჰებუ- 30
ლია ყენდეჰერ-ალა დივების სახლჩი და დროს ატარეფს.

ერთი დღე უნცროსი დივი ადგა და შეჰერში წეჟდა
(შეჰერ ქალაქს ვეტყვით). მივდა შეჰერში, რომ, რას ხედავს,
წყარო თავში წეჟს ერთი დიდი დივი და წყალს არ უშეფეს,
ჰიდამდი ხალხი ერთ კაც არ მიცემენ შეშაჰმელაჟ. ამ კაცის 35
შეჰმაში რასაც მჰასტროფს ხალხი წყაროს ადენას, იმით
იბრუნებენ სულს. ვინც ომ ძრაჰლია და ადრე მძასტროფს
წყაროსთან, ის ნმსოფს ჰურჰელ წყლითა. სირა მისულა
ფადიშაჰის გოგოზე. ფადიშაჰმა დუნი ქენარამდე თელლალი

დნგზანა. თელღალღი ყვირის ხალხში, რომ, ვინც თადიშაჰის გოგოს გაღწარჩენს, მას ჩირალ გახდის ხენწიფეო. ამ ღივმა იფიქრა, რომ ჩვენ ომ სიძე კყყავს, თუ მოკლავს იმ ხალხის ნწვალებელ ღივს, სტორეთ ის მოკლავსო. აღვა ემე

5 ღივმა და მივღა ხენწიფესთან. თადიშაჰ გოუბარღება ძალწან, გატანს ამ ღივ ჯარს ყენღეჰერ-ალის მოსაყვანათ. ყენღეჰერ-ალა გულში ფიქროფს, რომ რათერ გეღევიჩინო თავი ამ ბელად-დან, რა ოღნი მევეგონოო. ყენღეჰერ-ალამ უთხრა ყარაწღლეფ, რომ, რას მღარაჯოფთ. ხომ იღით, რომ მე ფეჰღევანი

10 ვარ, რა ღიღი საქმმა იმ ღივის მოკლაო. ყარაწღლებმა მიგორღენ და ღეღძინეს. ამ ღროს იშწა ღრო ყენღეჰერ-ალამ, ნოწიწინდა და გეღქცა. გზა შეღშალა და პრღამა მიადღა იმ ღივ, წყარო თავში რომ იწვა. ღივმა რომ ღეღნახა ე კაცი, მწუნვა წყალი, შაჰმელი მოღის და ახლა მას შევეჰქცევიო.

15 ყენღეჰერ-ალას შიშიზგან კიღარში ენა ჩწევარღა პირში. იქვენ, აიღოს ღეღნახა ერთი ბღის ხე, შნატა ზეთ. მივღა ეს ღივი, რასღალა მწაჯანჯგვალა ხე; თურში რომელცხა ტოტზე იყო ე კაცი, ხმელი ყოფიღა, მოტყღა ტოტი და ყენღეჰერ-ალა ღივს კისერზე ღეღცა. მოწიწა ორნავეღ ყურებით და მწაჟღა

20 ზრუჰში ამ ღივ. ღივმა ვერაფრით ვერ მეღციღღა ზრუგიღან ეს კაცი. სიმწარით იქეთ-აქეთ სირბიღი ღეღწყო. წალმა-უჰკულმა ზღრწალეფს. ბოღოს ეს ღივი თადიშაჰის ციხის კარეფთან მოხღა. ყენღეჰერ-ალან ციხის ყარაწღლეფ შწძახა, რომ კარები გეღღოთ. ყარაწღლებმაც გღღეს ციხის კარები. ეს

25 ღივი პრღამა სირბიღით ციხეში შევარღა. კარეფთან რომ მივღა ღევი, იწკუბა ყენღეჰერ-ალამ და გაღმწუბტა ღივის ზრუ-გიღან. ღივმა თავი ვერ ღეღმაგრა და პირღაპირ ციხეში კრა თავი. ყარაწღლებმა იმ წამ ღწუბაქსეს კარები და ღანწყარიეს ღევი ციხეში. მღერე ღღეს თელი სოფელი შეგროვღა წყარო

30 პირზე და ღიღი სეღარი და ჯუმბუშობა მწაწყეს. ხენწიფემ ყენღეჰერ-ალა ოქრო-ვერცხღით აამსო.

სოფ. ღიოკნისი (ხეღოს რ.),

ფაიყ შავაძე (76 წღღისა)



ყოფიღა ერთი მოხუცი კაცი. ჰყოღია ოთხი შვიღი. სიკ-

35 ღიღიხან შვიღები ღწუბარებია და ვესღეთი ღწუტოვებია: ერთის-თენი ქვაბი მწეღემია, ერთისათენი — ერთი ოღა, ერთისთენი ერთი ძირი ვაშღის ხე და ერთისთენიაც — ერთი ცხენი.

თანაც დუბარებია, რომ თქვენ წეჲკინწლებით, მარა ამ და
 ამ ალიგზე ერთი ქეშიშია და ის მოჭრის თქვენ დავასო.
 წამოქცეულა ეს ბერიცაცი და წულია თქვენი ჳირი, მომკდარა.
 არ გასულა ცოტა ხანი, რომ მაგ შვილებმა წეჲკინწლენ მეგემ.
 ადგნენ და გუდგენ ქეშიშიან დავის გადასაჭრელათ. გზაწი 5
 ერთმა ძმამ შწაერა მგერენები და უთხრა, რომ ამ ადგილზე
 ერთ დევს გუვლია, მარა მარჯვენად თუალი ქორი ჳკონიაო;
 მგერეს უთქვანს, რომ მარცხენად ფეხით თოფალი ყოფილაო;
 მესამეს უთქვამს: კუდაა ყოფილა, კული არ ჳკონიაო; მეოთხეს
 უთქვამს, რომ დევე ჳვირთული ყოფილა. ერთ თერეფზე 10
 ჳვირთში ბეთმეზი ჳკონია, მგერე თერეფზე ძმარო. ამ
 ლაპარიკში და ჯენგში უკანიდამ ერთი ეჯემი წამდეწია ამათ
 თურმი და ამ ძმეფ დუწყო დავა, ის დევე ჩემი იყოო. შამუ-
 ბრუნდენ ეს ძმები და უთხრეს, რომ შენ ბეწო, ის დევე კი
 არ გვინახავს თვალით, ჩვენდათვინად ნაკვალევზე მივხდითო. 15
 აბა, ჳადეფ წევდეთ თავრობაში და იქ გადაეჭრათ ეს საქმეო, —
 ეთქვა ძმებისთინ ეჯემ. ბეჭრი იარეს თუ ცოტად, მიაწიეს
 ამ ქეშიშთან. ეჯემმა უთხრა ამ ქეშიშ, რომ ჩემი დაკარქული
 დევე ამ ძმეფ ჳყოლიან და დიმიბრუნონო. ძმეფ უთქმიან, რომ
 ჩვენ ი დევე გერჩექ კ' არ გვინახავს, ჩვენდათვინად მივხდით, 20
 ჩვენ მისნები ვართო. ქეშიშმა გაყარა ესენი გარში, ედლო
 ერთი ლემსი და ქილიმ-ქვეშ შამოდვა, ჰაწახანს უკან დუძახა
 მაგათ და შდეკითხა: „აბა, თქვენ თუ მისნები ხართ, გამედკანთ,
 რაა შამოდებული ამ ქილიმ-ქვეშო“. — რაცხა არის, წმინდა
 არისო, — თქვა ერთმა ძმამ. მგერემ დუშატა, რომ თუ წმინდა 25
 არი, ერთ კუთხეს გამოხრეტილი ექნებაო. ჳელბეთ ლემსი
 იქნებაო, — ამოხსნა მესამემ მეგერ. ქეშიშმა გაჳკვირდა და
 უთხრა, აბა, კიდვენ გაფთ გარშიო, ქეშიშმა ახლა მახასი შა-
 მოდვა ქილიმ-ქვეშ. დუძახა და შეიყუანა ე ძმები. ქეშიშმა
 შდეკითხა, რომ აბა, ახლა გამედკანთო. ერთმა თქუა, რომ 30
 რაცხა არი, ორი თუალი აქო, მგორემ დუშატა: ორი თუალი
 თუ აქ, იმა ორი ჳირიც ექნებაო. მესამემ თქუა, რომ ორი
 ჳირი და ორი თუალი მახასს აქო. მეოთხეს ახლაც არ
 დაცალდა სიტყვა, სამმა ძმამ ამოხსნა ამოსახსნელი. ხელხამ
 გაჳყარა გარეთ ეს ძმები ქეშიშმა. ახლა ქილიმ-ქვეშ ქეშიშმა 35
 ქალიდი შამოდვა. დუძახა კიდვენ ეს ძმები. ერთმა თქუა, რომ
 რაცხაა ეს, თეთრიაო, მგორომ თქვა, რომ თეთრი თუა—
 თხელი იქნებაო, მესამემ თქუა, რომ თეთრი თუა და თხელი,
 ჳელბეთ ეს ქალიდი იქნებაო. ქეშიშმა შამუბრუნდა ამ ეჯემ,

პერსიან და უთხრა, რომ შენ ვინცხა ხარ შერი ყოფილხარ, დედაკარქე, გამცილდი აქიდანო. ახლა მუბრუნდა ქეშიშმა ამ ძმეიქ და უთხრა, რომ რას მთხოვთ ახლა მეო. ძმებმა უთხრეს, რომ ჩვენმა ბაბომ სიკდილისხან ერთ მოქეცა ვაშლი — ძირათ, ერთ — ოდა, ერთ ქუბაბი და ერთსაც — ცხენი და ამისი დავა გვაქ, რაფერ გავარიგოთ, შენ გადაპარ, ვის რა გვერგებაო. ქეშიშმა იმ ღამეს ეს ძმები მასთან დწყენა, ღამე გათეგია. დილას ქეშიშმა ღუძახა თავის მეცხვარეს და უთხრა, რომ ამ სტუმრეფ ერთი კაკანაჲ უნდა ღუქლა, ესენი სხუანაირი სტუმრებიაო. ამ მეცხვარემ გერჩექ დაკლა ერთი ცხვარი და მუბარმა სტუმრეფ. იმ ქეშიშმა ვასშმათ სუფრაზე ამათ ღუწყო 4 სტიქანი ღვინო, ხორციანი შაჰმელი, და ერთი კეცი ჭადი. ქეშიშმა სუფრაზე თვითან არ დაედა, არც აფერი უთხრა სტუმრეფ, გეგდა დეფანში და კიტინადამ ღუწყო ამათ ყურება — რაფერ მექეცევიანო. უმფოსმა ძმამ ჭადი ჩაფუნჩხა ხორცი წვენში და რომ მოშინჯა, თქუა, ეს ძალლი ხორციავო, მეგრემ ღვინო მოსწია და თქუა, ეს არ ისმის, მეზელულზე მოკრეფილი ყურძნიდანაა დაწურვილი ეს ღვინოო. ერთმაც თქუა, რომ ეს ჭადი არ იჭმის, ულოცავი ქალის დაკრულიავო, მეოთხემ წამეძახა, რომ ი ხუცესი ბუშია, მამა არ ყავსო. ქეშიში ყველამფერ ისმენდა და ეს ომ გეგგონა, ქეშიში ბუშიავო, მივარდა ხელათ დედამისან, ძუძუებზე კიბილი დწყირა და შდეკითხა: „ვინაა ჩემი ბაბოჲო?“ დედამისმა უთხრა, რომ შენ ბაბოჲ არ ყავს, ჩემი ქმრიდან შვილი არ გიძიჩინდა, ადგა ჩემმა ქმარმა და ქილისადან მოგიყვანა შენ, გიშვილეთ და გაგზარდეთო. მეგრენ ქეშიშმა უთხრა ამ ქალ, რომ შენ მართლა ულოცავი ხარ და ისე აკრავ ჭადო? — „აბა, ჭადი დაკრას ლოცვა რათ უნდაო“, — უპასულა ამ ქალმა. მასქან ღუძახა ქეშიშმა კაკნას დამკლელი და შდეკითხა: „მე რომ გითხარ კაკნაჲ დაკალი-მეთქინ, შენ ძალლი რატომ დაკალიო?“ მე ძალლი კარ დიმიკლაჟს, — უპასულა ცხვარის დამკლელმა, — გაზაფხულზე კაკნაგების დედამცხვარი მოკდა და ერთი კაკანაჲ ძალღ ვაწუჟე და იმიტონ დმემგზავსა ი კაკნაჲ ძალღსო“. მეგრენ ღვინის დამწურს, ღუძახა და უთხრა: „შენ მართლა მეზლულზე მოკრეფილი ყურძენით დამწური ი ღვინოო?“ ღვინის დამწურმა ველარ ივარა და იმანაც სიმართლე უთხრა. ახლა ე ქეშიში შამუბრუნდა ამ ძმეფ და ასე მოშკრა მათი დავა: რაც ომ ოთხუეხია, ცხენი პატრონს ერგება, რაც

ბაღეჭლობაა — ვაშლი პატრონს, რაც ომ ჯამ-ქურველია —
ქებაში პატრონს და დანარჩენი ქონება — ოდი პატრონს.

ამის შემდგომ ქეშიშმა შეეკითხა ამათ: „თქვენ რაფერ
მიხდით, რომ ძალი ბორცი დიგიდვეს სუფრაზეო?“ — თუ სეცის
ბორცია, იმისი ქონი ქვეშ მდექცევა და წვენი ზემოთ, აძით 5
მიეხდით, რომ ძალი ბორცი იყო. „ჯადი რომ ულოცავი
ქალის გამომცხვარი იყო, ეს რაფერ მიხდითო.“ — ულოცავი
ქალის დაკრული ჯადი შაქმელ არ მდექარება და იმით მიეხ-
დითო. — „ღვინო?“ ერთი წვეთი ღვინო რომ შესვას კაცმა,
შეზარხოზდება და ემე ღვინოაღდან რომ ერთი წვეთი მოვთქვი, 10
თელი ნამსამანი მომეშალა, ჰელბეთ მეზელულზე მოკრეფილი
ყურძნიდან იყო დაწურვილიო. „მე რომ ბუში ვარ, ეს რაფერ
ამოხსენითო“. „შენ ომ კანუნიერი შვილი ყოფილიყავ, — უბა-
სულეს ძმებმა, — მასპინაული სტუმრეფ რაფერ მიგვატიებდი
და კარებში ჭიტიანაღდან ყურებას დეაწყებდიო“. ქეშიშ ყვე- 15
ლაძეფერი ენიშნა ამ ძმების ნათბრობი და ძალუან გაპკვირდა.
ბოლოს ამ ძმეფ იპიც შეეკითხა, თუ რაფერ მიხდენ, რომ
დევე ცალი თქალით ქორი იყო. ძმებმა უთხრეს, რომ დევეს
გზი პირზე ხოლოთ ერთ თერეფზე ეძოენა და იმით მიეხდითო.
„თოფლობა რაფერ გამეცანთო“, — შეეკითხა კიდვენ ამ ქე- 20
შიშმა. ტლაპოში ნაკვალეფით მიეხდით, რომ ერთი ფეხით
თოფალი იყო ის დევეო. „ერთ თერეფზე ჭვიროთში ბეთმეზი
რომ ქონდა და მგერე თერეფზე ძმარი, ეს რაფერ ახსე-
ნითო?“ — „რაფერ და, — უთარეს ძმებმა, — დევეს ერთ თე-
რეფზე ბუზები ესეოდენ და მგერე თერეფზე, რომ ძმარი იყო 25
იმით მიეხდით, რომ დანაქცეფ ალიგეფში ბალახი მომწვარი
იყო“.

გაკვირვებულმა ქეშიშმა თქვა, რომ ესენი ნანდვილი მის-
ნები ყოფილანო და შვიდობიანათ გამეგსტუმრა ძეები თავის
სამშობლოში.

სოფ. დღვანა (შუახევის რ.),
მეფულდ ფუტკარაძე (ბა წლისა)

36. საუბრიდან

— რა გინდანან ბაღვებო, რას ესკუაჯუნებით, ა ქცხვე-
ნიან, ომ მესეფით ფუტკარეფსავენ?

— აბა, ჰა წევედეთ, ჩვენდათყინაფ ვთამაშოფთდა...

— მონწივრდით თქვარა, უმ გიგინათეფთ ყურძირნი, ლა-
ფათქაფთ ასაფხეკი გახდებით!

— ზარმლობიხან ჩევეარეთ გზიპირად, ჩუმათალად გუყევთ
განზე, ვიცოდით, უმ იგზე გავლა აგძალული იყო და გვეში-
5 ნდოდა ყანი ბატონმა არ დიგვინახოსო.

— ეთი შესევწნა მაქ!

— რად?

— მათ არ აქვან ტყე—ობლებს, ომ დაჭხურონ სახლი, სატ-
ყევოზე მიმიწერევი, ყავარი გამახდიონ!

10 — რამდონი ძასალა გეყოფა?

— ეთი, ძირათ.

— ბაშუფორთი თან გაქ?

— კი.

— მედტად, ვნახო; სურათი რატომ არ გაქ ჩაკრული?

15 — ერთი ვერ გადავართმევიე სურათი ბაშუფორთისთვინ.

37. ქორწილი

შობლეთ რომ წამაგზდება ბიჭი — დასასახლებელი რომ
გუხდება, იტყვიან: „დელიყანი“ მიესტრავო. შობლები შუდ-
გებიან თეთარიკ მის დასასახლებლათ. ჩუნში ძველათ, და
20 ზოგან ანლაც, 17—18 წლის ბიჭ დნსახლებენ — დქორწილე-
ბენ. ახლანდელ ახალგაზდეთ, დნთავრებენ თქარა საშუა-
ლოს, მემრენ უმაღლესზე აქნენ თვალი; ზოგი თიფლის მიდის,
ზოგი ბათუმ და ამიტონ ადრე აღნ მოყავან ქალები. ჰო, იმა
ვამზობდი, დასასახლებელი რომ გახდება ბიჭი, შაეკითხებიან
25 შობლები, „ქალინდა მოგგვაროთო“. ბიჭ შერცხვება და ვეფერს
ვერ ეტყვის: — თქვენზე შიმიგდია, რაცხაფერ გინდანან, ისე
მეგქეციოთ“. ბიჭის ანას შეიძლება კიდეც ჰადმე ამოპირულიც
ყავდეს ვინმე, მარა გოგოს სანახლად მაეც წევა. გოგოს
ბატონნა თუ გუგო, რაზედაც მისულია მა'თან ბიჭის ანად,
30 შეიძლება არც ანახვოს გოგო. ვითან სტუმრათ მივდა, ნფერს
არ შნტყობეფს გოგოს შობლეთ და ისე მივა. შეიძლება არ
მეფწონოს გოგო, მარა თუ კად გვარის ქალია, ან შეძლებული
ოჯალის შვილი, მაშინ „ელჩი“ — შამავალს გუგზანიან. ელჩი
გოგოს შობლების ახლობელი, ხასიმი-მოკეთენდა იყოს, რომ
35 მისმა სიტყვამ გაქრას გოგოს შობლებზე. „ელჩობას“ რასა-
კვირელია, ყველა ვერ მუაფერეფს. ენაპირიანი კაციინდა

იყოს, სოფელში გამაელობა უნდა ქონდეს, „წინაჲ კაცი“ იყოს. ამიტომ ელჩობა ერთ და იმავე კაც უწევს ხშირათ. „ელჩი“ გოგოს სახლში მოხერხებულათ, შორიდან შაპარეთს ბიჭის ქებას, ბიჭის გვარსა და ოჯალის შეძლებაზე დუწყეფს ლაპაიკს. გოგოს შობლეთ შეიძლება კქუში დუქედეს კიდეც 5
 სასიძო, მარა პირველათ მადც ცივ ატკაზ შამოკრავს ელჩ. შეიძლება პირდაპირ ჭარი არ უთხრას და სებებათ ის მეფუტანოს, რომ ჩემი გოგო ჯერ პაწაჲა. ვინ გეგონა მისი გათხუება, ოჯალს რაფერ მჭაბრუნეთს ის, გელინობას რაფერ გუწყეფს მაქხელა ოჯალსო და სხვ. ელჩის მოლაპარიკებაში 10
 გოგოს ანაჲ ან სხვა ქალები არ ესტრობიან. რომც დედესტრან, მათ ვინ კითხავს გოგოჲს გათხუებას; იშვიათ რომ პირველ მისლაზე გოგოჲს მამამ დედეთანაყმოს ელჩ, ამიტომ შეიძლება მეორეჯელ ან მესამეჯელ მისლა მუწუიოს ელჩ. შობლები თუ დედეთანხმენ, ელჩ ეტყვიან: ამადაამტონეთი „ბაშლული“ — რიშ- 15
 ვეთი გაჭმიგზანოს ბიჭის შობლებმა და მივეკემ გოგოსო. „ბაშლული“ ბიჭის ოჯალის შეძლებაზე და მოკიდებული. „ბაშლული“ მედთხოვენ ფარას, ზოგჯელ საქონელსაც. ცოტა ხანი ომ გევა, ბიჭის ბაბოჲ შუთლის გოგოს შობლეთ, ახლა 20
 ალდი ვქნათ, ძალი უნდა წევყვანოვო“. დედნიშნება „ალდის გაჭრის“ დდეც. უწინ ალდ ხოჯა გაჭრიდა. ორვე მფხრიდან დაჰპაჲგებდენ ახლობლები და ხოჯა ალდ გაშჭრიდა“. ეგწერდა ჯერ გოგოს სახელ, ბიჭის სახელ. დედნიშნებოდა გოგოჲს „ვექილი“; ასევე, ბიჭისაც. ხოჯა შდეკითხებოდა გოგოს ვექილ, მიდეეს თუარა ამა და ამ ბიჭ ესა და ეს ქალი 25
 ცოლათო — კივო. სამჯელ შდეკითხებოდა და სამევეჯელ უპასულებდა გოგოს ვექილი: მიდეესო. ახლა შამუბრუნდებოდა ბიჭის ვექილ და იმა შდეკითხებოდა: თხოვნილოფს თუარა ამა და ამ გოგოს ესა და ეს ბიჭივო. „ალდის გაჭრის“ დროს არც გოგო და არც ბიჭი არ ესტრობოდა. ორნავე თერე- 30
 ფილამ „წინაჲ კაცები“ ესტრობოდენ ხოლოთ. იქვენ ვადაწყუედდენ „ნიქაჰს“ — პირობას დადებდენ: ბიჭმა რომ გაშუვას — დატიოს გოგო, რაც ნიქაჰის ქალიდში წერია, ისდა გედეფხადოს. „ალდის გაჭრის“ და „ნიქაჰის“ შედგენის დროს ორვე თერეფიდან მოწმეებიც ესტრობოდენ. ნიქაჰზე მოწმეებიც 35
 მუაწერდენ ხელ. ბოლოს ადგებოდენ და სუნყეფლაჲ ერთმანეჲ გედწხვეოდენ, მულოცავდენ ერთქვანეთ დამოყრებას. ბიჭის ბაბაჲ იტყოდა, რომ ახლა წევყუანო უნდა ჩემი ძალი, ქალინდა გამატანოთო. გოგოს მამა შამუბრუნდებოდა და

- უპასულებდა: „რაც წესი და ჩოულობაა, არ დევბიწყოთ: მუტანე ჯერ ურუბა-ტანსამუსი, ოქროთლობა, რაც ეკუთნის, და. მემრენ გაგატან ქალსო“. ბიჭის თერეფილამ გამუგზანიდენ ალთუნს-ოქროთლობას, ვერცხლის ქემერ — ყირმა-ქემერ, ყური-
- 5 ქუფიებ—ყურსაკიდეფს, კაბეფ, ფეხსაცმელ, თავშალ, ჩერჩეფ ჩადრ, „მაკარაჲს“ ყუთ, რომელცხაშიც ჩაწყობდენ: ღუბ, მუშ-კისაპონ, ძაფ, ლემსეფ, სედეფეფ, ლილეფ და სხვა წირმა-ლეფსაც ჩულაგებდენ ამ ყუთში. ამას ბოხჩა-ნიშანი ქვიოდა. ბოხჩა-ნიშანი რომ გეწყობოდა, გოგოჲს ელჩ გატანდენ, ვინც
- 10 რომ საქმე გაკეთა: ბოხჩის მიმტანს აჩუქებდენ ერთ წყვილ წინდას და 2—3 ჩევრეს — ცხვირსახოც. მემრენ ბიქსაც დაჰპაიჯებდენ და ამის მერე გოგო დანიშნულათ ითლებოდა. ბიქ თან წაჰყვებოდა 3—4 კაცი. გოგოს სახში დარჩებოდენ ორ დღედამეს; პირველ ღამეს გოგოს ბიქთან შედყთანდენ.
- 15 გოგოს თან შეჰყვებოდა 3—4 ქალი. კაცეფ შერბეთ დანლევი-ებდენ. ქალები კი ფეხზე დამდგარი იქეთ-აქეთ თჷალეფ აცეცებდენ. მემრენ კაცებიც და ქალებიც გამოვდოდენ გარეთ.
- გოგო მეზღუმედა თან გამოყოლოდა ქალეფ. გოგა არ უნდოდა ბიქთან დარჩენა. ბიჭი გუდღუდგებოდა წინ გოგოს და
- 20 ჩამეატევედა უკან. კარს დწყრიდა და გათენებამდი გოგო და ბიჭი ერთათ დარჩებოდენ. ადრე დილას, იალომზე, ბიჭი გამოძრებოდა ოდიდან და აფხანაკეფ მიაკითხავედა, ვითამ თავიდან ბოლომდი პატროსანი. აფხანაკები ხუმბრობას დწყყებდენ ბიქ: რაფერ გუნებაზე ხარო? მემრენ გოგო გამოვდოდა და მივ-
- 25 დოდა შობლეფთან. ვინც ოდაში ლოგინს დწყებდა, იმა ბიჭი ფულ აჩუქებდა. დილაზე გოგო ათაკრავდა ლოგინ. მდორო დღეს ბიჭი წევდოდა თავის სახში აფხანაკეფთან ერთათ. რომცხა მდენატრებოდა გოგო, წევდოდა მარტო გოგოსთან, გათევედა ღამეს და დაბრუნდებოდა თავის სახში. ბიჭი რომ
- 30 მეორეჯელ მივა გოგოჲს სახში — იმა ვეტყვით „ფენნაქცევაჲ მისლას“. ფენნაქცევაჲ მისლი დროს ბიჭი ხელცაჲელი ვერ მივა სიმამრის ოჯალში. წესია ერთი. ყოჩი მიგვაროს; თან ქათამ. გამომცხვარ პურეფ, შექერ და ამფერეფსაც მიეტანს. ამის მემრენ ბიქისთვინ გზა ხსნილია. ერთ წლამდე ასე იარს
- 35 გოგოსთან. ამ ერთ წელწათში შეიძლება გოგოს შვილიც ეყოლოს. ქორწილამდი თუ ეყოლა გოგოს ბალვი, მაშინ ქორწილზე გოგოს მაყარს პური ფქვილის ფაფას გწყკეთებენ. ისე, სირცხვილათ ითლება ქორწილამდინ ბალვის ყოლა. ქორწილამდინ გოგოჲს შობლები მეფთხოვენ ნახველეფ. ბიჭი თერე-

ურდან დაჰააჯებენ სიძის ჰირისუფლები მოყვრეთ. მოკეთდეთ
 და წავლენ გოგოს სანახლათ. ნახველებიდან ზოგი ფულ
 აჩუქებუეს, ზოგი ბეჭეთ, ზოგი ოქროთულობას და წავლენ სახ-
 ლეფში. ბიჭის მამა ეტყვის გოგოს შობლეთ, რომ ახლანდა
 წევყუანო ქალივო. უქორწილოთ ვინ გაგატანს ქალ... ქორ- 5
 წილი ქენ და წეყვანე შენი ძალივო. ეტყვის გოგოს მამა.
 გოგოს მამა მოსთხოვს ბიჭის მამას ქორწილის ხარჩ: საკლავს;
 ძალ, თათლ, შექერ, ბრინჯ და სხე. იწყება ქორწილი. ორნავე
 კედრიდან დაჰააჯებენ კაციან, ქალბაღვიანა ყველას, ვისთა-
 ნაც ტერობა არ აქნენ. ბიჭი კუთხიდან მაყრათ შერჩეული 10
 კაცები მიდიან. უწინ ცხენებით უმფო იცოდენ წასლა. ყველა
 შესილაჭული — შეიარაღებული იყო. მაყრათ არც ბიჭი თერე-
 ფიდან და არც ქალი თერეფიდან ქალი არ მიყვება, მარტო
 დაღე წაყვება; ბიჭის კუთხიდან ან და იქნება ბიჭისა, ან ძალი
 ან სხვა ვინმე ახლობელი. დოდოფლის სახლში დითხან არ 15
 გაჩერდება მაყარი. წამეყუანებენ სალამოპირ დოდოფალ
 ბიჭისას. სახლ ომ მუახლოვდებიან, მახარობელი დაწინაჭდება.
 შეიძლება 2 კაცი იყოს მახარობელი. ეზოს რომ მახარობელი
 მუახლოვდებოდა, ერთ-ორჯელ თოფ გეძსროდა, ეს ნიშანი
 იყო იმისა, რომ მახარობელი მოვდა და მაყარიც ახლოსაა 20
 ბიჭის ოჯალთან. მახარობელ შეგეგებებიან, შერბეთ ასმენ.
 გოგოს თერეფიდან მახარობელ მიაქ პაწაა ბალიში. ბიჭს
 უნდა მიცეს ხელში. ბიჭ ამწვალებენ, ახლოს არ მუშვებენ,
 ატყვილეთს მახარობელი -- ბალიშ შამოკრავს, სიძემ უნდა 25
 დეფქიროს. ბოლოს მართლა გუქნევს ბალიშ მახარობელი. თუ
 ბიჭმა ვერ დეფქირა, ეს სირცხვილათ ითლება. მახარობელს
 წაწვეტებულ ჯოხზე წამოცმულ შემწვარ ხორცი ნაქრეთ და
 ქადეთ მიცემენ. მექორწილეს შეგეგებებიან ანთებული ჩირაღე-
 ბით კვრებით ხელში. დოდოფალი ცხენზეა შემედარი. იქეთ-
 აქიდან ხელის მომკიდებები ყავს -- ძმები ან ბიძიშვილები. 30
 დოდოფალ თავზე აბურავს „ღუალი“. სქელი ქალიდიდან გაკე-
 თებენ წოწოლა ქუთ, ზედან გადნფარებენ ფატას და დნხურ-
 ვენ დოდოფალ. მექორწილე შეჩერდება ეზოში, დოდოფალი
 ჯერ ცხენზე ზის. იქით-აქეთ ხელისმომკიდამეფ უქირავს. გოგოს
 თერეფიდან მეათხოვენ შაჩუქვარ: ხარს, ძროხას ან ფულათ 35
 შაჩუქვარ. შაჩუქვარი თუ არ მდეწონენ გოგოს მაყარ, დითხან
 ამაზე დავა. „ჯენგობა“ იქნება. ბოლოს რაცხაფერ იქნება,
 მაყარ დწყმაყოფილებენ. საკლავი თუა, შეიძლება იქვენ დაკ-
 ლან. თუარადა მიაბარებენ დილამდი. თუ მოპარეს, ეს ქურ-

- დობათ არ ითლება და ვინც მეპარავს, მას ერგება ისი. დოდოფალ რომ ცხენიდან ჩამეყუანებენ, ჯერ მიწაზე ფეხ არ დანდგმევიებენ. ცხენთან ახლოს სკივრ მეტანებენ და პირველათ იგზე დანდგამს ფეხ დოდოფალი. ბიჭი კუთხიდან
- 5 მამამთილი წრილ ფულ და შექერ გადწყრის თავზე. დოდოფალს დედამთილ ჩაბარებენ. სახლში შესლიხან კარითავეზე იქით-აქიდან ყამდეფ გურჯობენ—ავი სული არ შეყვესო. შეყუანებენ სადოდოფლო ოდაში და ერთ კუთხეში გაჩერებენ; წინ ფერდეს ჩამჭაფარებენ და იქით-აქიდან დადებები ამუდგებიან გვერჩი.
- 10 დოდოფალი ფეხზეა გაჩერებული, ხანდიხან დადებობს ხვეწნით დაედება, მარა ხელათ წამოდგება, იმიტომ. რომ ვინც არ უნდა შევდეს ბიჭი კედრით სადოდოფლო ოდაში, იმინუჩი დოდოფალი ფეხზენდა წამოდგეს. ჯერ დოდოფალ ღუალი აბურავს თავზე. ვახშმის ჭამის მემრენ მოხდის დოდოფლის ძმა ან ბიძიშვილი ყამის წვერით და გეგქნევს კარისკენ. დეფწყება ნახველების შესლა. შეძლებიდაგვარა ახლობლები—ხისიმები დადებენ ფულ. კაცების სუფრაზე ქალი „ყისიმი“ ვერ გეგქაჭანევს. დოდოფლის მაყარი ყველამფერზე მიზეზ ეძეტს. ჭამა-სმის დამთავრების დროს დოდოფლის მაყარი დეგკავევს
- 20 სუფრას. ჩუენში სუფრის დაკავებას „რუსუმს“ ვეტყვიტ. სუფრაზე მედხოვენ იმფერ რამდეფ, რაც ომ ძნელათ საშოვნელია. აპოხტ ქათმეფ 10—15 ჩიფთ, ქუმას. ძვირფას. თუთუნ. ფალაყა თაფლ და ხანდიხან იმფერ რამეს, რაც ომ სულ არ იშონება ჩუენში; ვტქვატ, ფორტოქალ, მანდარინას და ამფერ
- 25 რამდეფ. ხანდიხან „სუფრის დაკავება“ — რუსუმი საათობით გასტანს. ვტქვატ, მჭუტანეს აპოხტი ქათმეები და ერთ-ერთ ქათამ ერთი ფთა აკლია, ამაზე დეგწყება ლაპარიკი, ჩხუბი, ჯენგობა; ბოლოს რაცხაფერ იქნება. მაყარს შაჯერებენ. კაცების ოდდეფში არის დავლი-ზურნა, კიბონი, სამა-სიმღერა.
- 30 ხორომი, ფათიკო და სხვ. თუ ზამფხულია — კარქი ამინდი. ერთხან ოზოშია სეგრი, სამა-სიმღერა: უწინ თოფი სროლაკ იცოდენ. ყველას რაცხა სილაპი თან ქონდა წამოღებული. ქალები ქიტინაებიდან უყურებდენ მგორო ოდიდან. ბოლოს დავლ-კიბონჯის დოდოფლის ოდაში მეგწყევდენ და აქ
- 35 შეიძლებოდა მხოლოდ ქაღეფ პირდაპირ ეყურებიენ სეგრის-თინ.

დედამთილი ომ შევა დოდოფალთან, ის აშაჩუკრეფს ფულიტ, ოქროშლობით, ბეჭდით; გათენებამდი. სეგრი და ჯუმბუში იქნება. დილაზე მაყარს ხევს აქმევენ. მენრენ

კიდევ დეაწყება სამა-სიმღერა, მოზიკაჲ, დავლ-ქიბონი. ბოლოს ასადილებენ. მაყარიც მოჰაზირდება წასასლელათ. წასლიხან დეაწყებენ „გევეზობას“. თავზე ხელალებული მაყარი წაქცევს ლობეს, დანტრევეს ქიშქარ, დაშქრის ჩქოლუფ, ცეცხლ წუქიდიფს ხეჩალას, მოკლავენ ქათმეფ და თოფი სროლით 5
გაცილდებიან იქაუბას.

დოდოფალი რამდენიმე დღე თავის ოდაში იქნება, მორცხ-
ვოფს მემრენ დეაწყეფს თანდათან საქმეს, მიაყოლეფს, მია-
ყრლეფს და 2—3 თვეში მდგრენებსავენ იქნება ახალ ოჯალში.
უწინ მამამთილს 5—6 წელწაც ძალი ვერ დეელაპარიკებოდა. 10
ეს წესი ახლაც არის ზოგზოგან. ასევე, მაზლ ვერ დეელაპაი-
კებოდა გელინი—ძალი. გელინი მაზლის ცოლ შილს ეტყვის.
სოფ. ძირკვაძეები (ხულოს რ.),
იუნუს თავართქილაძე (28 წლისა)

38. სოფ. ბეღლეთში 15

უწინ ჩუენში ქუთანნი არ ვიცოდით. ყანას ჯილღაჲთ
ეხნევედით. კოლექტივობა ომ შამოვდა, ქუთანნიც მაშინ მე-
ტანეს. ჯილღას აქა-იქ კიდევნ შებდება კაცი. ჯილღა შედგება
არვანაზგან. არვანა ჩარკობილია ჯილღის ბუღეში. ბუღეზე დარ-
კობილია მაჭვა, მაჭვაზე დამაგრებულია კოტა. კოტა მაჭვის 20
კუკუტის ახლოსაა. კოტა სახელურია. ჯილღის ბუღის ზეჲთ და-
მაგრებულია ხმალა. ხმალაჲთ მუაწესრიგებენ თხელათ უნდათ
დახნან, თუ ღმათ. არვანა დამაგრებულია წკნელით უღელზე. ამ
წკნელ საუღლესაც ვეტყვით ჩვენ. მიწას რომ მოეხნავთ, მემრენ
ვფარცხავთ. ფარცხი მოქსოვნილია ხოშორი წკნელით. ფარცხი 25
ხერნებით უღელს უერთდება. ხერნები უღელზე დამაგრებულია
საუღლეჲთ. მიწის პირს მუასტორეფთ კაბდოჲთ. ფარცხივითაა
ისიც, მარა უმეფო პაწაჲა და ძელეგითაა შეკრული. ყანას
დაეგოროხავთ ყაზმაჲთ—თოხია ერთნაირი. მიწის პირ რომ
მუასტორეფთ, მემრენ სიმინდის თესლ მუიპნევეთ. ხელმეორეჲთ 30
მოეხნავთ და დაეფარცხავთ. თუ ყურალეგი არ წევედა, 5—6
დღეში ორყურათ ამეაწყერნება სიმინდი. დათესვიდან 15—20
დღის მერე „გაფხეკთ“ ყანას. პირველი გაფხეკა საფხეკელი
თოხით — „ლაფერაჲთ“ ხდება. პირველ გაფხეკას „ძირეშლსაც“
ვეტყვით. სიმინც ძირეშლის დროს ვამეჩხრეფთ. ძირეშლი- 35
დან 20—25 დღის მერე მდგრეჯელაჲ გავეთოხნით. ამას „მდ-
რეჲთ“ ვეტყვით. თუ ძირეშლის დროს კარქა ვერ გამუაჲმეჩხ-
რეჲთ, მდგრედის თოხნის დროს გამუაჲკლეფთ სიმინც. თუ

- ხშირი მოვდა, ერთმანეთ დუწითილეთს და კარქ კოტუშ ველარ-
 გეგკეთეთს. „მექრეთში“ სიმინდი ძირეთ მიწას მწყურით, რომ
 ფესვები კარქა გეგდვას და ქარმა არ დწვინოს. თუ კარქა
 იკეთა. სიმინდმა, თითო ძირი 2—3 კოტუშ გეგკეთეთს. წინ-
 5 დაწინ შმეტყობა ნაკეთეთ სიმინც — ოქროჟოქას ამეგყრის
 ძირეთში. კოტუშ ტოლსაც ვეტყვით. კოტუშ ულვაშივინ რომ
 ამუვა, იმა ფუნჯული ქვია. წვერს კატარი: კოტუშ რომ
 გარჩევენ, ქუნჩალი დარჩება. ყანა რომ მჭა, კოტუშიანა მოვჭ-
 კრით და მერე მჭაცილვეფთ მას ჩალას. უჩამფაში კოტუშს
 10 სიმინდის ღეროზე გარჩევენ. ქუნჩალი შერჩება ჩალას და
 მემრენ მოშქრიან ჩალას. მემრენ აკონვენ. 20—25 კონას
 ერთათ რომ დწყენებენ ყანაში, იმა ვეტყვით დუყს. კარქა ომ
 გახმება ჩალა, მოშქრიან მანგალით. თუ კად ნაკეთები სიმინ-
 დია და ხოშორი ღერუბია, მაშინ კოტა ზეთ გადაქრიან;
 15 სხვილ ღერუთე საქონელი არ ქამს. სიმინთ ძარით მოზიდვენ.
 კარქა რომ გახმება სიმინდი, „ტაკვეცი“ გაფშინან. ტაკვეცი
 კოტაზე მოლუნვილი კეტია. დაფშინილ სიმინც გაცხრილავენ
 კორკოტანაში, ან ცხავში. სასიმინდეში ცალკე ხაროა ერთ
 კედაროს, რაშიდაც დაფშინილ სიმინც ჩაჰყრიან.
 20 ჩუნში სხვადასხვა ჯინსის სიმინდი მოყავან: ესენია: ბრო-
 ლაჲ. ქორიბუდაჲ, წვიტაჲ. ბეჩაჲ, ალაზანაჲ, ჯორიელაჲ.
 ალთუნაჲ, გროზნო. ამათ გარეთ თხილვანას — ხიხადირში
 ქოჩორაჲ სიმინდიც იციან. ლორჯომში ამა გარდა იციან
 ძინარაჲ, ქიძინიძეფეთში, უჩამფისკენ — გოდორაჲ, ჰკვიანაჲ და
 25 ჰრელაჲ.

—

- ოჯალში რომ ფქვილი გათავდება, „წისკვილობა მაქო“-
 ვიტყვით. გამოფწყავთ ერთ პინა სიმინთ, ჩავჰხყრით გუდაში,
 შუღდებით წისკვილობას. პინაში 18 ოყა ხორბალი ჩადის.
 ორი კოდი ერთი პინაა. თუ სხვილათ დავალერღიეთ. იმა
 30 ღერლილ ვეტყვით. ქვედა აჭარაში წეწვილ ეძახიან. წისკვილში
 წალებამდი სიმინთ რომ გავცხრილაეთ და თეთრ ტუერ მეგ-
 დეთს, ვეტყვით „ბრეს“. ჩალა ომ გახმება კარქა. იმა მსხმენ
 ხეზე — სახეჩლე ხეზე, იმა ვეტყვით ხეჩალას. აჭარაში ზვინს
 უძახიან მას. ზვინ ვეტყვით თივისას.
 35 სიმინც რომ გაფშინან, რაც დარჩება, იმა ქვია კობერი.
 ქვედა აჭარაში ხვირკალს ეტყვიან მას, კობერს დავნაყთ,
 დავანტრეფთ, ცხელ წყალში დავალბობთ, კოტა მარილ მჭა-

პუკავტ და საქონელ ვაქმევთ. ხეჩალაზე ჩალი კონეფ მიეცემთ ხეჩლიჭერით. უჩამფაში ხეჩლიჭერს საძლეველას ეძახიან. ჩალას რომ მოჭრიან და დარჩება, იმა ლეტეტოს ვეტყვით. ზოგი კი ხიშტს. უჩამფაში ლეტეტოს ქაჩაჩ ვეტყვიან.

ო. ართმელაძე (72 წლისა)

5

39. სოფ. დანისპარაულში

თ ი ბ ვ ა

ძველათ ჩუნეში ცელი იცოდენ. მემრენ თირფანიც შამეღლეს. ცელით ორნავე კუთხიდან თიბვენ. თირფნით კი ერთი მუხრივ. ცელს უმფო სტორი პირი აქ, თირფანს — ამოკაკული. თირფნის ტარზე მარჯვენა ხელით რომ მოკიდებენ, იმა კოტა (|| კოლუში) ქვია. თირფანს ან ცელს რომ პირი დუბლაგვდება, ორს ჩარკობენ მიწაში და ჩაქუჩით გუსტორებენ პირ, მოკოდავენ; მემრენ მასათით (|| სასერი) უწყობენ პირ. თირფან რომ მუქნევენ და ერთ ხაზზე ბალახი გავწყობა, იმა ყილვე ვეტყვით. თირფნის პირი ტარზე ქოსტეგითაა დამაგრებული. ერთ აღება თივას თაფული ქვია — ბიგალით (|| მერული) რომ ეაღებენ, იმაზე გებნევი. ღამეში რომ არ „დაჩითმოს“. თივას დავაბულულეფთ და მგერე დღეს კაჟ დარი თუ დადგა, გუფენთ. ბალახი რომ კარქა გახმება, მემრენ დაეშვინაეთ. 5—ნ ზეინით, ხანდიხან მეტითაც, ლოდას დავდგამთ. ლოდა ეზოში დეადგმება. თუ ახლოა ქალა, მაშინ ლოდას ქალაში დადგმენ. ლოდას გლიშამ შამჭაქრავენ ჯიხურს, საქონელმა რომ არ მჟღგეს და არ გაქელოს.

ისდა მეთქუა: ბიგა ანდა მერული შეაძლება კინისა იყოს, ან ხისა. თუ ხისა ნ-თითაა, იმა — ფიწალს ვეძახით. თივის ბულულს ორი კაცი ამჟღეფს ხეფე (სარივით რომაა) და მიდტანს იქ, ჰაცხან ზეინი კეთდება. ბულულის ქვეშ რომ ხეფე გუბოგვენ, იმა ჭოკს ვეტყვით.

ყველაზე კარქი საკვები მართალია თივაა, მარა ჩუნე საქონალი იმტონი კვყავს, რომ მარტო თივით ვერ გავკვეფთ საქონელს. ამა გარდაჟ საქონელს ვაქმევთ: ნეკერ: ქუნჩალ. წყავი ვეერ, სოკის ტანეფ ანუ წიწვ, ფიჩხ; ფიჩხი შეიძლება იყოს წიფლის, თელის, ცაცხვის, ვერხვის ვეერი. კარქ საკვებათ ითლება კიდვენ თივი გარდაჟ — ძმერხლი. ბუჩქივინ ამოდის ძმერხლი: თუ საქონელმა მოჭამა, იმ ალიგას აღარ ამჭა. ძმერხლი ძალიან ტკიბილია. ზამთარში ფიჩხ გარეთ სუროსაც წავახმართ. სიმინც რომ გამოვფშნით და კობერი

დარჩება. იმა დავალობით ცხელ წყალში, მარილ მუშაპუპკავთ და იმითაც ვაპატივეფთ საქონელ.

ძველათ იცოდენ და ზოგან ახლაც იციან ქეფეგი. ქეფეგ ამნაირათ ამზადებენ: პურს გავლენთ, ჩება სამანი, ზოგან
5 სამანს ბზესაც ეტყვიან. სამანში შურევთ როხ ფქვილ და ქეტოს, მუყაერთ ცოტა მარილ და კარქა შევსრით. ცოტა წყალსაც მუშაშეხეფთ, რომ დალბეს. ამფრათ შემზადდება ქეფეგი. საქონელს ძალიან რგეფს ქეფეგი.

ბალახებიდან ჩუენში იცის: სამყური, დონჯა, დათვისა-
10 ფერთქელა, თელახარშილა, სამტოტაჲ, სარო, მარმუქი, ხვართქლაჲ, კოკომეაჲჲ, ნარაჲ, ქათამნაცარაჲ, ბარამბო, დილმა, ბირკა, მოლოქა (ქვედა აქარაში ქედის ახლო ერთი ალიგია, იმას მოლოქნარაჲ ქვია, ჰელბეთ ბეური მოლოქი მოდის იქ).
15 ტენცო, ლენცოფაჲ, ბილენცრაჲ, ძურწა, ღვალო, ქონდარი, ძალლაქინძაჲ, კატანიორაჲ. კატაპრასაჲ, დვარულაჲ, დონდოლო, ოლენა, წველა-ბალახი, ჰილა, ხბოშუბლაჲ, პირშაჲჲ, შხამი, მორჩვი. ქისრიბაჲ, ჩიხინდარი, აქარკელა, ქარბადელაჲ, სეინტრი, ტაბელაჲ და სხვ.

შ. პაქსაძე (75 წლისა)

20

40. სოფ. ბოძაურში

თივას, ჩალას ან სხვა საკვებ მოზიდვენ მარხილით, არაბაჲთ, სელით, ძიგლიგაჲთ; ზამთარში ციგასთან ერთათ ლექ-მარხილაჲთაც.

მარხილის ნაწილებია: სასცურავები—წინა მფხრიდან ცოტა
25 ამოლუნვილია. მარხილი ხერნებით უკაჲშირდება ულელს. ხერნები საულღეჲთაჲ დამაგრებული ულელზე. მარხილს თქუენც მოგეხსენებიან, გოგორაები არ აქ. გოგრები ძიგლიგას აქ. ძიგლიგას გავს სელი. მარა სელი უმფო დიდია ძიგლიგაზე. ზამთარში ქვირთი ციგაჲთ მუაქვან. ციგას ჩვენ ლექმარხი-
30 ლასაც ვეტყვით. ჩუენში ურემ არაბას ვეძახით. არაბაჲს გოგორა 4 ან ექუსი ფესვასაგან არის შეკრული. ფესვა დამაგრებულია ხუნდაზე ჰალეებით. გოგორაზე გარედან გადაკრულია შინი (რკინისა).

ულელი სხვადასხვანაირია. არის გძელი ულელი, მას ქაშნის
35 ულელსაც ვეძახიან. ულელი იმიტონაჲ გძელი, რომ ხარეფ ფეხები არ დუშავდეს, გძელ ულელ მაშინ ადგამენ, როჲცხა ხეფე ათრევენ. არის ცალულელაც --- ცალ ხარს რომ დნდგმენ:

თოკი ჩუენში სხვადასხვანაირია: საცალო თოკით მეშოკ მეჯიკიდებენ. საკოქავი თოკით — მარხილზე კვირთ დჷკრავენ. თოკს ხიხადრში და უჩამფაში თოკე ეძახიან.

საქონელ ახორში ვაბამთ. ახორში ორევე კედაროს სიგ-
ძეზე ბაგაა გაკეთებული. ბაგაში ჩუყრიან საკეებ. ბაგაზე 5
მიბმულია საქონელი. ახორში დაგებულია ზღვე. ზღვეზე
ძელეფ შუა კახმაა ჩაკერებული — სიცივე რომ არ შევდეს.
ახორის თაენათ ლამფაა მიქედებული. ახორში ერთ კუთხეში
სახბოვრეა. მეწველი საქონლის მოწველის წინ ხობ-ის ოკო-
საბმურში მიაბმენ. ხიხადრში ოკოსაბმურს ხბოსაბმურს ეძახიან. 10
საქონელს აბმენ ბაგაზე კაპით მოლუნვილი ჯოხია. ბოლო
ნაწილები თოკით შეერთებულია თავკაპით. ახფუნი (|| ნაკელი)
გროვდება სანარწყალში. იქიდან სანათურით გადაყრიან
გარში. სანათურს ზეით .პაწაჲ ფენჯერაა გაკეთებული. ზამ-
თარში რომ საქონელ არ შეცივდეს, ახორის კედლეფ კარქა 15
შეგლესვენ. ახორთან ახლოს არის ჯარა, რომელშიდაც საქონელ
წყალ დავალევიეთ. საქონელის ბაგაზე დასაბმელათ საყ-
ბაჭრია ბაგაზე მიბმული. ზოგან მას საყელურსაც ეძახიან. თუ
საყელური წკნელის გოლებიდან არის გაკეთებული. იმას
ხჩოლი ქვია. 20

ახორის წინა ნაწილს ჰაჭულს ეძახიან. ზამფებულობით,
თიბილ ტაროსეფში, საქონელ გარეთ ვაჩერეფთ ჰალილში.
ჰალილი თაში ვიციით კიდვენ. ჰალილ ბერასაც ვეტყვით.

ძის დამუშავების დროს ვიყენეფთ: ქუჭაფ, ვედრას, კასრ,
ხელბოგა, ციციხე, კაპილონას, ვარიას, კარდალ, კაბიწ, 25
საწურაფ, გუგუმ, საჯ, კვეთ, დერქ, საწველელას, კოლოფ,
კოთხოს, ჯაქვ და სხე.

ძროხის სახელებია: წაბლიაჲ. კუკულაჲ. დედიფერაჲ, ირე-
მაჲ, ფასკუნჯაჲ. კუდმელაჲ, ტრედაჲ.

41. ადგილის სახელები

30

ღვარძლათი, სოკინი, ტყემალთი, სამძიმელი, ნაქალაქევი.
საყდრის ყელი, ციხია, ქილისა. საციხური.

სოფ. ბელღეთი (ხულოს რ.),
ს. შავაძე (58 წლისა).

42. ნანღვილი ამბავი

- ნიკოლა დროს ჩვენთან მოვდა ბძანება. რომ დიღვირში დიდი მუშაობაა გახსნილი. ვინცხაჲ სახლჩი სამი კაცია. აქიდან ერთი სამუშაერზენა გვედესო. იმ დროს ჩვენ სოფელში
- 5 მუხტრათ იყო საბიოლლი ეაზაჲ. მოვდა ი მუხტარი ჩემსას და მითხრა უმ ერთათ შენცნა წეხვიდე სამუშაერზეო. ჩიგვიყვანეს ხულას. მოქვეცეს 30- 30 მანათი და სამმა თუ ოთხმა ბეგმა გაგვრეკა დიღვირისკენ. ამ ბეგებეიდან ერთი ჯელილ-ბეგი იყო-ჯემალ-ბეგის შვილი. სულ ვიყავთ 550 კაცი. ჩვენ ხებერი
- 10 არ გვაქ. თურმის გაყიდული ვართ. ბეგებმა ჩავვაბარეს იქაჲ მელინციეფ და თვითან დაბრუნდენ სახლეფში. დიღვირ რომ ჩეველთ. იქ გიგვიმცხადეს, რომ აქ სამუშაო აღარაა და თქვენ სხვაგანდა მოძებნოთო. თქვენ განაწილებული ხართ არდაჰანის ყალეში სამუშაოთო. ჩვენც გავჰსწიეთ არდაჰანი ყალისკენ.
- 15 ხალი ხებერი არ აქ, გონია გერჩექ სამუშაერზე მივალთო. არდაჰანი ყალეში რომ მიველთ, იქ გიგვიმცხადეს, რომ აქ სამუშაო აღარაა და ახლა თქვენდა გასწიოთ ბულა-თეფეზეო. ცოტა რომ მოსალამოვდა, ხალხში ლაპარიკი გაჩინდა: „ისე-გავ ჩვენ გაყიდული ვართო“. შტალამიხან მილინციებმა ადგნენ,
- 20 გაგვალვიძეს და გამოგვიცხადეს, რომ თქვენი სილაჰი მოსულია და ახლა მიემზადენით, თქვენ ჯარში ხართ გაწვეჲლიეო“. ვინც ცოტა შეხნიერებული იყო, ადგნენ იმათ. გამეცხადეს, რომ ჩვენ ჯარში ვერ წევალთ, ძვილაჲ აქ ამტაწიეთ და ტერს რაფერ და დუღგეთ წინო. ერთ დიდ მეადანზე დაგვაქდუმლეს
- 25 მილინციებმა და პრიკაზი მოქვეცეს. რომ აქილამ ფეხი არსათ არ გნღვათ და ჩვენ პასულ მოგიტანთ თავრობიდანო. მილინციებმა მიედენ თავრობაში და გუმცხადეს, რომ ი ხალხი ჩვენ აქ მოტყუილებით ამევეჲანეთ და ახლა რაცხაფერ გინდანან, ისე მიემყარნეთო. პაწახანს უკან ჩვენიდან წინაჲ კაცები
- 30 დეზბარა თავრობამ და მოლაპარიკება გამართა მათთან. რომ ველაფერი გნწყვეს, მოვდენ ჩვენთან და გამოგვიმცხადეს: „აქარლებო, ბობრიკებო, მეაწიენით ახლოს. თქვენი თავი ჩვენ მოკვეიდა ჯემალ-ბეგმა და რაცხაფერ გვინდა. ისე გამოგიყენეთ, ჯარში არ გიგიშეფეთ. მარა ჰაცხან სამუშიოზე
- 35 გეტყვით. იქდა იმუშაოთო“. დაგვაწყობიეს მუშაობა, ჩიგვიდგენ ფეშინში; არც ტანსამუსი—ურუბა მოქვეცეს და არც თაჲნი დიგვიბეს, მარტო შაჰმელ გვაძლეედენ, იჰიც ამთავოზე კარა, იმდენ გვაძლეედენ, რომ სული არ ამოქვბთენოდა. სალამოს

ცივ ყაზარმეფეში შეკვეყრიდენ და ულოგინოთ. უსაბნოთ მივ-
 გორდებოდით და გათენებამდი სიცივეში ვკანკალობდით.
 ბოლოხან იპიც გვითხრეს, რომ თქვენი თავი ჯემალ-ბეგმა
 მოკვეყიდა გასაისლაჰებლათ და რაცხათერ გვინდა ისე მოგემ-
 ყრობითო. ავდრიანი დღე იყო, ჩვენ სიცივეში ვკანკალობდით. 5
 მარა მაგც დაგვაძალეს სამუშეირზე გასასლელათ. ჩვენთან
 ერთი შეხნიერებული კაცი იყო, უზედარ იაკობაძე. იმ საწყალ
 ორ დღეში ერთხელ აცხრტებდა, წამალ არ გვაძლევდენ და
 დობტორი არ იყო. ერთი კვირა იცოცხლა იმან და მოკდა.
 კაცი არ ყავდა დამტირებელი, ისე მივაბარეთ მიწას. ხალხმა 10
 ამაზე დიდი უყმაყოფილობა გამოთქვა, ავატყოფი კაცი გემ-
 ყუნანეს სამუშეირზე და ტყვილათაჲ მოკლესო. ამ ხანათ ბაჲრამი
 იყო მოახლოვებული. უმფოსეფ მოვთხტეთ. რომ 2-3 დღეს
 სამუშეირზე არ გეყვანან ჩვენი თავი, რომ ჩვენებურათ გვე-
 ბაჲრამა. ორი დღე მოქვეცეს უფლება, გვებაჲრამა. ჩვენც დრო 15
 ვიხელთეთ, ზოგმა ვინც ომ გზეგები იცოდა კარქა. გამეჲპარა
 თავის სოფელში. ზოგ გზაზე წამეყწიეს და დეჲქირეს. ზოგი
 ვინცომ ხთალი იყო, ადგილიდან არ დაძრულა. არ გასულა
 დიდი ხანი, რომ ხენწიფე დეეცა. ნიკოლაჲ ჩამტაგდეს: რაც
 გახიზნული ხალხი იყო, უკან დაბრუნდა. ჯემალ-ბეგი ძველე- 20
 ბურათ ველარ გეამწვალებდა. მისი შიში უჲე აღარ ქვეკონდა.
 ხალხმა ცოცოტა მეჲთქვა სული. ხალხ ისე ყავდა გაძულვე-
 ბული ჯემალ-ბეგი, რომ იძულვებული გახდა ბეგი არდაჲან
 გაქცეულყო. ამბობენ, რომ ჯემალ-ბეგი არდაჲან ქკტაზე
 შედრეკავო. 25

სოფ. ტაბახმელა (ბულოს რ.)
 შაჰზად გობაძე (70 წლისა).

შექცობა

წინამდებარე ლექსიკონი წარმოადგენს ნაწილს ზემოაჭარულია ვრცელი ლექსიკონისა, რომელიც შეედგინეთ 1945—1955 წწ. აქ მოცემულია ზემოაჭარულიისათვის დამახასიათებელი მხოლოდ ის სიტყვები. რომლებიც გვხვდება გამოკვლევასა და ჩვენ მიერ წარმოდგენილ ტექსტებში. რაც შეეხება არაბულ-სპარსულ-თურქული წარმოშობის სიტყვებს, მათგან ჩვენ აქ ისეთები შევიტანეთ, რომლებიც ხშირად იხმარება (განსაკუთრებით მოხუცთა მეტყველებაში) და რომელთა ქართული შესატყვისებიც აქ არ გვხვდება. სიტყვები ზოგჯერ დამოწმებულია ლიტერატურული წყაროებით. ხოლო განმარტების შემდეგ მოცემული წინადადებები ამოღებულია ცოცხალი მეტყველებიდან, რომლის ნიმუშები ჩაწერილი გვაქვს ზემოაჭარის სოფლებში. ლექსიკონი შეიცავს 400-მდე სიტყვას. საკმაო ადგილი დაეთმეთ ფრაზეოლოგიას. სათანადო შემთხვევებში მოგვყავს სიტყვის ეტიმოლოგია. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ლექსიკურ პარალელებს ქართული ენის სხვა დიალექტებიდან.

ლექსიკონში ხმარებულ შემოკლებათა განმარტება

- აბულ. — „წიგნი სააქიმოდ“, ლ. კოტეტიშვილის გამოცემით, ტფილისი, 1936. დართული აქვს ლექსიკონი, სადაც არაბულ-სპარსული სიტყვები შემოწმებულია იუსტ. აბულაძის მიერ.
- ალავ. — მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.
- ბარნ. — ვასილ ბარნოვი, ფერად-ფერადი, 1934, წიგნს დართული აქვს ლექსიკონი. რომელიც შედგენილია თ. სახოკიას მიერ.
- ბაკრ. — Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по гурим и Адчаре, СПб., 1878 г., გამოყენებულია წიგნში ჩართული (161—191) Краткий сравнительный словарь говоров Карталино-Кახетии, Имеретии, Гурий, Кобулети (Чырук-су) и Адчаре.

ბერ. — ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაკულ თქმათა. С.—ПТВ 1912.

გაზ. „საქა“ — გაზეთ „საქართველო“. 1916, № 248.

გრიშ. — ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, 1927. წიგნს დართული აქვს ავტორისავე მიერ შედგენილი ლექსიკონი.

გურამ. — დ. გურამიშვილი. დავითიანი. თხზულებათა სრული კრებული, 1955, წიგნს დართული აქვს ლექსიკონი. შედგენილი ივ. გიგინეიშვილის მიერ.

ერისთ. — რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი. Тифлис. 1884.

ვაჟა — ვაჟა-ფშაველა. ლექსები და პოემები, ა. აბაშელისა და ა. შანიძის რედაქციით, თბილისი. I, 1946; II, 1950; III, 1930; IV, 1932. ოთხივე ტომს ცალ-ცალკე დართული აქვს ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

იმერს. — Н. Марр, Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзтийского, ТР. т. VII, 1911 г.; გამოკვლევაში შეტანილია დღიური: „Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию“, სადაც მოცემულია იმერხეული ტექსტები. მცირე მოცულობის ლექსიკონითურთ.

იმნ. — ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I. გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1953.

კირ. — კირიონი, სალექსიკონო მასალა: ძველი საქართველო, ტ. II. განყ. III (გვ. 1--27). ტფილისი, 1913.

კ. ლომთ. — კ. ლომთათიძე. მოთხრობები, ტომი II, 1925. ტომში შეტანილია მოთხ. „ძე კაცისა“, რომლის ერთ-ერთ პერსონაჟს ხუსეინ მოლახუსეინ-ოღლის ავტორი ალაპარაკებს აქარულ დიალექტზე (გვ. 297—304).

მაის. — ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან: რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, ბათუმი, 1954.

ს. შაკალ. — ს. შაკალათია, „მესხეთ-ჯავახეთი“ (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), 1938.

მარი — ჯან. გრამ. Н. Марр, Грамматика чванского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С. ПТВ, 1910.

მარტ. და იმნ. კახური — არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956.

- მაყ. — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი. პროფ. ი. ლონოურის რედაქციით, ტფილისი, 1949.
- მენტ. აკ. — სტ. მენტეშაშვილი, აქარის ეთნოგრაფიული მასალები: „ენიმკის მოამბე“, II₁, 1937.
- მენტ. — სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი. თბ.. 1943.
- ნოდ. I — ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები აქარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, 1935, ბათომი.
- ნოდ. ა. დ. — ჯ. ნოლაიდელი, აქარა დიალექტოლოგიურად, 1936, ბათომი.
- ნოდ. II — ჯ. ნოლაიდელი, აქარის ხალხური სიტყვიერება, 1936. ბათომი.
- ნოდ. III — ჯ. ნოლაიდელი, აქარის ხალხური სიტყვიერება. წიგნი მეორე, ბათუმი, 1940 წ.
- ჟღ. — სერგი ჟღენტი, გურული კილო, ტფილისი, 1936.
- ჟღ. ჭან. ტექსტ. — სერგი ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი. თბილისი, 1938 წ.
- საბა -- სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.
- სახ. — თედო სახოკია მოგზაურობანი, გურია, აქარა. სამურ-ზაყანო, აფხაზეთი, თბილისი, 1950.
- ქგლ. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი. ტ. I (ა-ბ), რედაქტორი არნ. ჩიქობავა, 1950; ტ. II (გ), რედაქტორი პროფ. გ. წერეთელი, 1951; ტ. III (დ-ე), რედაქტორი პროფ. ვ. თოფური, 1953.
- ლლ. — ალ. ლლოტი, გურული ფოლკლორი, I, თბილისი 1937.
- შან. სინტ. — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II. სინტაქსი. თბილისი, 1949; დართული აქვს ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- შარაშ. — გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.
- შაჰნ. II — აბუ-ყასიმ ფირდოუსი, შაჰნამე, ქართული ვერსიები, ტ. II, პროფ. იუსტ. აბულაძის, დოც. ალ. ბარამიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, ტფილისი, 1934. ჩვენ მიერ გამოყენებულა ორივე ტომს დართული ლექსიკონი, შედგენილი იუსტ. აბულაძის მიერ.

- შედარებ.** ლექს. — არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.
- ჩიქობ.** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
- ჩიქობ.** — ფრდ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: „ტფილისი უნივერსიტეტის მოამბე“, VII, 1927.
- ჩუბ.** — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, C.—ИТБ, 1887.
- წერ.** — ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, პროფ: ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.
- კუ.** — ილია კყონია, სიტყვის კონა, C.—ИТБ, 1910.
- ჯავახ.** — ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, 1925.
- ჯანაშ.** — მ. ჯანაშვილი, საინგილო. გამოკვლევას დართული აქეს ლექსიკონი: „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფილისი, 1913, განყ. IV (გვ. 238—274).
- გადატ** = გადატანით, გადატანითი მნიშვნელობით.
- ვულგ.** = ვულგარული.
- მუს** = მუსულმანური, მუსულმანურ-რელიგიური.
- ნ.** = ნახე.
- შდრ.** = შეადარე.
- ცრუმორწ.** = ცრუმორწმუნეობრივი.
- ძვ.** = მოძველებული.



აბდესი მუს. ლოცვის წინ რიტუალურად ხელ-ფეხისა და თავ-პირის დაბანა; „განწმენდა“ (ნ. მარი).

აბდესხანა პირსაბანი; აივანი.

ადრეულაჲ ადრე; ნაადრევად, დილაადრიანად. „ადრეულაჲ, ზიწვერნამდი შუდექ ცხენი ფუშკი ზიდვას მეგრელახევეში“ (შდრ. შარაშ. ადრეელაი).

აეაზანი მსხვილი ხისაგან გამოთლილი გრძელი ჯარა. რომელიც წყაროსთან წინ დგას (მასში წყალი გროვდება პირუტყვის სასმელად). „ცხენმა დაჰყო აეაზანში, მარა დაფთხა და ოკოდგა“ (ნოლ., II, 74); შდრ. იმერხ. 62: „აეაზანს ჩვენ ვეტყვით წყლისას. ცხენები რომ წყალ სმენ“-: ქგლ. მაის.).

აზული საგზალი.

აკოკოლება ავსება, გავსება; რითიმე ქურქლის ძალზე ავსება. აქედან აკოკოლებული „ეკოლოფი აკოკოლებული იყო ფქვილით და შენ ხელგადასმული მეგტანე?“ (შდრ. ჩუბ., მენთ. აკოკოლავება).

აკუნცხალეზა „თუ ვინიცოზაა ცუდი ამინდი იქნებოდა. მაშინ კონებს [ჩალის] ყანაშივე აკუნცხალეზდენ კუნცხალად დგამდნენ—კონას კონას მიაყუდებდნენ, ოლონდ ისე, რომ კატარი ზემოთ ჰქონოდა, ე. ი. იდგა კონა როგორც სიმიინდი. 20—40 კონას ერთ კუნცხულად გააკეთებდნენ. ასე იქცეოდნენ იმიტომ. რომ ავდარში ჩალა არ გაფუჭებულიყო“ (მენთ. აკ. 161).

ალაფი ალი „მეიყვანეს. გააჩერეს იმ სარჩობელას ძირში. სიმწარითა მოზდიოდა წვანე ალაფი პირში“ (ნოლ. II, 122)

ალეთი ინსტრუმენტი. იარაღი, მოწყობილობა, ხელსაწყო, ирѣдир. „შენი უსტჯობა ვინ გეგგონა, ერთი ქესრისა (ნ.) და ბურღის მეტი რამე ალეთი გაქ?!“

ალთუნი 1. ოქრო; 2. ოქროს ფული; (თურქეთის ბატონობის უკანასკნელ ხანებში ალთუნი უღრიდა 120 ყურუშს; ნ. მარი ჰან. გრამ.; იმერხ.).

ამალიკაჲ ნარმა (შდრ. ბერ. ამერიკა, ე-, ალაფ. ამირიკა).

- ამღეყედან** ამ წუთიდან, ახლავე, „ამინუჩი“. „წაა ამღეყედან და ძიგლიგაათ (ნ.) ბინი ქუები ამოზიდე!“
- ამოწვერნა** „ნათესის (მაგ., სიმინდის, ლობიოს და მისთ.) ღერო რომ ახლად ამოვა, იმაზე იტყვიან“. „ახალათ იწვერნა სიმინდმა და ახლა თუ კიდევნ ყურალეები (ნ.) წევდა, თლათ მოხალავს“ (შდრ. ელ. ამოწვერვა).
- ამძოხებული** ამშორებული, ამყრალებული; სინესტით გამოწვეული სუნი (გაზაფხულზე, როცა მოშლიან ზამთარგამოვლილ კართოფილის ორმოებს, ხშირად ასეთ შემთხვევაში მძიმე სუნი დაჰკრავს, მასზე იტყვიან: „ყართოფაა ამძოხებულაო“; შდრ. ალავ. ამძაყებული, ამძალებული).
- ანაგებაა, ანაგებათ** სრულებით არ. „ამ ბოლოხან ანაგებაა აღმაქ იშტაპი“ (ნ.); შდრ. ელ. ანაგეფ, ანაგებათ.
- ანა/ა დედა.** „ანავ, რა ყოფილა ე ფიჯი (ნ.), ვერ გაბუცდები, კოჭ, ერთ სულულზე!“ (ნ. შარაშ.; იმერხ. 55: „ემიამ ანააეც მოუკლა“).
- აძრანი** მაწენიდან კარაქის გამოხდის შემდეგ დარჩენილი სითხე; მჟაფე, საამო სასმელია, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში (შდრ. საბა).
- ანტერი** ოხერი, უპატრონო „ანტრათ და ნაგანძრათ დაქჩა!“ (შდრ. მარი ანდერი, იქვე: მარის აზრი, რომ ანდერი < სომხ. *անտեր* - დან).
- აპიშპილაქება** [< პიშპილაქი (ნ)] ჭურჭლის პირამდე გავსება.
- აპოხტი** შესანახად გამხმარი ქათმის ხორცი (მთლიანად, დაუქრელად).
აპოხტი, ზედ მოხდი,
 კვერცხის ცილი, ზედ დაცილდი“ (ბავშვები წარმოთქვამენ რაიმეზე დამიზნებისას შეჯიბრების დროს; შდრ. საბა, ჩუბ., აბულ., გრიშ., ს. მაკალ. 76, მაის., ქგლ).
- არვანა** ჯილდის ნაწილი, „გრძელი ხე, ოდნავ მოღერებული, უკანა ნაწილით შეერთებულია მაქვასთან“ (მენტ. აქ. 144).
- არნაბი** ტარიანი ძელი მოთხრილი მიწის გადასაყრელად (განსაკუთრებით გზების გაყვანის დროს (ნ. ქყ.; ქგლ.; შდრ. საბა. არნადი, ელ. არნაბაი).
- არტაჟა** (რუს. *артаж*) სართული. „ახლა ომ ორარტაჟიანი კანტორა დგას, უწინ იმ ალიგზე დიდი გოლი იდგა თურმი“ (ნ. ელენტი, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953 წ., გვ. 71, დლ.).

არწივიანო ყისირი ისეთი ფური, რომელიც არასოდეს არ შობს (შდრ. მენტ. აქ. არწივი, 173).

ასლი ნამდვილი, ბუნებრივი, ორიგინალი. „გარეთა კ'არა, ასლი ბიძაშვილია მისი“ (ნ. ჩუბ., მენტ.).

ასტამი რკინის პატარა ნიჩაბი, რომლითაც ნალვერდალს დააყრიან კეცზე დახურულ საჯს (ნ.) პურის, მკადის და მისთ. გამოსაცხობად. „კოპერატში ასტმები მშტანიან, ნანდვილია, კო?“ (შდრ. საბა, ჩუბ., გრიშ.: ქგლ: ვაჟა I, კინქოტი, ელ. სალადრია (ე,-ი).

ატკვაფჩული [←ტკვაფჩი (ნ)] ამობურცული, ასივებული კანი, დაწვის ან ჯინჭრის შეხების გამო (შდრ. შარაშ. ატკვაფშული).

აღლი, აღლის გაკრა საქორწინო წერილობითი პირობა. „უწინ ჩვენში აღდს ხოჯა გაკრიდა“ (შდრ. იმერხ. 61: ახთი: „ეთემსულთანმა ახთი უყო“, მარი).

ახისხა ახალციხე. „ახისხი დამ მევტაჲ ე ხიზარი“ (ნოლ. I, 38).

ახორი ბოსელი (ჩვეულებრივ ძველებურ საცხოვრებელ ბინას პირველ სართულად ახორი ჰქონდა). „თელას ქერქი გავაძრე,

ბიდან ხეზე გავაბი:

ქვანელების გოგუები

ჩემ ახორში დავაბი“

(ნოლ. II, 74).

(შდრ. საბა, სახ. 34, ჩუბ., ჯანაშვი., ბაქრ. ახორი, ახვირი. იმერხ., ელ., ს. ნაკალ. 85, მენტ. ახური და სხვ.).

ახტაჯი აწყვეტილი, ატეხილი. უსირცხვილო, მოურიდებელი. მოუხვენარი. „ამდროული მევეარე და ასე შუსმენარი, ახტაჯი ბალეი არ მომსტრია“ (შდრ. ბერ. ა-თხაჯელა, შარაშ. ახტაჯი, ახტაუჯა).

ახფუნი ნაკელი, ნეხვი, სასუქი (შდრ. მენტ. აქ. ახბუნი, ზიბილი).

აჯაბ/თა ნეტავი: გაკვირვების, განცვიფრების, გაოცების შინაარსის გადმომცემი სიტყვა. „სიცოცხლეში ვერ გევეხარე. აჯაფრა ვარ რაის მქნელი“ გაზ. „საქ.“, 1916 წ. № 248. (შდრ. საბა აჯაფათა, ჩუბ. აჯაბი, მარი, ელ. კან. ტექსტ.).

აჯამი გამოუცდელი, ზამი, უქკუო, რეგენი. „ეტყობა გოროტში ნამყოფი არაა, აჯამია“ (შდრ. მარი, ქყ., მენტ., ქგლ).

- ბაბოჯ მამა** (შდრ. მარი ბაბა, იმერხ. 55: ბაბა, „ბიკის ბაბას ამეთ ვეზირი ერქვა“, ჟღ. ბაბა (ე:—).
- ბადადი ჩვარი**, „ჭინჭი“. „ხალხი უწინ ბადადეფში იყო გახეფული“.
- ბაჯრამი** მუს. რელიგიური დღესასწაული: მუსულმანურ ქვეყნებში წელიწადში ორჯერ ტარდება ბაჯრამი: ერთი. რამაზანის (ნ.) ბოლოს, მეორე — რამაზან-ბაჯრამიდან 70 დღის გასვლის შემდეგ, რომელსაც ყურბანბაჯრამი, ანუ მსხვერპლის შეწირვის ბაჯრამი ჰქვია (ნ. ჟღ. ჯან. ტექსტ.).
- ბარამბო** (Petasites) ბუერა, ბალახეული მცენარე; (აქვს დიდი, მომრგვალო ფოთლები, გრძელი ყუნწებით; გავრცელებულია ტყისპირას, ტენიან ადგილებში; ნ. ქგლ.).
- ბარდალი** დოქი: წყლის ქურჭელი (შეიძლება სპილენძისაც იყოს) (შდრ. ბაქრ. ბარდახი, მარი ბარდალი).
- ბარდენაჲ** ბერდანა. „სამი ცალი ბარდენაჲს ყურშემიდან ოზდახუთი სროლა საჩმა (ნ.) მოვჭარ“ (შდრ. ქგლ. ბერდანა).
- ბარსამი** (<ბარე სამი) ბევრი, მრავალი. „ბარსამხანი იარა და დეინახა, რომ ერთ ხიზ ძირში ერთი კაცი ზის“ (ნოლ. III. 52; შდრ. იმერხ. ბარე სამი).
- ბატონი** (პირდაპირი მნიშვნელობის გარდა) პატრონი. „ბალახ წუსტრია სიმინდისთენ. ნეტაჲ ამ ყანი ბატონ ქურში ხომ არ ძინავდა?!“ (ნ. იმერხ: „რე იქნა ამ ცხენის ბატონი?“ 64).
- ბატონიანი** (|| პატრონიანი) ალიგი. ცრუმორწ. ავი სულეების (ფერიების, ქაჯების) მიერ დაპატრონებული ადგილი. ასეთ ადგილებად მიჩნეულია დაუსახლებელი, ბნელი, უკაცრიელი ადგილები: სასაფლაოები, მივარდნილი ხევი-ლეღე, ძველი ციხისა და შენობების ნანგრევები და სხვ. მორწმუნეთა და ცრუმორწმუნეთა შეხედულებით. ვინც ბატონიან ალიგზე გაივლის, მას ან თვალი ეცემა, ან „უფმური“ აყვება; და ან, საერთოდ, რაიმე ხიფათს შეეყრება (შდრ. მაის. დაპატრონებული).
- ბაშლული** 1. ყაბალახი, ბაშლაყი; 2. საცოლის დანიშვნის დროს გაღებული საჩუქარი, ქრთამი ქალის მშობლებისათვის (ნ. მარი; შდრ. მარტ. და იმნ. კახური ხელდასადები).
- ბეგი ძვ. თავადი, ბატონი** (ნ. ჟღ. ჯან. ტექსტ., ქგლ.).

ბეზირგანი ვაქარი, სოვდაგარი (ნ. იმერხ. 61: „ბეზირგანს სამასი დევით დაქვითული საქონელი მიქონდა“, ვაჟა I).

ბეთმეზი ხილის (მსხალი, თუთა, ყურძენი) წვენი, შესანახად მოდულეული, ბადაგი. (ადულებენ მანამ, სანამ თაფლივით არ გასქელებდა. შდრ. ჩუბ. ბაქმაზი, მარი პეტმეზი, იმერხ. ბეკმეზი, ჟლ. ბეტმეზი, ჟლ. ჰან. ტექსტ. პეტმეზი მენტ. ბაქმაზი).

ბელა უბედურება, ხიფათი; მარცხი. „დუგუნზე (ნ.) რომ არ წასულიყავ, ხომ გადარჩებოდი ამ ბელას“ (შდრ. ქართ. ხათაბალა; ნ. მარი, ქყ., ჟლ. ბელა, ბელასინი, ლლ.).

ბენდი 1. „წისკვილის ან სარწყავი წყლის სათავეში გამართული ჯებირი წყლის გამოსაყოფად მთავარი კალაპორტიდან“ (მაიხ.); 2. ადგილი, რომელიც გამოდგება წყლის. არხის, გზის გასაყვანად. „ამწახანებზე რაცხა ძალიან იკლო წისკვილის წყალმა, ერთი ემბინე ბენდზე, წყალი გადაშვებული არ იყოს!“ (ნ. წერ. სათავე).

ბენჩქი ბუჩქი. „ყურდღელმა თქვა: „ჩემ საწოლი ლობჯა ძირი ბენჩქი ავო, ჩემ ფეშინში მომდევარი-უქკუვო და ბეჩიავო“.

ბერა საზაფხულო საძოვრებზე, „მაღლებზე“ სახელდახელოდ გაკეთებული სადგომი, ფარები (შდრ. ქგლ).

ბერწიშვილი ერთი წლის გამოზამთრებულ ხმოს ბერწიშვილ ეძახიან. ხოლო მეორედ რომ გაიზამთრებს, დედალს—დეკეტულს ან ერინჯს, მამალს კი—მოზვერს (ნ. მენტ. აქ. 173).

ბეჩი სულელი, უქკუო, შტერი, გამოუცდელი (შდრ. საბა. ჩუბ. გაბეჩება, — ჩაეება; ნ. გურამ., ჰ. ლომთ. 301: „შენ ბეჩო, შენ რომ ყელში მოგადგა, იგი სისხლი არ არის, შენ ვინ მოგცა უსისხლოს სისხლი-მეთქი“).

ბიბია/ა მამიდა (ნ. მარი).

ბიგალი ორ ან სამ-პორტიკა თივის ასალები ჯოხი (შდრ. მარი, ჟლ., ქგლ. ბიგა).

ბითევი 1. მთლიანი, მთლიანად, სრული, სრულად, სრულიად; 2. განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ. „ბითთევი დავაბულულე თივა“.

ბითუმ მუდამ, ყოველთვის (შდრ. მარი ბითუნ).

ბილევვი სალესი ქვა. „ეს ბილევვი ურემადან მაქ მოტანილი“.

ბიქხი კარზე მისაბჯენი მსხვილი ხე, ურდული.

- ბლაცვი** სულელი, შტერი: საწყალი, აქედან: აბლაცუნება (ნ).
 „შენითანა ბლაცვ რომ უყვევ, მეტიც მეკადრება მე“ (შდრ. ქუ. ფაყვე, შარაშ. ბლაცვი, ბლაცუჩაი, მენტ. ფლაცვი).
- ბოგაზვინი** ოთხ 1—2 მეტრიან ბოძზე, რომელზედაც დაწყობილია ქვრები და შუაზე ამართულია საყე (ნ.). დატკეპნილი თივა. ასეთ ზვინს საქონელი ადვილად ვერ მისწვდება და ქვედა ნაწილი დაცულია დასველებისა და მიწის სინესტისაგან (ნ. მენტ. აქ. 164: შედგმული ზვინი ანუ ბოგაზვინი).
- ბოლოშავი** (*Turdus pilaris*) ერთგვარი ჩიტი, შაშვზე ოდნავ პატარაა, ოღონდ არაა შაშვივით შავი (ნ. ქლ.).
- ბორანი** ერბო-კვერცხი: ყველით მოხრაკული (შდრ. ჩუბ., სახ. 209).
- ბორი** 1. მილი, მილაკი (ნ. ქლ.); 2. ბუკი, საყვირი. „თუ შექბდა, ფეჩის ბორებიც წაჭმიღე თან“ (შდრ. მარი, იმერხ. 48: „არ მომიკლა ჩემი გული, შიგან დოჟკარი ბორი“).
- ბოჩიკი** 1. პატარა. დაბალი ტანის პირუტყვი; გადატანით: ჯუჯა ტანის კაცი, ქონდრის კაცი; 2. ხარის დაქედვის დროს სახელდახელოდ შეკრული ჯოხები, რომელზედაც მიკრულია პირუტყვი. რომ მოძრაობა არ შეეძლოს (შდრ. საბა, ბერ. ბოჩიკი, ალავ. ბაჩაკი).
- ბოკოქვა** ობობა (შდრ. იმერხ. ბოკოქვა; შედარებ. ლექს. ბობონქვა ხოქო, жук. (საბა) ბაბაქუა „დედაზარღლი“; ობობა маук; მაის. ბოკოქუა(ა).
- ბოხრიკი** მსხვილფეხა საქონელი; გადატ. კაცზედაც იტყვიან: უშნო. ულაზათო. არასანდომიანი (შდრ. კირ. ბეხრიკი; ნ. სახ. 190, ქგლ).
- ბუიკი** წვრილი. წვნიკი; ითქმის: ბეიკი სიმინდი, ბეიკი ვაშლი და მისთ.; (შდრ. საბა ბეიტი, ქგლ. ბეირი).
- ბულული** „თივის პატარა ზვინი, დროებით სათიბშივე დადგმული“ (ქგლ) (შდრ. ჩუბ., ქუ. ბულული, ვაქა I ბულულა).
- ბურწანი** ფური, რომელიც არასოდეს ხბოს არ მოიგებს, სამუდამოდ უშობელი; ბერწი (ნ. მენტ. აქ. არწივიანი ყისირი, 173).
- ბუქუნქველა** ქიანქველა (შდრ. ბერ. ბუნქველა, ბურქველა, ალავ. ბუქუნქველა, ბუნქველი, ბოქოქვი).
- ბუჯალი** 1. ხის (მცენარე) ნაწილი, საიდანაც იწყება განშტოება ტოტებისა; 2. კუთხე (მაგ., ოთახის). „შაშუაგულო ბუჯალში გუქეთებია ჩიტ ბუდე“ (შდრ. მარი ბუჯალი, ლლ. ბოჯახი, ქლ. ბოჯაყი).

- გააშვა ქალი** „გაუშვა“. დატოვა, განქორწინდა. (ნ. ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, 1953. 359 გა-შვა ან გა-ა-შვა ფორმები; შდრ. იმერხ. „ქოროლიმ ქალი გაააშვებია [ლაშას] 69).
- გაბუცება** (|| შებუცება) გაჩერება. გაყუჩება, გაჩუმება, შეჩერება. „შუფერ, შანბუცე ერთწამალად მაშინაჲ!“ (შდრ. საბა; ჩუბ. ბუცავება, ბუცება, ქგლ. გაბუცება).
- გაგნებული** გარკვეული, გონიერი, მიმხვდარი (ნ. მაის.).
- გადართმევა** 1. სურათის გადაღება; 2. თმის გადაღება. „ერთი ხულას'უნ'და ჩევდე კარტიქკის გადასართმელათ და არ შეშინდეთ, რომ დიმიგვიანდეს, ბაშუოართისთინ მთხოვენ“.
- გვარდა/ა** ოვალური კასრი, რომელშიაც ინახავენ რძის პროდუქტებს. „ჩემ დელიყანლობაში (ნ.) ერთ გვარდა მალ რომ მევიდევი ზრუქში, შუსვენებლად ბათუმ ჩევდოდი“ (ნ. სახ. 122).
- გაზმანვა** გაზომვა „ჩემი საკარმიდამო ხელხანგდა გავაზმანიო აგროდენიკ“ (ნ. მაის.).
- გაკაზმვა** გაწმენდა, გასუფთავება, განიაგება (მაგ., სიმინდის პურის მარცელის და მისთ). „სიმინთ ჯერ ჩელტზე დაფშინით, მემრენ გავკაზმავთ გობზე ან სხვა ჭურქელში, ცოტახან ზეზე წუფენთ. რომ სინელლე არ გაყვეს და მემრენ წევლეთ წისკვილზე დასაფქვათ“.
- გაკოქვა** ცრუმორწ. გზის ორივე მხარეს, სადაც უნდა გაეგლო მტერს. მოწინააღმდეგე დააღაგებდა რძით ან წყლით სავსე ჭურქლებს (დოქით. თუნგით), როცა მტერი გზას გადაჰრიდა, შემდეგ შეურევდნენ ერთიმეორეს. მორწმუნეთ სწამთ, რომ ამის შემდეგ მტერი ველარ იხეირებს. შეეყრება მადასირი (ნ.) ან წააწყდება რაიმე ხიფათს. გაკოქვა შეიძლება ამგვარადაც: იმ ადგილას, სადაც ნეფე დედოფალი გაივლიდა, გზის ერთ მხარეს დააგდებდნენ დანას, ხოლო მეორე მხარეს ქარქაშს; მაყრიონის გავლის შემდეგ შეინახავდნენ დანას და ქარქაშს ცალ-ცალკე მანამ, სანამ ერთმანეთს არ გაშორდებოდა ცოლ-ქმარი. სწამთ, რომ გაკოქვის შემდეგ მათ შორის ცოლქმრული კავშირი შეუძლებელია.
- გამოსული** გაზაფხულის მიწურული, ანუ ზამთრის დამდეგი „გამოსული რომ გამოვა, ამწვანდება მთა და ბარი“ (ნოლ. 1, 60).

- გამოტიალება** გამომეღვენება, გამოაშკარავება. „მე ხოშ გითხარ, გამეშტიალდება ტყვილი-მეთქინ!“
- გამოხარტვა** პირგაცვეთილი იარაღის (ცულის, წალდის, ნამგლის და სხვ.) ცეცხლში გახურება, გამოკვერვა, პირის ხელახლა გაბრტყელება და გაღვსვა, რომ მჭკრელი იყოს (შდრ. მენთ. გამოწკება, ჩუბ.).
- გაპარება** ცეცხლის, სინათლის შეუმჩნევლად ჩაქრობა. „შუმატე პაწაჲ შიშა, ქო. ცეცხლმა არ გეძპაროს!“ (ნ. ჟღ. გაპარება, იმნ. გაპარვა).
- გაპკიალება** გაპრიალება, გაწმენდა, გასუფთავება. „ამ ახალი გელინის (ნ.) ხელში ე სახლი სულ გაპკიალებულია“ (შდრ. შან. სინტ. გაპკრიალება).
- გარგანი** „არგანი არს კვერთხის უსხოსი. საბრჯენელად და დასაყრდნელი კაცთა უძღურთათვის“ (საბა). „რომ წამუშინე გარგანი თავში, ნაბუძგები ნაფუზრი ბოლოს მტაძებნიე“ (ნ. ჩუბ. არგანი, შარაშ. გარგანი).
- გასხლეტვა** საქალამნე ტყავის გაქიმვა წაწვეტებული ჯოხებით, გასწორება (შდრ. საბა. გასხრიბვა. ბერ. გასხლიბვა; წერ. გასხეპვა ტყავისა).
- გატიალება** გათენება. „ჯერ კიდვენ გატიალებული არ იყო, რომ შაჰმერანმა გახსნა თავის ჯარით ჰუჯუმი (ნ.)“.
- გაფიფქვა** სუფთად, ფიფქივით სუფთად გაწმენდა, გარეცხა, გასუფთავება, აქედან გაფიფქული ძალზე სუფთა, ფიფქივით სუფთა. „რავარც შეხვალ ოდაში, ხელათ თვალში გეცემალოგინი, ურუბა თლათ გაფიფქულია“ (შდრ. წერ. გამოფიფქვა).
- გაქუცვა** გაძარცვა. „უწინ თუ კარქა შესილაჰული (ნ.) არ იყავ. მახუმცეთი ბოლოს გუქუცლაჲ ვინ გიგიშვებდა!“ (ნ. იმერხ. ნმ: „იმ ხანუმსა წინდაწინ ქოროლის ბეზინგარი გაქუცული ყავდა“).
- გაშრობა** წველის შეწყვეტა ნორმალური ვადის გასვლის შემდეგ, ან მანამდე (ცუდი კვების ან ავადმყოფობის გამო) მეწველს რძე რომ გაუბრუნდება და აღარ მოიწველის. აქედან: გამშრალი საქონელი წველა შეწყვეტილი საქონელი (ნ. მენთ. გაშრობა).
- გაშხაფვა** შენი! ვულგ. წყველაა: გაწყვეტა! მოსპობა! აქედან: გასაშხაფავი მოსასპობი, გასაწყვეტი (ნ. ჟღ. „ზანი-ზმები...“ 228 დაშხამფლება, შარაშ. გამოშხაფვა).

გაწარბვა გაკვალვა, ხაზის გაყვანა თოხით, წალდით, სადაც უნდა გავიდეს გზა. რუ და მისთ. აქედან: გაწარბული გაკვალული: მაგ.. თხილამურით გაწარბული თოვლის გზა (შდრ. ქყ, წარბვა. ვაეა I, დაწარბული. მენტ. წარბვა. დაწარბვა).

გაქალავება 1. გამოფიტული საყანე მიწის საბალახოდ დატოვება; 2. თავის დროზე გაუთოხნელ ყანაში სიმინდზე ბალახის წასწრება. ბალახით დაფარვა; აქედან: გაქალავებული „დასასვენებლად“ დატოვებული საყანე მიწა, ბალახწასწრებული სიმინდის ყანა (შდრ. მენტ. აქ. გაქალავება).

გახებრვა გაფანტვა, დათიქსვა (ნ.). ვთქვათ. ქსოვილის ნაქრის იმგვარად გაქრა-დანაწილება, რომ შემდგომ ამ ნაწილების გამოყენება შეუძლებელი იყოს (შდრ. საბა დაშავება, ჩუბ. გასახებრება. ქგლ. გახებრება, შარაშ. დათიქსნილი).

გაპაზირება | <პაზირი (ნ.)| გამზადება, მზადყოფნა. მოწესრიგება. „საქორწილო პაზირობა გაქ'ვს'“ (შდრ. იმერხ. 63. „გახაზირება“: „ქელოლლანი ცხენი წაყვანისთინ გახაზირდა“).

გეგეზობა წრეს გადასული მასხარაობა. თავშეუქავებელი ოხუნჯობა, „ანგლობა“.

გელინი რძალი, პატარძალი, მოსული (ნ. იმერხ. 70: „ქოროლლიმ გელინებს უთხრა“; ელ).

გერჩექ მართლა, მართლაც, ნამდვილად. „ი მამალი გერჩექ რომ იბრეთი (ნ.) რამია, მაწყუალთიდამ ჩამევეყუაჲ, ზოჟლი (ნ.) ჯინსიანი (ნ.) გამოდგა“.

გზა-ბაწარაჲ ვიწრო, საცალფეხო გზა. „იმფერ გზა-ბაწარაზე გავარუნიე კვირთული ყათირი (ნ.), რომ ერთი ომ ფეხი დაშპენოდა, ქარაფეფში (ნ.) მოსაძებნი გახდებოდა“ (ნ. სახ. 178).

გლიშამ, გარეშამ ირგვლივ, გარშემო. „ციხეს გლიშამ შანუვარე, ზეთ შამოვდევე კირიო“ (ნოლ. II, 120). (შდრ. ბერ. გრულიაშამო, წერ. გვრილშამო. ალავე. გრულშემო, გრულია; ნ. ლლ. გლიშამ).

გუგუმი წყლის ქურტკელი სპილენძისა, სურას ჰგავს (შდრ. ბაქრ. გუგუნი).

გულა „თხისა, ცხვრისა და ხბოს ტყავი, გაუქრელად გაძრობილი და ქურტკლად გაკეთებული (ზურგზე მოსაკიდებელი. რისამე

ჩასადებად. კარგია სამგზავროდ მწყემსისათვის“ (შან. სინტ.) (შდრ. სახ., ჯავახ. საფ.-სახ., ქგლ.)
გუმეტარი ის ვინც ვერ იმეტებს სხვისთვის, ძუნწი (შდრ. ჩუბ., მენთ. გაუმეტარი, ქგლ. გაუმეტებელი).

ღ

დაბეხება სანაძლეოს დადება. „მოე დემებესე ოზღათზე მეტი თუ იყოს!“

დაბიქსვა [←ბიქსი (ნ.)] „ბიქსის“ მიბჯენით კარის გადაკეტვა, გადარაზვა. აქედან: დაბიქსული გადაკეტილი. გადარაზული.

დაბულულება ახლად მოცელები გასახმობი ბალახის ბულულებად (ნ.) დადგმა. აქედან: დაბულულებული ბულულებად დადგმული (შდრ. მენთ. აქ. შაის.).

დაგნება წისკვილის მომართვა ლინგად (ნ.) ან როხად (ნ.) დასაფქვავად. ბრუნვის სიჩქარის მოწესრიგება ხდება წისკვილის ქვების ერთ მხარეს მოწყობილი ასაწვევ-დასაწვევით, რომელსაც იმერეთში ვირიხიდას უწოდებენ. რამდენადაც ზედა ქვა დაცილებულია ქვედას (ე. ი. აწეულია), იმდენად მსხვილად იფქვევა. ანუ „როხ“ ფქვილს მივიღებთ და პირიქით. რაც უფრო ახლოს ეკვრის წისკვილის ქვები ერთიმეორეს, იმდენად „ლინგად“ ფქვავს წისკვილი (ლინგადაა დაგნებული): „ლინგად დუგენ რომ გული ფქვილი ამოვდეს, საფაფეთ მინდა!“ (შდრ. წერ. დარიგნება. შარაშ. საცნაური).

დადე მდადე. ხელისმომკიდე. „დადევო. ჩემო დადევო, ქორს განუდგი ბადევო: ეჭეც ჩვენი დადიანი სამას ყურუთს დაგვეჯერდება...“ (შდრ. საბა მდადი, ჩუბ. მდადე. ჟლ. დადე. მარტ. დაიმნ. კახური მდადე).

დაზმანება დაზონვა. გაზონვა. ზონის აღება, ზომაში (სიმალღეში) შედარება. ბავშვებმა იციან თქმა: „მოე დევეზმანოთ ერთმანეთ“ (შდრ. საბა ზმანება. ჩუბ. შეზმანება. ჟლ., მაის. გაზმანვა).

დათაკრვა რაიმე საგნების (ფიცარი, შეშა, ლოგინი...) გარკვეული წესით დალაგება, დაწყობა. „ასი საჯენი შიშა დათაკროს ერთი მიორეზე“ (ნოლ. III, 114) აქედან: დათაკრული დაწყობილი, დალაგებული; შდრ. დამქახდებული.

დათხზნა დაწნა; აქედან: **დათხზნული დაწნული.** დათხზნული ყველი დაწნული, წნული ყველი (შდრ. იმნ. შეთხზული, დაწნული).

დალაშტვა [**ლშტერნი** (ნ.)] წყლის უზომოდ, უთაებოლოდ დაღვრა; ბლომად დაქცევა რამე სითხისა. „რაფერ მიმოგილაშტავს აქაშბა!“ (შდრ. ჰყ. თქვარვა, ბერ. დალაშტრვა, შარაშ. თქვირიშინი, დათქვირიშინება. მენტ. დათქვრა).

დამკახდება [**კახადი** (ნ.)] დაწყობა, დალაგება (ვთქვათ, შეშისა) შდრ. დათაქრვა; აქედან: **დამკახდებული დაწყობილი, დალაგებული.**

დანდალო სოფელი აპარაში, რომელიც ისტორიულად საზღვრად იღებოდა ზემო და ქვემო აპარას შორის. სოფელს საფეხურებრივ შემადგენელი ტერასისებური მდებარეობა აქვს (შდრ. ჩუბ. დანდალი, დანდალუკი--კიბის' საფეხური: ნ. ბაქრ. 53).

დაპოქსვა [**პოქსი** (ნ.)] დაჭუჭყიანება. აქედან: **დაპოქსვილი დაჭუჭყიანებული, გაჭუჭყიანებული.**

დაუღუმლება საქორწინო ცერემონიალის გარეშე ქალის (საცოლის) მისვლა მამაკაცის ოჯახში (ზოგჯერ ქალის მშობლებთან შეუთანხმებლად, რაზედაც იტყვიან: „გადაჩეჩთა თავზე, დუედავო“).

დახავება დამაკება (პირუტყვზე ითქმის მხოლოდ). აქედან: **დასავსებული დამაკებული.** „ქალო, კარქა დაკვირდი მავ ჩიჩეგას, ისე გავ დასავსებულა!“

დასახლება 1. დაქორწინება, ცოლის შერთვა, დაოჯახება; 2. სახლ-კარის გაჩენა, დაბინავება (შდრ. ჩუბ., მენტ. დაბინავება, ქგლ.).

დაფინვა [**ფინი** (ნ.)] იატაკის დაგება. „ერთი ოდა თუ დაფინე კიდენ, სამ დღეში შევბარგვი ახალ სახში“ (ნ. იმერხ. 75).

დაფიშმანება [**ფიშმანი** (ნ.)] დაფიქრება, მოფიქრება. „პაწაჲ მადრტე დეეფიშმანო, თუ დიმიყდა ქკუაში, წამოკყვები“ (შდრ. იმერხ. გამეფიშმანა, 63).

დაყორულება [**ყორული** (ნ.)] სათიბი ადგილის დაცვა, შემოღობვა. ნაკრძალად გამოცხადება (ნ. ჩუბ., მენტ.).

დაჩაჯრება „საქონლის ბალახში დაბმა“ (ელ.).

დაძრა კარის, ფანჯრის და მისთ. დახურვა, მოხურვა. „შენ სახლ-კარი არ კილია, ვერ დუძრავ კარეთ?“

- დაშუენება** „ხელის დამშუენება“ (ზრდილობ.), დაბანა. „აბა, დაშუენებთ იე მოსაფირ (ნ.) ხელი, მომშუელი იქნება!“ (შდრ. შარაშ. პირის დაშუენება).
- დაჭაფვა** გამსკდარი, გახეთქილი ან გაბზარული ხის ქურჭლის (გობი, კასრი და მისთ.) რკინის ნაჭრებით შეკერვა. აქედან: დაჭაფული რკინის ნაჭრებით გაკერილი ხის ქურჭელი.
- დელი** სულელი, გიეი, ხელი, გადარეული, შეშლილი (ნ. პ.ლორიას რომანი „დელი-მურადი“, ბესიკი, ჟღ. ლ., ქგლ... დელი).
- დელიხორუმი** ერთგვარი ხორუმი, სადაც საცეკვაო ილეთები მეტისმეტად სწრაფად სრულდება (შდრ. იმერხ. 37).
- დელიყან'ლი** მომწიფებული ახალგაზრდა, ახალგაზრდა, ყმაწვილი (ნ. მარი. დელიკანი: იმერხ. 55: „ბიჭი კაჲ ლამაზი დელიყანი იყო“; შდრ. შარაშ. დელიყანდი).
- დესტანი** დიდი ფორმატის ლექსი (შდრ. მარი, იმერხ.).
- დეფანი** (<დერეფანი) იგივეა, რაც დაზლოდი (ნ.), აიფანი (ნ. იმერხ. 75).
- დეალურა** (*Polygonum carneum*) მრავალწლოვანი ბალახი: გავრცელებულია ნოყიერ ადგილებში; ფოთლებს, როგორც მხალს, ისე იყენებენ (შდრ. ჩუბ.).
- დეიბე**. დუბე კარგი, მისადგომი, საყანე მიწა, რომელსაც ქარი არ უდგება (შდრ. ქყ., ქგლ).
- დიდი ანაჲ**. დიდანაჲ ბებია, დიდედა (შდრ. შარაშ. დიდნენე).
- დინნეჲ** (<დიდი ნენე) ბებია (ნ. ბაქრ. დინე, იმერხ. „დინეჩემი დან მეშინოდა, ღმერთო, შენ ის მომიკალი!“, შარაშ. დიდნენე).
- დირეგი** 1. დირე, ბოძი, სვეტი (ნ. სახ. დირეკები, 248); 2. ბარჯგი (ქვ. იმერ.-გურ.); ბოძკინტი. „მაგ საბძელს თუ ქვედან დირეგები არ შუბჯგინეთ, სერფინთი (ნ.) თერეფიდან ქარი წაქცევს“ (ნ. იმერხ. 75).
- დოლაბი** კედელში ჩატანებული კარადა (შდრ. ბაქრ., ჟღ.).
- დონთბარი** იგივეა, რაც დო: საკარაქე მაწვნის შედღეების შემდეგ დარჩენილი სითხე, რომელსაც ოდნავ მეავე გემო აქვს. ზაფხულის ცხელ დღეებში საუკეთესო სასმელად ითვლება. დონთბარი შეიძლება მივიღოთ დოს გაღვსვითაც (შდრ. იმერხ. 40: დონთბარი ანუ დონთბაჲ).
- დოხტი** მეგობარი, ამხანაგი; ნაცნობი, მოყვარე-ნათესავი (ნ. მარი, ვაჟა I, გრიშ., ქგლ).

დოშეგი ლოგინი, ლეიბი, „მინდარი“ (ზღრ. საბა დუშაყი, ჩუბ. დოშაქი, ვაჟა, II, გრიშ. დოშაქი, ჟლ. ჯან. ტექსტ. დუშელი, მენტ. დოშაქი, მაის. დოშაქი).

დრამი, **დრეში** პაწაწა, პაწაწკინტელა, ერთი ბეწო (ნ. ი. ქავჭ. შენ ვარდის კონავ, დრამის წონავ. რა მოგიჩმხავს. „აი ისტორია!“, ქგლ. დრამი დროის უმცირესი მონაკვეთი).

დუდი თხემი (თავის): აქედან: დუდიანი ფხალი · თავიანი მხალი, კომბოსტო. „ბალანას ომ პირ მიცენ. თავი დუდზე დაგაჟდება. არ იცი მად?“ (ზღრ. მარი, ჟლ. ჯან. ტექსტ.).

დუღხალი | <დუდი (ნ.)+მხალი| თავდახვეული კომბოსტო (ზღრ. ჩუბ. ლახანა).

დუნჯა ქვეყანა, ხმელეთი, მხარე. „ოი დუნიაზე რაც ჯარია, ხელმწიფე და შვიდი დუელი“ (გაზ. „საქ.“, 1916 № 248). (ნ. ვაჟა, I, მარი, ჯანაშვი. დუნია, ჟლ. ქ. ლომთ. 298: „არ არის, კნიაზ; დუნიაზე სამართალი...“ ქგლ).

დუშმანი მტერი (ნ. მარი, იმერხ. „ქვეყანა რომ შეაწუხა, ახლა ბეჭური ყავს დუშმანი“, ქგლ).

დუღალი ძვ. სადედოფლო მოსახხანი (ქორწილის პროცესში დედოფალს დუღალი აქვს დახურული სახეზე. საქმროს ოჯახში დედოფალს დუღალს ყამით ახდის ძმა. ბიძაშვილი ან სხვა მახლობელი, რის შემდეგ სასიძოს მხრივ დუღალის ამხდელი მიიღებს გარკვეულ საჩუქარს: ზღრ. ჩუბ. პირის სანახავი, მარი დუვალი).

დუელი სახელმწიფო, სამეფო. „ოი დუნიაზე რაც ჯარია ხელმწიფე და შვიდი დუელი (გაზ. „საქ.“, 1916, № 248): (ზღრ. მარი დევლეთი, ჩიქობ. ფრდ. დოულათი).

ე

ებბელი მუდამ, ყოველთვის, მარად, მარადემ: ხანგრძლივ, არასოდეს, განუსაზღვრელად (დროის თვალსაზრისით) „ერთი სტუმარი მესტუმრა, ებბელი უსტუმრებელი (ნოლ. III 206) (ნ. იმერხ. „ებბელი არ გვევთხუები; სიტყვას გიჩივი გულითა“ 49).

ეზანი მოწოდება, გამოცხადება: მორწმუნეთა გაფრთხილება ლოცვისათვის (ეზანს ჩვეულებრივ აცხადებს მინარეთიდან (ნ.) სასულიერო პირი—ხოჯა, მოლა...: ნ. ჩუბ., გრიშ. აზანი, ჟლ. ჯან. ტექსტ. იზანი).

- ელჩი** შუამავალი, მაქანკალი; ნოციქული (ნ. ს ა ხ. 189, ი მ ე რ ხ. 37, ჟღ. ჯან. ტექსტ.).
- ეზექთარი** მოამაგე, მზრუნველი, გულშემატკივარი. ღვაწლმოსილი (ნ. ჟღ. ჯან. ტექსტ.).
- ემია/ა** მამით ბიძა (ნ. მ ა რ ი ე მ ი ჯ ე, ი მ ე რ ხ. 55: „ემიას გოგო ყაჭდა ნათხოვარი“).
- ერინჯი** მეორედ გამოზამთრებული ხბო (ღედალი) (ნ. მ ე ნ თ. ა ჯ. 173).
- ერიშტა** საჭმელი (პურის ცომს თხლად გააბრტყელებენ, გაახმობენ, ან საჯზე (ნ.) გამოაცხობენ; შემდეგ დაჭრიან დანით ან ჰავანზე (ნ.) წვრილად და შეინახავენ). „ზათი ჰავანი არ იყო, ყამას დავამაგრებდით წვერით და ჰავანის ბიჩუმზე მოეშვრიდით ე რ ი შ ტ ა ს“.
- ერცულულზე** (=ერთ სულულზე <თურქ. soluk ‘სუნთქვა’) ერთი წუთით, ერთ წუთას. „ე რ ც უ ლ უ ლ ზ ე ჩვენთანაც შამუქციე, რააქნება!“
- ესკერი** ასკერი, ჯარისკაცი, (ნ. ი მ ე რ ხ. 48: „ლალუმი რომ გევიქნიე ესკერს ეგონა ცისიელი“).
- ეჯემი** სპარსელი.

3

- ვათანი** სამშობლო; ნსარე, ქვეყანა (ნ. ი მ ე რ ხ. 48: „ოდელ-ოდლის თუ იკითხავ. ჭუნას აქ მისი ვ ა თ ა ნ ი“).
- ვარია** სადღვებელი, რომლითაც კარაქს დღვებენ (ნ. ს ა ხ. 122).
- ვარიოზი** დიდი რკინის ურო (ნ. მ ა ი ს.).
- ვახტიანი** შეძლებული, მდიდარი კაცი (მდრ. მ ა რ ი ვ ა კ ი ტ ი, მ ე ნ თ. გამართული კაცი).
- ვეხაეთი** ანდერძი „სიკდილიხან შვილები დუბარებია და ვ ე ს ა ე თ ი დუტოვებია“ (ნ. ს. ჟღ.).

4

- ზათი** 1. ისედაც, ნამდვილად, მაინც, საერთოდ; 2. წინათ, უწინ, წარსულში, „ზათი გახელებული ვარ და შენც ნულა მიჯლიკინეთ!“ (ნ. ი მ ე რ ხ. 63: „ზათიც მიჩუქვებია მისთვინ“, ჟღ. ჯან. ტექსტ.).
- ზანდული** სკივრი (მდრ. ჩ უ ბ. ზ ა ნ დ უ კ ი, ჟღ. ზ ა ნ ტ უ კ ი, ჟღ. ჯან. ტექსტ. სანდული).
- ზანკალი** ღაზლისაგან მოქსოვილი წვივზე ამოსაცმელი ყელები, საწვივე. (ჭვანის სოფლებში ზ ა ნ კ ა ლ ს ი ც ვ ა მ ე ნ ქ ა ლ ე ბ ი ც; ზაფხულის პაპანაქება სიცხის მიუხედავად, 10—11 წლიდან

ძოყოლებული ყველა ქალს აცვია ზანკლები; (შდრ. საბა პაქანიგი; ნ. ჩუბ., წერ. საწვივეები).

ზარხოში მთვრალი (შდრ. ჩუბ., ელ. სარხოში).

ზეგანი ადგილმდებარეობის მიხედვით ზემოთ დასახლებული ადგილი, ან ცოტა მთიანი ადგილი. (ქვემო აქარის მკვიდრნი ზემოაქარლებს ზეგნელებს ეძახიან; შდრ. საბა, ელ., შარაშ.).

ზემბილი ხელში საკერი ჭურჭელი (წნული); შდრ. ჩუბ. ზამბილი; ნ. იმერხ. 71: ზემბილაჟ).

ზენგინი მდიდარი, შეძლებული (ნ. მარი; შდრ. შარაშ. ზენგილი).

ზიარეთი ძვ. წმ. ადგილი, სადაც წინათ მორწმუნენი მიდიოდნენ და დღეობას იხდიდნენ, ლოცულობდნენ. სხვადასხვა სენით შეპყრობილნი და უშვილოები ღმერთს ევედრებოდნენ განკურნებას, შვილის შეძენას. (შდრ. იმერხ. „ზიარეთში წავალთ, იქ მუმს ავანთებთ 79; მაის.).

ზითვალი (<მზის თვალი) მზე. „ხედავ რაფერ დჰჰყირა (დააცხუნა) ზითვალმა!“ (ნ. იმნ. მზის თვალი, კიმენი I „და ვიხილე ნათელი უფროდს მზის თვალისაჟ...“ 209).

ზიწვერნა მზის ამოსვლა. „ჯერ ზე არ იყო ნაწვერნი, რომ ერთი ნაპირი გატანილი მქონდა“ (შდრ. შან. სინტ. გადაწვერვა, მენტო. მზის გადაწვერვა).

ზორი გასაჰირი, ჯაფა; ძალა (ნ. მარი, იმერხ. 66: „ჩვენ ჰასან-ფაშამ ზორით აართვა ცხენი ქოროლის; შდრ. ჯანაშვი., ელ. კან. ტექსტ. ზორილათე, შარაშ.).

ზოლი ერთი აქრა საქალამნე ტყავი (შდრ. კირ. შოლტი ტყავი; მაის.).

ზუბუნა ჭურთუყივით ჩასაცმელი მამაკაცისა.

„ერთ ფუხარასა ვესტუმრე

ტანს არ ეცვა ზუბუნი;

ცეცხლი დიმინთო, მომართვა,

ტკბილაჟ დიმიწყო ჭუჭუნი“ (ნ. სახ. 191), ჩუბ.,

ბაქრ. ზუბუნა, იმერხ. 178, ს. მაკალ. 90).

თ

თავანი „სხვენი, чердак“ (მენტო. ნ. კიდეგ ბერ., იმერხ., ელ., მაის.).

თავრიელი საქალამნე თავის ტყავი (საქონლის თავს ჩვეულებრივ ცალკე ატყავებენ). „ქალამანი შევიკერე ხარის თავრი-

- ელია, გოგუებთან წასლა მინდა, ქესა ცარიელია“ (ნოლ. 11, 115; ნ. ჯანაშვი. თავრიალ, მენტ.; შდრ. კირ.).
- თალარი** უანის საზღვარი. „ნახვარს მე გეყყვან ლობეს თალარზე, ნახვარი შენ გეყყვად, რაზ ხარ?“ (შდრ. საბა, ჩუბ., კირ. სამანი; ნ. შარაშ.).
- თენეკა** სანავთე, თუნუქის კურკელი ნავთის ჩასასხმელად (შდრ. ჩუბ. თუნუქა, ელ. ქან. ტექსტ. თენეკე, შარაშ. თანაქა).
- თენტენია** აშა, ნაქარგი. „ბოხჩაში იყო კიდვენ ერთი სადოლოფლო ფორკა, აბორკაზე წმინდა თენტენია და ქონდა შამოვლებული“ (შდრ. მარი თენტე, მოსა, ჩერგა).
- თვალის აქრიალება** თვალის აბნევა მდინარის მოძრაობაზე ან კრელ საგანზე ცქერით. მცდარად, შებრუნებით დანახვა საგნებისა მაღლიდან (მაგ., ხიდიდან) მოძრაობისას (შდრ. ქყ. ასიორება თვალისა, ელ. აფსიორება თვალისა, შარაშ. თვალის ასიორება, თვალის აქრელება).
- თირფანი** ცელი (ეს უკანასკნელიც იხმარება მეტყველებაში).
- თორბა** ტომსიკა, თოფრა, პარკი პატარა ტომარა (შდრ. ჩუბ. თორბა, თოფრა; ნ. ბაქრ.).
- თოფალი** კოკლი „შენ ჰადან მიხდი რომ იღვევი თოფალი იყო?“ (ნ. ს. ელ.).
- თურთქელა** ჩვილი, ნორჩი, რბილი, ნაზი; მაგ. თურთქელა ყველი, თურთქელა ბალახი და მისთ. (შდრ. ელ. თორთქოლა, ალაგ. თურთქლები).
- თხტელი** მათხოვარი (შდრ. საბა მთხოველი).

ი

- იბნა** უკანონო შვილი, ბუში; გარყენილი, უზრდელი (ნ. კირ.).
- იბრეთი** უჩვეულო, უცნაური, განსაცვიფრებელი, საკვირველი; საშინელი. „ი მამალი მართლა ამ იბრეთი რამია, სკუანიდამ ჩამეყყუად, ზოჭლი ჯინსიანი (ნ.) გამოდგა“.
- იბრელი** სპილენძის მაღალყელიანი კურკელი, წყლის კურკელი (შდრ. აბულ. იბრეხი, მაის. იბრეხი).
- ილხი** ცხენის ჯოგი; გადატ.: ბრბო. „ადგა თელი ილხი“ (ნ. მარი).
- ინსანი** ადამიანი. კაცი.
- იუბალი** ილბალი, ბედი, ბედნიერება, კეთილდღეობა, კეთილსევობა. „ჩემი ბედი და იუბალი გამჩენმა ღმერთმა დასწერა“.

კ

- კახლო** „ფარცხივითაა, უანას ამ მოეხნავთ, კახლო და მჭასტორფთ პირს, კახლოს უმფო ვაკე ადგილეთში ვხმარობთ,

ფარცხ კი -- დამრეც, მიფერდება ალიგეფში. ძველები
კ ა ბ ლ ო ს ა ც და ფარცხსაც --- ორნავეს თათრულად თათანს
ეძახდენ“ (ზღრ. საბა, ჩუბ.; გურამ., მენტ.).

კათული სანელებელი, საკაზმი, მისაქმელი.

კალაში 1. ცხელი ქარი; 2. ქარიშხალი. „ახლანდა მოგიტანო, ნუ
გაქ თალაში, ლამე ქარი ქრის, დილას კალაში“ (ნოლ.
11, 142); „შარშან კალაშმა გუდუშვარა ყანეფ და სულ
ჩაყვითლა სიმინდები“ (ზღრ. მარი).

კაპირონა სოფლისა და სხვა ადგილებში საზოგადო წყაროებთან
წყლის დასალევი ჭურჭელი -- ხისაგან გამოთლილი ტარიანი
ჯამი, კუთხოვანი ფორძისა (ზღრ. საბა, ჩუბ., ბაქრ.
კობე).

კაპიწი ოვალური კასრი, რომელშიდაც რძის პროდუქტებს ინა-
